წინასიტყვაობა.

ამ ნაშრომის პირველი ნაწილი შეიცავს საბერძნეთის ისტორიის უძველეს პერიოდს; სახელდობრ, იგი იწყება ბერძენთა წინაპრების ბალკანეთის ნახევარკუნძულზე მოსელიდან მესამე ათასეული წლების დასასრულს და მთავრდება ქრ. წ. IX საუკუნით. ამგვარად, იგი ეხება ძველი ბერძნების მდგომარეობას კრეტასა და მიკენის პერიოდში, „ზღვის ხალხთა“ მოძრაობას, დორიელთა გადასახლებას და მასთან დაკავშირებულ ფაქტებს და ეგრეთწოდებულ ბერძნულ „საშუალო საუკუნეებს“. ვფიქრობ, დიდი დასაბუთება არ დამჭირდება ძველი ბერძნების ისტორიიდან ასეთი ნაწილის გამოყოფის მიზანშეწონილობისათვის. დღეს სრულიად სამართლიანად იპყრობს მკვლევართა განსაკუთრებულ ყურადღებას ძველი საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდი დორიელთა გადასახლებამდე, რადგან იგი ძლიერ მცირედ არის შესწავლილი და ნაკლებად ცნობილი; ამას გარდა, იგი თავისთავად საინტერესოა იმ მხრითაც, რომ წარმოადგენს სავსებით დასრულებულ თავისებურ ეპოქას, რომლის გათვალისწინებას შეუძლია მრავალი რამ ახალი შეიტანოს ბერძნების შორეული წარსულის შესწავლაში.

მართალია, დღემდე არ მოგვეპოვება საკმაო საბუთები ამ პერიოდის სათანადოდ წარმოდგენისა და გაშუქებისათვის, მაგრამ არსებული მასალის წყალობით ზოგადი სურათის გათვალისწინება კი მაინც შესაძლებელია. ამასთან, საბერძნეთის ისტორიის ძველი წესით, ე. ი. დორიელთა გადასახლებიდან დაწყება დღეს უკვე სრულებით მოუხერხებელი და შეუწყნარებელია. მეორეს მხრით, მიკენის პერიოდის დაცემის შედეგია ბერძნული „საშუალო საუკუნეები“, რომელთა განხილვა ბოლოში საჭიროდ დავინახე თვით ამ პერიოდის უფრო ნათელი გაშუქებისათვის. ამ ნაშრომის მეორე ნაწილში კი გათვალისწინებული იქნება ძველი საბერძნეთის „კლასიკური“ და ელენისტური პერიოდები. საბერძნეთის ისტორიის უძველესმა პერიოდმა ავტორის ყურადღება სპეციალურად ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიზიდა და მას აქეთ იგი, მისთვის მისაწვდომ პირობებში, დრო გამოშვებით მაინც აწარმოებდა ამ დარგში მუშაობას. ასეთი მუშაობის ერთ-ერთი შედეგი იყო 1923 წელს მის მიერ გამოქვეყნებული „ევროპის პირველი ცივილიზაცია. კრეტა-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურა“ [1], რომელსაც უმთავრეს მიზნად დასახული ჰქონდა არა ძველი ბერძნების შორეული თავგადასავლის განხილვა, არამედ უმთავრესად კრეტა-მიკენის კულტურის მთა-

---

[1]) ავტორისაგან დამოუკიდებელი პირობების გამო მასში მრავალად გაიპარა სამწუხარო კორექტურული შეცდომები.

ვარი ძეგლების დახასიათება და საერთოდ არქეოლოგიური აღმოჩენების გათვალისწინება, და ამიტომაც მისი გეგმა არსებითად განსხვავდება წინამდებარე ნაშრომისაგან, თუმცა იგი საფუძვლად დაედვა მას. ხოლო აქვე გარკვევით უნდა ითქვას, რომ მასთან შედარებით ახალი ბევრი არა მოუცია რა 1924 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ ზ ა ხ ა რ ო ვ ი ს [1] და ბ ო გ ა ე ვ ს კ ი ს [2] ნაშრომთ, რომლებიც აგრეთვე უმთავრესად ამ კულტურის ძეგლებს ახასიათებენ. სამაგიეროდ, უფრო საყურადღებო ახალ ცნობებსა და მოსაზრებებს გვაწვდის უდროოდ ტრაგიკულად დაღუპული მკვლევარის დ ი დ რ ი ხ ფ ი მ ე ნ ი ს ცნობილი შრომის მეორე გამოცემა[3]. როგორც ამ ძვირფასმა წიგნმა და ზოგიერთ პერიოდულ გამოცემაში მოთავსებულმა ნარკვევებმა[4], ისე განთქმული მკვლევარების ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს[5], ულ. ვ ი ლ კ ე ნ ი ს[6], კ. შ უ ხ ჰ ა რ დ ტ ი ს[7] და სხვ. ამ დარგში ფრიად საგულისხმიერო დასკვნებმა და დებულებებმა დიდი დახმარება აღმომიჩინეს ძველი საბერძნეთის ისტორიის პირველ ნაწილზე მუშაობის დროს[8].

როგორც აღვნიშნე, ამ ნაწილში მოცემულია ძველი საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდი ქრ. წ. მესამე ათასეული წლებიდან IX საუკუნემდე; მაშასადამე, მას დაკისრებული აქვს ფრიად რთული და პასუხსაგები ამოცანა, რადგან სწორედ ეს პერიოდი არის ყველაზე ნაკლებად შესწავლილი და სათანადო წყაროებითაც უაღრესად ღარიბი. ამიტომ ვერ ვიტყვი, რომ დასახული მიზანი სავსებით იყოს შესრულებული, რომ ამ პერიოდის სრული და ნათელი სურათი იყოს წარმოდგენილი და ყველგან გარკვეული პასუხი მოცემული ამათუ იმ საყურადღებო საკითხზე.

მაგრამ ბევრ შემთხვევაში ყოველივე ეს მასალის სიმცირისა და მისი თავისებური „სიძუნწის" ბრალია. ყოველ შემთხვევაში ავტორი ცდილობდა დასახული მიზნის კეთილსინდისიერად შესრულებას და ამ მხრით კარგად ახსოვდა ცნობილი მკვლევარის ფ ი უ ს ტ ე ლ - დ ე - კ უ ლ ა ნ ჟ ი ს მწარე და საგულისხმიერო სიტყვები: „ნეტარ არიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ ყველაფერი იციან; მათთვის უცნობია მაძიებლის ტანჯვა; ნახევარ-ჭეშმარიტებით კმაყოფილდებიან ისინი; ზოგადი ფრაზები საკმარისია მათთვის. ისინი თავის თავში დარწმუნებული არიან. დადიან ისინი მაღლა აწეული თავით: ისინი მასწავლებლები არიან და ამაეე დროს მსაჯულებიც..." ასეთ „ბედნიერთა და რჩეულთა წრეს" ჩემ თავს ვერ მივაკუთნებ და არცა მაქვს ამის პრეტენზია... ჩემი ძვირფასი მასწავლებლის — აკადემიკოსის ე ლ ა დ ი ს ლ ა ვ ბ უ ზ ე ს კ უ ლ ი ს თქმით:

---

[1]) А. З а х а р о в, Эгейский мир, Петрог. 1924.

[2]) Б. Б о г а е в с к и й, Крит и Микены, Ленинград, 1924.

[3]) D i e d r i e c h F i m m e n, Die kretisch-mykenische Kultur², Leipzig und Berlin 1924.

[4]) ეს გამოცემები დასახელებულია თავ-თავის ადგილას.

[5]) E d. M e y e r, Geschichte des Altertums² II 1, Stuttgart und Berlin, 1928.

[6]) U l r i c h W i l c k e n, Griechische Geschichte², München und Berlin, 1926.

[7]) K a r l S c h u c h h a r d t, Alt-Europa, München, 1926.

[8]) ზოგიერთ შემთხვევაში ციტირებულია ი. კ ა რ ს ტ ი ს საყურადღებო, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ზერელე და პრობლემატიური ხასიათის ახალი ნაშრომი,—J o s e p h K a r s t, Grundsteine zu einer Mittelländisch—Asianischen Urgeschichte, Leipzig, 1928.

„ქეშმარიტების ძიებისას მეცნიერება გაიელის არა მუპუქ გზას, ზოგჯერ ეს გზა საესეა წინააღმდეგობითა და იმედის გაცრუებით, და საბოლოო მიზანი არც აგრე ახლოა, როგორც გეეჩვენება. ჩვენ წინ შორეული გზაა, გვესახება ჰორიზონტის ხაზი, მოჩანს დასახული პუნქტი. ჩვენ მივდივართ და ჩვენ წინ იშლება ახალი შორეული გზა, ახალი ჰორიზონტი. . მისელისას ვხედავთ ხშირად საგნის მხოლოდ ერთ მხარეს, მეორე კი ჩვენთვის დაფარული რჩება. რომ დავინახოთ იგი, მას მეორე გვერდიდან უნდა შეეუდგეთ, სხვა გამოსაეალი პუნქტი უნდა ავირჩიოთ...“ [1] საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდი ამჟამად ასეთ „შორეულ გზას“ მოგვაგონებს, რადგან თუ მისი ერთი ხასიათის ძეგლები თვალწინ გვიშლის მხოლოდ ერთ მხარეს, სურათის სისრულისათვის აუცილებლად საჭიროა მას სხვა გვერდითაც შემოვუაროთ და ავამეტყველოთ მისი სხვა ძეგლებიც. ამ მხრით ჯერ კიდევ მრავალი რამ არის გასაკეთებელი.

დასასრულ, დიდ მადლობას მოვახსენებ ლექტორ ვ ა რ ლ ა მ თ ო ფ უ რ ი ა ს ამ ნაშრომის სტილის მხრით გადათვალიერებისათვის.

ალ. ნერეთელი.

ტფილისი.
XI. 1928

---

[1]) Акад. В. П. Бузескул, Речь в ответ на приветствия. Ученые Записки Научно-Исследоват. Кафедры истории европ. культуры.-Харьков, 1929, стр. 8.

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა V

შესავალი 1

თ ა ვ ი I.

ბერძნები მეორე ათასეული წლების პირველ ნახევარში.

1. საკითხი ინდოევროპიელების განსახლებისა და პირვანდელი სამშობლოს შესახებ. ედ. მაჰერისა და კარსტის მოსაზრებანი 5
2. საბერძნეთის პირვანდელი მოსახლეობა; „მცირე აზიელები". კრეტას კულტურის შუამინოსური პერიოდი 10
3. ბერძენი ტომები და მათი პირვანდელი კულტურა ახალ სამშობლოში . 16
4. კრეტას ახალი (ე. წ. გვიანმინოსური) კულტურა 20
5. კრეტას მეურნეობა ამ პერიოდში თქმულება მინოსზე და კრეტას სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია 26
6. კრეტელების ძველი სარწმუნოება და კულტი 32
7. კრეტას ძველი მოსახლეობის საკითხი; კაფტი და კრეტელები. ფესტის დისკო და ფილისტიმელები 39
8. კრეტას დაპყრობა აქაელების მიერ 43

თ ა ვ ი II.

ბერძნები მიკენის პერიოდში.

1. არგოსი. მიკენი და ტირინთი. არგოსის სამეფო 47
2. პელოპონესის სხვა კუთხეები. შუა-საბერძნეთი — ბეოტია, ორქომენი. ევბეა. ატიკა. ეგეოსის კუნძულები. ჩრდილოეთი საბერძნეთი 60
3. ვაჭრობა მიკენის პერიოდში. სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. უძველესი თქმულებები. სარწმუნოება 65

თ ა ვ ი III.

მიკენის პერიოდის დასასრული.

1. აქიავას სამეფო მცირე აზიაში და ბერძნები. „ლუკის ხალხები". ლიკიელთა გადასახლება და მათი ვინაობა 75
2. „ზღვის ხალხთა" გადასახლებანი. მათი ეთნოგრაფიული ვინაობის საკითხი. 78
3. ხალხთა დიდი მოძრაობა: ილირიელები და ფრიგიელები; მისიელები; იტალიის ტომები. დორიელთა გადასახლება. მცირე აზიის სანაპიროების კოლონიზაცია. მიკენის კულტურის დასასრული 84

თ ა ვ ი IV.

ბერძნული ხაშუალო საუკუნეები.

1. ჰომეროსის საკითხი და მისი პოემების ისტორიული მნიშვნელობა . . 91
2. სამეურნეო და სოციალური მდგომარეობა ბერძენი ტომებისა ამ პერიოდში 96
3. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია 103
4. ანბანის შემოღება. კულტურა და სარწმუნოება 108

შემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება . . . 115

შ ე ს ა ვ ა ლ ი

არც აგრე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ძველი საბერძნეთის ისტორიას ჩვეულებრივ დორიელების შემოსევიდან იწყებდენ, ხოლო თუ ამ ხანას რაიმე განსაზღვრული პერიოდი უსწრებდა წინ, ამის შესახებ გარკვეული წარმოდგენა არავის ჰქონდა. ამავე დროს კი ძველი საბერძნეთის უფრო შორეულ წარსულზე მოგვითხრობდა ბერძენთა პოეტური თქმულებები, თავისებური ლეგენდები და საგები, ე. ი. „ის მოთხრობითი ფორმები, რომლებშიაც ერი თვის დაუწერელ ისტორიას ათავსებს. ამ საგებისაგან, მათი პოეტური გადამუშავების შემდეგ, თანდათან შეიქნა გმირული სიმღერა, სიმღერა ბუმბერაზთა შესახებ, რომელიც საგმირო ეპოსის ჩანასახად უნდა ჩაითვალოს“ (პროფ. გრ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ბერძნული ლიტერატურის ისტორია, I გვ. 20). ჰომეროსის პოემების მეცნიერულმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ ჰომეროსის ეპოსს წინუსწრებდა პატარა სიმღერები, რომლებშიაც თავისებურ გამოკრთომას ჰპოულობდა კაცობრიობისათვის ჯერ კიდევ საესებით უცნობი სამყარო. იმთავითვე საფიქრებელი იყო, რომ ამ შემთხვევაში საქმე გვქონდა არა რაღაც მითიურ ამბებთან, არამედ შორეული სინამდვილის ერთგვარ გამოძახილთან. ამ მხრით სამართლიანად აღნიშნავს ვ ი ლ კ ე ნ ი, რომ ჰომეროსის აედებს ჯერ კიდევ ჰქონდათ ცნობები, სხვათა შორის, იმ ფარის გარეგნობისა და მოხმარების შესახებ, რომელიც ჰომეროსის ეპოსის დროს უკვე აღარ არსებობდა. ამას გარდა ცხადია, რომ ის ეპითეტები, რომლებითაც შემკულია ჰომეროსის პოემაში ეს ფარი (მაგ. πολύμυκος—ფეხებამდე დაშვებული, ἀφειδής—კაცის გარემომცველი და სხვ.) გადმოღებულია უძველესი სიმღერებისაგან, რომელთა წარმომთქმელთ ჯერ კიდევ ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონოდათ მასზე. აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ ჰომეროსის იარაღი უმეტეს ნაწილად ბრინჯაოსაგან არის შემზადებული, მაშინ როდესაც თვით ეპოსი რკინის ეპოქას ეკუთვნის (Ul. Wilcken, Griechische Geschichte³, S. 35). ჰომეროსის ეპოსში ტრადიციის ასეთი შემონახვის საყურადღებო მაგალითია კიდევ ნესტორის სიტყვა ილიადაში (IV, 303-309), რომელიც ცხადად გვიჩვენებს, რომ ჰომეროსმა იცოდა ძველი ჩვეულება სამხედრო ეტლების შემშიდროვებული რაზმებით თავდასხმისა, მაშინ როდესაც მის დროს ეტლებზე უწესრიგოდ იბრძოდენ (A. L a n g, Homer and Anthropology, ჟურნალი Anthropology and classics. Oxford 1908, გვ. 56). ეს და სხვა მსგზავსი მოსაზრებები, თითქოს, იმას გვიკარნახებდა, რომ უძველესი სიმღერების სახით ჰომეროსის ეპოსში შეიპრა უცნობი სამყაროს მკრთალი გამოძახილი. მაგრამ ყოველიეე ამას ყურადღება ნაკლებად ექცეოდა, და მეცნიერების უმრაველესობა ძველ თქმულებებს საერთოდ

უაღრესად სკეპტიკური თვალსაზრისით უდგებოდა და მათ ყოველგვარ რეალურ საფუძველს მოკლებულად აღიარებდა. იმ დროს გაბატონებული შეხედულებით ეს თქმულებები ისეთ ხანაში იყო შექმნილი, „როდესაც მოისურვეს გაეგოთ, თუ რატომ წააგავედა ისტორიულ ეპოქაში საბერძნეთი ასე სუსტად იმას, რაც ჰომეროსს აქვს დასურათებული“. ცნობილი მკვლევარი ბ ე ლ ო ხ ი თვისი „საბერძნეთის ისტორიის“ პირველ გამოცემაში სწერდა: „ყველა მსგავსი მოთხრობების უფერულობაც კი საკმაოდ გვიმტკიცებს, რომ საქმე გვაქვს უბრალო გონებრივ დასკვნებთან; მოგვითხრობენ აღმოსავლეთიდან საბერძნეთში გადმოსახლებაზე, მაგრამ ამ თქმულებებს საფუძვლად უდევს მზის მითები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ ხალხთა ცხოვრებაში იწვევდა მსგავსი სახის თქმულებების წარმოშობასო.“

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ გ რ ო ტ მ ა თვის „საბერძნეთის ისტორიაში“, თვალსაჩინო ადგილი დაუთმო ბერძნების ძველ თქმულებებს და საერთოდ 776 წლის წინა ეპოქა ცალკე გამოჰყო, რადგან იგი, მისი აზრით ეპიური პოეზიისა და ლეგენდის ატმოსფერით განსხვავდებოდა; მაგრამ იგი შეგნებულად უარს ამბობს მითების ყოველგვარ განმარტებაზე და ამასთან ერთად ბოდიშს იხდის მკითხველების წინაშე, რომ უძველეს ხანას ასწერს ისე, როგორც ეს ბერძნებს ჰქონდათ წარმოდგენილი და არ ცდილობს გამოზომოს, თუ რამდენია მასში ისტორიული ელემენტი. „თუ მკითხველი ამისათვის მე გამიცხავს, ამბობს იგი, თუ ის მკითხავს, რატომ არ ვსწევ ფარდას და არ ვაჩვენებ სურათს, მე ეუპასუხებ მხატვრის ზევსისის სიტყვებით, როდესაც მას მიმართეს ასეთივე კითხვით მისი მხატვრული ნაწარმოების გამოფენის დროს: სწორედ ფარდაა თვით სურათი!.. ის, რაც ჩვენ ახლა მოგონილ ამბად და ლეგენდად გვეჩვენება, ოდესღაც საერთოდ აღიარებული ისტორია იყო, წარსულის ერთად ერთი ნამდვილი ისტორია, რომლის გაგება და სიამოვნებით მოსმენა შეძლოთ ძველ ბერძნებს: ფარდა არაფერს არ ჰფარავს და არავითარ გონება— მახვილობას არ ძალუძს მისი გადაწევაო“. რასაკვირველია, გროტი შეცდა, ფარდა მართლაც ჰფარავდა გარკვეულ რამეს და ის, რაც მიუწვდომელი მოჩანდა ყოველგვარი გონებამახვილობისათვის, შესაძლებელი გახდა არქეოლოგიისათვის. არქეოლოგის ნიჩაბი შეიქნა „ჰერმესის ის გრძნეული კვერთხი“, რომლის მეოხებითაც მზის სინათლე იხილეს მრავალ საუკუნის განმავლობაში მიწაწაყრილმა და „ღრმა ძილში წასულმა“ უძველესმა ქალაქებმა თავისი კულტურის ნიშნიერი ძეგლებით.

შლიმანისა, დოერპფელდისა, ევანსისა და სხვა მკვლევართა უდიდესი აღმოჩენების წყალობით სურათს ფარდა მაინც აეხადა და გაკვირვებული კაცობრიობის წინაშე წარმოსდგა სრულიად ახალი ქვეყანა, ახალი ბრწყინვალე კულტურა, რომელიც საბერძნეთსა და კუნძულებზე არსებობდა და ვითარდებოდა გაცილებით უფრო ადრე, ვიდრე ბერძნები ისტორიის ასპარეზზე გამოვიდოდენ. მიკენის სახელწოდების მიხედვით, სადაც შლიმანმა აღმოაჩინა ამ კულტურის ძეგლები, მას მ ი კ ე ნ ი ს კ უ ლ ტ უ რ ა უწოდეს, მაგრამ შემდეგში გამოირკვა, რომ მიკენის კულტურა მხოლოდ ნაწილია იმ დიდი კულტურისა, რომელიც ხანგრძლივად ყოფილა გამეფებული უფრო ვრცელ რაიონში. დღეს ამ კულტურის

ცენტრად მიჩნეულია არა მიკენი, არამედ კრეტა, რომლის კულტურას ევანსმა მინოსის კულტურა უწოდა. საერთოდ ამ კულტურას კრეტა-მიკენის ანუ ეგეოსის კულტურის სახელითვე იცნობთ. ეგეოსის კულტურას მას იმიტომ ვუწოდებთ, რომ იგი უმეტესად ამ ზღვის მიდამოებში იყო გავრცელებული. ერთი ინგლისელი მწერლის სიტყვით, იგი სხვა ცივილიზაციებთან შედარებით ყველაზე მეტად არტისტული და ესთეტიური იყო. ეს კულტურა საფუძვლად დაედვა ბერძნების ცივილიზაციას, მაგრამ იგი თავისი ხასიათით და ბუნებით არა ბერძნული წარმოშობისა უნდა იყოს; ხოლო მისი უკანასკნელი პერიოდი, სახელდობრ, მიკენის კულტურა გარკვეულად აქაელთა, ე. ი. ბერძენთა კულტურად უნდა ჩავთვალოთ. დღეს მისი გამოკვლევის და შესწავლის საქმე ისეთ დონეზეა დაყენებული, რომ ძველი საბერძნეთის ისტორიის მკვლევარი უკვე გვერდს ვეღარ აუხვევს ამ უძველეს პერიოდს და იძულებულია თავისი ყურადღება აუცილებლად შეაჩეროს მის გაშუქებაზე. მეორის მხრით ძველი აღმოსავლეთის ისტორიის დარგში წარმოებულმა მეცნიერულმა მუშაობამ ცხადჰყო, რომ საბერძნეთის წარსულის შესწავლა მისგან სავსებით დამოუკიდებლად უკვე შეუძლებელია. ზოგიერთ საყურადღებო ცნობას, რომელიც ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ნიადაგზე იქნა მოპოვებული, საყურადღებო წვლილი შეაქვს ძველი საბერძნეთის ისტორიის სალაროშიც. ამ მოვლენებთან დაკავშირებით საბერძნეთის შორეული წარსულის გათვალისწინებას ვიწყებთ უკვე ქრ. წ. მესამე ათასეული წლების დასასრულიდან, როდესაც ბერძენთა წინაპრები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე უნდა მოსულიყვენ.

ამასთან დაკავშირებით კრეტას კულტურის მოკლე დახასიათებას ვიწყებთ მისი ეგრეთწოდებული შუამინოსური პერიოდიდან (ქრ. წ. დაახ. 2000—1600 წ.) რადგან მხოლოდ მისი გავლენა განიცადეს არსებითად ახალ სამშობლოში გადმოსახლებულმა ბერძნებმა. ჩვენ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს საბერძნეთის ისტორიის გათვალისწინება იმ დროიდან, როდესაც მის მიწაწყალზე გაჩნდენ ბერძნების წინაპრები, ამიტომ განხილვის გარეშე დავტოვებთ, როგორც კრეტას კულტურის ეგრეთ-წოდებულ ადრემინოსურ პერიოდს, ისე მის წინა დროს— ნეოლითისა და ენეოლითის ეპოქას საბერძნეთსა და კრეტაში[1].

---

[1]) მის შესახებ იხ. Fimmen, Kultur, გვ. 125—130. Богаевский, Крит и Микены, გვ. 15—55.

თ ა ვ ი I.

ბერძნები მეოთხე ათასეული წლების პირველ ნახევარში.

1. საკითხი ინდოევროპელების განსახლებისა და პირვანდელი სამშობლოს შესახებ: ედ. მაჟერისა და იოს. კარსტის მოსაზრებანი.

როგორც ცნობილია, ბერძნები, რომელთა წინაპრებიც მესამე ათასეული წლების დასასრულს შეიპრენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე, ეკუთვნიან ინდოევროპულ (ინდოგერმანულ, ინდოკელტურ, არიულ) მოდგმას და, მაშასადამე, ენათესაებიან ერთის მხრით იტალიკებს, კელტებს, გერმანელებს, სლავებს, მეორის მხრით კი ინდოელებსა და ირანელებს. მეცნიერებაში მიღებულია ის აზრი, რომ ინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ხალხთა უმეტესი ნაწილი ოდესლაც ერთ ხალხს — ინდოგერმანელ პრეხალხს, პრეარიელებს შეადგენდა. ხოლო მათი წარმოშობისა და პირვანდელი სამშობლოს შესახებ მეცნიერებაში დღემდე არ მოგვეპოვება საბოლოოდ ჩამოყალიბებული და მიღებული აზრი. ერთი შეხედულების თანახმად, ყველა ინდოევროპელთა პირვანდელი სამშობლო იმყოფებოდა ცენტრალ აზიაში, ხოლო მათი განსახლების საერთო სურათი ასეა წარმოდგენილი: ნაწილი ინდოგერმანელებისა დარჩა აზიაში და გაიყო ირანელებად, რომელთაც ირანის მთაგრეხილი დაიკავეს, და ინდოელებად, რომლებიც ინდოსტანის ნახევარკუნძულზე ჩამოვიდენ, პირველად პენჯაბში და შემდეგ კი განგის ველსაც დაეუფლენ. ხოლო მეორე ნაწილი ინდოევროპელებისა კავკასიით თუ ბოსფორითა და ჰელესპონტით გადავიდა ევროპაში.

მეორე შეხედულებით კი ინდოევროპელების სამშობლო აზიაში კი არ უნდა ვეძიოთ, არამედ ევროპაში, სახელდობრ, ცენტრალ და ჩრდილოეთ ევროპაში, ან რუსეთის სამხრეთ ნაწილში, და სხვ.

ჩვენ აქ არ შეეუდგებით ამ საკითხის გარეშემო წარმოშობილ ყველა მოსაზრების ჩამოთვლასა და განხილვას და დავკმაყოფილდებით იმ ფაქტის აღნიშვნით, რომ მეცნიერებაში კამათი სწარმოებს უმთავრესად ორი მთავარი დებულების გარშემო: ინდოგერმანელები აზიური თუ ევროპული წარმოშობისა არიან, ე. ი. მათი პირვანდელი სამშობლო აზიაა, თუ ევროპა.

აღნიშვნის ღირსია ის აზრი, რომელიც ამ ორიოდე წლის წინათ გამოსთქვა ენათმეცნიერმა გუნთერ იპსენმა ერთ თვის საყურადღებო წერილში [1]. იგი ფიქრობს, თითქოს ინდოგერმანელები ეიწრო ზოლებად მიემართებოდენ

---

[1]) Gunther Ipsen, Der Alte Orient und die Indogermanen - კრებულში Stand und Aufgabe der Sprachwissenschaft Heidelberg 1924, გვ. 200—237.

შუაევროპიდან აღმოსავლეთ ირანისაკენ; ამასთან ერთად იგი მათი საერთო განსახლების ერთგვარ სურათსაც გვიხატავს, თუმცა ეს უკანასკნელი მას თავდაპირველ მოვლენად არ მიაჩნია და თვით საკითხსაც გადაწყვეტილად არა სთვლის. უფრო გარკვეულ შეხედულებას ამ საკითხზე გვაძლევს ცნობილი მკვლევარი ედ. მაჰერი[1]. იგი მას ძველი აღმოსავლეთის ისტორიას უკავშირებს და Rhode'ს მსგავსად ინდოევროპელების პირვანდელ საცხოვრებლად ბაქტრიაში აწესებს. როგორც ვიცით, ინდოევროპელების პირველ შტოდ, რომელიც ისტორიის ასპარეზზე გამოდის, ედ. მაჰერს ის ინდოგერმანელები მიაჩნია, რომლებიც დამპყრობელებად გვეელინებიან ხეთელების ქვეყანაში.

ამ ინდოევროპელი „ხეთელების" ენა თვის გრამატიკულ საფუძველში ინდოგერმანულ ენად მოჩანს, მაგრამ ამასთან ერთად იგი შეიცავს მრავალ უცხო ელემენტს. ენის ასეთი შერევა გვიმტკიცებს, რომ აქ ინდოგერმანული მოდგმის ხალხი დაპყრობის საშუალებით შემოიჭრა და თვის ენაში, როგორც ლექსიკურად, ისე გრამატიკულად ადგილობრივი ძველი მოსახლეობის ღრმა გაელენა განიცადა. მცირე აზიაში მათი გადმოსვლისა და თავგადასავალის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მათი ენის თავისებური ხასიათი ნებას გვაძლევს, ვიფიქროთ, რომ მათი გადმოსვლა მოხდა არა უგვიანეს მესამე ათასეული წლების ნახევრისა და რომ დამპყრობელთა ფენი ძლიერ თხელი იყო. ადგილობრივ მცხოვრებლებთან შერევის მეოხებით მათ მიიღეს ამ მოსახლეობის ფიზიკური ტიპი და, როგორც ენობრივად, ისე კულტურულად მისი დიდი გაელენა განიცადეს[2]. მიტანის სამეფოშიც ვამჩნევთ არიული წარმოშობის დინასტიას. როგორც სირიაში, ისე აქაც სამხედრო არისტოკრატია ინდურ სახელწოდებას— marjanni-ს ატარებდა. დინასტიების მრავალი არიული სახელი გვხდება სირიასა და პალესტინაში ხარულ და სემიტურ სახელწოდებათა გვერდით.

სხვათა შორის ეგვიპტის 18-19 დინასტიების (დაახ. 1580-1200) დროის ძეგლები ნათლად გვიშლის თვალწინ ხალხთა ასეთი შერევის სურათს: სირიელ ტყვეებს შორის მკვეთრად დახასიათებულ სემიტებისა და მათგან განსხვავებულ ხეთელების გვერდით ჩვენ ვხედავთ სრულებით სხვაგვარ გამოხატულებათ — წვერიანსა და უწვერო სახეებს, ნაწილობრივ ჭაღარაშერთულებს, პირსახის წმინდად ჩამოსხმული ნაკვთებით, გრძელი, ზევით გაბრტყელებული და შუაში ოდნავ ჩაზნექილი თავის ქალათი. ამგვარად, მრგვალთავიანი სემიტებისა და მოკლეთავიან ხეთელებისაგან განსხვავებით წარმოდგენილი არიან ნამდვილი დოლიხოცეფალები (გრძელთავიანები). წინა აზიის ხალხთა წრეში ისინი მოჩანან, როგორც სრულიად უცხო ელემენტი, და განასახიერებენ უფრო იმ ტიპს, რომელსაც ჩვენ ევროპელებსა და სპარსელებს შორის ვხვდებით; ამით თითქოს მტკიცდება marjanni-ს წარმოშობის შესახებ ენობრივი მოწმობის სინამდვილე. ბოღაზკოის ბიბლიოთეკაში აღმოჩნდა ერთი დიდი ტექსტი ცხენების მოშენების შესახებ, რომლის ავტორია ვინმე კიკული მიტანიდან; დაწერილია იგი „ხეთურ" ენაზე, ხოლო წერის ტექნიკა ინდურია. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ

[1]) იხ. მისი, Geschichte des Altertums II 1, გვ. 33—41.

[2]) იხ. ალ. წერეთელი, ძველი აღმოსავლეთი, I, გვ. 65, 69.

ხარული მიტანის[1] მიდამოებში დაბინავებული იყო ინდური მოსახლეობა, რომ-ლისათვისაც კარგად ცნობილი ყოფილა ცხენების მოშენება და ეტლების შე-ჯიბრება ჰიპოდრომზე; ხარელებსა და ხეთელებს ყოველივე ეს მათგან შეუსწავ-ლიათ და უკვე მოშინაურებული ცხენისა და ურმის მოხმარება ამას შემდეგ დაუწყიათ. მრავალჯერ ყოფილა გამოთქმული მოსაზრება, რომ ინდოელები, რო-გორც ავანგარდი არიელთა დიდი გადასახლებისა, რომელმაც ისინი ირანზე გავლით ინდის „შვიდი მდინარის მხარეში“ და უფრო შორს—განგთან მიიყვანა, კავკასიით უნდა შემოკრილიყვენ, ან რომ მათ შემდეგ თან მოჰყვენ ირანე-ლები. მაგრამ ასეთ მსჯელობას ეწინააღმდეგება ფრიად საყურადღებო მოსაზ-რებები. საქმე იმაშია, რომ სწორედ ის მხარეები, სადაც ეს ტომები პირველად უნდა დასახლებულიყვენ და ისტორიული განვითარებისათვის მიეწღიათ, შემ-დეგში ისე უნდა ყოფილიყო განწმენდილი მათგან, რომ მათი რაიმე კვალი არ-სად არ დარჩენილიყო. ამ მხრივ აღსანიშნავია ის, რომ პირთა და ადგილების მრავალრიცხოვან სახელებში, რომლებიც ჩვენ არმენიიდან ასირიის დროის და-სასრულამდე გვაქვს გადმოცემული, სრულებით ვერ ვპოულობთ რასმე ინდო-გერმანულს; ამას გარდა თვით მიდიის მთიანი მხარე დასახლებული ყოფილა არაარიული ტომებით. აქედან ჩანს, რომ არიელი მიდიელები აღმოსავლეთიდან გადმოვიდენ აქ და თანდათანობით მიაღწიეს გაბატონებულ მდგომარეობას. ამას-თან ერთად შეუძლებელია ვედების ეპოქა და მასთან დაკავშირებული თავისე-ბური განვითარება ინდოეთისა ქრ. წ. 1500 წელს იქით გადაეწიოთ; ხოლო ინდოელების დამკვიდრება „შვიდი მდინარის მხარში“ ამაზე საუკუნეებით ადრე უნდა მომხდარიყო. არაბეთიდან გამოსულ გადატრიალებათა გამოკლებით, ხალ-ხთა ყველა დიდი მოძრაობა, რომელთაც მსოფლიო ისტორიის მსვლელობაში არაერთგზის შესცვალეს ევროპა-აზიის განვითარება, მოემართებოდა არა და-სავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, არამედ ცენტრალ აზიიდან დასავლეთისაკენ. ამ მოძრაობათაგან პირველი იყო ისედონიდან გამომდინარე სკვითური მოძრა-ობა, რომელიც ისტორიული ცნობების მიხედვით ოდნავ ხელშესახებია. შემდეგ მოდიან ინდოსკვითური ტომები ტოხარელები 'და მათი თანამოძმენი, ჰუნები, ჰეფტალიტები, ქრ. შ. VI საუკუნეში დაწყებული და საუკუნეთა განმავლობაში გაგრძელებული თურქების გადასახლება და, დასასრულ, მონგოლები. სპეცია-ლურად ირანული ტომების მიმართაც ველებში კასპიისა და შავი ზღვის ჩრდი-ლოეთით ვხედავთ მსგავსავე მოძრაობას, რომელსაც ძველ დროს სიგინები, უფრო გვიან იაციგები უნგრეთის ბარამდე, ხოლო ალანები თითქმის ესპანიამდე მიჰყავს. რაც შეეხება ირანს, მისი მხარეებისა და მცირე აზიის ავსება თურქული ტომებით, სელჯუკებით, თურქმენებით, ოსმალებით, კაჯარებით და სხვ. სრუ-ლებით ანალოგიურია.

საერთოდ ედ. მ ა ჯ ე რ ი თავის მსჯელობას ასეთ დასკვნას უკეთებს: უფრო სამართლიანია გავიზიაროთ ის ძველი მოსაზრება, რომ არიელი ტომები, რო-გორც ირანში, ისე ინდოეთში ჩრდილოეთ-აღმოსავლეთიდან—ბაქტრიიდან და მის მეზობლად მდებარე ქვეყნებიდან იყვენ გამოსული. ცალკეული წინამძღო-

---

[1]) ამ ტერმინის შესახებ იხ. ა ლ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ძველი აღმ. I, გვ. 68.

ლები თავისი ლაშქრით, რომლებიც ნაწილობრივ ინდურ, ნაწილობრივ ირანულ დიალექტზე ლაპარაკობდენ, გადადიოდენ უფრო დასავლეთით და ზოგიერთ დასახლებულ პუნქტებში ბატონობას აღწევდენ, მაგრამ თანდათანობით ითქვიფებოდენ, თავისი სიმცირის გამო, თავის ქვეშევრდომთა შორის. მეორის მხრივ ყოველივე ის, რაც ჩვენ შეგვიძლია დღემდე გავიგოთ და აღმოვაჩინოთ ინდოგერმანელების ევროპა-წინა-აზიის მიდამოებში გავრცელების შესახებ, იმას გვიმტკიცებს, რომ ეს განსახლება მესამე ათასეული წლების ნახევარში უნდა დაწყებულიყო. სხვათა შორის ის შეხედულება, თითქოს ინდოგერმანელების სამშობლო გერმანიის მიწა-წყალზე არსებობდა, ენობრივი მასალის მიხედვით დიდ სიძნელეთ იწვევს, რადგანაც თითქმის ყველა სხვა ინდოგერმანულ ენებთან შედარებით გერმანული ენები თავისი მისაწვდომი უძველესი სახით მეტად დაშორებული არის პირვანდელ ენას. ამგვარად, ცნობილი მეცნიერის შეხედულებით, ყველა ინდოევროპელი ტომების და მაშასადამე ბერძნების წინაპრების პირვანდელი სამშობლო ცენტრალ-აზიაში უნდა ვეძიოთ.

უფრო ბუნდოვანია ი. კარსტის შეხედულება ამ საკითხზე, რომელიც ედ. მაჯერის მოსაზრებას ცხადად ეწინააღმდეგება. მისი მტკიცებით, ინდოარიელებსა და ალაროდიელებ-პელასგებს ერთ დროს პროტობასკების მეზობლად უნდა ეცხოვრათ. აგრეთვე საფიქრებელია, რომ ევსკალდუნაკსა (პროტო-ბასკებსა) და არიელებს საერთო აღმოსავლეთ-ეგეოსური—წინაზიური პრესამშობლო უნდა ჰქონოდათ. პროტოარიელების სამშობლო უნდა გადაეიტანოთ არკადულ-ლიკაონიურ ხმელეთზე (ლიტონია ან ლიქტონია). ამ აღმოსავლეთი შუა-ხმელეთის კრეტო-ფრიგიული ლიქტონიიდან განსახლდენ: 1. ევსკალდუნაკი ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ლელეგურ-პონტურ მხარეებში და დასავლეთით ჰესპერო[1] - ესპანიაში; 2. პროტოარიელები ერთის მხრით არამეასა, ჩრდილოეთ წინა-აზიასა და ინდოეთში, მეორის მხრით კი ლიბიურ ჰესპერიაში. მხოლოდ აღმოსავლეთის აზიის არიელებმა შესძლეს თვისი თავის ენის მხრით და ეთნიურად დაცვა ჩვენ დრომდე, მაშინ როდესაც პრეისტორიული ჰესპერიის არიული მოსახლეობა ადრევე იქნა წალეკილი ქამიტო-ლიბიელებისა და კელტოიდურ დასავლეთ-ინდოგერმანელთა ტალღის მიერ (Urgeschichte, გვ. 60). ამგვარად, პროტო-არიელების სამშობლო კარსტის მიხედვით ეგრეთწოდებული ლიტონია (ლიქტონია) იყო და აქედან განსახლდენ ისინი სხვადასხვა მხრით. ამავე დროს იგი გარკვევით აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთი არიელები თავისი პირვანდელი საცხოვრებელი ადგილებით პროტო-იბერების[2] მეზობლები უნდა ყოფილიყვენ წინა აზიაში. (ibid, გვ. 170).

საერთოდ კარსტისა და ედ. მაჯერის მოსაზრებათა ურთიერთ შორის შედარება გვარწმუნებს, რომ უკანასკნელის შეხედულება გაცილებით უფრო ნათელი, გარკვეული და დასაბუთებულია, ვიდრე პირველის. ამიტომ უფრო მისაღებად ედ. მაჯერის მოსაზრება უნდა ჩაითვალოს, რომ ინდოევროპელების პრესამშობლო ცენტრალ აზიაში მდებარეობდა. რასაკვირველია, ეს არ არის საკით-

---

[1]) Hesperia (τὰ ἑσπέρια)=დასავლეთი, დასავლეთის ქვეყნები.

[2]) კარსტის აზრით პროტო-იბერები=ლიბიელ—პროტოქამიტოთითრი ჩაუბიბია

ხის საბოლოო გადაწყვეტა, მაგრამ არსებულ თეორიათა შორის იგი, ჩემი აზრით, დღეს ყველაზე უფრო მისაღებია.

შედარებით უფრო საგულისხმიეროა კარსტის მოსაზრებები პროტო-ქალდების კულტურული როლის შესახებ წინა-ინდოეთში (Urgeschichte, გვ. 172-174). მისი აზრით, პ რ ო ტ ო - ქ ა ლ დ ე ბ ი ს ა თ უ ს უ მ ე რ ე ლ ებ - ე ლ ა მ ი ტ ე ბ ი ს ს ა ხ ი თ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ი ლ ი ი ბ ე რ უ ლ ი ხ ა ლ ხ თ ა ს ა მ ყ ა რ ო ო დ ე ს ღ ა ც წ ი ნ ა - ი ნ დ ო ე თ შ ი ც ი ყ ო გ ა ვ რ ც ე ლ ებ უ ლ ი დ ა ა ქ პ რ ე ი ს ტ ო რ ი ულ ხ ა ნ ა შ ი კ ო ლ ო ნ ი ზ ა ტ ო რ უ ლ - კ ულ ტ ურ ულ ი ზ ე დ ა ფ ე ნ ი შ ე უ ქ მ ნ ი ა, რაზე ემყარება ამ შემთხვევაში კარსტი?

1. ჰეროდოტეს ტრადიციას ეგვიპტელების პრეისტორიულ გადასახლების შესახებ კოლხიდაში (II, 104). ამ უკანასკნელში მას სურს შეიცნოს არა პონტის, არამედ პ უ ნ ტ ი ს[1] კოლხიდა, ე. ი. მხარეები კავკასია—ინდიკუს და ინდურ ოკეანეს შორის და უწინარეს ყოველისა წ ი ნ ა - ი ნ დ ო ე თ ი რომლის მიმართაც ძველ გეოგრაფიაში მრავალ ადგილას არის შემონახული სახელწოდება- კოლხიდა. კოლხიდური ინდოეთი ეფარდება ამ რაიონის იბერულ, ე. ი. პრეისტორიულ პერიოდს.

2. ბეროსეს ცნობებს ქალდების მეტროპოლის--ლანკარასა და პანტიბიბლონის შესახებ (Euseb. Chron. I. Chald. თ. I შმდ.), რომლებიც სუმერო-იბერების მომავალ სამხრეთ-აღმოსავლეთით გაერცელებაზე მიგვითითებს, რადგან ლანკარა უდრის ცეილონისა და სამხრეთ-ინდოეთის ძველ სახელწოდებას--ლანკას, ხოლო პანტიბიბლონი თუ პაუნტიბიბლონი უნდა იყოს პუნტი, ე. ი. ინდოეთი.

3. ინდოეთის ენობრივ და ტოპონიმიკურ მასალას. სხვათაშორის, იგი სპილოს ძელისა და თვით სპილოს ინდურ სახელებს დასავლეთ-წინააზიურ წარმოშობას მიაკუთვნებს.

4. ანთროპოლოგიურ—ფიზიოლოგიურ მოსაზრებებს: ზოგიერთი ინდური კასტა, როგორც, მაგ., ბანიანები, ააშკარავებს კუშიტო-ქამიტოიდურ ხასიათს; სუმერული თუ აგრეთვე ეგვიპტოიდური ტიპი ჰინდუსტანსა და დეკანში მძლავრად გვიდგება თვალწინ. ის, ვისაც ჩვენ ჩვეულებრივად, საერთო მიღებული ტერმინოლოგიის თანახმად, ინდო-არიელებს ვუწოდებთ, არის შერეული ხალხი, რომელშიაც სჭარბობს პრეარიული იბერული ელემენტი, გრძელთავიანი, შავგვრემანი, ტანადი ადამიანების ტიპი. არიელობის მთავარ წარმომადგენლებად კი კარსტს კშატრიები (სამხედრო კასტა) და პენჯაბსა და ჩრდილოეთ-დასავლეთ ინდოეთში დამკვიდრებული ცალკეული სოფლური ტომები მიაჩნია; ხოლო ბრაჰმანების კასტა, მისი აზრით, პროტო-იბერული წარმოშობისა უნდა იყოს.

---

[1]) ცნობილია, რომ პუნტი დასახელებულია აგრეთვე ეგვიპტურ წყაროებშიც, მაგ. ხატშეპსუტის ცნობილი ექსპედიცია (16 ს—ის დასასრულში) პუნტში და სხვ. მაგრამ ამ შემთხვევაში გარკვეულად ითვლება, რომ ეს პუნტი არა სამხრეთ არაბეთში, როგორც წინად ფიქრობდენ, არამედ აფრიკის ნაპირების მახლობლად უნდა ყოფილიყო (W. M. Müller, Asien und Europa, გვ. 106, შემდ.). რამდენად სამართლიანია კარსტის განმარტება პუნტის მდებარეობისა ან რას ნიშნავს პუნტ — სანაპირო მხარეები? (Punt—Küstenländer)? ჩემი აზრით, ეს საკითხი გამოსარკვევია.

მისი სიტყვით, ეს მტკიცდება, გარდა ამ კასტის თეოკრატიულ-კულტური საფუძვლისა, რაც იბერულ დასავლეთ-აზიურ წარმოშობას ააშკარავებს, სხვათაშორის, მისი ნაწილობრივი გაიგივებით პანდავას ტომებთან ინდურ საგმირო სიმღერებში (მაჰაბჰარატა). კარსტის განმარტებით, პანდუ (პანდავა) ანუ პანდიონები ეწოდება წინა –არიულ ინდოეთში იბერული კულტურულ ფენის მთავარ წარმომადგენლებს. პანდიონები ანუ პანდავას სამეფო და ხალხები ცეილონში, სამხრეთ დეკანში და განგის მხარეში აღნიშნავენ იბერების განსახლებას, რომელთა მთავარი ბინადრობა ჰინდუსტანსა და სამხრეთ ინდოეთში უნდა ყოფილიყო. წინაბერძნული ეგეოსის ქვეყნებში მათ შეესაბამებოდენ ლიკიურ-მცირეაზიელი და ატიკელი პანდიონების ტომები. ამგვარად, უნდა ვიგულისხმოთ პროტო-იბერული ხალხთა გაერთიანებული წყება, რომელიც უძველესი დროიდან განსახლებული იყო თავისი მესოპოტამიურ-სუმერული ცენტრიდან ახალშენებისსახით ერთის მხრით ინდოეთსა და ცეილონში, მეორის მხრით კი სირია-სამხრეთ-დასავლეთ მცირე აზიაში ატიკამდე, ხოლო აქედან ისინი, ალბათ, გავრცელდენ შუა-ხმელეთის კუნძულებსა და სანაპიროებზე სამხრეთ-აღმოსავლეთ ესპანიასა და მცირე აფრიკამდე. ჰესპერიული იბერები ორგანიულ გაგრძელებას წარმოადგენენ აზიელი იბერებისას.

როგორც ვხედავთ, გარკვეული სურათია მოცემული აზიისა, მცირე აზიისა და შუა-ხმელეთის უუძველეს მოსახლეობის შესახებ, მაგრამ ძნელია იმის თქმა, რომ კარსტის ამ დებულებას თან ახლდეს სავსებით დამარწმუნებელი მოსაზრებანი და საბუთები, ან მისი მსჯელობა ამ დარგში სრულებით ორიგინალური იყოს[1]. ყოველ შემთხვევაში ეს თეორია მაინც ყურადღებისა და შესწავლის ღირსია.

2. საბერძნეთის პირვანდელი მოსახლეობა; მცირეაზიელები. კუნძული კრეტა და მისი კულტურის შუამინოსური პერიოდი.

ბერძენ ტომთა დანაწილებისა და განსახლების შესახებ ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მკრთალი სურათი წარმოვიდგინოთ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ თვით ბერძნებს არ ჰქონდათ დაცული მოგონება თავისი წინაპრების შორეული ადგილებიდან გადმოსახლებაზე და ამიტომაც თავს ავტოქთონებად თვლიდენ. ამავე დროს კი ისინი მოგვითხრობენ სხვადასხვა ამბებს მათ ქვეყანაში მომხდარ გადატრიალებათა და გადასახლებების შესახებ. ამ მხრით განსაკუთრებულ გავლენას ახდენდა გენეალოგიურ პოემებში დაცული და ძველი ისტორიკოსების მიერ თავისებურად განვითარებული კონსტრუქციები პირვანდელ ხალხზე, ეგრეთწოდებულ პელასგებზე. მაგრამ სამართლიანად აღნიშნავს ვილკენი

---

[1]) ძველი ბაბილონისა და პირენეების ნახევარკუნძულის (აგრეთვე მცირე აზიისა, კრეტას და ეტრურიის) უუძველესი ურთიერთობის შესახებ იხ. Ernst Assmann' ის ნაშრომი „Babylonische Kolonisationsarbeit in dem vorgeschichtlichen „Spanien“. (Festschrift zu Lehmann-Haupts 60. Geburtstag. Wien—Leipzig, 1921) და სხვ.

(Griech. Geschichte გვ. 16), რომ საბერძნეთის პირვანდელი მოსახლეობა პელასგები არ ყოფილან და ასეთებად ისინი მხოლოდ ლოგოგრაფოსების ისტორიული სპეკულაციის წყალობით იქნენ აღიარებული, და რომ ნამდვილი პელასგები მხოლოდ სამხრეთ თესალიაში ესახლენ. მაშ ვინ წარმოადგენდა საბერძნეთის პირვანდელ მოსახლეობას? იგი შესდგებოდა უფრო მცირე აზიის ტომისაგან — კ ა რ ი ე ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ, რომლებიც ბინადრობდენ კუნძულებზე, და ლ ე ლ ე გ ე ბ ი ს ა გ ა ნ[1] რომელთა არსებობას შუა და სამხრეთ საბერძნეთში თქმულებებიც ადასტურებენ. რომ ბერძნებზე წინ საბერძნეთში მცირე აზიის მოსახლეობის მონათესავე სხვა ტომი ბინადრობდა, ეს კარგად ჩანს საბერძნეთში დაცული მრავალრიცხოვანი არა ბერძნული გეოგრაფიული სახელწოდებიდან[2]. დაბოლოებანი — nth, nthos (Korinthos) და assos, essos (Parnassos, Brielessos) თვის ანალოგიას მცირე აზიის ენებში ჰპოულობს. ამიტომ საფიქრებელია, რომ საბერძნეთის პირვანდელი მოსახლეობა „მცირეაზიელების“ მოდგმის ხალხს ეკუთვნოდა. მაგრამ საჭიროა გამოვარკვიოთ რაობა და შინარსი თვით ტერმინისა „მცირეაზიელები“ (იხ. ე დ. მ ა ჯ ე რ ი G. d. A. II 1, გვ. 11. ვ ი ლ კ ე ნ ი 14-15, ა ლ. წ ე რ ე თ ე ლ ი ძვ. აღმ. I, გვ. 62).

„მ ც ი რ ე ა ზ ი ე ლ ე ბ ი,“ როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ოჯახი, დადგენილ იქნა ცნობილი ენათმეცნიერის პ ა ვ ლ კ რ ე ჩ მ ე რ ი ს მიერ, ხოლო ანთროპოლოგიურად მისი მთლიანობა ფ ე ლ ი ქ ს ლ უ შ ა ნ მ ა დაამყარა. ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში მცირე აზიას განსაკუთრებული ადგილი ეკავა იმითაც, რომ აქ არც ერთი სემიტური მოდგმის ხალხი არ ყოფილა დამკვიდრებული. ენათმეცნიერები გვარწმუნებენ, რომ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ შემდეგში გაღმოსახლებულ ინდოევროპელ ხალხებს, ყველა დანარჩენი ადგილობრივი მკვიდრნი, ზოგიერთ სპეციფიურ განსხვავებათა მიუხედავად, ქმნიან ენათა საკუთარ ოჯახს, რომელსაც კავშირი არ აქვს არც ინდოგერმანულ და არც სემიტურ ენებთან, და პირიქით სრულიად დამოუკიდებელი სახით გეეელინება მათ გვერდით. ეთნოლოგიურად ისინი ქმნიან მთლიან მასას, რომელიც არაჩვეულებრივი მოკლე თავით (ჰიპერბრახიცეფალები) და მრუდე ცხვირით ხასიათდება. „მცირეაზიელები“ ორ ნაწილად უნდა გავყოთ: დასავლეთ მცირეაზიელებად — ლიდიელები, ლიკიელები, და აღმოსავლეთ მცირეაზიელებად — პისიდიელები, ლიკაონიელები, კარიელები. ისავრიელები, კილიკიელები, კაბადოკიელები, ხეთელები. ტერმინი „მცირეაზიელები“ საკუთრივ დამაკმაყოფილებელი არ არის, რადგანაც ზოგიერთი მისი შემადგენელი წევრი მცირე აზიიდან საკმაოდ მოშორებით ცხოვრობდა, ამიტომ ამ ტერმინის მიღება შეიძლება მხოლოდ პირობით. შესაძლე-

---

[1]) კ ა რ ს ტ ი ს აზრით, პ რ ო ტ ო - კ ა რ ი ე ლ ე ბ ი = ლ ე ლ ე გ ე ბ ი (რომლებიც განსხვავდებიან ისტორიულ ან დეუტერო-კარიელებისაგან), ლ ი გ ო ს ტ ო - ბ ა ს კ ო ი დ ო ს ი გ ვ ა ნ ის ხ ა ლ ხ ი იყვნენ (Urgeschichte, გვ. VIII) პროტოიბერების საბერძნეთშიც განსახლების შესახებ კარსტის მოსაზრება იხ. ზემოთ, გვ. 12.

[2]) იხ. P. K r e t s c h m e r, Sprache, გვ. 6, 69; იგივე — Einleitung in die Geschiche d. griech. Sprache, 293 შემდ. 401 შმდ. I F i c k, Vorgriech. Ortsnamen, als Quelle f. Vorgeschichte Griechenlands, და სხვ.

ბელია ვიფიქროთ, რომ სირიის, შუამდინარეთისა და, ალბათ, კიპროს პირველნდელი მოსახლეობა მცირეაზიელებმა შექმნეს და მათვე ადრე იწყეს განსახლება დასავლეთით — ეგეოსის ზღვის კუნძულებზე (ვ ი ლ კ ე ნ ი, Gr. Gesch. 14).

მაშინ, როდესაც აღმოსავლეთ მცირეაზიის კულტურული მდგომარეობის შესახებ მესამე ათასეულ წლებში ჩვენ ძლიერ მცირე ცნობები მოგვეპოვება, მისი დასავლეთი ნაწილი სამაგიეროთ ჩვენთვის უფრო ცნობილია იმ შესანიშნავი გათხრების წყალობით, რომლებიც ჰ ე ნ რ ი ხ შ ლ ი მ ა ნ ი ს სახელთან არის დაკავშირებული[1]. ამ მხრით ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა მისი მუშაობა ძველი ტროიას ადგილზე, ჰისარლიკზე, რომელიც მცირეაზის ჩრდილოეთ-დასავლეთ კუთხეში, ჰელესპონტის მახლობლად მდებარეობდა.

შლიმანისა და შემდეგ დოერპფელდის (Dörpfeld) მიერ ჰისარლიკზე აღმოჩენილ იქნა ერთიმეორეზე დაფენილი რამდენიმე სხვადასხვა მოსახლეობა-„ქალაქი“ პირველი „ქალაქი“ მასში აღმოჩენილი პრიმიტიული საგნების მიხედვით მეოთხე ათასეულ წლებს უნდა მივაკუთნოთ, ხოლო მეორე „ქალაქი“-მესამე ათასეულ წლებს. ამ უკანასკნელში იარაღი და საოჯახო ჭურჭლეულობა უკვე ბრინჯაოსაგან არის გაკეთებული, ხოლო ოქრო და ვერცხლი კი საუცხოო სამკაულებისა და სასმისების შემზადებაზეა მოხმარებული. ეს „ქალაქი“ შლიმანმა ჰომეროსის ტროიად მიიჩნია. აქ მოპოვებულ ჭურჭელთა შორის შლიმანმა განსაკუთრებული ყურადღება ისეთებს მიაქცია, რომლებიც თავის თუ პირისახის გამოხატულებას წარმოადგენდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე ეს ბუს გამოსახულებას შეიცავდა და იგონებდა ამასთან დაკავშირებით ღმერთქალის ათინას ცნობილ ეპითეტს ჰომეროსის პოემაში: „ბუსთვალებიანი“ (γλαυκῶπις) მაგრამ ეს შეხედულება სხვა მკვლევართ (მაგ. ვ ი რ ხ ო ვ ი ს) არ გაიზიარეს და ის მოსაზრება გამოსთქვეს, რომ თიხის ასეთი ფორმის ჭურჭლეულობა ადამიანის პირისახის გამოხატვის პრიმიტიულ ცდას წარმოადგენსო.

შლიმანს მხედველობიდან არ გამოჰპარვია აგრეთვე ორმაგი, „ბინოკლის მსგავსი“ ჭურჭლები, რომლებიც მისი აზრით ჰომეროსის δέπας ἀμφικύπελλον-ს (ორმაგ სასმისებს) შეესაბამება.

მაგრამ თუ ჰისარლიკის რომელიმე „ქალაქის“ გაიგივება შეიძლება ჰომეროსის ტროიასთან, ეს ყველაზე მეტად მეექვსეზე ითქმის, როგორც ეს თავის დროზე აღნიშნა დოერპფელდმა. იგი არსებითად უკვე მიკენის ეპოქას ეკუთვნის.

უდაოდ უნდა იქნას მიჩნეული, რომ მეორე ქალაქის მცხოვრებთ ურთიერთობა ჰქონიათ ზღვის იქითა მხარეებთან, და აგრეთვე ისიც, რომ ეგეოსის ზღვის კუნძულების კულტურა მათი კულტურის მონათესავე ყოფილა. ცალკეული აღმოჩენები მიგვითითებს ეგვიპტესთან ურთიერთობაზე, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი, მაგ. შიშველი ღმერთქალის ტყვიის კერპი, უკანასკნელ ინსტანციაში სენაარზე, მაგრამ როგორ და რა გზით მოხვდა იგი აქ, ამის თქმა ძნელია (ვ ი ლ კ ე ნ ი, Gr. Gesch. გვ. 15)

მცირეაზიელებითვე უნდა ყოფილიყო დასახლებული ეგეოსის ზღვის კუნძულები. თ უ კ ი დ ი დ ე გარკვეულად გადმოგვცემს, რომ კარიელები ერთ დროს

---

[1]) იხ. ალ. წ ე რ ე თ ე ლ ი, ევროპის პირველი ცივილიზაცია, გვ 78 შმდ.

კუნძულებზე ბინადრობდენო (I, 8, 1,). სტრაბონის სიტყვითაც კარიელები წინათ კუნძულებზე ცხოვრობდენ, ხოლო შემდეგ განსახლდენ ხმელეთზე. არტურ ევანსისა და იტალიელ მკვლევართა არქეოლოგიურმა აღმოჩენებმა გაოცებულ კაცობრიობას თვალწინ გადაუშალა სრულიად ახალი ქვეყნიერება. ეს აღმოჩენები უმთავრესად კუნძულ კრეტასთან არის დაკავშირებული.

კუნძული კრეტა „არის ღვინის ფერ ზღვის შუაგულში, მშვენიერი, პოხიერი, ყოველი მხრით წყლით მოცული, ადამიანთაგან უხვიო“, უამბობს ჰენელოპას ოდისე (Od. XIX 172 შმდ'. კრეტას განსაკუთრებული ადგილი უკავია საბერძნეთის მითოლოგიასა და გადმოცემაში. მას დიდ ყურადღებას აქცევენ აგრეთვე ძველი მწერლებიც. ცნობილი არისტოტელე თვის „პოლიტიკა“-ში ხაზგასმით აღნიშნავს იმ ძვირფას გეოგრაფიულ მდებარეობას, რომელიც კრეტას უკავია და „რომლის მიხედვით მას, თითქოს, ბუნებისაგან აქვს განკუთვნილი საბერძნეთზე ბატონობა“: იგი სამხრეთით ჰკრავს არქიპელაგს, მდებარეობს ხმელეთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნახევრის შუაგულში, პელოპონესისა, ეგვიპტისა და მცირე აზიის დაახლოვებით და ძველად ერთი უმთავრესი შემაერთებელი ხიდი იყო აღმოსავლეთსა და ევროპას შორის. კრეტას მთავარი ქალაქი ძველად კნოსი უნდა ყოფილიყო; მის შესახებ ოდისეაში ნათქვამია; „არის იქ კნოსი, დიდი ქალაქი, მეფობს იქ მინოსი, დიდი ძევსის შვილიო“ (XIX 175 შმდ). იგი მდებარეობდა კუნძულის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ეგეოსის ზღვისაკენ არის მიმართული. გადმოცემის მიხედვით, იგი იყო მინოსის სატახტო ქალაქი. მინოსის მამამ ძევსმა მოიტაცა ფინიკიელი კადმოსის მშვენიერი ასული ევროპა და მიიყვანა იგი კრეტაში. მინოსის ბრძანებით კრეტაში აგებულ იქნა უცნაური შენობა ლაბირინთი. ყველა ვინც იმ შენობაში შევიდოდა, გამოსავალს ვეღარ პოულობდა და ხელში უვარდებოდა მასში მობინადრე უცნაურ არსებას-მინოტავრს. ამ უკანასკნელთან დაკავშირებულია მითი თეზეოსსა და არიადნეს შესახებ: მინოსმა ათენელებს მეტად სისტიკი ხარკი დაადვა, ყოველ ცხრა წლის განმავლობაში მათ უნდა გაეგზავნათ კრეტაში შვიდ-შვიდი ქალ-ვაჟი, რომელთაც მინოტავრს გადასცემდენ შესაჭმელად. ასეთს ბედს გადაურჩა ათენის მეფის ეგეოსის შვილი თეზეოსი არიადნეს ძაფის დახმარებით. ბაგრამ უკან დაბრუნებისას მან შეცთომით არ ჩამოხსნა თავის გემს შავი დროშა, რაც დადებული პირობის თანახმად იმის მომასწავებელი უნდა ყოფილიყო, რომ თეზეოსი დაიღუპა კრეტაში. ეგეოსმა დაინახა ეს შავი დროშა, იფიქრა რომ მისი შვილი ცოცხალი აღარ არის, და ზღვაში გადავარდა. ამიტომაც დაერქვა ამ ზღვას ეგეოსის ზღვაო.

თქმულებაში დასახელებული მინოსი ერთ დროს მართლაც ძლიერი მბრძანებელი უნდა ყოფილიყო. პოეტ ჰეზიოდეს სიტყვით, მინოსი მოკვდავ მეფეთაგან ყველაზე უფრო მეფური იყო და მის სკიპტრას მრავალი ხალხი ემორჩილებოდა. მინოსის ძლიერებაზე მოგვითხრობენ აგრეთვე ძველი ისტორიკოსები — ჰეროდოტე და თუკიდიდე, მაგრამ ყოველივე ამას სხვა ადგილას შევეხებით. ჩვენთვის განსაკუთრებით ის არის საყურადღებო, რომ კრეტაში მოღვაწეობდა გადმოცემის მიხედვით არა მარტო ცნობილი ლაბირინთის ამშენებელი და რომის ეპოქამდე დურგალთა ამქრის მფარველი დედალოსი, არამედ მისი ნათესავი „სმილისი“, რომლის სახელი ხეზე ამომკრელის „დანას“ (σμίλη) ნიშნავდა;

კრეტადან გამოვიდენ აგრეთვე პელოპონესის უძველესნი მოქანდაკენი დიპოჟნი და სკილიდი, რომლებიც დედალოსის მოწაფეები იყვენ. ლეგენდის ეს ნაწილი ალბათ, იმ ნამდვილი ფაქტის ანარეკლი უნდა იყოს, რომ კრეტა უგზავნიდა პირველ ხანებში თვის ოსტატებსა და ხელოსნებს სამხრეთ საბერძნეთს, მიკენის სამეფოს, რომლებიც აქ კრეტას ხელოვნების ნიმუშების მიხედვით ქმნიდენ სხვადასხვა ძვირფას ნაწარმოებს. კრეტაში აღმოჩენილი კულტურას ევანსმა იმ დიდი მნიშვნელობის გამო, რომელიც კრეტას მითებსა და ნახევრად ლეგენდარულ ისტორიაში მინოსს აქვს მიკუთვნილი, მინოსის კულტურა უწოდა. ეს არის სპილენძისა და ბრინჯაოს ეპოქის[1] კულტურა. არქეოლოგიურ მასალის დათარიღების ცდაზე დამყარებით ევანსმა იგი სამ პერიოდად დაყო: ძველმინოსური, შუამინოსური და გვიანმინოსური; თითოეული მათგანი თავის მხრით კი სამ ნაწილად: I ძველმინოსური, II ძველმინოსური, III ძველმინოსური და სხვ. მართალია, ასეთმა დანაწილებამ მეცნიერთა შორის სრული თანხმობა ვერ იპოვა (იხ. მაგ. ედ. მაიერი G. d. A. II 1, გვ. 165, შენ.), მაგრამ მის ნაცელად სხვა უფრო გარკვეული კლასიფიკაცია არ არის წარმოდგენილი, და ამიტომ ისევ ევანსის წინადადება რჩება.

კრეტას დასავლეთი ნაწილი სუსტად არის შესწავლილი. სამაგიეროთ მეტი ძეგლები მოგვეპოვება მის აღმოსავლეთ ნაწილიდან. როგორც ჩანს, ეს ნაწილი დაფარული ყოფილა მრავალრიცხოვანი მჭიდროდ დასახლებული ქალაქებით. მთავარ ქალაქებში — კნოსში და ფესტში კრეტელებს აღუმართავთ უზარმაზარი სასახლეები, რომელთა საძირკვლები შემდეგი ეპოქების ზედნაშენთა შორის უმეტეს ნაწილად დაცულია. მათ გვერდით უნდა დავასახელოთ კრეტას საკურთხევლები მთის მწვერვალებზე, გამოქვაბულებებში და თვით სასახლეებში და მათი კულტის საგნები. მათში აღმოჩენილი ქვისა, ლითონისა და თიხის ჭურჭლეულობა, იარაღი, ძვირფასი ნივთები, სამკაულები, ბეჭდები და გემმები (ძვირფასი ქვები ზედამოჭრილი ფიგურებით და წარწერებით) კრეტას მდიდარი კულტურის პროდუქტს წარმოადგენს.

იმ დროს, როდესაც ბერძნებმა იწყეს ბალკანეთში განსახლება, კრეტაში დასაბამი მიენიჭა მისი კულტურის ეგრეთწოდებულ შუამინოსურ პერიოდს (ქრ. წ. დაახ. 2100—1580 წ.წ.). ვინაითგან ახალ სამშობლოში ბერძნებზე გავლენას ახდენდენ არა მარტო ძველი ადგილობრივი მცხოვრებლები — „კარიელები", არამედ კრეტას კულტურაც დასახელებულ პერიოდში თანდათან იკაფავდა გზას მათ წრეში, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია გავეცნოთ კრეტას კულტურულ მდგომარეობას შუამინოსურ პერიოდში.

ამ პერიოდის მეორე ხანაში კრეტას კულტურა უდიდეს ამაღლებას და გაფურჩქვნას განიცდის. განსაკუთრებით საყურადღებოა იმ მრავალფეროვანი ბრწყინვალე ვაზების განვითარება, რომელიც კამარესის სტილის ჭურჭლეულობის სახელით არის ცნობილი, რადგან მისი საუკეთესო ნიმუშები, სოფ. კამარესის მახლობლად იქნა აღმოჩენილი. ამ სტილის მიხედვით ზოგიერთი მკვლე-

1) ადამიანთა მოსახლეობის უძველესი კვალი კრეტაში ნეოლითის ეპოქას უნდა მიეკუთვნოთ, ხოლო სპილენძის საუკუნე კრეტაში მესამე ათასეული წლების დასაწყისში უნდა დამყარებულიყო.

ვარი მთელ ამ პერიოდს კრეტას კულტურაში კამარესის კულტურის სახელით აღნიშნავს. კამარესის სტილის ვაზების არაჩვეულებრივი სინაზე და სიმშვენიერე, ერთი მწერლის სიტყვით, ჩინურ ფაიფურს მოგვაგონებს. ამ ვაზების ზოგიერთი ნიმუში შესრულებულია ლითონის ჭურჭლეულობის მიბაძვით. ვაზები სხვადასხვა ფერისაა და თითოეულს გადაჭკრავს საკუთარი თავისებური ელფერი: მათზე სურათი პირველად ხაზოვანია, ხოლო შემდეგში იგი უფრო მრავალგვარი ხდება, ჩნდება ბუნებრივად გადმოცემული სიუჟეტები მცენარეთა ცხოვრებიდან და სხვ. საერთოდ კამარესის სტილის ვაზების მხატვრობაში გადმოცემულია: წრე, ხელნა, სპირალი, სოსანი და სხვა მცენარეები, რვაფეხა და სხვ.

ამ დროის სასმისებს შორის საყურადღებოა სამი სასმისი პალეკასტროდან; ერთის შიგნით ეხედავთ ხარის ფიგურას, მეორეში—გაფრენილ მტრედს, მესამეში კი—მთელ ჯოგს მწყემსით.

საერთოდ კამარესის კულტურა განეითარებული და ბრწყინვალე კულტურაა, რომელიც თანამედროვე მკვლევა-

სურათი № 1 — კამარესის ვაზა.



სურათი № 2 — კნოსის ორი ჭურჭელი

რთა წრეში დიდ ინტერესს იწვევს. ამ დროს კრეტას დამოკიდებულება უნდა ჰქონოდა ეგვიპტესთან. საზოგადოდ, ეგვიპტესა და კრეტას შორის უძველეს დროიდან უნდა ყოფილიყო დამყარებული სავაჭრო და კულტურული ურთიერთობა. ამას ნათლად ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მრავლად იქნა აღმოჩენილი ეგვიპტეში კრეტული და კრეტაში ეგვიპტური წარმოშობის საგნები. ახლო კავშირი უნდა ჰქონოდა კრეტას აგრეთვე ეგეოსის კუნძულებთან: აწვდიდა მათ თავის ნაწარმოებთ და სამაგიეროდ მათგანაც ღებულობდა საჭირო საგნებს, მაგ. ობსიდიანს მოეზიდებოდა კუნძულ მელოსიდან, სადაც არსებობდა ცნობილი სავაჭრო ქალაქი ფილაკოპი, რომელსაც კუნძულებსა, საბერძნეთსა და ტროიაში გაჰქონდა ცხოვრებისა და ომისათვის საჭირო ნივთები.

ახლო ეთნოგრაფიული კავშირი უნდა ყოფილიყო კრეტას ძველ მოსახლეობასა და მცირე აზიას შორის. ამას ადასტურებს უმთავრესად ენობრივი მასალა და კულტის მოვლენები.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ კრეტას ქალაქები სრულიად გაუმაგრებელი მოჩანს, მაშინ როდესაც საბერძნეთში და აღმოსავლეთის ქვეყნებში ქალაქებს ჩვეულებრივად სქელი და მაგარი კედლები ჰქონდა შემოვლებული. შეიძლება, ეს ფაქტი იმაზე მიგვითითებდეს, რომ კრეტაში მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა და არც გარედან იყო მოსალოდნელი მტრის უეცარი თავდასხმა. ეგებ, მართლაც ძლიერი ფლოტი იცავდა ზღვიდან კრეტას, რომლის დამაარსებლად და მეთაურად გადმოცემა მინოსს გვისახელებს.

კრეტას განხილული ბრწყინვალე კულტურა დიდი კატასტროფით დამთავრდა და კნოსისა და ფესტის სასახლეები საფუძვლიანად იქნა განადგურებული. ხოლო იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ეს საშინელი კატასტროფა, ან რომელ მოვლენასთან იყო იგი დაკავშირებული, ქვემოთ გვექნება საუბარი და შევეცდებით იგი იმ მოვლენებს დავუახლოვოთ, რომლებიც ჰიკსოსების ეგვიპტეზე შემოსევას გვისახიერებს. ეხლა კი ბერძენ ტომების ახალ სამშობლოში განსახლებასა და მათ პირვანდელ ყოფაცხოვრების განხილვაზე შევჩერდებით.

3. ბერძენი ტომები და მათი პირვანდელი კულტურა ახალ სამშობლოში.

როგორც აღენიშნეთ, ბერძენ ტომების ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე განსახლების შესახებ ისეთი მასალა არ მოგვეპოვება, რომ შეგვეძლოს მათი მოძრაობის დაწვრილებითი გათვალისწინება ⁄ ამიტომ იძულებული ვართ მხოლოდ დაახლოებითი წარმოდგენით დავკმაყოფილდეთ. უფრო სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მეორე ათასეული წლების პირველ ნახევარში ბერძენი ტომები განსახლებული იყნენ გაცილებით უფრო ჩრდილოეთით, ვიდრე შემდეგში. ხალხთა გადასახლებამ 1200 წლებში მდგომარეობა არსებითად შესცვალა და გამოიწვია ბერძენ ტომების გადაჯგუფება. ჩრდილოეთ-დასავლეთი ბერძენი (დორიელი) ტომები, რომლებიც ამ დროს თესალიასა და შუა-საბერძნეთში შეიჭრენ, წინათ ილირიასა და მაკედონიაში უნდა ყოფილიყვნენ განსახლებული. ეპიროში გვხვდება ადგილების მრავალი ბერძნული სახელი.

დოდონეს უუძველესი კულტის ადგილი ნაყოფიერი ტალესის წყლებში მობინადრე ძევს ნაიოსის მისნით მუდამ ბერძნული იყო (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, ibid, გვ. 269). ბალკანეთში გადმოსახლების დროს ბერძენ ტომებს თან მოსდევენ სხვა ინდო-გერმანელი ჯგუფებიც, უწინარეს ყოვლისა თ რ ა კ ი ე ლ ე ბ ი, რომელთაც ბერძნები უფრო სამხრეთით გადადევნეს; შედარებით გვიან, დაახ. XIII საუკუნეში ამ უკანასკნელთ თან მოჰყვენ ი ლ ი რ ი ე ლ ე ბ ი, რომელთაც თავის მხრით თრაკიელები გადარეკეს ბალკანეთის დასავლეთი მიდამოებიდან იონიის ზღვისაკენ.

კულტურის პრიმიტიულ საფეხურზე მდგომ ბერძნებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ ახალ სამშობლოში მათ დახვდა განვითარების შედარებით მაღალ მდგომარეობაში მყოფი ხალხი. ამ მხრით უწინარეს ყოვლისა ის არის საყურადღებო, თუ როგორ მოეპყრენ ბერძნები ადგილობრივ ხალხს. გვაქვს ერთგვარი უფლება ვიფიქროთ, რომ შემოსეულმა ბერძნებმა

ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ დაიპყრეს ადგილობრივი მოსახლეობა, მაგრამ ისე, როგორც ამას სხვა ადგილებში და შემთხვევებშიც ჰქონდა ადგილი — იგი სრულებით კი არ გაანადგურეს, ან გააძევეს თავის ადგილებიდან, არამედ ნაწილი მაინც დატოვეს თავის მიწაწყალზე. თვით ის ფაქტი, რომ ბერძნებმა ამ მოსახლეობისაგან გადმოიღეს ზოგიერთი გეოფრაფიული სახელწოდება, შესაძლებლად ხდის ვირწმუნოთ, რომ მათ შორის ერთგვარ მშვიდობიან ურთიერთობასაც კი ჰქონდა, ადგილი და რომ ბერძნებმა ამ ხალხისაგან ბევრი რამ შეითვისეს. ამ ნიადაგზე აქა-იქ დამპყრობელთა და დაპყრობილთა ურთიერთშორის თანდათანობითი შერევაც კი უნდა მომხდარიყო. ეს ხალხი „კარიელები" ასი წლების განმავლობაში ბინადრობდენ აქ და ქმნიდენ კულტურულ ცხოვრებას. მათ დაარსეს თავისებური ქალაქები, ციხე-სიმაგრენი, რომელთა სახელწოდებებთან ერთად ბერძნებმა მრავალი მთისა და მდინარის მცირეაზიური სახელები შეითვისეს. საერთოდ, სპეციალისტების აზრით, ბერძნულ ენაში მცირე აზიიდან ნასესხები მრავალი სიტყვა მოიპოვება, რაც გასაგებად ხდის მოსაზრებას ხსენებული მშვიდობიანი ურთიერთობისა და შერევის შესახებ. აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ, მეცნიერების დასკვნით, მცირე აზიიდან ნასესხებ სიტყვებიდან ბევრი რამ არა პირდაპირ იყო ამ „კარიელები"-საგან ბერძნების მიერ შეთვისებული, არამედ მეორე ათასეულ წლებში ისინი გაერცელდა კრეტადან ჰელადაში, როდესაც ეს უკანასკნელი კრეტას მაღალი კულტურის გავლენას განიცდიდა, მაგ. სიტყვა — ἀσάμινθος (ვანა); სხვები კი, ალბათ, შედარებით გვიან გადმოიღეს ბერძენთა ახალშენებმა მცირე აზიაში (ვ ი ლ კ ე ნ ი, 17). ბერძნებს ახალ სამშობლოში ერთი და იმავე ღირსებისა და სახის კულტურა არ დახვედრიათ; კულტურული ნიადაგი სხვაგვარი იყო ჩრდილოეთით, ვიდრე სამხრეთით. გათხრებმა თესალიასა და ბეოტიაში (ორქომენი) დაადასტურა, რომ ამ დროს ჩრდილოეთ და შუა-საბერძნეთში ჯერ კიდევ ქვის ეპოქის კულტურა იყო გამეფებული, სამხრეთით კი, მიუხედავად იმისა რომ ზოგიერთ პუნქტში აქაც იქნა აღმოჩენილი ქვის ეპოქის ნაშთები, სპილენძისა თუ ბრინჯაოს პერიოდი, კუნძულებთან ურთიერთობის გამო, გაცილებით უფრო ადრე უნდა დამყარებულიყო. არქეოლოგიურმა გათხრებმა თვისი შედეგებით ბევრი რამ დაგვანახა და ცხადჰყო. სხვათაშორის მათ გამოაშკარავეს უძველესი ფორმა სახლებისა, მრგვალი თუ ოვალური ქოხები შუაში კერათი, რომელიც ჩვეულებრივ თიხის თაღით იყო დახურული, ხოლო მათ გვერდით კი — სწორკუთხოვანი ქოხები. ჩანს, ბერძნებმა თავის ჩრდილოეთ პრესამშობლოდან თანმოიტანეს ტიპი კერიანი სწორკუთხოვანი სახლებისა ვიწრო ფასადით. სპეციალისტების აზრით ამ სახის სადგომები ჩრდილოეთ ევროპაში ყოფილა გავრცელებული. ეს ტიპი ბერძნებმა შემდეგში მოხერხებულად გარდაქმნეს მეგარონათ. მართალია, მეორე ათასეულ წლებში ბერძნებმა კრეტას დიდი კულტურული გავლენა განიცადეს, მაგრამ მათ

შორისაც. ამ მოვლენის ერთ-ერთი ხელის შემწყობი პირობა ის იყო, რომ აღმოსავლეთი ნაწილის ნაპირები ღრმადაა დასერილი, რაც ნავოსნობის განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობებს წარმოადგენდა; ეს გარემოება მიუთითებდა ადგილობრივ მცხოვრებლებს — მიწის მუშებსა და მწყემსებს — მეზღვაურობის განვითარებასა და ეგეოსის ზღვის კუნძულებთან ურთიერთობაზე. ასეთი რამ აკლდა დასავლეთ ნაწილს, გარდა ამისა იგი საკმაოდ დაშორებული იყო გეოგრაფიულად კულტურული მხარეებისაგან. ყოველივე ამის შედეგი კი ის იყო, რომ ადგილობრივი მცხოვრებლები — აკარნანელები და ეტოლელები ისე, როგორც ჩრდილოეთში მობინადრე მაკედონელები, კულტურულ ჩამორჩენილობას ააშკარავებდენ.

ახალ სამშობლოში მიიღეს გადმოსახლებულმა ინდოგერმანელებმა ბერძნების სახელწოდება და ამასთან დაკავშირებით მათ ქვეყანასაც საბერძნეთი უწოდეს; აქვე წარმოიშვა და გაიფურჩქნა ძველთან დაკავშირებით ბერძნების სახელგანთქმული კულტურა.

ბერძენ ტომთა შორის ცნობილი არიან იონელები (Ἴωνες), ეოლელები Αἰολεῖς) და დორიელები (Δωριεῖς). იონელებისა და დორიელების სახელწოდება შედარებით უფრო გვიან წარმოიშვა და ამიტომ უძველეს პერიოდში მხოლოდ მათ წინაპრებზეა ლაპარაკი. დორიელები დიდხანს დარჩენ ჩრდილოეთში და, როგორც ვიცით, მხოლოდ მეორე ათასეული წლების დასასრულში დაიძრენ აქედან. ეოლელების მიმართ უნდა ითქვას, რომ ჰომეროსის მიხედვით, დღეს მათ უმეტეს ნაწილად ეოლელების მაგიერ აქაელების სახელწოდებით იხსენიებენ. მცირე აზიისა და ეგვიპტის ძველი ცნობების მიხედვით აქაელების სახელი ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

ბერძენ ტომთა მოძრაობა ახალ ქვეყანაში ისტორიული ხანის ბერძნული დიალექტების დაყოფის მიხედვით დაახლოვებით. ასე უნდა წარმოვიდგინოთ: პირველად სამხრეთისაკენ მიიწევდენ უმთავრესად იონელთა წინაპრები, ხოლო მათ უკან მოსდევდენ აქაელები, რომელთაც თავის მსვლელობაში არა ერთხელ იძულებულ უყვიათ იონელები, დაეტოვებიათ საცხოვრებელი ადგილები და ახალ პუნქტებზე დამკვიდრებულიყვნენ. ისტორიულ ხანაშიაც კი მთელ ნახევარკუნძულზე მრავლად გეხვდება აქაელების მოსახლეობა, განსაკურებით თესალიასა და პელოპონესში. იონელებმა კი მხოლოდ ატიკასა და ევბეიაში შეინახეს თავის თავი შედარებით უფრო წმინდად. ბერძენ ტომთა ასეთი მოძრაობა და აგრეთვე მათი ბრძოლა პირვანდელ მოსახლეობასთან რამდენიმე საუკუნე უნდა გაგრძელებულიყო.

ბერძენ ტომთა შორეული წარსულის ყოფაცხოვრებაზე ნათელი წარმოდგენის შექმნა ადვილი საქმე არ არის, რადგან სათანადო ცნობები თითქმის სრულებით არ მოგვეპოვება. ამ შემთხვევაში ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ არქეოლოგიური აღმოჩენების, უკუქცევითი დასკვნებისა და ისტორიული პარალელების მიხედვით. აქედან ცხადია, რომ ასეთ პირობებში ჩვენ მსჯელობას უმეტესად ჰიპოთეზური ხასიათი ექნება. შედარებით უფრო მისაწვდომია და გასაგები მათი თავგადასავალი მეორე ათასეული წლების მეორე ნახევარში. მიუხედავად ამისა, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ზოგადად მაინც გავეცნოთ ამ მხრით ე ი ლ კ ე ნ ი ს

მიერ წარმოდგენილ სურათს (გვ. 18-20). გადმოსახლებული ტომები დაყოფილი იყვნენ ფილებად (φυλαί), რომლებიც თავდაპირველად უფრო დიდი ყოფილან, ვიდრე შემდეგში. ცნობილია, რომ საბერძნეთი ღრმად არის დასერილი მთებით, რომლებიც მას ყოველი მიმართულებით სჭრის ერთი მეორისაგან განცალკევებულ ნაწილებად. ამ ნიადაგზე უნდა წარმოშობილიყო საფუძველი იმ პოლიტიკური დაქუცმაცებისა და საერთოდ საბედისწერო პარტიკულარიზმისა, რომელიც თანსდევდა ძველი ბერძნების ისტორიას, როგორც დაუძლეველი სენი მათი ცხოვრების საერთო განვითარებისათვის, მაგრამ მეორის მხრით თვით ამ ფაქტმა დადებითი გაელენა იქონია ბერძნული კულტურის სიმდიდრესა და მრავალფეროვნებაზე. ჰქონდათ თუ არა ბერძენ ტომებს ამ უძველეს პერიოდში სახელმწიფოებრივი წყობილება? უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ხანაში თითოეულ მათგანს აერთებდა მხოლოდ გვართა კავშირის პრიმიტიული ორგანიზაცია, და ამ დროისთვის რაიმე „სახელმწიფოზე" ლაპარაკი შეუძლებელია. გვარი, რომელიც საერთო კულტით იყო შეკავშირებული, შედგებოდა თავისუფალ მამაკაცთაგან რომლებიც იარაღის ტარებისა და მოხმარებისათვის უკვე მომწიფებულად ითვლებოდენ. უფლებრივად ისინი თანასწორი იყვნენ და მონაწილეობას იღებდენ საერთო კრებებზე (ხვადასხვა საკითხების განხილვასა და გადაწყვეტაში. ომის დროს ირჩევდენ მეთაურს - „მეფეს" (βασιλεύς, ἀρχαγέτας), რომელსაც ომის წარმატებით დამთავრების შემდეგ დაპყრობილ მხარეში ეძლეოდა მიწის საპატიო ნაკერი (τέμενος). ხოლო გვარის დანარჩენ წევრებს შორის თანასწორად ნაწილდებოდა სამხედრო ნადავლი; გამონაკლისს შეადგენდა არაჩვეულებრივად მამაცი წევრის განსაკუთრებით დასაჩუქრება. მეფე არსებითად primus inter pares იყო და მშვიდობიანობის დროს გვარის უხუცესებთან ერთად არჩევდა ისეთ საზოგადო საქმეებს, რომელთა განხილვაც საერთო კრებას არ ექვემდებარებოდა. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში იგი, როგორც შუამავალი, აწესრიგებდა გვარის წევრთა შორის წარმოშობილ უთანხმოებასა და დავას, თუ კი ამის შესახებ მას მიმართავდენ. ამ ხანაში დანაშაულობრივი მოქმედებათა მოკვლევა არ სწარმოებდა, და გვარის წევრებს ევალებოდათ საპიროების დროს ურთიერთის დაცვა. ამ მხრით უნდა დავასახელოთ: ფრატრიები (φρατρίαι), რომლებიც უძველეს კავშირს წარმოადგენდენ, და პატრიები (πατρίαι), რომელთაგანაც ცალკეული ფილები წარმოიშვენ; ეს ორი თავისებური გაერთიანება მიზნად ისახავდა თვისი წევრების დაცვას ყოველგვარი ძალადობისაგან. თითოეულ წევრს პირველ რიგში იცავდა მისი უახლოესი ნათესავი სისხლის აღებით. ეს ჩვეულება, რომელიც დღემდეა დაცული ზოგიერთ ჩამორჩენილ ხალხთა ცხოვრებაში, იმ დროს ბაბილონსა და ეგვიპტეში უკვე უკუგდებული იყო, რადგან თვით სახელმწიფო ხელისუფლება ასამართლებდა და სჯიდა დამნაშავეთ. იგი დამყარებული იყო იმ რწმენაზე, რომ მოკლულის სული მოსვენებას ვერ მოიპოვებს, თუ თვით მისი მკვლელიც არ იქნა მოკლული. ხოლო, ვინაიდგან ამ უკანასკნელის მოკვლაც სისხლის აღებას მოითხოვდა, ამიტომ იქმნებოდა მთელი ჯაჭვი მკვლელობათა და მყარდებოდა გვარების დაუსრულებელი მტრობა და შუღლი. ასეთ მოვლენას მხოლოდ მაშინ მოეღო ბოლო, როდესაც სისხლის აღების ადგილი სისხლის საურავმა დაიჭირა.

ამ პეიოიოდში ბერძნების სარწმუნოების შესახებ ჩვენთვის აკრეთვე ძლიერ ცოტა რამ არის ცნობილი და გარკვეული. ყოველ შემთხვევაში ოლიმპის ღმერთები ამ უძველესი დროიდან უნდა იყოს წარმომდგარი. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ბერძნებმა პრეინდოგერმანულ ეპოქიდან შეინარჩუნეს თავისი სარწმუნოების მთავარი საფუძვლები, როგორც, მაგ. ცის ღმერთისა და დედამიწის დიდი დედის თაყვანისცემა, აგრეთვე იმ ღმერთ-ქალის კულტი, რომელიც მათი შეხედულებით კერას იცავდა. მაგრამ ბერძნული სარწმუნოება არსებითად მისაწვდომი გამოკვლევისათვის მხოლოდ საბერძნეთის ნიადაგზე ხდება. რამდენადაც არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დამყარებით შეგვიძლიან ვიმსჯელოთ, ბერძნები ამ ხანად ფეტიშისტები უნდა ყოფილიყვნენ: თაყვანსა სცემდენ ქვებს, ხეებს, და ცხოველებს, როგორც „ფეტიშებს". ამ მოვლენის კვალი შეიძლება ისტორიულ ხანაშიც კი აღმოვაჩინოთ. საფიქრებელია, რომ ამ შორეულ წარსულში ბერძნებს უკვე ჰქონდათ დაწესებული მიცვალებულთა კულტი, რომელიც იმ რწმენით, რომ მიცვალებულთა სული კვლავ განაგრძობდა სიცოცხლეს, უმთავრესად მათ საფლავებზე საკმელ-სასმელისა და სხვადასხვა წესების შესრულებაში გამოიხატებოდა [1].

როგორც ეხედავთ, ჯერჯერობით, სათანადო მასალის არაჩვეულებრივი სიმცირის გამო, ახალ სამშობლოში გადმოსახლებული ბერძნების პირვანდელი სოციალურ-კულტურული მდგომარეობის შესახებ ძლიერ მცირე რამის თქმა შეგვიძლია და მხოლოდ უაღრესად ზოგადი სურათის წარმოდგენით უნდა დავკმაყოფილდეთ.

4. კრეტას ახალი კულტურა (ე. წ. გვიანმინოსური პერიოდი).

უკვე იყო ნათქვამი, რომ კრეტას ძველმა კულტურამ დიდი კატასტროფა განიცადა, რომლის დროსაც განადგურებულ იქნა ძველი სასახლები კნოსში, ფესტში და მალიაში. რა იყო ამ კატასტროფის მიზეზი? წინათ ფიქრობდენ, რომ ამ ხანებში კრეტას პელოპონესიდან შემოესიენ აქაელები, რომლებმაც დაიპყრეს იგი, და, თითქოს, ამ მოვლენის შედეგი იყო სასახლეების განადგურებაც და სტილის შეცვლაც ხელოვნებაში. ეს აზრი დღეს მეცნიერების მიერ უკვე საბოლოოდ უარყოფილია. უკანასკნელ წლებში ამ საკითხის გარშემო გამოთქმულ მოსაზრებათა შორის ჩვენ განსაკუთრებული ყურადღების ღირსად მიგვაჩნია ვილკენისა და ედ. მაიერის შეხედულებანი.

პირველი ფიქრობს, რომ ამ დროს კრეტამ განიცადა არა აქაელების მიერ დაპყრობა და მათი გაბატონება, არამედ ადგილი ჰქონდა მათი მთავრების შემოსევას გაცარცვის მიზნით. ასეთი შემოსევის მეოხებით იქნა განადგურებული ხსენებული სასახლეები და ამავე მოსაზრებით სურს ვილკენს განმარტოს ის ფაქტი, რომ მიკენის 16 საუკუნის მაღაროვან სამარხებში მრავლად აღმოჩნდა კრეტის ოქროს ნივთები, ე. ი. ეს ნივთები გაცარცვის შემდეგ იქნა მიკენში გატაცებული. ვილკენს შესაძლებლად მიაჩნია აგრეთვე იფიქროს, რომ ახალი

---

[1]) ბერძნების უძველესი დროის სარწმუნოების შესახებ კარგ ცნობებს გვაწვლის Otto Kern-ი თავის ნაშრომში—Über die Anfänge der hellenischen Religion, Berlin 1902.

ადგილობრივი დინასტია წარმატებითი ბრძოლას აწარმოებდა შემოსეულთა წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში ამ კატასტროფას კრეტელებში ახალი ენერგიული აღორძინება გამოუწვევია: კნოსში და ფესტში ძველი სასახლეების ნანგრევებზე მათ ახალი და უფრო ბრწყინვალე სასახლეები აუგიათ (Griech. Gesch. გვ. 27). ვილკენის მოსაზრებას მაინც და მაინც დიდი საფუძვლიანობა არ ემჩნევა და მისი გაზიარება ჩვენ არ შეგვიძლია.

საწინააღმდეგო პოზიციაზე დგას ედ. მაჯერი (G. d. A. II 1, გვ. 165). იგი ამ კატასტროფას ეგვიპტეზე ჰიკსოსების შემოსევას უკავშირებს. ამაზე მიგვითითებს ერთი ალაბასტრის სარქველი ჰიკსოსების ძლიერი მეფის ხიანის სახელით,[1] რომელიც აღმოჩენილ იქნა კნოსში ახალი სასახლის უძველეს ფენში. ამას გარდა ეგვიპტური ცნობებიდან ჩანს, რომ კრეტა ჰიკსოსების წინააღმდეგ ბრძოლაში თებას მეფეებთან მჭიდრო კავშირში იყო. ეგვიპტის მეფის იახმოსის ერთ ჰიმნში ეგვიპტის მოსახლეობის სამი კლასი ამბობს: „ჩვენი ბატონია ის: ხაუნებტი: ჩვენ მის მხლებლებში ვართ; ქვეყნები: ჩვენ მას ვეკუთვნით". ამ ძეგლში, მაშასადამე, ცხადად არის განსხვავებული სამი ჯგუფი: ძირითადი ქვეშევრდომები ეგვიპტეში, მოკავშირე კრეტელები, რომლებიც მას სამხედრო დახმარებას უწევენ, და დანარჩენი ქვეყნები, ე. ი. სირია და ნეგრების მხარე, რომლებზედაც ერცელდებოდა ეგვიპტის ფარაონის ძალაუფლება (G. d. A. II 1, გვ. 55), ერთი სიტყვით, ედ. მაჯერს მისაღებად მიაჩნია ის აზრი, რომ ეგვიპტელებმა და კრეტელებმა შეთანხმებულად შესძლეს ჰიკსოსების ბატონობის მოსპობა, და გათავისუფლებულმა კრეტამ იწყო კულტურული აღორძინება.

როგორც ვხედავთ, ედ. მაჯერის მსჯელობას ერთგვარად დამარწმუნებელი ხასიათი აქვს, მით უმეტეს რომ კრეტამ ამ ხანებში მეტად ღრმა და ძლიერი კატასტროფა განიცადა, რაც თავისთავად მიგვითითებს უცხოელების შემოსევაზე. ამიტომ ჩვენ მიუღებლად მიგვაჩნია ედ. მაჯერის მოსაზრებათა ისე გაკვრით უყურადება, როგორც ამას სჩადის პროფ. ზახაროვი[2]. მაგრამ ის ძირითადი გადატრიალება, რომელიც ამ დროიდან კრეტას კულტურასა და ხელოვნებას დაეტყო, გვაიძულებს ვიფიქროთ, რომ თვით მოსახლეობაში მოხდა ღრმა სოციალური და სამეურნეო ცვლილებები. ხოლო რა ხასიათისა და შინაარსის იყო ყოველივე ეს, ამის შესახებ ქვემოდ გვექნება მოკლედ ლაპარაკი. ახალი მიმდინარეობა კრეტის კულტურაში განსაკუთრებული სიძლიერით ხელოვნებაში გვეცხადება. კამარესის სტილის დეკორაციული ორნამენტიკის ადგილას, რომელიც ბუნების ნიმუშებში ეძებდა თავისთვის საჭირო მასალას და მისი ასახვის სიმშვენიერეს ფერების ჰარმონიულ შეზავებაზე ამყარებდა, იწყება სრულებით ახალი მიმართულება. მისი მთავარი ამოცანაა ბუნების სიცოცხლის დაუშრეტელი სიმდიდრისა და მის მოვლენათა დაუსრულებელი ცვალებადობის გადმოცემა, მაგრამ არა მათ სტატიკაში, არამედ დინამიკაში, ცოცხალ მოძრაობაში; ერთი სიტყვით, თითოეული მომენტის გრძნობებზე გავლენის დაჭერა

[1]) R. Hennig'საც შესაძლებლად მიაჩნია, რომ კრეტა დაპყრობილ იქნა ხიანის მიერ; იხ. მისი—Die Anfänge des kulturellen und Handelsverkehrs in der Mittelmeerwelt (Historische Zeitschrift 1928 B. 139, H. 1 S. 6.)

[2]) იხ. მისი Эгейский мир в свете новейших исследований стр. 112.

და მისი მხატვრულ ფერადებში გაუკვდავება. ცხადია, ასეთი ცვლილება ხელოვნებაში დაკავშირებული უნდა ყოფილიყო საერთოდ მსოფლმხედველობაში გარდატეხასთან. ხომ არ გულისხმობს ეს ფაქტი იმას, რომ მოხდა ცვლილება თვით კრეტას მოსახლეობაში, რომ ახალი ხალხი დაემკვიდრა კრეტას მიწა-წყალს და თან მოიტანა ახალი კულტურა და ხელოვნება? ასეთი მოსაზრებისათვის საფუძველი არ არსებობს. საგულისხმებელია ის გარემოებაც, რომ ეგეოსის სამყაროში არ შეგვიძლია დავასახელოთ ისეთი მხარე, რომელშიაც აღმოჩენილიყოს დასახელებული კულტურის რაიმე კვალი; აზიის სანაპიროებზე კი სრულებით სხვაგვარი სტილი იყო გავრცელებული. ამას გარდა ახალმა გამოკვლევებმა ცხადჰყო, რომ კრეტას ახალ კულტურაში დაცულია ზოგიერთი ძველი ფორმა სწორედ ისე, როგორც ახალი სასახლეები უშუალოდ ძველი სასახლეების საძირკვლებს ემყარება. ამიტომ უფრო სარწმუნოდ უნდა ჩაითვალოს, რომ კრეტას ახალი კულტურა ადგილობრივი წარმოშობისაა, რომ იგი ანარეკლია. იმ პროცესისა, რომელიც ორგანიული შედეგი იყო თვით კრეტას მოსახლეობის სოციალურ-სამეურნეო განვითარებისა. კრეტას კულტურა მესამე ათასეული წლების დასასრულიდან სწრაფად მიიწევდა წინ, ცხოვრება უფრო მდიდარი გახდა, ნივთიერი საშუალებანი უფრო დიდი, ძველი ფორმები კი აღარ შეესაბამებოდა მათ და ერთგვარ დაბრკოლებათაც კი წარმოადგენდა შემდეგი განვითარებისათვის. უცხოელების ბატონობას შეეძლო ეს პროცესი შეეჩერებია, მაგრამ მისი მოსპობა კი მან ვერ მოახერხა. გათავისუფლების შემდეგ დამყარებული ახალი პირობები თვით ჰქმნის ახალ სტილს და ახალ მიმართულებას, როგორც კერძოდ ხელოვნებაში, ისე საერთოდ კულტურაში.

ახალი მიმართულების მხატვარი სინამდვილის წუთიერი ასახვით კი არ კმაყოფილდება, არამედ მთავარ გულისყურს საგნებისა და მოვლენათაგან მიღებულ შთაბეჭდილებათ და მათ იმპრესიონისტულად გადმოცემას აპყრობს. ამ მხრით კრეტას წარმტაცი გაზაფხულის ყვავილები და აგრეთვე ზღვის მცენარეები და ცხოველები ძვირფას მასალას იძლეოდა შემოქმედებისათვის. ახალმა მხატვრებმა დიდი გულმოდგინეობით იწყეს ამ ცხოველების ასახვა მოძრაობის მომენტში. მათ მომხიბვლელ ფერადებში გადაგვიშალეს ველი და ბაღი დამატყვევებელი ყვავილებით, ზღვა და მის მცენარეთა შორის მცურავი თევზები და პოლიპები, ნელი ქარისაგან შერხეული ფოთლები და ბუჩქები, ზეთის ხილის ხე კორძიანი ტანით და სხვ. ამ ლანდშაფტებს შორის გამოსახული ადამიანი და ცხოველი ისე, როგორც ეგვიპტეში, აქაც ყველგან პროფილით არიან წარმოდგენილი და ამასთან ენერგიულ მოძრაობაში: ლომი, ხარი, ირემი, და გარეული კატა ჩვეულებრივ გარბიან, ოთხივე ფეხი დედამიწიდან მოსხლეტილი აქვსთ და გრძლად გაჭიმული. ასეთი ხერხით ცდილობდენ სივრცეში გადატყორცნილი სხეულის შთაბეჭდილება სურათში გადმოეცათ.

კნოსის სასახლეში დაცულია ერთი მშვენიერი სურათი: მუქ-ლურჯ საღებავით გამოსახული ყმაწვილი ჰკრეფს ბაღის კლდოვან ნიადაგზე გაფურჩქნულ ყვავილებს და აგროვებს კალათაში. ჰაგია ტრიადას სასახლის ერთი სურათი ცოცხლად ჭვისურათებს გარეულ კატას, რომელიც მრავალფეროვან ყვავილთა შორის მიმალულ ხოხობს ეპარება, აქვე მეორე სურათი გვისახიერებს ბაღში

მოსეირნე ჭრელკაბიან მანდილოსანს. გვხვდება კრეტას სურათებში აგრეთვე უცხო და ფანტასტიური ცხოველები, მაგ. კნოსის სასახლის სატახტო დარბაზის კედლის მხატვრობაში ბუჩქებს შორის ეხედავთ საოცარ ცხოველს, მეორე ადგილას კი ბუჩქნარებში განაბულა პავიანი, და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ის სურათები, რომლებშიაც გადმოცემულია ამ ბრწყინვალე სასახლეებში მობინადრე მთავრების ყოფა-ცხოვრება: მამაკაცები ხარკის სახით მოეზიდებიან მათ წინაშე ჭურჭლეულობას, სრულდება კულტის სცენები, სწარმოებს ხარების ბრძოლა, რომელიც კრეტაში უძველეს დროს უნდა ყოფილიყო შემოღებული; ბრძოლას თვალყურს ადევნებს აივნიდან და ეზოდან მრავალი ქალი და კაცი, და სხვ.

აქვე აღსანიშნავია ფერადი რელიეფები. მათ შორის განსაკუთრებით ძვირფასია გარეული თხის ფაიფურის რელიეფი; არაჩვეულებრივი ხელოვნებითა და სინამდვილით არის გადმოცემული ეს თხა თეისი თიკნებით[1]. საყურადღე-



სურათი № 3. გარეული თხა თიკნებით.

ბოა აგრეთვე ახალგაზრდა მთავრის დიდი ფიგურა (ეგრეთწოდებული „პრინცი ფრთებიანი გვირგვინით"). ამზადებდენ ამ დროს კრეტელები ძვირფას ჭურჭლეულობას სტეატიტისა და კეთილშობილი ლითონისაგან. მაგრამ კრეტას ხელოვნების განვითარებაში დაახ. 15 საუკუნიდან დაწყებული თანდათან ძლიერდება და მტკიცდება სტილიზაცია და სქემატიზაცია. საერთოდ ამ დროს ეგრეთწოდებული „სასახლის სტილის" დამახასიათებელია პირობითი სურათი ნათელ ფონზე; ბუნებრივი სურათები ხაზოვანი ნახატებით იცვლება; ჩნდება ახალი დეკორაციული ელემენტი — არქიტექტონური მოტივები. ეს მოვლენა უფრო მკაფიოდ და ძლიერად 14 საუკუნეში გვეცხადება.

---

[1]) ია. ნ ე მ ი, ევროპ. პირ. ცივ. გვ. 30

კრეტას ხელოვნებაში დიდი სტილის ქანდაკება არ განვითარებულა და არც საამისო ცდების კვალი ჩანს; პატარა ქანდაკები კი მხატვრობისა და რელიეფების ნიმუშებს ემყარებოდა და ამიტომაც დამოუკიდებელ დარგს არ წარმოადგენდა. სამაგიეროდ კრეტამ გლიპტიკის დიდძალი საყურადღებო ძეგლები დაგვიტოვა. როგორც წინა აზიის მხარეებში და ეგვიპტეში, ისე კრეტაში თითოეულ შეძლებულ მოქალაქეს ჰქონდა სპილოს ძვლის ან ქვის, ღარიბებს კი — თიხის ბეჭდები; ამ ბეჭდებით ისინი თვის საკუთრებას ნიშანს უსვამდენ და სხვადასხვა საბუთებს ამოწმებდენ. პირველად ეს ბეჭდები ცილინდრებისა და პრიზმების ფორმისა იყო, შემდეგში მათ რგოლებში ათავსებდენ. ბეჭდების დასურათებაში მოჩანს იგივე მიმართულება—მომენტის ცოცხალ მოძრაობაში გადმოცემისა; მაგრამ ის, რაც კედლის მხატვრობაში შედარებით ადვილი შესასრულებელი იყო, ამ დარგში გაცილებით მეტ დაკვირვებასა და გულმოდგინეობას მოითხოვდა. ზოგიერთ შემთხვევაში ამ ბეჭდებს ოქროსაგან აკეთებდენ და ატარებდენ, როგორც სამკაულს. ბეჭდების დასურათებაში ვხედავთ: ფოთლებს, ტოტებს, ცხოველებს, ჭურჭლეულობას, ხაზების მრავალფეროვან კომბინაციებს, ხოლო უფრო ხშირათ—საზღაპრო არსებათ და მათ გვერდით ადამიანისა და ცხოველების სხეულების ფანტასტიურ შეერთებათ (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, ibid. გვ. 169—172). კრეტელების კულტურული სიმაღლის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მათ მეორე ათასეული წლების დასაწყისში შემოიღეს საკუთარი ხატოვანი დამწერლობა. ამ უკანასკნელის ნიშნების საკმაოდ თვალსაჩინო რიცხვი უახლოვდება ეგვიპტის ჰიეროგლიფებს, ხოლო აქედან განსაზღვრული დასკვნის გამოტანა და ამ ორი სისტემის ერთი მეორესთან გადაკრით დაკავშირება ჯერჯერობით შეუძლებელია. იმის აღნიშვნა კი ამთავითვე თამამად შეიძლება, რომ ეგვიპტისა და წინა აზიის დამწერლობათ მის წარმოშობაზე ერთგვარი გავლენა უნდა მოეხდინა. ამ უძველესი დამწერლობიდან შემდეგში ხაზოვანი კურსიული შრიტფი განვითარდა და მთელ კუნძულზე გავრცელდა. კნოსში მას კალიგრაფიულად გაუმჯობესება განუცდია და, დასაშვებია, რომ კნოსს საკუთარი კალიგრაფიაც კი ჰქონდა. კნოსის სასახლეში აღმოჩნდა მთელი არქივი, რომელშიაც თიხის ფირფიტებზე დაწერილი 1500 საყურადღებო საბუთი იპოვეს. ძირითადი ნიშნების რიცხვის მიხედვით (დაახ. 80-დე) ეს დამწერლობა უბრალო სახის სილაბურ შრიფტად უნდა მივიჩნიოთ; მის მსგავსებას წარმოადგენს კუნძული კიპრის ძველი დამწერლობა. ეს კიპრული დამწერლობა კრეტას შრიფტიდან უნდა იყოს წარმომდგარი, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ორივე სისტემის ნიშნების სრულ მსგავსებას. მარცვლოვან დამწერლობასთან ერთად გვხვდება საკმაოდ მრავალრიცხოვანი იდეოგრამა. კნოსის სასახლეში აღმოჩენილ საბუთებზე ბგერითი შრიფტით გადმოცემული სიგნები—ჟურჭლები, სამფეხები, იარაღი, ეტლები და სხვ., უფრო იშვიათად ცხენისა და ხარის თავის ფორმის სასწორები—სასახლის ინვენტარის აღრიცხვას უნდა შეიცავდეს. სამწუხაროდ კრეტას დამწერლობას დღემდე არ გამოჩენია თავისი შამპოლიონი და იგი ამოკითხული არ არის. ამიტომ არა ვიცით რა თვით იმ ენაზე, რომელზედაც იგი დაწერილია, ეტეოკრეტული ენის მცირე ნაშთების გამოკლებით, რომლებიც ბერძნულ ასოებით დაწერილ წარწერებში გვხვდება.

ამ დამწერლობის ამოკითხვა (ამოშიფვრა) რომ მოხერხდებოდეს რაიმე ბედნიერი კომბინაციის წყალობით, ეს იქნებოდა უდიდესი ღირებულების ფაქტი, რომელიც ამ შორეული ეპოქის მრავალ ბნელ საკითხს მოჰფენდა მეცნიერულ ნათელს

გადავიდეთ კრეტას სასახლეებზე. მათი ნაგებობა სხვაგვარია, ვიდრე საბერძნეთის სასახლეებისა. სასახლის შუაში დატოვებული იყო დიდი მოკირწყლული ეზო, რომლის გარშემო მოთავსებული ყოფილა რამდენიმე სართულად სხვადასხვა შენობები. სასახლის განსაკუთრებულ ნაწილს წარმოადგენდა სატახტო დარბაზი, სადაც ტახტი დღესაც კი აღმართული მოჩანს; აქვეა საცხოვრებელი ოთახები, ვანის ოთახი, საპირფარეშო კანალიზაციით და სხვ. სასახლეს დასავლეთით ეკვროდა მოკირწყლული ეზო, რომლის ჩრდილოეთ ნაწილში ვანსმა გაარჩია ორი წყება ფრიად ფართო საფეხურებისა, რომლებიც ქმნიდა სწორ კუთხეს. მისი აზრით ეს საფეხურები მაყურებელთა დასაჯდომი იყო, ხოლო ქვეეით ეზო — სადღესასწაულო წარმოდგენების ადგილი. ამგვარად, შეიძლება დაისვას საკითხი კრეტაში თეატრის წინამორბედი მოვლენის არსებობის შესახებ.

კნოსშივე ეკვეთება: კიბეებიანი სახლები, რომლებსაც ეელისაკენ გადაშლილი ჰქონდა მშვენიერი ვერანდები, მრავალრიცხოვანი წაგრძელებული მაღაზიები, რომლებიც გრძელ ტალანს ეკვროდა და რომელთა უზარმაზარი ჰითოსები ნაწილობრივ დღესაც თავის ადგილას დგას, პროდუქტების საწყობები, ზეთის სახდელი ოთახი, მთავრების ოსტატთა სახელოსნოები და სხვ. კნოსის სასახლის განსაკუთრებულ სამკაულს წარმოადგენს თავისებური სვეტები, რომელთა ნიმუშები კრეტას გარეშე არსად არ მოიპოვება და, საფიქრებელია, რომ ისინი კრეტაში იყენენ მოფიქრებული და შექმნილი. საერთოდ კრეტას სასახლეებს აკლდა ის, რაც ბერძნული სახლებისათვის მთავარი რამ იყო, სახელდობრ სითბოს მომნიჭებელი კერა. ვილკენის მოსწრებული თქმით, ეს მოვლენა დაკავშირებული იყო ჰავის სხვაობასთან: კრეტულ შენობას სიგრილე, ჰაერი და სინათლე უნდა მოეტანა, ბერძნულს კი სითბო (Griech. Gesch. გვ. 29).

კრეტას ხელოვნება, რასაკვირველია, სრულებით კარჩაკეტილი და თვისთავადი არ ყოფილა. ამ მხრით უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ეგვიპტე. ძველი დროიდანვე კრეტასა და ეგვიპტეს პოლიტიკური და სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ; ეგვიპტური საქონელი, ალაბასტრის თუ მაგარი ქვის ჭურჭლეულობა, აგრეთვე მძივი და სხვა მსგავსი სამკაული, თუტმოს III (1504-1450) და მის შოადგილეთა სკარაბეები, სპილოს ძვლის ნიეთები, სირაქლემას კვერცხი — აღმჩოენილ იქნა არა მარტო კრეტაში, არამედ საბერძნეთის სამარხებშიც. შეიძლება ამ დროიდან გავრცელდა კრეტაში პაპირუსი, და აგრეთვე კრეტას ხელოვნებაში ზამბახმა ისეთივე ადგილი დაიკავა, როგორიც მის თანამედროვე ეგვიპტურ მხატვრობაში. ჯერ კიდევ ძველი სამეფოს დროის (დაახ. 2780-2300) ეგვიპტიდან უნდა გადმოელო კრეტას ის ჩვეულება, რომლის მიხედვითაც კრეტელებმა იწყეს ხარიხებისა და სვეტების ფოთლებითა და ყვავილებით შემკობდა რომლისაგანაც წარმოდგა ეგვიპტეში მცენარეებიანი სვეტები პაპირუსისა და პალმის თავებით. როგორც ირკვევა, ასეთი ფორმები წინა აზიაშიც ფართოდ გავრცელდა და შეიძლება ითქვას, რომ ყველგან, სადაც კი მცენარებიანი სვე-

ტები გვხვდება, ისინი თავისი წარმოშობით ეგვიპტურ ნიმუშებთან იყო დაკავშირებული (ედ. მაჯერი, G. d. A. II 1. გვ. 176).

გაცილებით უფრო ძნელია კრეტასა და აზიის ხელოვნებათა ურთიერთობის დადგენა, თუმცა მათ სარწმუნოებასა და კულტის ფორმებში შეხვედრის წერტილები უეჭველად მოიპოვება. შეიძლება აქედან—აზიიდან იყვნენ წარმომდგარი ის უცნაური, ფანტასტიური სახის არსებები, რომლებიც ძველ კრეტაში მრავლად გვხვდებიან. მართალია, ფასკუნჯი და ქალურ არსებად გადმოცემული, უმეტეს ნაწილად მფრინავი სფინქსი ეგვიპტესთან უნდა იყვნენ დაკავშირებული, მაგრამ კრეტაში მათ ისეთი სახით ვეცნობით, რომელიც სირიასა და მცირე აზიაზე მიგვითითებს. კრეტაში აღმოჩნდა აგრეთვე ბაბილონური და ხეთური ბეჭდები — ცილინდრები.

ეგვიპტის გავლენა ჩვენთვის განსაკუთრებით თვალცხადია ჰაგია ტრიადას ეგრეთწოდებულ „მომკელთა ვაზა"-ზე: პროცესიის შუაგულში მოდის სამი მგალობელი, რომელთაც, როგორც მობანე, წინმიუძღვის წინსაფრიანი ბელატი ეგვიპტელი, რომელსაც თან მიაქვს მუსიკალური ინსტრუმენტი—ეგვიპტური სისტრუმი. საერთოდ ჩვენ სრული უფლება გვაქვს ვილაპარაკოთ კრეტასა და ეგვიპტის ხელოვნებათა ურთიერთობასა და გავლენაზე, მაგრამ შეუძლებელია დავიგიწყოთ მათ შორის არსებული ღრმა განსხვავებაც. ორსავე ხელოვნებაში სტილი სრულებით სხვადასხვაგვარია და იმას, რასაც ერთი მეორესაგან სესხულობს, თავის სტილს უფარდებს და თავისებურად გარდაქმნის. თუ ეგვიპტის ხელოვნება სასტიკად იყო შებოჭვილი და ფესვები ღრმად ჰქონდა ჩაშვებული ათასწლოვან ტრადიციასა და ტექნიკაში, რომელთა წესები და ფორმები მას ერთგვარად მაინც უნდა დაეცვა, კრეტას ხელოვნება პირიქით ახალგაზდურად გატაცებული და გამბედავი იყო: იგი თამამ ამოცანებს ისახავდა, ცდილობდა შეუძლებელი შესაძლებლად გაეხადა, მდიდარი იყო სტილის შეგრძნობით, მაგრამ არ უყვარდა თვის შემოქმედების მიმართ არტახებისა და საზღვრის დადება. ამიტომ მას ზოგიერთ შემთხვევაში, თითქოს, აკლდა სათანადო დისციპლინა და თავშეკავება. მაგრამ სამაგიეროთ იგი იყო ლაღი, ნათელი და ცხიარული და ისეთი კულტურის პროდუქტი, რომელსაც უყვარს თვალხილული უცქიროს ბუნების მრავალფეროვან საჭაროს და სიამოვნებით განიცადოს ცხოვრების სიმდიდრე (ედ. მაჯერი, ib. გვ. 179). კრეტას ხელოვნების დამახასიათებელ მომენტად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ ხელოვნების ძეგლებზე ქალები მამაკაცებთან თანასწორუფლებიანებად მოჩანან; მათ წრეში თავი თამამად უჭირავთ, მათთან თავისუფლად საუბრობენ, დროს ატარებენ და ხვადასხვა სანახაობათ უცქერიან.

ასეთ ზოგად ხაზებში შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ამ დროის კრეტას კულტურის საერთო სურათი.

5. კრეტას მეუფნეობა ამ პერიოდში. თქმულება მინოსზე და კრეტას სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია.

ნათქვამი იყო, რომ ჰომეროსი კრეტას „ასქალაქოვანს" უწოდებს. და, მართლაც, ეს კუნძული დაქუცმაცებული ყოფილა მრავალ პატარა სამოქალაქო

ოლქად; ეს მოვლენა დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო კრეტისათვის და არსებითად მისი ზედაპირის აგებულებასთან დაკავშირებული: მთელ კუნძულზე მიემართება მაღალი მთების ზურგი, რომელიც ერთი-მეორისაგან ჰყოფს საცხოვრებლად ხელსაყრელ ველებს. მეორის მხრით ის ფაქტი, რომ კრეტას დიდი ქალაქები მუდიროდ ყოფილა დასახლებული, გვაფიქრებიებს, რომ მათი მცხოვრებლების განსაზღრული ნაწილი გარკვეულად მისდევდა ვაჭრობასა და ხელოსნობას, არქეოლოგიური ძეგლები, მართლაც, გვიჩვენებს, რომ ამ დროის კრეტას სხვადასხვა ნაწილებში ნაჯოსნობა და საზღვაო ვაჭრობა განვითარებული უნდა ყოფილიყო. ასეთი ადგილები იყო უმთავრესად კლდოვანი კონცხი მოხლოსი და პსეირა მირაბელოს ყურეში, აგრეთვე გურნია (Fimmen, Kultur, გვ. 17) და სხვ. ეს მოვლენა, რომელიც ნაწილობრივ მეკობრეობას და ნაწილობრივ საეაჭრო ურთიერთობას ემყარებოდა, უძველესი დროიდან აკავშირებდა კრეტას ეგვიპტესთან და კუნძულებთან ჩრდილოეთში. კაფტების ნაეები რომლებიც ეგვიპტის ფარაონმა თუტმოს III (1504-1450) ფინიკიაში ნახა, და თვით ფინიკიაში აღმოჩენილი მრავალი კრეტული ფირფიტა ცხადად ამოწმებს ამ ურთიერთობის ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელების ფაქტს.

საერთოდ დღეს უკვე საეჭვო აღარ არის, რომ ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში კრეტელები, როგორც ვაჭრობის, ისე მეზღვაურობის დარგში სახელგანთქმული წინამორბედნი იყვნენ ფინიკიელებისა. განსაკუთრებით ადრე იწყება მათი საეაჭრო ურთიერთობა ეგვიპტესთან. იმ დროს მეორე ცენტრი ვაჭრობისა და ნავოსნობისა არსებობდა ესპანიის ლითონებით მდიდარ სამხრეთ ნაწილში, სადაც უკვე ქრ. წ. 2500 წლებში, ჩანს, სწარმოებდა ბრინჯაოს დამუშავება (Adolf Schulten, Tartessos, Hamburg, 1922. S. 9). და აღსანიშნავია, რომ ბრინჯაო მხოლოდ კრეტას დახმარებით შეიძლებოდა მოხვედრილიყო ეგვიპტეში, აქ იგი საშუალო პერიოდის დასაწყისიდან ხდება კვლევისათვის ხელშესახები (Weber, Die Staatenwelt des Mittelmeers in der Frühzeit des Griechentums, Stuttgart 1925, S. 12). თვით კრეტა ღარიბი იყო საკუთარი ვერცხლის წარმოებით და, საფიქრებელია, რომ უმეტეს ნაწილად ვერცხლი მას შემოჰქონდა იმავე ესპანიიდან, სახელდობრ დღემდე ვერცხლით მდიდარი სიერა-მორენას მაღაროებიდან.

კუმასის სამარხებში, რომლებიც ადრე-მინოსურ პერიოდს უნდა მიეკუთნოთ, აღმოაჩინეს არა მარტო ქარვის სამკაულები, რაც თავისთავად ჩრდილოეთთან ურთიერთობაზე მიგვითითებს, არამედ იბერული ხანჯალი მოვერცხლილი პირით (Fimmen, Kultur, გვ. 121, K. Schuchhardt, Alt—Europa, 58). კრეტასა და ესპანიის ურთიერთობის გამოსარკვევად უდიდესი მნიშვნელობა ექნება ტარტესის ნაშთებს, თუ ოდესმე შესაძლებელი გახდა მათი აღმოჩენა. ყოველ შემთხვევაში ტარტესის სახელწოდება, რომელსაც დაბოლოება აქვს-ssos, დამახასიათებელია ძველ-კრეტული კულტურული წრისათვის (Knossos, Amnissos, Herbessos, Telmessos და სხვ.) ამას გარდა ა რ ტ ურ ე ვ ა ნ ს ი ს დაკვირვებით, ძველ-იბერულ ანბანში გვხვდება რამდენიმე კრეტული ნიშანი. იბერული ცხოველთა კულტიც, თითქოს, კრეტულ წარმოშობას ააშკარავებს. მაგრამ ყველა ეს მოსაზრება საკმარისი არ არის, რომ მათზე დამყარებით

რაიმე გარკვეული დასკვნა გამოვიტანოთ. ერთი რამ ცხადია: ესპანიასა და კრეტას შორის უკვე ამ უძველეს ხანაში არსებობდა სავაჭრო ურთიერთობა. მეორის მხრით ძველ ესპანიას ასეთივე ურთიერთობა ჰქონდა ბრიტანეთის კუნძულებთან, განსაკუთრებით ირლანდიასთან. და, შესაძლებელია საკითხი იმის შესახებ, თუ საიდან შემოქონდათ კრეტელებს იმ დროს ბრინჯაოსათვის საჭირო კალა, ამ მოვლენასთან დაკავშირებით გადაწყდეს

ცნობილია, თუ რა ადგილი უჭირავს ჰომეროსის ეპოსშიაც კი კალას, რომელიც ოქროს გვერდით არის მოხსენებული, როგორც მისი თანაბარი ღირებულების ლითონი (Ilias XVIII, 475). დასაშვებია, რომ კალა ქრ. წ. მესამე და მეორე ათასეულ წლებში ბრიტანეთის კუნძულებიდან შემოჰქონდათ[1], ალბათ, ხმელთაშუა ზღვის მხარეებში და მაშასადამე კრეტაშიც.

ძველი კრეტელები საერთოდ, იმ დროის მიხედვით, დიდი მოვაჭრე და მეზღვაური ხალხი ყოფილა და ამ ასპარეზზე განვითარების თვალსაჩინო საფეხურისთვის მიუღწევიათ.

ადრე დაუწყიათ მათ უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი მასალისა, ტექნიკისა, ხელოვნებისა და ხელოსნობის გამოყენება; შემოაქვთ დასამუშავებლად სპილოს ძვალი, ალაბასტრი, შუშა, ძვირფასი ცისფერი ქვა, ქარვა, სპილენძი, ვერცხლი და ოქრო. მათგან შემზადებული საგნები კრეტას გაჰქონდა, როგორც ეგვიპტეში, ისე სხვა ქვეყნებში. კრეტა ოქროს იღებდა უმთავრესად ეგვიპტედან, რომელიც იმ დროს „ოქროს ქვეყნად“ იწოდებოდა. დიდძალი სპილენძი შემოჰქონდა კრეტას კიპრიდან, მაგრამ უკანასკნელმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ კრეტაში მოიპოვება ძველი დროის არა მარტო ლითონების ხენჯი და სადნობები, არამედ აგრეთვე რკინისა და სპილენძის ბუდობების გამოკვლევის კვალიც (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, II 1, გვ. 210).

როგორც ეგვიპტეში, ისე კრეტაში სავაჭრო ურთიერთობაში ღირებულების შეფასების როლს სპილენძი და ოქრო ასრულებდა. ამ მიზნით კრეტელებს ჩამოსხმული ჰქონიათ სპილენძისა და ოქროს სწორკუთხოვანი ყურსები მოხრილად გადაწეული გვერდებით. ასეთი ყურსები მრავალად იქნა აღმოჩენილი კნოსის სასახლეში, აგრეთვე ამორგოსში, ევბეაში, სარდინიაში და ეგვიპტეში იმ ძვენთა შორის, რომლებიც კაფტებს მოაქვთ; მათი სურათები გვხვდება აგრეთვე დამწერლობით დაფარულ ფირფიტებზე. სპილენძის ასეთი 19 ყურსი ელაგა ჰაგია ტრიადის ერთ ოთახში. დღეს დამტკიცებულად ითვლება, რომ კრეტელებს ჰქონდათ საკუთარი სისტემა წონისა და ფულის, მაგრამ მისი გარკვევა ჯერ-ჯერობით მაინც შეუძლებელია

ძეგლების წყალობით შეგვიძლია გავითვალისწინოთ აგრეთვე კრეტული გემების სახე და აგებულება; ნიჩბებიანი ნავების გვერდით, რომელთა მოდელები ხშირად არის დაცული თიხაზე, უძველესი ბეჭდების პიქტოგრაფიულ დამწერლობის ნიშნებში გვხვდება იალქნიანი გემებიც მაღალი საპითა და მოკაზმულობით. მათგან ერთგვარად განსხვავებულია კრეტელების სამხედრო გემები.

კრეტას საზღვაო ძლიერების შესახებ გვიამბობს თქმულება კნოსის მეფე

---

[1]) იხ. R. H e n n i g-ის დასახელებული წერილი, გვ. 3—6.

მინოსზე. იგი მოგვითხრობს მინოსის გალაშქრებას საბერძნეთზე, ათენის წინააღმდეგ, რომლისათვისაც გამარჯვების შემდეგ, როგორც იყო ნათქვამი, საშინელი ხარკი დაუდვია. გაულაშქრებია მინოსს მეგარას წინააღმდეგაც, სადაც მისი სახელ-ით წოდებულ გორაკ მინოაზე ნავთსადგურის მახლობლად საფუძველი ჩაუყრია ნისეასთვის. მინოსი, გადმოცემის მიხედვით, მჭიდრო ურთიერთობაში იყო ზევესთან და თითქოს, მისგან მიიღო ის უფლება-წყობილება, რომელიც მის დროს კრეტაში სუფევდა. მისი გვერდით დგას დედალოსი, რომელიც ხელოვანთა წარმომადგენლად და მამამთავრად ითელებოდა. ჰომეროსი იხსენიებს მის ერთ ფერხულს, რომელიც მან, თითქოს, არიადნესთვის მოიგონა. მასვე მიაწერენ ლაბირინთის აგებას. შემდეგში კი სიკანელებთან მიფრინავს სიცილიაში თავის მიერვე გაკეთებული ფრთებით, სადაც მას დიდი პატივისცემით ხვდება მეფე კოკალოსი. მინოსი კი, რომელიც მას თავისი ლაშქრით უკან დაედევნა, მოკლულ იქნა ბრძოლაში. ასეთია ამ თქმულების მთავარი ხაზები.

ვინ არის მინოსი, ისტორიული თუ მითური პიროვნება? ეგებ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ისეთსავე ფაქტთან, როგორიცაა ლიკურგოსის სახელთან, დაკავშირება სპარტას წყობილების წარმოშობისა? ვილკენის აზრით მინოსი მეფე კი არა ღვთაება იყო (Griech. Gesch. გვ. 27). პოელმანის სიტყვითაც, მინოსი არის გმირად დაქვეითებული თავდაპირველი კრეტული ღმერთი ზეცისა, რომელსაც, კნოსის სასახლის მინოტავრისა და ხარების სურათების მიხედვით, თაყვანს, ალბათ, ხარის სახით სცემდენ (R. Pöhlmann, Griechische Geschichte[5], გვ. 28). ამ შემთხვევაში უფრო სამართლიანად უნდა ჩაითვალოს ედ. მაიერის მოსაზრება, რომ ხშირად გამოთქმული მტკიცება, თითქოს მინოსი თავდაპირველად ღმერთი იყო, სრულებით უსაფუძვლოა; გადმოცემა მას იცნობს როგორც კრეტას მეფესა და კუნძულის ძველი ძლიერების წარმომადგენელს და არავითარი საბაბი და უფლება არა გვაქვს მასში სხვა ვინმე ვეძიოთ (II I, გვ. 213, შენ. 1). ხალხური თქმულების მთავარი მიზანი, როგორც ჩანს, იმაში მდგომარეობს, რომ კრეტას ძლიერების წარმომადგენლად ხაზგასმით მინოსი დაგვისურათოს. ეპოსი აქაელთა მთავრებს, რომელთა შესახებაც იგი მოგვითხრობს, მის ჩამომავლობად აცხადებს და თხზავს გენეალოგიას მრავალრიცხოვანი, ნაწილობრივ მითური ნაწილობრივ კი ეთნოგრაფიული სახეების ჩართვით. ეს შემთხვევა კვლავ მოიგონეს, როდესაც დორიელები ამ კუნძულზე დამკვიდრდენ; მათ გადმოიღეს მინოსის სახე და მას თელიდენ თავისი სახელმწიფოებრივი წყობილების დამაარსებლად. უკვე აღვნიშნეთ, რომ ძველი ისტორიკოსები ჰეროდოტე და თუკიდიდე მინოსს თვლიდენ ძლიერ მეფედ, რომელიც ბატონობდა ზღვაზე და კუნძულებზე და იყო კრეტას სახელმწიფოებრივი ცხოვრების მომწესრიგებელი. კერძოდ ჰეროდოტე. მინოს კნოსელს ზღვის უძლიერეს მეუფედ იხსენიებს (III, 122; I, 173). ამასთან ერთად იგი აღნიშნავს, რომ თავდაპირველად კარიელები მინოსის ქვეშევრდომები იყვნენ, ეწოდებოდათ ლელეგები და ეკავათ კუნძულები. როდესაც მინოსმა დაიპყრო მრავალი ქვეყანა და სახელი გაითქვა სამხედრო წარმატებით, კარიელებიც ყველა ხალხთა შორის განთქმული იყვნენო (I, 171). დიოდორე და სტრაბონი კი მინოსს მიაწერენ მრავალი ქა-

ლაქის დაარსებას, მათ შორის ფესტის — სამხრეთით და კიდონიის — კრეტას ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში.

ნათქვამიდან შეგვიძლია დავინახოთ, თუ რა დიდი ადგილი უჭირავს მინოსს ძველ ტრადიციაში; ამიტომ ხელოვნებით მისი მითურ, თუ ნახევრადმითურ პიროვნებად წარმოდგენა არ უნდა იყოს სიმართლესთან დაახლოებული. რასაკვირველია, ამით იმის თქმა არ გვინდა, თითქოს კრეტას ძველი წყობილება და ძლიერება მარტო მინოსის საქმე იყოს.

ამას რომ თავი დავანებოთ, ხალხური თქმულების მიერ შენახული სურათი თავის ძირითად ხაზებში სარწმუნოა; გადმოცემამ იცის მინოსის გალაშქრება საბერძნეთის ხმელეთზე გაცარცვის მიზნით, მაგრამ არა იცის რა მასზე მისი ბატონობის შესახებ, ეს ამაღლებს მის ღირსებასა და ამტკიცებს მის სინამდვილეს. რომ კრეტა შორს იყო გაბატონებული კუნძულებზე, ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ უწინარეს ყოვლისა მელოსი და მისი მთავარი ქალაქი ფილაკოპი, აგრეთვე თერა აღმოჩენების მიხედვით კრეტას სრული გაელენის ქვეშ მდგომად მოჩანს. სრულებით სარწმუნოა ისიც რომ მოსახლეობა აქ ამ დროს „კარიული“ იყო, თუმცა მის შესახებ ჰეროდოტე და თუკიდიდე ერთგვარად განსხვავებულ ცნობებს გვაწვდიან: ჰეროდოტეს გადმოცემით, კუნძულების კარიელები მინოსის ქვეშევრდომები იყვნენ, რომლებიც მას ხარკს კი არ აძლევდენ, არამედ გემებს უმზადებდენ; უფრო გვიან ისინი აქედან გარეკეს დორიელებმა და იონელებმა. თუკიდიდეს მიხედვით კი კარიელები ამ კუნძულებიდან თვით მინოსმა გარეკა, რომ ბოლო მოელო მეკობრეობისათვის და თავისი შემოსავალი გაემრავლებინა, და მმართველობა მათზე თავის შვილებს გადასცა. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში განსხვავება, მხოლოდ კუნძულების მოსახლეობის შემდეგი თავგადასავლის დასურათებაშია.

კრეტას ამ დროის სახელმწიფოებრივი წყობილების შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება არავითარი გარკვეული ცნობა ან საბუთი და ამიტომაც ამ საკითხის ჯეროვანი გაშუქება შეუძლებელია. არ ვიცით ისიც, თუ რა დამოკიდებულებაში იყო კრეტას ორი მთავარი ქალაქი კნოსი და ფესტი და მათგან ცოტა მოშორებით მდებარე ქ. ჰაგია ტრიადა, მით უმეტეს არ არის ნათელი ის საკითხი, ეკუთვნოდა თუ არა კუნძულის დასავლეთი ნაწილი, სადაც კიდონიელებს უნდა ეცხოვრათ, ცენტრში და აღმოსავლეთ ნაწილში მობინადრე ეტეოკრეტელებისა თუ კატფტების სახელმწიფოს, თუ იგი დამოუკიდებელ ერთეულს წარმოადგენდა. ყველა ამ საკითხზე გარკვეული პასუხის გაცემა ამჟამად შესაძლებელი არ არის და მხოლოდ წინასწარი ჰიპოთეზური მოსაზრებების გამოთქმით უნდა დავკმაყოფილდეთ. იმ არქეოლოგიური აღმოჩენების მიხედვით, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მალემესა (კიდონიის დასავლეთით) და ატსიპაში (იდას დასავლეთით, ზღვის ნაპირზე), შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ კუნძულის დასავლეთ ნაწილშიც ისეთივე კულტურა არსებობდა, როგორც მის აღმოსავლეთ ნაწილში.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, კრეტას, თითქმის, ყველა ქალაქი, საბერძნეთის მთავარი ქალაქებისა და მელოსის ფილაკოპისაგან განსხვავებით, გაუმაგრებელი იყო; ამის მიხედვით, თითქოს, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ თვით

კუნძულზე მშვიდობიანი ურთიერთობა სუფევდა და მას, ალბათ, არც შინაური ომი და არც ზღვიდან თავდასხმა არ ემუქრებოდა.

აღმოჩენილი ძეგლების გათვალისწინება ერთგვარ საფუძველს გვანიჭებს, ვიგულისხმოთ რომ კრეტა ამ დროს მჭიდროდ იყო დასახლებული. მეორის მხრით სასახლეების აგებულება, მათი სიდიდე და სიმდიდრე გვარწმუნებს, რომ სამეფოს სათავეში იდგა ძლიერი მეფე თავისი კარისკაცებითა და მოხელეებით. მაგრამ, თუ ეგვიპტის ძეგლებზე ხშირად ეხედავთ ფარაონების გამოსახულებათ, კრეტას კედლის მაატვრობასა და სხვა ძეგლებზე მეფეები სრულებით არ გვხვდება. უკბოა კრეტას ხელოვნებისათვის აგრეთვე ეგვიპტესა და ბაბილონში გავრცელებული ჩვეულება, რომლის მიხედვითაც მეფეებს ჩვეულებრივ მოკვდავთაგან განსხვავებულად განასახიერებდენ. ეგებ ეს იმიტომ ხდებოდა, რომ კრეტაში მეფეებს ღვთაებრივი ღირსება არ ჰქონდათ მინიჭებული. მეფის გვერდით უნდა არსებულიყვნენ გავლენიანი მაგნატები დიდი მამულებით და მრავალრიცხოვანი ამალა; მათ ეკუთვნოდათ, ალბათ, სასახლის მსგავსი დიდი სადგომები, რომლებიც ტილისოსში, გურნიაში, პალეკასტროში და თვით კნოსშიც სამეფო სასახლეების გვერდით აღმოჩნდა. საკმაოდ თვალსაჩინო და მრავალფეროვანი ძეგლების მიხედვით კრეტას საზოგადოებაში დიდი როლი ჰქონდათ მიკუთვნილი აგრეთვე ქურუმებს და ქურუმქალებს. საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრებას ეწეოდენ და რა პირობებში უხდებოდათ არსებობა საზოგადოების დაბალ ფენებს, ჩვენთვის დღემდე არ არის ნათელი და სათანადო ცნობებიც არ მოგვეპოვება. სასახლეების აღნაგობა და მათი არაჩვეულებრივი ბრწყინვალება და სიმდიდრე კი გვაფიქრებიებს, რომ ადგილი ჰქონდა ნივთიერი დოვლათის ერთგვარ დაგროვებას, რომელიც უმთავრესად ყმურ მდგომარეობაში მყოფ მოსახლეობის შრომაზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული. მართალია, ამ დროის კრეტაში ხელოსნობა და ვაჭრობაც განვითარებული მოჩანს და ფულისა და წონის თავისებური სისტემის არსებობაც ხელშესახები, მაგრამ მთავარი ძეგლების მიხედვით კრეტას მეურნეობა ამ ეპოქაში უმთავრესად მაინც სოფლის მეურნეობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. საფიქრებელია ისიც, რომ კრეტას მბრძანებლებს მრავლად მოჰყავდათ დაპყრობილი ქვეყნებიდან მონები, რომელთაც აკისრებდენ სხვადასხვა მძიმე სამუშაოს შესრულებას.

კრეტას საზოგადოებრივი დიფერენციაციის გათვალისწინების თვალსაზრისით საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სანახაობანი, რომელთაც მბრძანებელთა კარზე მართავდენ, არ უნდა ყოფილიყო დაბალი ხალხისათვის მისაწვდომი, რადგანაც მათ ადგილას შესაძლებელი იყო მხოლოდ მცირერიცხოვანი მაყურებლების დატევა, მაღალი წრეების წარმომადგენელთათვის კი იგი სრულიად საკმარისი იქნებოდა.

კრეტას კულტურული აყვავების ეს პერიოდიც დიდი კატასტროფით დამთავრდა დახ. 1400 წელში. ამ შემთხვევაში ეს კატასტროფა უკვე გარკვევით შეიძლება დავუკავშიროთ პელოპონესელი აქაელების კრეტაზე შემოსევას, რომელზედაც საუბარი თავის ადგილას გვექნება.

6. კრეტელების ძველი სარწმუნოება და კულტი.

კრეტაში აღმოჩენილი სხვადასხვა ძეგლი თვისი სურათებით საშუალებას გვაძლევს ნაწილობრივ მაინც შევიგნოთ იმ დროის კრეტელების სარწმუნოება. ამ მხრით დიდ დახმარებას გვიწევს: კრეტის სასახლის ფრესკები, ჰაგია ტრიადის სარკოფაგის მხატვრობა, სხვადასხვა ფიგურები, ქანდაკები და სხვ. მაგრამ ამთავითვე გარკვეულად უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველივე ეს, სანამ კრეტას დამწერლობა არ ამოუშიფრავთ, სისრულით ვერ გაგვირკვევს კრეტას მითოლოგიისა და კულტის მრავალ ბუნდოვან საკითხს.

აღმოჩენილი ძეგლების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ კრეტაში ტაძრები საერთოდ არ არსებობდა. ხოლო კულტისათვის განკუთვნილ პატარა ოთახებს ხშირად ეხვდებით კნოსისა, ჰაგია ტრიადას და ფესტის სამეფო სასახლეებში და ზოგიერთ მაგნატის სადგომებშიც. მაგრამ ეს ოთახები იმდენად ვიწრო და დაბალი არის, რომ მასში ადამიანს მობრუნებაც კი გაუჭირდებოდა, მით უმეტეს კულტის წესების შესრულება. ეს ოთახები ავსილი ყოფილა ყოველგვარი სახის საკრალური ნივთებითა და შესაწირავით. მათში მრავლად აღმოჩნდა: სასმისები, სამსხვერპლო ფიქალები, ხილი, ყვავილები, სპილენძის ორპირიანი ცულები და სხვ. კერძოდ ფესტის სასახლის „სამლოცველოში“ აღმოჩენილი თიხის სამსხვერპლო ფიქალი შუაში ამოღრმავებულია, ალბათ, სურნელებათა მოსათავსებლად; მისი გარეგანი მხარე შემკულია რელიეფებით, რომლებიც ასოების მსგავს ნიშნებს და ხარების ჯგუფებს გამოხატავს. ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს აზრით (ibid. გვ. 185), ოჯახის მამასახლისები, რომლებიც ამავე დროს ქურუმების მოვალეობასაც ასრულებდენ, ამ საგნებს მორწმუნეთა წრეში აგროვებდენ; დროთა მსვლელობაში, ასეთი პატარა ოთახები, ცხადია, შეწირული ნივთებით აივსებოდა და საჭირო გახდებოდა მათი „განტვირთვა“ და შეგროვილი საგნების სარდაფებში გადატანა. ეს მოვლენა გვაგონებს იმ ჩვეულებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ეგვიპტეში, კიპრისა და საბერძნეთის ტაძრებში და მრავალ სხვა კულტში.

ჩვენ ვსთქვით რომ კრეტამ ტაძრები არ იცოდა. ზოგიერთი მკვლევარი კი კნოსის ერთ ფრესკაში, რომელიც სამსხვერპლო რქებით შემკულ შენობას გვისახიერებს, ტაძრის მსგავს ნაშენს ხედავს. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულად ვერ ჩაითვლება, მაგრამ მაინც სარწმუნოდ უნდა მივიჩნიოთ, რომ კრეტაში საერთოდ ცალკეული ტაძრები არ აღმოჩენილა. ამიტომ უფრო საგულისხმებელია, რომ კულტის წესები და საერთოდ ღვთისმსახურება კრეტაში ღია ცის ქვეშ სრულდებოდა. კრეტელები თვის ღმერთებს თაყვანს სცემდენ უმეტესად მთის მწვერვალებზე და გამოქვაბულებში, რომელთაგან განსაკუთრებით ცნობილია პეტსოფის მწვერვალი, იუკტა, ლაზითის მთები და სხვ., კამარესის და არკალოხორის გამოქვაბულები და სხვ. ამას გარდა ბევრგან არსებობდა ეგრეთწოდებული „საღვთო უბნები“. მათ შესახებ ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევს გემმებსა და ქვის ვაზებზე მოთავსებული მათი სურათები. ჩვეულებრივად ასეთ უბნებს გარს ერტყა რიყის ქვის კედელი, მასში იდგა ოთხკუთხოვანი სამსხვერპლო ჩვენთვის გაუგებარი სიმბოლოთი; მის შუაგულში აღმართული იყო სწორკუთხოვანი ნაშენი შესავლით; მის განაპირა ნაწილში მოჩანდა რამდენიმე ხე, უმეტესად ლეღვისა, რომელიც თითქმის ყველა უბანში

გვხვდება; შესავლის შიგნით კი განცალკევებულად იდგა რამდენიმე სვეტი. ამ „საღვთო უბნების“ სახე, თითქოს, იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ კრეტელებს სწამდათ თვისი ღმერთების ხეებსა და მცენარეებში ბინადრობა, და ამიტომაც ამ უკანასკნელთ თაყვანისცემის ობიექტად თელიდენ. ამას გარდა კრეტას კულტის მთავარ სიმბოლოდ ორპირიანი ცული უნდა მივიჩნიოთ. კნოსის სასახლეში მას განსაკუთრებული დარბაზიც კი ჰქონდა მიკუთვნილი („ორპირიანი ცულის დარბაზი“). ჰაგია ტრიადას სარკოფაგის მხატერობაში თვალსაჩინო ადგილი უკავია ორპირიან ცულს. ხშირად იგი ხარის თავთან ერთად გვხვდება. ამიტომ ზოგს შესაძლებლად მიაჩნია იფიქროს, რომ იგი იყო ის იარაღი, რომლითაც ჰკლავდენ სამსხვერპლო ცხოველებს და რომ იგი იმ ღვთაების სიმბოლოდ გახდა, რომლის კულტში მსხვერპლის შეწირვისას მას ხმარობდენ. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად მართალია ეს აზრი, ის კი ცხადია, რომ ორპირიანი ცული კრეტას კულტის თვალსაჩინო ატრიბუტს წარმოადგენდა. ზოგიერთი მეცნიერი ცულის ბერძნულ სახელწოდებას-λάβρυς ლაბირინთს (λαβύρινθος) უკავშირებს და უკანასკნელს, როგორც „ორპირიანი ცულის სადგომს“ განმარტავს, ხოლო ასეთი განმარტება საბოლოდ მიღებულად ვერ ჩაითვლება. მეორის მხრით კრეტას სასახლეებში და კულტის ნაშენებში დიდი ადგილი უკავია ქვის სვეტებს, ამიტომ ა რ ტ ურ ე ვ ა ნ ს ი ს აზრით მათაც საკრალური მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მაგრამ ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს სწორი დაკვირვებით ეს სვეტები არსად არ ჩანს ღმერთებთან უშუალოდ დაკავშირებული და მათი კულტის სიმბოლოდ აღიარება ყოველ შემთხვევაში საეჭვოდ უნდა მივიჩნიოთ. როგორც ჩანს, კრეტელები თაყვანს სცემდენ აგრეთვე ქვებს კონუსისა და ადამიანის სახით.

ღვთაებათა გამოხატულებანი დიდი კერპების სახით კრეტაზე არ არსებობდა. სამაგიეროდ გვხვდება მრავალი პატარა ქანდაკი, უმეტესად შიშველი ღმერთქალისა. ამ კერპების უმრავლესობას უშნო ხელები ან გულზე აქვსთ დაკრეფილი ან მაღლა აწეული და ჩვეულებრივ გველი უჭირავთ; ზოგჯერ თავზე მათ მტრედი უზის. შესაძლებელია, ეს ფიგურები პირველად კუნძულზე შემოჭრილი ბერძნების ზეგავლენით გავრცელდა. მათში უნდა დავინახოთ პირველი ცდა, რომ ის სახეები, რომლებშიაც ფანტაზია ღმერთებს წარმოიდგენდა და მათ ხელოვნურ ქმნილებებში გამოხატავდა, თვით კულტშიაც ყოფილიყო დაწესებული (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, ibid., გვ. 190). ამ კერპების გასაოცარი სიმრავლე და აგრეთვე ისიც, რომ მათზე მუდამ ქალია გამოსახული, გვაფიქრებიებს, რომ საქმე გვაქვს ისეთ ღთვაებასთან, რომლის მიმართ ხაზგასმითაა აღნიშნული დედობის იდეა. პირველ უდიდეს საიდუმლოებად, პირველ რთულ ამოცანად, რომელიც გაუნათლებელი ადამიანის გონებას იტაცებდა, მის ბალღურ აზროვნებას ჰხიბლავდა და ამოძრავებდა, იყო ბუნების მოვლენათა შეუწყვეტელი ცვალებადობა, მათი წარმოშობა და მოსპობა, გაჩენა და გაქრობა. წარმოშობისა და მოსპობის ეს პროცესი ადამიანის თვალწინ შეუზერებლივ მიმდინარეობდა; ამ პროცესს ამჩნევდა იგი თვის მსგავს არსებათა, ცხოველთა და მცენარეთა შორის, ამასვე ხედავდა იგი დღისა, ღამის და წელიწადის დროთა ერთი-მეორის მიერ შეცვლაში და სრულიად ბუნებრივად ებადებოდა კითხვა: ვინ განაგებს ამ პრო-

ცესს, ვინ არის ამ დაუსრულებელი მოძრაობის ხელმძღვანელი. და საკუთმპყრობელი? თავისთავად სწარმოებს ყოველივე ეს, თუ რომელიღაც უმაღლესი არსების ნებისყოფითა და ბრძანებით? და მისმა გონებამ ირწმუნა, რომ ყოველივე ამას ხელმძღვანელობს უხილავი ძალა, რომელიც ჰქმნის და სპობს, წარმოშობს და ჰკლავს; იგი აზიარებს ყოველივეს სიცოცხლეს და იგივე აიძულებს განვიდეს სიცოცხლისაგან, მიიცვალოს. ამ ძალას იმ დროის მარტივი ახროვნება ყველაზე უკეთესად ღმერთქალის სახით წარმოიდგენდა. კრეტას ერთი პატარა ქანდაკი, რომელსაც არც თავი და არც ხელები არ აქვს, გამოხატავს არა თვით ღმერთქალს, არამედ მისდამი შეწირულ ტანსაცმელს. მასზე აღნიშნულია ღმერთქალის სიცოცხლის მომნიჭებელი თვისება. ტანსაცმელი შედგება მოკლე სახელოებიანი კოფტისაგან; მის ქვეშ მოთავსებულია ორგრეხილად შემოვლებული ქამარი; ხოლო ქვედატანს გავლებული აქვს მარაოს მსგავსად დაწყობილი ჰორიზონტული ზოლები; ქვედა ტანის ნაოჭები ბოლომდე არ აღწევს და წინა პირის უმეტესი ნაწილი თავისუფლად არის დატოვებული; მასზე კი ორფად გატარებულია ტალღის მსგავსი ხაზი; ქვედატანის თავისუფალ ნაწილში დასურათებულია ვაზა, რომლისაგანაც ამოსულა დიდღეროიანი ყვავილები. ეს სურათი ღმერთქალის ნაყოფიერებისა და წარმოშობის თვისებას უნდა გვისახიერებდეს. ვილკენის დაკვირვებით ეს ტანსაცმელი მოგვაგონებს ილიადამი ხსენებულსა და პანათენეთა დღესასწაულების peplos-ს. მეორის მხრით გვხვდება ღმერთქალის ისეთი ქანდაკი, რომელსაც მარჯვენა ხელში უკავია გველის თავი, ხოლო მისი კუდი მარცხენაში. ვინაიდ ნ გველი ძველად ქვესკნელის სიმბოლოდ ითვლებოდა, შეგვიძლია ვიგულისხმოთ, რომ ამ ღმერთქალის სახით საქმე გვაქვს ქვესკნელის რომელიღაც ღვთაებასთან, თუმცა შეიძლება იგი უფრო გველების შემლოცავს გამოხატავს, რომელსაც კულტში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მიკუთვნილი. სხვა ძველ ხალხებსაც ახასიათებდა მარადიული ცვალებადობის ღმერთქალის მსგავსი იდეა. მცირე აზიაში ასეთი „დიდი დედა“ იყო კიბელა, სემიტებს ჰყავდათ იშტარი, ეგვიპტელებს ხატორი და სხვ.

სურათი № 4—კნოსის ფიგურა

იმ ძალის ფრიად გავრცელებულ სიმბოლოდ, რომელიც დაბ დებას განასახიერებდა, ძეგლების მიხედვით ხე უნდა ვიგულისხმოთ. კრეტაში აღმოჩენილ ბეჭდებსა და გემმებზე ხშირად გვხვდება ხის კულტის სცენები (დენდროლატრია). იმ ხის მთავარ ღეროს, რომელიც თაყვანისცემის საგნად ხდებოდა, ხშირად ჰქონდა შემოვლებული საკურთხევლის მსგავსი შენობა. კრეტელების ქალები, რომელთა ხელშიაც იყო უმთავრესად კულტის შესრულება, ხშირად ამკობდენ სამსხვერპლოებს ხის ტოტებით; ხოლო საუწმუნოებრივი პროცესიების დროს ზოგჯერ მათ თვით ეკავათ ხელში ისინი. როგორც ვთქვით, კულტის მსახურებაში უახლოეს მონაწილეობას იღებდენ ქალები. ეგებ ამ მოვლენასთან კავშირი ჰქონდეს იმას, რომ კრეტას სარწმუნოებაში საერთოდ ქალური ღვთაებები სჭარბობდა. ის მედიდური გარეგნობა, რომელშიაც ვეცნობით ძეგლებზე გამოსახულ კრეტელებს,

დაცული აქვსთ. მათ თავისი ღმერთების წინაშეც. თვის ღვთაებათ კრეტელი ან მაღლა აწეული მარჯვენა ხელით ესალმება, ან, როგორც მსახურს შეშვენის, ხელები გულზე აქვს დაკრეფილი; სამაგიეროდ ძლიერ იშვიათად გვხვდება ივი მათ წინ მუხლმოყრილი. კრეტის სარწმუნოებაში მსხვერპლის შეწირვას უეჭველად უნდა ჰქონოდა ადგილი, მაგრამ მხოლოდ მიცვალებულთა კულტში. სადღესასწაულო ღთვისმსახურება უმეტეს ნაწილად პროცესიებსა, ფერხულსა და კულტის ცეკვაში გამოიხატებოდა. ჰაგია ტრიადას ერთი სტეატიტის ვაზა („მომკელთა ვაზა") ბლეხების სადღესასწაულო პროცესიას უნდა წარმოადგენდეს. პროცესიას წინ მიუძღვის გრძელთმიანი დედაკაცი, შეიძლება ქურუმი ქალი; ბეჭებზე მას გადადებული აქვს წინამძღოლის ღირსების ნიშანი—მწყემსის ჯოხი—თავისებური კვერთხი; მის უკან წყვილ-წყვილად მოდიან პროცესიაში მონაწილე თავმოპარსული მამაკაცები წინსაფრებით და ფალოსის პარკებით; თაეზე მათ ქუდები ახურავთ, მარცხენა ხელში ცული და ნამგლის სახის მახვილი უპირავთ. პროცესიის შუაგულში მოდის სამი მგალობელი; მათ თმა მოკლედ აქვსთ შეპრილი და უქუდონი არიან; მათ წინ მოემართება გალობის დამწყები მამაკაცი ეგვიპტური მუსიკალური ინსტრუმენტით—სისტრუმით. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მკვლევარი დღესაც ფიქრობს, თითქოს ეს სურათი სამხედრო პროცესიას უნდა გადმოგვცემდეს, ჩვენ უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია ივი მიწის დამუშავებასთან დაკავშირებულ სადღესასწაულო მსვლელობად ჩავთვალოთ.

სურათი № 5 — მომკელთა ვაზა.

დიდი ადგილი ეპირა კრეტას კულტში მაგიურ ცეკვას, რომლის მეოხებით ცდილობდენ ღვთაების გამოცხადებას, ბის ეპიფანიას. ამ ცეკვის გამომსახველ სურათების საშუალებით ჩვენ ესპვრეტთ იმ სულიერ სამყაროს, რომელშიაც ცხოვრობდა კრეტა და მიმდინარეობდა მისი კულტურა. ამ სახის ძეგლებზე

ჩვენ ეხედავთ ქალს, რომელიც დგას მარჯვენა ხელაპყრობილი ბუჩქებით გარშემორტყმული „საღვთო უბნის“ შუაგულში. კულტის ნაშენის წინ და გაშტერებით უმზერს მის თავზე ჰაერში მონავარდე ღვთაებას; მეორე ადგილას იგი იმყოფება საკურთხეველის წინ და მას ევლინება ღმერთქალი, რომელსაც ორიეე

სურათი № 6—კნოსის ბეჭედი ღმერთქალით.

გვერდით ლომები უდგანან, და სხვ. ამ მხრით ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ისოპატის ბეჭდის სურათი: საუცხოო ბუჩქებით და ყვავილებით დაფარულ მინდორზე გრძნეული თვალის მფარველობის ქვეშ ექსტატიურ ცეკვას ასრულებს ოთხი ქალი, რომელთაც ოქროს სამკაულებიანი ფართო ქვედატანი აცვიათ. ქალები თავდავიწყებით იწვევენ ღვთაებას; სხეულის ზედა ნაწილი მათ შიშველი აქვსთ და მკერდი განსაკუთრებული სიცხადით გადმოცემული. მათ შორის განსხვავებულია ერთი: იგი იწყებს ცეკვას, დანარჩენები მას მისდევენ და ასრულებენ ცეკვის სხვადასხვა მოქმედებას, რომელთაც მიზნად ღვთაების ეპიფანია აქვს. ამ ქალების გულმკერდი ისევე ივსება, თითქოს, გარემოცული მცენარეთა ნაყოფიერი ძალით, როგორც ჯეჯილი იღებს და ივსება დედამიწის



სურათი № 7—ისოპატის ბეჭდის სურათი.

მაცოცხლებელი წვენით. (იხ. ჩემი ევროპ. პირ. ცივ. გე. 48-54.) მრავალ შემთხვევაში კრეტას ღვთაებები განსახიერებულია ცხოველებთან დაკავშირებით; უკანასკნელთ ისინი იმსახურებენ და მათშივე ააშკარავებენ თავის მრავალსახეობას.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ კრეტელების „რეა", რომელიც მთებზე ბინადრობს და რომელსაც ტყის ცხოველები და უწინარეს ყოვლისა ლომები ემსახურებიან (ედ. მაჯერი, G. d. A. I[4], S. 485), ემსგავსება მცირე აზიის „დიდ დედას" — ღმერთქალს კიბელას. მეორის მხრით როგორც საბერძნეთში, ისე კრეტაში გვხვდება გემმები, რომლებზედაც ვხედავთ, რომ ღმერთქალს ხელი წაუვლია ვერძისათვის, ან კიდეე ზღვის ტალღებზე მდგომ ღმერთქალს ორივე ხელით დაუჭერია გედი. ღმერთქალის ასეთ



სურათი № 8 - ღვთაების გამოცხადება.

განსახიერებაში უნდა გამოვიცნოთ ნადირობის ღვთაება - არტემიდა, რომელსაც ძველი ბერძნული კულტი და მითი ენერგიულ და უძლიერეს ღმერთქალად წარმოგვიდგენს. ფრიად საყურადღებოა, რომ მის გვერდით ვამჩნევთ ღმერთკაცს, რომელსაც ხელი ორი ლომისათვის წაუვლია. კნოსის ერთ ბეჭედზე იგი წარმოდგენილია მოსიარულედ, ცილინდრული ფარით, შუბითა და საომარი ქუდით. ერთი სიტყვით, ჩვენ თვალწინაა ნამდვილი ომის ღმერთი. ფარის მსგავსი კერპები ღმერთქალისა (სიმბოლიურად, როგორც ფარი ქალური თავით, ხელებითა და ფეხებით), რომლებიც კრეტაში იქნა აღმოჩენილი, ბერძნული ათინას წინამორბედ სახედ უნდა მივიჩნიოთ. ვილამოვიცმა დამარწმუნებლად დაგვიმტკიცა, რომ თვით ათინას სახელი არაბერძნულია (Wilamowitz. Athena, Sitzungsber. d. Preuss. Akad. d. Wissen. 1921, LIV).

აგრეთვე კრეტას ძეგლი, რამდენადაც ბერძნული გადმოცემით შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, პირველ რიგში დიდი ღმერთქალის ვაჟია, რომელიც მუდამ კი არ მოქმედობს, არამედ ყოველწლიურად გაზაფხულზე იბადება და ზამთარში კვდება, როგორც მცირე აზიის შესატყვისი ღმერთები.

კრეტას ძეგლებზე ღმერთების გვერდით ხშირად გვეელინებიან დემონები. ამ დარგში ნათლად ჩანს მცირე აზიისა და მისი შუამავლობით თვით ბაბილონის გავლენა. დემონები დიდ როლს თამაშობენ თქმულებებსა და მითებში. ისინი უმეტეს ნაწილად ადამიანთა და ცხოველების ფიგურების უცნაურ შერთებას წარმოადგენენ.

დასასრულ, გაკვრით მაინც უნდა შევჩერდეთ მიცვალებულთა კულტზე. მიცვალებულებს ამ დროს მიწაში მარხავდენ მოხრილ მდგომარეობაში და ზევიდან ზოგჯერ თიხის თაღოვან სახურავს აფარებდენ. ხშირი იყო თიხის ვანები და სწორკუთხოვანი კუბოები (ლარნაკები). წარჩინებულ პირთათვის კი, როგორც ჩანს, კლდის გამოკრილ კამერებში ამზადებდენ საფლავებს, მაგრამ ამ დროიდან თითქმის არ დარჩენილა დიდი სტილის სამარხები. ყველაზე უფრო საყურადღებო კნოსის ჩრდილოეთით ისოპატის გორაკზე აღმოჩენილი საფლავია, რომელიც

უცნობი მეფისა უნდა იყოს; იგი წარმოადგენს დიდ სწორკუთხოვან კამერას, რომელშიაც გრძელ შესავალს შევყავართ. ეს საფლავი კრეტას კულტურის უკანასკნელ დროს უნდა ეკუთვნოდეს და ცხადად ააშკარავებს საკუთრივ საბერძნეთის გუმბათოვანი სამარხების გავლენას.

კრეტას მიცვალებულთა კულტის სცენები კარგად არის აღბეჭდილი ჰაგია ტრიადას სარკოფაგზე. მისი ერთი გვერდის მხატვრობაში გადმოცემულია შემდეგი სცენები: სამსხვერპლო მაგიდაზე დევს ფეხებშეკრული და ყელგამოჭრილი ხარი, რომლის სისხლი ჩადის კასრში; მაგიდის ქვეშ მოთავსებულია ორი შეკრული გარეული თხა, რომლებიც აგრეთვე სამსხვერპლოდ უნდა იყვნენ გამზადებული. მსხვერპლის შეწირვას თან სდევს ერთი ქალის მიერ ფლეიტაზე სხვადასხვა საგალობლის შესრულება; ამ ქალს უკან მოსდევს კიდევ ხუთი მანდილოსანი, რომელთაგანაც პირველი მოწიწებით აპყრობს ხელებს მსხვერპლისაკენ. მარჯვნით მოჩანს რქებით მორთული კულტის შენობა, რომლის შუა-ადგილას დგას ხე; მის წინ მაღალ სარზე ჩამოკიდებულია ორპირიანი ცული, რომელზედაც ზის ჩიტი, და დასასრულ საკურთხეველი. სარკოფაგის მეორე გვერდზე ქურუმი ქალი მსხვერპლის სისხლს ასხამს დოქში, რომელიც დასადგმელზეა მოთავსებული; ამ დედაკაცს უკან უდგას ორი ქალი, ერთ მათგანს მოაქვს კასრი, ხოლო მეორე ლირაზე უკრავს. მათგან მარჯვნით შესავლის წინ დგას მიცვალებული, ხოლო ამ უკანასკნელის წინ—ხე და სამსხვერპლო, რომლისაკენაც სამ მამაკაცს მოაქვს შესაწირავი. ყოველივე ეს ჩვენთვის ძვირფასია, რადგან კარგად გვაცნობს მიცვალებულთა კულტთან დაკავშირებული მსხვერპლის შეწირვას. მაგრამ ამ სარკოფაგის მხატვრობას სხვა მნიშვნელობაც აქვს: მას გადავყავართ იმ ქვეყნის ფანტასტიურ სამყაროში: სხვათაშორის ორი ლმერთქალი ზის ეტლში, რომელშიაც პირველ წყებად ცხენებია შებმული, მეორედ კი — გრიფები.

სურათი № 9—ჰაგია ტრიადას სარკოფაგი.

ერთი სიტყვით, ვისაც აინტერესებს კრეტას მიცვალებულთა კულტი, იგი გვერდს ვერ აუხვევს პირველ რიგში ჰაგია ტრიადას სარკოფაგის მხატვრობას. მაგრამ, როგორც დასაწყისში აღენიშნეთ, არსებული ძეგლები საკმარისი არ არის კრეტას სარწმუნოების სრული გარკვევისათვის.

7. კრეტას ძველი მოსახლეობის საკითხი; კაფტი და ეტეოკრეტელები. ფესტის დისკო და ფილისტიმელები.

ჩვენ გავეცანით კრეტას ყოფა-ცხოვრებასა და კულტურულ მდგომარეობას მეორე ათასეული წლების პირველ ნახევარში და თავისთავად გვებადება კითხვა: რომელ ხალხს ეკუთვნოდა ეს კულტურა, ცნობილია იგი რომელიმე სახელწოდებით, თუ სრულებით უცნობი.

ამ შემთხვევაშიც მთავარ დახმარებას არქეოლოგიული ძეგლები გვიწევს. პეტსოფისა და სიტიას ძეგლებზე მაძაკაცის ფიგურებს თმა თავზე მოკლედ ან სავსებით მოპარსული აქვთ, ხოლო ეგვიპტისა და სხვა ადგილობრივ ძეგლებზე კრეტელების დამახასიათებელია ბეკებზე გრძლად დაშვებული თმა, თუმცა შემდეგ ხანაშიც გვხვდებიან თავმოპარსული კრეტელები, მაგ. ჰაგია ტრიადას ვაზაზე და ზოგიერთ ბეკედზე. ედ. მაჯერის სამართლიანი შენიშვნით (G. d. A. II 1, გვ. 182), ამ ფაქტში წოდებრივი და არა წარმოშობითი განსხვავება უნდა ვეძიოთ. კრეტელებს წვერის მოპარსვა ყოველ დროში ჩვეულებად ჰქონიათ. მამაკაცების ამ დროის ტანსაცმელში შენარჩუნებულია პატარა წინსაფარი ფალოსის პარკითა და ქამრით; უფრო იშვიათად ეხვევათ გრძელ მოსასხამს სასირცხვილო ადგილების დასაფარავად. ძველი კრეტელების გარეგნობის გამორკვევის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს ეგვიპტის ძეგლები. როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ძველად, მაგრამ განსაკუთრებით მე-XVIII დინასტიის დროიდან ეგვიპტესა და კრეტას შორის ჭეშდრო ურთიერთობა არსებობდა. ეგვიპტის ფარაონი თუტმოს I (ქრ. წ. 16 ს-ში) იქადის, ჩემი ბატონობა ეროცელდებოდა ხაუნებუსა და დიდი ზღვის კუნძულებზეო.

მისი მოადგილე ხატშეპსუტი კი ერთ წარწერაში თავს ასე იხსენიებს: მე ვარ „მეფე (ati) ხაუნებუსი" (ედ. მაჯერი, ibid. გვ. 105). ხაუნებუ, როგორც დღეს გარკვეულად არის დადგენილი, კრეტის უძველეს სახელწოდებას წარმოადგენს. ხატშეპსუტის მინისტრმა სენმუტმა და ვაზირმა უზერმა თავის საფლავებზე მოათავსებინეს კრეტელების მოციქულების სურათები, რომლებიც თვალწინ გვიყენებენ მამაკაცებს სწორი ცხვირით, ბეკებზე დაშვებული გრძელი თმით, შუბლზე დახვეული კულულებით, და მოპარსული წვერით; ფეხებზე მათ სანდლები აცვიათ, მუცელზე მოკეერილი აქვთ ქამრები, თეძოებზე—წინსაფრები, ხოლო წინ დიდი პარკი. ეს ფიგურები თვისი ტანსაცმლითა და გარეგნობით კარგად უდგება იმ დროის კრეტას ძეგლების გამოხატულებათ. დიდი პარკი სხვა არ უნდა იყოს რა, თუ არა კრეტული ფალოსის პარკი. სენმუტის საფლავზე კრეტელების სახელწოდება აღნიშნული არ არის, ხოლო უზერისა და თუტმოს III ხანის (1504 - 1450) სხვა საფლავებზე მათ კაფტი ეწოდება. თუტმოს III-ის დროის ამონის ერთ ჰიმნში ნათქვამია: „მე მოვედი და მოგეც შენ დასაღეთი ქვეყნის დამარცხება, კაფტი და კიპრი შეძრწუნებულია..." განსაკუთრებით

საყურადღებოა უზერის მოადგილის რეხმერეს საფლავი, რომლის სურათები გვისახიერებს ფარაონის კარზე მისულ მოციქულებს ძველინით სხვადასხვა ქვეყნებიდან და მათ შორის „კაფტისა და დიდი ზღვის კუნძულების მაგნატებს", რომლებიც ზურგით მოეზიდებიან თუტმოს III განკუთვნილ ძღვენს.

სურათი № 10—კაფტის წარმომადგენელი

კაფტის მოციქულები იმგვარივე სახითა და იმავე ტანსაცმელში არიან აქ წარმოდგენილი, როგორშიაც მათ ვხედავთ სენმუტის და უზერის საფლავებზე და თვით კრეტას ძეგლებზე. მათ შორის ორ მამაკაცს ჭრელი წინსაფრების მაგიერ წინ აფარებული აქვს საქონლის წინწკლებიანი ტყავი გრძელი კუდით.

ამის ცალად უნდა ჩაითვალოს კნოსის სასახლის ეგრეთწოდებული „პროცესიების ფრესკა", რომლის ფიგურებს მსგავსი ტანსაცმელი აცვიათ; ისინი ისეთსავე ჭურჭლებს მოეზიდებიან, როგორიც რეხმერეს საფლავზეა გამოსახული. ამ გარემოებამ გამოიწვია ის მოსაზრება, რომ ამ ფრესკის ფიგურები გვისურათებენ არა ადგილობრივ მცხოვრებლებს, არამედ სხვა ხალხის მოციქულებს; შეიძლება ესენი იყვნენ კრეტას დასავლეთ ნაწილში მობინადრე კიდონიელების, ან მეზობლად მდებარე რომელიმე კუნძულის თუ სანაპიროს წარმომადგენლები. არ შეიძლება ითქვას, რომ ასეთ მოსაზრებას ყოველგვარი საფუძველი აკლდეს, მაგრამ ისეთი დიდი მკვლევარი, როგორიც ედ. მაჯერია, მას დამარწმუნებლად ვერ თვლის მით უმეტეს, რომ, მისი აზრით, ტანსაცმელის ოდნავი სხვაობა ადვილად გასაგებია, განსაკუთრებით ფარაონის კარზე მივლინებული მოციქულებისათვის; ამას გარდა თვით კრეტელების ძველი ტანსაცმელიც, ცხადია, ცელილებას

განეცდიდა (ibid. გვ. 108). ყოველ შემთხვევაში ჩვენ საკმაოებით ეიზიარებთ იმ აზრს, რომ კაფტი ნამდვილი კრეტელები იყვნენ და მათი სახელი შეგვიძლია დაეუკავშიროთ კაფტორს, თუ ღავთორიმს, რომელიც ისრაელებისა და ასირიელების გადმოცემით დიდი კუნძული იყო დასავლეთ ზღვაზე.

ეს კაფტი ამავე დროს ეტეოკრეტელები (ნამდვილი კრეტელები) უნდა ყოფილიყვნენ. ოდისეა აღნიშნავს რა კრეტაში ენათა და ხალხთა შერევის სურათს, პელასგებისა, კიდონიელებისა, აქაელებისა და დორიელების გვერდით იხსენიებს აგრეთვე „მამაც ეტეოკრეტელებს" (Ἐτεόκρητες γενναῖοι; XIX, 175 შმდ.). მკვლევარებმა შესძლეს აღმოეჩინათ ეტეოკრეტული ენის ძველად უმნიშვნელო ნაშთები. სპეციალისტების აზრით, რა ოდენადაც ეს ნაშთები მსჯელობის უფლებას გვაძლევს, ეტეოკრეტული ენა მცირეაზიური ტიპისაგან ერთგვარად განსხვავებულია. ამიტომ შესაძლებლად მიიჩნიათ, ეტეოკრეტელები მოსულ ხალხად ჩათვალონ. მაგრამ ეტეოკრეტელების სარწმუნოებაში ნათლად ჩანს ისეთი ელემენტები, რომლებიც ადგილობრივი კარიული მოსახლეობის სარწმუნოებასთან მის სრულ ნათესაობას ააშკარავებს. რასაკვირველია, ასეთი ფაქტი შეიძლება იმ ნიადაგზე იყოს წარმოშობილი, რომ მოსულმა ხალხმა— ეტეოკრეტელებმა შეითვისეს ძველი მკვიდრთა სარწმუნოება, მაგრამ მცირე ნაშთების მიხედვით ოვით ეტეოკრეტული ენის ბუნების მცირეაზიური ტიპისაგან განსხვავების დადგენა საფუძვლიანად და გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება. ამიტომ ძნელია იმის გამორკვევა, ეტეოკრეტელები კრეტაში მოსული, თუ მკვიდრი მცხოვრებლები იყვნენ, სანამ სხვა უფრო დამარწმუნებელი საბუთები არ იქნება წარმოდგენილი.

კრეტას ძველი მოსახლეობის საკითხის გათვალისწინების დროს გვერდს ვერ აუხვევთ ეგრეთწოდებულ ფესტის დისკოსა და მასთან დაკავშირებულ ფილისტიმელებს. ფესტის სასახლეში აღმოჩენილ იქნა გამომწვარი თიხისაგან გაკეთებული დისკო[1], რომელიც ორივე მხრით წარწერებითაა მოცული. იგი ხელით არის გაკეთებული და აქიტომაც მისი ფორმა გეომეტრიულად სწორი არ არის. ნიშნები დისკოზე იმ დროს უნდა იყოს ამოკრილი, როდესაც თიხა ჯერ კიდევ რბილი იყო. დაწერლობა სპირალის ფორმით მარჯვნიდან მარცხნისაკენ და კიდურებიდან ცენტრისაკენ მიემართება: სიტყვები ერთიმეორესაგან გაყოფილია ვერტიკალური ხაზებით, რომლებიც ისე, როგორც პწკრების განმსაზღვრელი ხაზები გრიფელით უნდა იყოს გატარებული. დისკოს შრიფტი აკადურის მსგავსი მარცვლოვანი დამწერლობაა. იდეოგრაფიულ ნიშნებთან შეერეულია; იგი წმინდა ჰიეროგლიფურია, ხოლო სრულებით განსხვავებული ძველკრეტულ (პიკტოგრაფიულ). ეგვიპტურ და ხეთურ დამწერლობათაგან. ის ფაქტი კი, რომ რომ მისი ცალკეული ნიშნები, როგორც ხე და როზეტი ერთი მეორეს ხვდება, ბუნებრივია და არაფერს არ ამტკიცებს. წინა გვერ-

[1]) იხ. Ed. Meyer, G. d. A. II I, გვ. 217, იგივე, Der Diskus von Phestos und die Philister auf Kreta; ევანსი, Scripta Minoa I, გვ. 22—28; 273—293; ბეკშტრემი, Загадочный диск (Ж. М. Н. П. 1911 წ. დეკემბერი); ალ. წერეთელი, პირ. ციკლი. 66—72.

დის ნიშანთა პირველი ჯგუფი იწყება ადამიანის თავით და მრგვალი ფარით, ასევე თერთმეტი შემდეგი. მეორე გვერდზე კი ისინი გეხვდება მხოლოდ პირველი სიტყვის დასაწყისში. დისკოს დამწერლობა დღემდე ამოკითხული არ არის და ამიტომაც მისი შინაარსის შესახებ მხოლოდ ჰიპოთეზები მოგვეპოვება. უფრო გავრცელებულია ის შეხედულება, რომ მასზე აღნიშნულია იმ მხედართა სია, რომლებიც, შეიძლება, ელჩებად იყვნენ წარმოგზავნილი კრეტას მბრძანებლის კარზე. ამასთან დაკავშირებით არც ის არის, რასაკვირველია, გამორკვეული, ეს დისკო ადგილობრივი ნაწარმოებია, თუ სხვა მხრიდან შემოტანილი. ბ ე კ შ ტ-

სურათი № 11, 12—ფესტის დისკო

რ ე მ ი სამართლიანად შენიშნავს: „ის, რომ დისკო ფესტის სასახლეში ნახეს, კიდევ ვერ გვარწმუნებს იმაში, რომ იგი მინოსური ცივილიზაციის ნაწარმოებია; დამწერლობისა თუ ხელშეკრულების სახით იგი შესაძლებელია შემოეტანათ ხმელთაშუაზღვის ერთ-ერთი ქვეყნიდან, რომელთანაც მინოსის კულტურას კავშირი ჰქონდა“. იგი უფრო გარკვევით აღნიშნავს ამ მხარეს—ანატოლიას და განავრძობს: „ყოველ შემთხვევაში დისკოს ანატოლიური წარმოშობა ჩემთვის უდავოა, თუმცა მისი წარწერების ენა არ შეიძლება დაახლოებით მაინც იქნას გარკვეული“-ო. გაურკვეველია მისთვის აგრეთვე ის საკითხიც, თუ როგორ მოხვდა კრეტაში ეს ანატოლიური ძეგლი. ერთი მკვლევარი კი გადაჭრით გვიმტკიცებს: როგორც თვით დისკო, ისე ის თიხაც კი, რომლისაგანაც იგი გაკეთებულია, კრეტას ნიადაგისა არ არის და მაშასადამე, იგი სხვაგან და სხვაგვარი თიხისაგან არის შემზადებულიო. სამაგიეროდ ა რ ტ ურ ე ვ ა ნ ს ი დისკოს უფრო კრეტულ ნაწარმოებად თვლის. იგი დარწმუნებულია, რომ კრეტას ღთვისმსახურებაში გაბატონებული იყო განსაკუთრებული ენა, რომელიც ადგილობრივი ენის უძველეს საფეხურს წარმოადგენდა და რომელზედაც სრულდებოდა სხვადასხვა წესი ისე, როგორც ჩვენ დროშიც მართლმადიდებელ-, ბერძნული და რომაულ-კათოლიკური ეკლესიების ღთვისმსახურებაშია დაცული ძველი ენებიო. რაც შეეხება ე დ. მ ა ჯ ე რ ს, მას ეს დისკო ერთის მხრით კრეტაში გაკეთებულად არ მიაჩნია, ხოლო მეორის მხრით შესაძლებლად თვლის იგი კიდონიას მიაკუთ-

ვნოს. როგორც ვხედავთ, დისკოს სადაურობის შესახებ მეცნიერებაში აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს და შეიძლება ითქვას, რომ სანამ მისი დამწერლობა არ არის ამოკითხული ან ახალი აღმოჩენები მოპოვებული, სათანადოდ ვერც ეს საკითხი გადაწყდება. ამავე დროს კი დისკოს წყალობით ვეცნობით საესებით თავისებური სახის კულტურას, რომელიც კრეტასაგან დამოუკიდებლივ, მაგრამ მასთან ურთიერთობაში უნდა განვითარებულიყო ეგეოსის ზღვის ერთ-ერთ მხარეში. ამ კულტურას გასაოცარი ხერხით შეუქმნია წ ი გ ნ ი ს ბ ე ჭ ვ დ ი ს წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ი ხ ე ლ ო ვ ნ ე ბ ა, რომელსაც სამწუხაროდ სათანადო გაელენა არ მოუხდენია და არც შემდეგი განვითარება განუცდია. ვინ იცის, ეგებ ის ადგილები, სადაც ეს კულტურა სუფევდა, ღრმად ინახავს თვის წიაღში მრავალ საყურადღებო ძეგლს! და, თუ არქეოლოგის ნიჩაბმა აქაც გვიჩვენა თავისი „გრძნეული“ საქმე, ალბათ, მრავალი ძვირფასი საუნჯე წარსდგება კაცობრიობის წინაშე. ამას გარდა გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ფესტის დისკოს დამწერლობის ნიშნების სურათები ზოგიერთ მასალას მაინც გვაძლევს. აქედან ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ დისკოს შემქნელი ხალხის იარაღი იყო მრგვალი ფარი, ცული, ორმაგად მოხრილი მშვილდი წვეტიანი ისრით. დისკოზე გამოსახული ქალები, კრეტელი დედაკაცების მსგავსად, ატარებენ გრძელ თმას, ხოლო მამაკაცები მელოტები და უწვერონი არიან; ის თავის ნიშანი კი, რომლის შესახებ ზევით გვქონდა საუბარი, მორთულია ფრთებით. ცნობილია რომ ეგვიპტის ძეგლებზე ფრთებიანი ჩაჩქანი ფ ი ლ ი ს ტ ი მ ე ლ ე ბ ი ს დამახასიათებელ სამკაულს წარმოადგენს. ამ გარემოების მიხედვით, ფესტის დისკოს ფილისტიმელების ნაწარმოებად აღიარებენ.

ფილისტიმელების ჩამომავლობის შესახებ სხვა ადგილას გვექნება ლაპ. რაკი, აქ კი აღვნიშნავთ, რომ დიდი ხანია არსებობს ისეთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ფილისტიმელები იგივე ბერძნების პელასგებია. ასე ფიქრობენ: Hitzig'ი, ბრუგში, ლიხტენბერგი და სხვ. რ ე ნ ა ნ ი კი ფილისტიმელების ენას ბერძნულისა და ლათინურის საშუალო პელასგურ დიალექტად აღიარებს (იხ. Захаров, Филистимляне). ფილისტიმელებს პელასგებთან აიგივებს აკად. ნ. მ ა რ ი ც (Филистимляне, палестинские пеласги и расены или этруски). ასეთ მოსაზრებას უეჭველად აქვს საფუძველი, მაგრამ ერთი რამ იწვევს დაბრკოლებას, სახელდობრ: ვინც ამ კომბინაციას იზიარებს, მან უნდა იგულისხმოს, რომ დისკოს ფილისტიმელები-პელასგები ფესტის მახლობლად ბინადრობდენ, ხოლო ამის დამამტკიცებელი საბუთები ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება.

8. კრეტას დაპყრობა აქაველების მიერ.

საბერძნეთი და მის მახლობლად მდებარე კუნძულები კრეტას კულტურის ძლიერ გავლენას განიცდიდა. როდესაც ამ გავლენამ საბერძნეთში თვის უმაღლეს წერტილს მიაღწია, თვით კრეტაზე დაიწყო პერიოდი მისი კულტურული დაქვეითებისა. გარეგნულად თითქოს ყველაფერი უცვლელად მოჩანდა, ცხოვრების ფორმები იგივე დარჩა, კნოსის სასახლე მრავალჯერ იქნა ნაწილობრივ გადაკეთებული, მაგრამ პროცესი დაქვეითებისა უწინარეს ყოვლისა ცხადი ხელოვნებაში გახდა; მისი საღი და ცოცხალი განვითარება შეფერხდა, თამამი

ნატურალიზმი ისეთ მანერად გადაგვარდა, რომელიც ერთხელ შემუშავებული ფორმების დაცვასა და განმტკიცებას უფრო ცდილობდა, ვიდრე წინსვლას — ახალი სახეებისა, ამოცანებისა და სარბიელის მოპოვებას, ხოლო თვის ნაწარმოებთა შესრულებაში იგი სრულ გადაგვარებას განიცდიდა.

ამის დამახასიათებელი მაგალითია ძველ მხატვრულ ნიმუშებთან შედარებით ჰაგია ტრიადას სარკოფაგის მხატვრობა, რომელზედაც საუბარი უკვე გქონდა. ეგვეთწოდებული „სასახლის სტილის" ამფორების მოხატულობაში უკვე უარყოფილია ბუნების მოვლენათა ნატურალისტური გადმოცემა და მცენარეები, ყვავილები, კლდეები, ბარჯნები სქემატიურად სტილიზირებულია და ჭურჭლების არქიტექტონური დანაწილების ზიმართ დაქვემდებარებული ისე, როგორც სპირალები, ტალღისებური ხაზები და ნახევარ-როზეტები. ძველი დროის საღებავთა წარმტაცი მრავალფეროვნება საესებით ქრება და ადგილს უთმობს უმეტესად შავ საღებავს: ჩნდება ახალი ფორმის ჭურჭლეულობა, მაგ., ხელებიანი სასმისები, რომლებიც შემდეგი დროისთვის დამახასიათებელია. მართალია, სასახლეები ამ ხანაშიც ძველებური ბრწყინვალებითა და მედიდურობით გამოიყურება და საერთოდ ამ ეპოქის ცხოვრება თვალსა სპრის თავისი გარეგნული ეფექტებითა და მზინვარებით, მაგრამ დაკვირვების შემდეგ კარგად ვგრძნობთ ყოველივე ამის ზერელობასა და შინაგან სიცარიელეს, ვგრძნობთ, რომ კრეტელების შემოქმედებაში უკვე გამოჩნდა დიდი დაქვეითების ნიშნები და მას სათანადო ძალა და აღმაფრენა გამოელია.

ასეთი მდგომარეობა დიდი კატასტროფით დამთავრდა, რომელმაც ერთბაშად ბოლო მოუღო კრეტას კულტურის საციცოცხლო ძალებს. ვინ და ან რამ გამოიწვია ეს მეორე დიდი კატასტროფა? იგი დაკავშირებული უნდა ყოფილიყო ერთ-ერთი ბერძენი ტომის კრეტაზე შემოსევასთან. კრეტას საზღვაო ძლიერებას ისეთი ხასიათი არ ჰქონდა, რომ შესძლებოდა თავდამსხელთა შემოსევის ყოველთვის უკუგდება. ამას უნდა მივუმატოთ ისიც, რომ კრეტას ქალაქები, როგორც ვიცით, გამაგრებული არ იყო, და ეს გარემოებაც ხელსაყრელი იქნებოდა ძლიერი შემოსეული მტრისათვის. შესაძლებელია და ადვილად წარმოსადგენიც, რომ თვით კრეტას მცხოვრებლებში სუფევდა ამ ხანად სოციალური ხასიათის დიდი უთანხმოება, რომელიც აგრეთვე სასარგებლო იქნებოდა დამპყრობელთათვის.

მოულოდნელი შემოსევის შედეგები მეტად საშინელი აღმოჩნდა: განადგურდა კრეტას ყველა ქალაქი, კნოსისა, ფესტისა და ჰაგია ტრიადას ძვირფასი სასახლეები, ალბათ, გაცარცვის შემდეგ, დიდმა ხანძარმა შთანთქა და ამ დროიდან მათ ადგილას მხოლოდ ნანგრევებიღა დარჩა. მხოლოდ აღმოსავლეთით, პრესოსა და პოლიხნეში შესძლო ძველმა მოსახლეობამ თვისი დამოუკიდებლობის შენარჩუნება; ესევე უნდა ითქვას კიდონიელებზე.

რომელი ბერძენი ტომი გახდა ამ უდიდესი კატასტროფის მიზეზი? თქმულების მიხედვით, რომელიც სარწმუნო ტრადიციას უნდა ემყარებოდეს, კრეტას მთავარ ნაწილში და უწინარეს ყოვლისა კნოსში გაბატონდენ აქაელთა მთავრები, მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ კრეტაზე თავდამსხმელები ა ქ ა ე ლ ე ბ ი იყვნენ.

როგორც ცნობილია, ისტორიკოსი ბ ე ლ ო ხ ი[1] უარყოფს დორიელთა გადასახლებას და თვით აქაელებს დორიელებად წარმოიდგენს (Beloch, Griechische Geschichte², I 2, S. 76-96). ამის მიხედვით ეპოსის კრეტელი აქაელებიც დორიელებად უნდა მიგვეჩნია, მაგრამ ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს (ib I, S. 237, შენ.) სამართლიანი შენიშვნის თანახმად, ეს არის ჰიპერკრიტიკის შეცთომა, რომელიც პრინციპულად უარჰყოფს ყოველგვარ ცდას, რომ თქმულებათა განვითარება კრიტიკულად იქნას განხილული და მათში ისტორიული ფაქტები დადგენილი. შეუძლებელია გაზიარებულ იქნას ამ შემთხვევაში ბელოხის ჰიპერკრიტიკული შეხედულება და კრეტაზე შემოსეული აქაელების დორიელებად წარმოდგენა.

კრეტას ახალი მბრძანებლები მათ მიერ დანგრეულ სასახლეებსაც დაეპატრონენ და განადგურებული შენობათა ნაწილი აღადგინეს. ძველი მოსახლეობა მათ თავიანთ ადგილას დატოვეს. იგი, ალბათ, ყმების სახით დაემორჩილა ახალ ბატონებს. მართალია, დამპყრობელებმა ნაწილობრივ მაინც შეითვისეს კრეტელების კულტურა, მაგრამ არსებითად ხელი შეუწყვეს მის შემდეგ დაცემას: კრეტას, ორიგინალური კერამიკა ქრება, მის ადგილს იკავებს მიკენის კერამიკა, საზოგადოდ ერცელდება მიკენის გავლენა, რომელიც განსაკუთრებით ბრინჯაოს იარაღებს ემჩნევა. ასე გადაგვარდა და შესწყდა კრეტას ბრწყინვალე კულტურა, რომლის ცხოველმყოფელი გავლენის ქვეშ მოუხდათ პირველ ხანებში საბერძნეთის მიწაწყალზე შემოსულ ბერძნებს ცხოვრება. შემდეგი ეპოქის საფლავები კნოსში უკვე თავისთავად გვიჩვენებს იმ ღრმა ცვლილებათ, რომლებიც კრეტას მცხოვრებლებმა რწმენასა და ზნეჩვეულებაში განიცადეს:

კრეტას მიერ განცდილი დიდი კატასტროფის გათვალისწინების თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ თუტმოს III შემდეგ ეგვიპტის ძეგლებზე უცხო ქვეყანათა მოციქულებს შორის კაფტი უკვე აღარ გეხვდება, თუმცა ეგვიპტის ურთიერთობა ეგეოსის სამყაროსთან კვლავ გრძელდება. ამ უსანასკნელის ჭურჭლების მრავალი ნატეხი, რომლებიც ამენოფის IV (1370-1352) ტელ-ელ-ამარნას სასახლეში აღმოაჩინეს, ააშკარავებს სრულებით გადაგვარებულ სტილს. ცხადია, ყოველივე ამას კავშირი აქვს კრეტას კატასტროფასთან, რომელიც შეგვიძლია დაახლოებით ქრ. წ. 1400 წლებით დავათარიღოთ.

---

[1]) აგრეთვე K a h r s t e d t'ი (Neue Jahrb. XXII 1919),

თავი II.

ბერძნები მიკენის პერიოდში.

1. არგოსი. მიკენი და ტირინთი. არგოსის სამეფო.

როგორც იყო ნათქვამი, მეორე ათასეული წლების პირველი მეოთხედის განმავლობაში ახალ სამშობლოში გადმოსახლებულ ბერძნებს ხანგრძლივი ბრძოლა მოუხდათ ადგილობრივ უძველეს მოსახლეობასთან და შემდეგ ამისა კი თვით ურთიერთშორის. საბერძნეთის ნიადაგზე მოპოვებული ამ დროის არქეოლოგიური ნაშთები, უმეტესად კერამიკული ძეგლები, შედარებით კრეტასთან, რომელიც ამ ხანაში „კამარესის“ კულტურის პერიოდს განიცდიდა, ააშკარავებს კულტურის ფრიად დაბალ საფეხურს, მიუხედავად იმისა, რომ ბერძნებს მათზე უფრო კულტუროსანი ძველი მოსახლეობისაგან „კარიელებისაგან“ ზოგი რამ მაინც უნდა გადმოეღოთ და შეეთვისებიათ. უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ორ ელემენტს შორის ადგილი უნდა ჰქონოდა არა მარტო ბრძოლას, არამედ ერთგვარ მშვიდობიან უთიერთობასაც. კერძოდ კრეტასთან ურთიერთობა ბერძნებისა მხოლოდ მე-XVI ს-ში უნდა დამყარებულიყო. საფიქრებელია, რომ ამ ხანიდან იწყებს გავრცელებას კრეტას კურტურის ძლიერი გავლენა, როგორც საკუთრივ საბერძნეთში, ისე მის მახლობლად მდებარე კუნძულებზე. ამ დროის ბერძენთა სამყაროს გათვალისწინება შეგვიძლია მხოლოდ დაახლოვებით. საბერძნეთის ზედაპირის დასერილობას შეესაბამება ის, რომ ბერძნები პატარა სამთავროებად იყვნენ დამკვიდრებული სხვადასხვა ადგილას.

საცხოვრებელ ადგილებად გვარების წინამძღოლები ირჩევდენ არა ყოველი მხრით განმარტოვებული მთის მწვერვალებს, როგორც, მაგ. არგოსის ლარისას, მესენიის ითომას და აკროკორინთს, რომლებზედაც შემდეგში მათ ძირში მდებარე ქალაქების აკროპოლისები ააგეს, არამედ შეძლებისდაგვარად ყოველი მხრით დაშვებულ დაბალ სიმაღლეებს, რომელთაც გარს ავლებდენ ზღუდეებს უზარმაზარი ტლანქად გათლილი ქვებისაგან. ასეთ ციხეში ჩვეულებრივ აღმართული იყო მთავრის სადგომი—მეგარონი, რომლისაგანაც თავისებური სასახლე უნდა წარმომდგარიყო. აქ, თავისი მხარის შუაგულში, ცხოვრობდენ მთავრები, რომლებიც მეზობლად იყვნენ დაკავშირებული მოლაშქრე აზნაურობასთან, რომელთა სადგომები გარს ერტყა მათ სასახლეებს. ციხეების ძირში იმყოფებოდა მათი ხელქვეითი მცხოვრებლების სოფლის მსგავსი, მოსახლეობა, რომელსაც, სხვათა შორის, ვალად ედვა ბეგარა ზღუდეებისა და სასახლეების აგებისა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრივ საბერძნეთის არქიტექტონური ფორმები კრეტის ააღმშენებლო ხელოვნებისაგან სრულებით დამოუკიდებელი და თავისებური იყო. უძველეს დროს ფრიად გავრცელებული ლერწამისა და თიხის ქოხებისაგან წარმომდგარი მრგვალი სახლებისა და ოვალური სადგომების ადგილი დაიკავა შუა ევროპაში ჯერ კიდევ ნეოლითურ ეპოქაში გაბატონებულმა და ბერძნების მიერ გადმოსახლების დროს თან მოტანილმა სწორკუთხოვანმა სახლებმა, რომლებსაც თიხისა და ხისაგან აგებდენ ჩაყრილ საძირკველზე. ასეთი სახლის ტიპს ეხედავთ შლიმანის მიერ ჰისარლიკზე აღმოჩენილ ეგრეთწოდებულ მეორე ქალაქში: სწორკუთხოვანი დარბაზი, რომლის სახურავის კოჭები ქვის კუნძებზე დაშვებული ორი ხის სვეტზე იყო დამყარებული. დარბაზის კედლებთან მოთავსებული ყოფილა მთავრისა და მისი მახლობლების საჯდომები, ხოლო შუა ადგილას მრგვალი კერა საღვთო ცეცხლით (ἑστία), რომელიც სახლის აშვიდობიანობას იცავდა და უცხო ქვეყნიდან ლტოლვილთ თავშესაფარისა და ხელშეუხებელი სტუმრის უფლებას ანიჭებდა; ასეთი სტუმრების მონაწილეობა საერთო პურის ჭამაში, რომელშიაც თავისი ნაწილი ღმერთებსაც ენიჭებოდათ, წინასწარი ხელის დაბანასთან (χέρνιψ) ერთად ჰქმნიდა ამგვარად შემქნილი დაკავშირების დაურღვეველობას. მეგარონის წინ დატოვებული ყოფილა დიდი ეზო ზეკის ღმერთის სამსხვერპლოთი, რომელიც ზღუდეთი იყო დაცული (ედ. მაჯერი, III, გვ. 223). შეიძლება ეს საკურთხეველი კერას დამცველ ძეგეს ჰერკეიოსს ეკუთვნოდა. აღწერილი სწორკუთხოვანი სახლის ტიპი საერთოდ არ შეესაბამება კრეტას სასახლეების აგებულობას და უფრო ჩრდილოეთის ციივ ჰავის პირობებს შეეფერებოდა. ამიტომაც გადმოიტანეს იგი ბერძნებმა თავის ახალ სამშობლოში, თუმცა ამასთან კრეტელები უმეტეს ნაწილად მხოლოდ უბრალო წინსაფრებს ატარებდენ, ბერძნებმა კი შეინარჩუნეს თეისი ტფილი ტანსაცმელი. შემდეგში ბერძნის ქალებმა თანდათანობით გადმოიღეს კრეტელი მანდილოსნების ლამაზი ტანთსაცმელი.

იმ პერიოდში, რომელსაც ჩვენ ვახასიათებთ, საბერძნეთის განსაკუთრებით საყურადღებო ნაწილს წარმოადგენდა პელოპონესის ერთი კუთხე — არგოსი. იგი გარშემორტყმულია მთებით და მხოლოდ სამხრეთით ეკვრის მას ზღვა; სამხრეთ-დასავლეთით გადაშლილი ზღვის ყურე ჰქმნიდა მისთვის მოსახერხებელ დაკავშირებას კრეტასა და ციკლადებთან. ბერძნული ეპოსის მიხედვით არგოსში მობინადრე ხალხი, რომელიც აქაელებს ეკუთვნოდა, ატარებდა დანაელების სახელწოდებას. ედ. მაჯერის აზრით დანაელებს უნდა გვაგონებდენ აგრეთვე ეგვიპტის წყაროებში მოხსენებული დანუნა. მართლაც, როგორც ტელ-ელ-ამარნას საბუთებიდან ჩანს, ეგვიპტის ფარაონი ამენოფის III (ქრ. წ. 14-ს-ის დასაწყისში) სწერს ერთ თავის ვასალს სირიაში, სახელდობრ ტეიროსის მთავარს აბიმელეხს: „შემატყობინე ყოველივე, რაც კანაანიდან (კინახნიდან) გესმისო". აბიმელეხი ატყობინებს: დანუნას მეფე გარდაიცვალა და მისი ძმა ავიდა ტახტზე ისე, რომ „მისი ქვეყანა მშვიდათ არისო". აქედან ბევრს ისეთი დასკვნა გამოჰქონდა, თითქოს დანუნა სირიაში უნდა ყოფილიყვნენ დაბინავებული, მაგრამ აბიმელეხის მოხსენებაში დასახელებული არის შემთხვევები სხვადასხვა მხარეებში და მათ სრულებით ბუნებრივად წინ უნდა ჰქონდეს წამძღვარებული ცნობა

ეგეოსის ზღვის მიდამოებში მომხდარი ამბების შესახებ. გვხვდება დანუნას სახელწოდება აგრეთვე იმ „ზ ღ ვ ი ს ხ ა ლ ხ თ ა“ შორის, რომლებიც სირიას შემოესიენ „კუნძულებიდან“ რამსეს III დროს (XII საუკ. დასაწყისში). არგოსის დასახლებული ადგილები, რომლებიც მთის მწვერვალებსა და ზოგიერთ სხვა ნაწილებში იქნა აღმოჩენილი, თვისი ნაშთებით უფრო 18-17 საუკუნეთ უნდა ეკუთნოდეს. დაახლოებით 16 საუკუნის დასაწყისიდან კი ყველა მათ წინუსწრებს და პირველ ადგილს იჭერს მ ი კ ე ნ ი. მიკენი ზღვიდან 18 კილომეტრით იყო დაშორებული და მდებარეობდა ორი მაღალი მთის შუა ორივე მხრით ღრმა ხევით მოცულ კლდის ზურგზე, ხოლო მის ქვევით ველზე ბინადრობდა მიკენის მბრძანებელთა ხელქვეითი მოსახლეობა. მიკენის ადგილმდებარეობა, თითქოს, იმაზე მიგვითითებს, რომ მისი წარმოშობა არ უნდა იყოს თავისუფალი განვითარების შედეგი, არამედ თვით მბრძანებელთ. უნდა ამოერჩიათ იგი, როგორც მათი ბატონობისათვის ხელსაყრელი ადგილი, რადგან იგი დასცქეროდა მთელ ველს და ამავე დროს გარკვევით ბატონობდა ჩრდილოეთისა და ისთმისაკენ მიმავალ გზებზე.

არგოსის ველი, სადაც მიკენი მდებარეობდა, ოდესღაც ზღვის უბეს წარმოადგენდა, რომელიც თანდათან დაიფარა მთის მდინარეების მიერ ჩამოტანილი მიწით. ეს ველი ცივილიზაციის ერთი უძველესი ადგილთაგანი იყო საბერძნეთში. აქ მდებარეობდა სამი გამაგრებული ციხე-ქალაქი: მიკენი, არგოსი და ტირინთი. ტრადიციის მიხედვით, მდინარე ინახის და ნიმფა მელიის შვილმა ფორონეოსმა გააერთიანა მცხოვრებლები და დაარსა ქალაქი (ἄστυ Φορωνικόν). მისმა შვილისშვილმა არგოსმა კი მისცა მას თვისი სახელი. შემდეგში ამ ქალაქზე გაბატონდა ძლიერეაზიელი გვარი პელოპიდებისა, რომლის დროსაც ეს მხარე ორ სახელმწიფოდ გაიყო: ჩრდილოეთით წარმოიშვა მიკენის და სამხრეთით არგოსის სამეფო. ილიადას მიხედვით, პირველში აგამემნონი მეფობდა, მეორეში - დიომედი. გადმოცემით მიკენი ძეუსის შვილმა პერსეოსმა დაარსა და მის აშენებაზე ციკლოპები მუშაობდენ. საერთოდ მიკენი ცნობილია თქმულებებში როგორც სახელოვანი, ძლიერი და მდიდარი ქალაქი; ჰომეროსი მას „ოქროთი აღვსილს“ უწოდებს. მიკენი ჰერაკლეს წინაპართა სამშობლოა. მის მეფეთა შორის თქმულება ასახელებს იმ ევრისთეოსს, რომლის სამსახურში ყოფნის დროს ჰერაკლემ ჩაიდინა თვისი 12 გმირობა, და ბერძნების წინამძღოლს ტროიას წინაღმდეგ ომში აგამემნონს. ბერძენი პოეტების აღწერით მიკენი საშინელი დრამის ადგილი იყო. ომში წასულ აგამემნოს ღალატობს ცოლი კლიტემნესტრა, ხოლო როდესაც იგი ომიდან სახლში ბრუნდება, მას და მის მხლებლებს ქურდულად ჰკლავენ კლიტემნესტრა და მისი საყვარელი ეგისთი. ბერძენი ტრაგიკოსები დიდი ოსტატობით გადმოგვცემენ აგამემნონის ქალიშვილის ელექტრას მწუხარებასა და შურისძიების გრძნობას, რომლის დაკმაყოფილება შესძლო აგამემნონის უცხოეთში აღზრდილმა შვილმა ორესტმა. საერთოდ ბერძნულ თქმულებებში მიკენს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს, როგორც ძლიერი და მდიდარი სამეფოს ბრწყინვალე სატახტო ქალაქს. საყურადღებოა, რომ ქრ. შ. II საუკუნის მოგზაურმა პავსანიასმა თვის ნაშრომში „Περιήγησις τῆς Ἑλλάδος“ მოგვცა აგრეთვე ძველი მიკენის ადგილის ასეთი აღწერილობა: „არგოსის მცხოვრებლებმა მიკენი შურით დაანგრიეს... მაგრამ ქალაქის კედლის ნაწილი დღემდე არსებობს; დაცულია

ლომებით შემკული ჰიშკარიც. როგორც ამბობენ, ეს ციკლოპების ნამუშევარია... მიკენის ნანგრევთა შორის მდებარეობს ატრეოსისა და მისი შვილების მიწის ქვეშეთი შენობები; იქ იყო დაწყობილი მათი საუნჯენი. არის ატრეოსის საფლავიც და ყველა იმათი სამარხი, ვინც აგამემნონთან ერთად იქნა მოკლული ეგისთის მიერ ნადიმის დროს მათი ილიონიდან დაბრუნების შემდეგ...“ როგორც ჩანს, პაესანიასის დროს მიკენის ზოგიერთი ძეგლი ჯერ კიდევ ცნობილი ყოფილა.

არქეოლოგიამ ნაწილობრივად მაინც დაამტკიცა გადმოცემაში აღნიშნული მიკენის ძლიერება და სიმდიდრე.

მიკენი, ცხადია, ერთი მთავარი პუნქტი იყო საბერძნეთში კრეტას კულტურის გავრცელებისა და შეთვისების მხრით. ამ მიმართულებით უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ ის ექვსი მაღაროვანი საფლავი, რომლებიც შლიმანმა მიკენის ძველი კედლის წინ აღმოაჩინა. ეს საფლავები პირდაპირ დაფარული ყოფილა ოქროსა და ვერცხლის მრავალი ნივთით. აქ გვხვდება: დიადემები, ძეწკვები, ფოთლებისა და ყვავილების სახის ოქროს სამკაულები, პეპლები, სფინქსები, ზღვის ცხენები, აგრეთვე ოქროს თასები, ხარის თავები, და სხვ. მარტო მესამე საფლავში, რომელშიც სამი ქალისა და ორი ბავშის ჩონჩხები იპოვეს, შლიმანმა ნახა 870 ოქროს ნივთი. არა ნაკლებ მდიდარი მოჩანს დანარჩენი საფლავებიც. ჩამოთვლილ საგნებს უნდა მივუმატოთ ხმლები და ხანჯლები, ოქროსა და ძვირფასი ქვების მშვენიერი ბეჭდები, სპილოს ძვლის ნივთები, ქარვის მარგალიტები, ალაბასტრის ლამაზი ვაზები და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა ის გარემოება, რომ მამაკაცებს პირისახეზე დადებული ჰქონიათ ოქროს ნიღაბები, რომლებიც მიცვალებულთა სახის ხაზებს თვალცხადლივ გვისურათებს.

სურათი № 13—მიკენის ოქროს ნიღაბი

ამ საფლავებში სულ 19 გვამის ჩონჩხი აღმოჩნდა, მათ შორის: 9 -- მამაკაცის, 8 დედაკაცისა და 2—ბავშის. აქვე იპოვეს საფლავის ქვებიც, ქალების საფლავებზე ქვის უბრალო ფიცრები. ხოლო მამაკაცთა საფლავის ქვებზე გამოქანდაკებული ყოფილა მიცვალებულთა სახეები. ასეთი 9 ქვა, რომლებიც მამაკაცების 9 გვამს უნდა შეესაბამებოდეს, დაცულია ან სრულად ან ცალკეულ ნაწილებად. მიცვალებულნი მათზე საომარ ეტლებში არიან გამოსახულნი.

უნდა ეიფიქროთ, რომ ეს საფლავები თავის დროს ადამიანთა მოსახლეობისაგან მოშორებით არსებობდა, მაგრამ, ალბათ, როდესაც ციხის რაიონი გაფართოვდა და აუცილებელი შეიქნა მასში მოეთავსებიათ ძველი ადგილი საფლავებით, ამ უკანასკნელზე ბლომად დაუყრიათ მიწა. ხოლო, შემდეგში რომ განსაკუთრებით აღენიშნათ ეს ადგილი, მის

ზემოთ აუგიათ მრგვალი ზღუდე ქვის ფიქალებისაგან; ასეთი წრის შუა-ადგილას კი მოუწყვიათ ქვებით შემოწყობილი სამსხვერპლო ორმო. მეოთხე საფლავის ზემოთ გაკეთებულია ჭის მსგავსი მრგვალი მაღარო, რომლის საშუალებითაც სამსხვერპლო სისხლი, ალბათ, სამარხში ჩადიოდა. სპეციალისტების აზრით, ყველა ეს საფლავი მეფეებსა და მათი ოჯახის წევრებს უნდა ეკუთვნოდეს. ამ საფლავების ზემოთ მიწადაფენილში აღმოჩნდა მსხვერპლად შეწირული მსახურებისა და ცხოველების გვამები და მრავალრიცხოვანი ჭურჭლების ნატეხები.

მიკენის თაღოვან სამარხებში აღმოჩენილი ძეგლები საშუალებას გვაძლევს ზოგად ხაზებში მაინც წარმოვიდგინოთ „მიკენელების“ მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ თ ა კ ულ ტ ი, რომლის წესების შესრულება გაცილებით მეტ ნიეთიერ საშუალებათ მოითხოვდა, ვიდრე კრეტაში. ეს კულტი ისეთივე სახისაა, როგორსაც ყველა იმ ხალხის ისტორიაში ვხვდებით, რომელთაც თავის განვითარებაში მაღალ ნიეთიერ კულტურას მიაღწიეს და რომელთა გაბატონებული წრეების ხელში დიდი საშუალება იყო თავმოყრილი. ამას ვამჩნევთ ევროპაში, მაგ., სკვითებისა, სლავებისა და სკანდინავიელების ცხოვრებაში; ეგვიპტის მიცვალებულთა კულტსაც პირველად ასეთივე სახე ჰქონდა, და ჰომეროსის ეპოსშიაც კი ვგრძნობთ მის არსებობას (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, II 1, გვ. 227). ის ფაქტი, რომ მიცვალებულთ თანატანდენ საფლავში მრავალ ძვირფას ნიეთს, უკვე თავისთავად ამტკიცებს, რომ მათი აზრით იმქვეყნიური ცხოვრება ამქვეყნიურის გაგრძელებაა და ამიტომ იქაც ადამიანს ესაჭიროება ყოველივე ის, რაც მისთვის დედამიწაზე აუცილებელია.

მიცვალებული მეფისა და მისი ოჯახის წევრებისათვის მიჰქონდათ არა მარტო სასმელ-საკმელი და ტანსაცმელი, არამედ ყოველივე ის, რაც მათ ცხოვრებას ამშვენებდა და მათ გულს ახარებდა; თანატანდენ მათ მსახურებსაც და შეიძლება მხევალ ქალებსაც.

მეორის მხრით ამ კულტის შესრულების არაჩვეულებრივი მდიდრული სახე იმაზედ უნდა მიგვითითებდეს, რომ მიკენის მეფეები ფრიად შეძლებული და ძლიერებით აღჭურვილი მბრძანებლები იყვნენ. სხვადასხვა მოსაზრების მიხ დვით შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ეს საფლავები თანამედროვე იყო ეგვიპტის ახალი სამეფოს დასაწყისისა, უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, ისინი 16 საუკუნის პირველ ნახევარს უნდა ეკუთვნოდეს, ხოლო მათი უფრო ახალი ფენები შეიცავს საგნებს ამენოფის III (1405-1370) და მისი მეუღლის ტეიეს სახელებით. საფლავებში აღმოჩენილი ძეგლები კრეტას ცხად გავლენას ააშკარავებს, მაგრამ მათ ემჩნევა აგრეთვე თვით ადგილობრივი განვითარების ბეჭედიც: კრეტას სტილის ჭურჭლეულობასთან ერთად გვხვდება თავისებური მონოქრომული მხატვრობა ხაზოვანი ორნამენტით, სამკუთხითა, წრით და სპირალებით. აქვე უნდა დაეასახელოთ ქალის თიხის პრიმიტიული პატარა ქანდაკები, რომლებიც აგრეთვე ხაზოვანი მხატვრობით არის დასურათებული. ისინი უმეტეს ნაწილად შიშველ ღმერთქალს უნდა გვისახიერებდეს. შეიძლება მიცვალებულთ აქაც, როგორც კრეტაში, თანატანდენ წარმოშობის ღმერთქალის გამოხატულებას.

ის ფაქტი, რომ მიკენის სამარხებში მრავლად აღმოჩნდა ქარვა, „მიკენელების“ ჩრდილოეთთან ხანგრძლივ კავშირზე და აქედან მოტანილ ტრადიციებზე უნდა მიგვითითებდეს.

კრეტას ხელოვნებასთან კონტრასტი განსაკუთრებით თვალცხადი საფლავების ქვების რელიეფებზე ხდება. საომარი ეტლი მასზე მდგომი მეომრით, გაჭენებული ცხენი, მსახური ხმლით ხელში—ყოველივე ეს ისე პრიმიტიულადაა შესრულებული, რომ შეუძლებელია მათსა და, თუგინდ, უძველეს სუმერულ რელი-

სურათი № 14—მიკენის კერამიკა.

ეფებს შორის რაიმე პარალელი გავატაროთ. ყველა ეს ძეგლი ადგილობრივი ქვის მთლელების ნამუშევარი უნდა იყოს, რომელთათვისაც მიუწვდომელი იყო პრობლემა, რომ ცოცხალი არსებანი ნაკეთებით მაინც გადმოეცათ. კრეტას გაელენის წარმატებას ააშკარავებს ერთი საფლავის ქვა, რომელიც უფრო ახალი უნდა იყოს და რომელიც ორი უძველესი ქვის გვერდით იდგა მეხუთე საფლავზე; მასზე მეომარი უფრო სწორედაა აღბეჭდილი, ცხენს, რომელიც თავს ახტება ფარზე მდებარე კაცს, აქვს ოთხი ფეხი და არა ორი, როგორც სხვებზე, მის ქვემოთ გამოხატულია ლომი, რომელიც გამალებით მისდევს გარეულ მხეცს. საერთოდ საფლავის ქვებზე გამოსახულ მამაკაცებს წვერი მოპარსული აქვსთ, ხოლო თმა თავზედ მოკლედ შეკრილი. შემდეგი დროის რელიეფები და ქანდაკებიც გვისურათებს მამაკაცებს, რომლებსაც, როგორც კრეტელებს, წვერი აგრეთვე მოპარსული აქვსთ, ყოველ შემთხვევაში ულვაშები სულ შეპარსული,—ჩვეულება, რომელიც შემდეგში საბერძნეთის მთელ „საშუალო საუკუნეებში“ იყო გავრცელებული, ხოლო სპარტაში ყოველ დროს დაცული; ულვაშის მოშვება მათ ისევე ჰქონდათ აკრძალული, როგორც სემიტელ ნომადებს. ამავე დროს საფლა-

ვებში აღმოჩენილ ნიღაბებზე მამაკაცებს ულვაშები მაღლა დახვეული ბოლოებით დიდათ მოვლილი უჩანთ და მხოლოდ საკუთრივ ნიკაპი აქვსთ მოპარსული. აქედან შეგვიძლია ის დასკვნა გამოვიტანოთ, რომ ხსენებული საფლავების ქვები უფრო ახალი დროისაა, ვიდრე თვით საფლავები. მაგრამ ამ შემთხვევაში მოსახლეობაში მომხდარი რამე ცვლილება კი არ უნდა ვიგულისხმოთ, არამედ ზნე-ჩვეულების გადასხვაფერება.

ადვილად წარმოსადგენია, რომ კრეტას ნაწარმოებების ნაწილი მიკენში ვაჭრობისა და მეკობრეობის საშუალებითაც გაჩნდა, მაგრამ ბევრი რამ იმაზე მიგვითითებს, რომ მიკენის მეფეებს თვის სამსახურში უნდა ჰყოლოდათ მრავალი კრეტელი ოქრომჭედელი და ქვის მთლელი, საერთოდ ხელოსნები. ეს განსაკუთრებით უნდა ითქვას იმ ორ ოქროს ბეჭედზე, რომელიც მეოთხე თაღოვან საფლავში აღმოჩნდა; ორივე კრეტული სტილის საუცხოო ნამუშევარია; ერთზე ეხედავთ ირემზე მონადირე მთავარს, ხოლო მეორეზე იგი ორი მტრის წინააღმდეგ იბრძვის. ესენი უნდა იყოს პირადი ბეჭდები ამ საფლავში დამარხული მთავრებისა, რომლებსაც მათი „საქმენი საგმირონი“ უნდა უკვდავ ეყოთ. კრეტაზე კი საომარი ეტლი არავითარ როლს არ თამაშობდა და მეომარი მშვილდისრით ხელში — ძეგლებზე არ გვხვდება. საერთოდ სცენები ომისა და ნადირობის მრავალად გვხვდება მიკენის ძეგლებზე და ეს გარემოება გვაფიქრებიებს, რომ ამ დროის ბერძენთა შორის საომარი განწყობილება გაცილებით უფრო დიდი იყო, ვიდრე კრეტაში. მეოთხე საფლავის ერთი ვერცხლის თასის ნატეხზე ვხედავთ გორაკზე მოთავსებულ სიმაგრეს, რომელსაც მოულოდნელად თავს დასხმია მტერი. გორაკის გვერდობზე თავი მოუყრიათ ციხის დასაცავად მეომრებს, მეშურდულეებსა და დამცველ ჯარს, ყველა ესენი შიშველნი არიან. მთის ციხის გალავანზე შეგროვილი ქალები შეშინებული სახით უცქერიან ბრძოლას. უფრო ქვემოთ მოჩანს სხეულის ზედა ნაწილი ერთი მამაკაცისა მოკლესახელოებიან ტანსაცმელში, რომელსაც დიდი ჯოხი უკავია და, როგორც ჩანს, ნავს უშვებს წასასვლელად. ყოველ შემთხვევაში ის თავდამსხმელთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს და მისი ტანსაცმელი და გარეგნობა გვარწმუნებს, რომ იგი არა კრეტელია, არამედ „მიკენელი“. პირიქით, თვით ეს ციხე არ უნდა მდებარეობდეს არც კრეტაში, სადაც დიდი ქალაქები გაუმაგრებელი იყო, და არც საბერძნეთში, რადგან როგორც ციხე, ისე მისი კედლები და შენობები არსებითად არ შეესაბამება საბერძნეთის იმ დროის პირობებს. მაშ, რას წარმოადგენს ეს ციხე? იგი მცირე აზიის რომელიღაც სიმაგრე უნდა იყოს და განხილული სურათიც „მიკენელების“ მცირე აზიის ნაპირებზე შესვლას უნდა გვისახიერებდეს.

მეხუთე საფლავის ერთი მშვენიერი ხანჯლის ორივე გვერდზე გამოსახულია ნილოსის მცენარეები და ცხოველები: წყალში სცურავენ თევზები, ნაპირებზე კი დგას ეგვიპტური ნიმუშის მიხედვით შესრულებული პაპირუსის ბუჩქები, რომლებშიაც გარეული კატები იხვებს მისდევენ. ეს ხანჯალი კრეტადან კი არ უნდა იყოს მოტანილი, არამედ თვით მიკენში უნდა იყოს გაკეთებული კრეტელი ოსტატის მიერ.

საერთოდ ამ დროის მიკენის ძეგლების შესწავლა გვარწმუნებს, რომ 16-ე საუკუნეში მიკენი კრეტას ახალი კულტურის დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ბოლო აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეს კულტურა აქ, მიკენში, განსახიერებული სცენების ამორჩევასა და აგრეთვე ტანსაცმელსა და შეიარაღებაში ადგილობრივ მოთხოვნილებებთან იყო შეფარდებული. აქედან, რასაკვირველია, იმის თქმა არ შეგვიძლია, რომ კრეტელების ბატონობა საბერძნეთის ხმელეთზედაც ვრცელდებოდა. უფრო საფიქრებელია, რომ თვით მეომარი მიკენელები ახდენდენ ზღვით კრეტაზე, ციკლადებზე და მცირე აზიის ნაპირებზე თავდასხმას გაცარცვის მიზნით, ხოლო რაც შეეხება კრეტელ ხელოსნებსა და მხატვრებს, აგრეთვე კრეტადან მოტანილ მრავალრიცხოვან საგნებს, ყოველივე ეს კრეტასთან წესიერი ურთიერთობის ნაყოფი უნდა იყოს.

სურათი № 15—ბრძოლა ქალაქის კედლებთან

ამას გარდა არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ არსებობდა ადგილობრივი ოქროს ნაწარმოებები, რომლებიც უცხო სტილის მიბაძვის ცდას წარმოადგენდა, ზაგრამ მათი გამკეთებლები ამ სტილის შინაგან მხარეს ღრმად ვერ სწვდებოდენ. მათ შორის უნდა დავასახელოთ სამკაულებისათვის მომარჯვებული მრავალრიცხოვანი ფიგურები ცხოველებისა: სფინქსები, გრიფები, პოლიპები, პეპლები, ირმები, კატები, თხები და შიშველი ღმერთქალის, რომლის გარშემო მტრედი დაფრინავს, მრავალი პატარა ფიგურა და აგრეთვე მისი კრეტული კულტის შენობების პირები. ეს ღმერთქალი ბერძნების აფროდიტე უნდა იყოს (ედ. მაჯერი, II 1, გვ. 232-235). შემდეგში ბერძენთა ხელოვნებამ კრეტულ ხელოვნებასთან ურთიერთობაში თანდათანობით დიდი განვითარება და გაფართოვება განიცადა; იზრდება თვით მთავრების შეკვეთები სხვადასხვა ხელოვნურ ნაწარმოებზე. საერთოდ არქეოლოგიური აღმოჩენები გვიჩვენებს, რომ XVI საუკუნის კულტურის პრიმიტიული საფეხურიდან ბერძნები მაღლა მიიწევდენ, ვიდრე XV-XIV საუკუნეებში კულტურის დიდ განვითარებას არ მიაღწიეს. ბერძნების ასეთი წინსვლა დიამეტრულად განსხვავდება იმ თანდათანობითი დაქვეითებისაგან, რომელსაც კრეტა ამ საუკუნეებში განიცდიდა. მაგრამ რაკი ჩვენ ხელთ არ არის ამ დროის ისტორიული ცნობები, შეუძლებელია სისწორით განსაზღვრულ იქნას ამ განვითარების მიმდინარეობაში დრო ბერძნების მიერ კრეტას დაპყრობისა და უმთავრესად მათი ეგეოსის ზღვის მიდამოებში გავრცელებისა. ამიტომ ამ განვითარების მხოლოდ ზოგადი სურათის გათვალისწინება არის ამჟამად შესაძლებელი.

კრეტასაგან ერთგვარად დამოუკიდებელ შემოქმედებასა და ენერგიას ბერძნები იჩენენ თვისი უზარმაზარი სასახლეების აშენებაში. მიკენის ციხის კედლები

ისეთი დიდი ქვებისაგან იყო აგებული, რომ შემდეგი დროის ბერძნებმა იგი ციკლოპების ნაწარმოებად აღიარეს.

საერთოდ ამ დროის ბერძნების უდიდეს ციხე-სასახლეებს კრეტაზე ანალოგია არ მოეპოვება, და ვილკენის თქმით, ისინი სრულიად სხვა სულს ააშკარაევებენ, ვიდრე მათი თანამედროვე კრეტული შენობები; ამ ორი ქვეყნის ნაწარმოებებში „ცხადლივ გვიდგება თვალწინ ორი საკ.ებით განსხვავებული ხალხი: ბერძნები უფრო ძლიერად და მძიმედ, კრეტელები კი უფრო ნაზად და წარმტაცად“.

მიკენის ციხის კედელი ბერძნებს თანდათან გაუმშვენიერებიათ და ახალი კოშკებით გაუმაგრებიათ. მის მთავარ ჭიშკართან გარეგანი კედელი პოლიგონალური კი არ არის, არამედ ერთი მეორეზე წესიერად დალაგებული ქვებითაა ამოყვანილი. ამ ჭიშკრის კარის ნალზე იდვა ქვის უზარმაზარი ძელი, რომლის ზემოთ სიმძიმის შესამსუბუქებლად დატოვებულ იყო სამკუთხოვანი ადგილი, რომელშიაც ჩატანებული ყოფილა თხელი ფილაქანი რელიეფით; მასზე ეხედავთ კრეტულ სვეტს ორი ლომით, რომელთაც აწეული წინა ფეხები დასაყრდნობზე აქვსთ დალაგებული. ეს რელიეფი კრეტის კულტის შენობების ბეჭდებზე გამოსახული სურათების მანერით უნდა გადმოგვცემდეს სამეფო სასახლისა და მასში ტახტზე მჯდომი მბრძანებლების შემოკლებული გერბის მსგავს განსახიერებას. გარდა ამ ჭიშკრისა, რომლის საშუალებით შეიძლებოდა სასახლეში შესელა და რომლისაგანაც გაჰოდიოდა ყველა გზა მხარის შუაგულისაკენ, მიკენის ციხეს ჰქონდა კიდევ ერთი გამოსასვლელი, რომლითაც მისაწვდომი იყო წყარო პერსაია; უფრო გვიან კედლის აღმოსავლეთით არსებობდა კიდევ ერთი წყლის რეზერვუარი, რომლისაკენაც მიდიოდა საიდუმლო კიბეებიანი ბილიკი (მიკენის ციხისა, მისი კედლებისა და სასახლის შესახებ იხ. Fimmen, Die kret. myk. Kult. 34; 48; 143).

მიკენის სასახლისაგან დაცულია მხოლოდ მთავარი კედლის ნაწილი. ამას გარდა შესაძლებელი გახდა აქ ნანგრევთა შორის აღმოჩენილი ფრესკების აღდგენა. ამ ფრესკებით შემკობილი უნდა ყოფილიყო მეგარონის კედლები. ეს მხატვრობა განასახიერებს უმეტეს ნაწილად ომის სცენებს, სამხედრო ბანაკს და სხვ. როგორც მაღაროეანი სამარხების ვერცხლის ეაზებზე, ისე აქაც ტანსაცმელი და იარაღი მიკენური სახისაა

აქვე უნდა მოვიხსენიოთ ერთი ვოტიეური ფიქალის მხატვრობა, რომელშიაც ორი ქალი თაყვანსა სცემს ომის ღმერთქალის კრეტული სტილის ფარის მსგავს კერპს. ციხის ქვემოთ, მაღლობის დაბალ სწორკუთხოვან ზურგზე მდებარეობდა ქალაქი, რომელიც არ იყო გამაგრებული. იგი თვისი ‘ქუჩებით გვაგონებს ჰომეროსის ეპითეტს—„განიერქუჩებიანი“ და უნდა ვიფიქროთ, რომ იგი სოფლის მსგავსად იყო გაშენებული. გორაკი, ალბათ, სასაფლაოს როლსაც ასრულებდა: მის ფერდობზე აღმოჩნდა დანგრეული დიდი გუმბათოვანი სამარხები (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, II 1, გვ. 241—242).

მიკენის სამხრეთით ჰაობიან ველზე ამაღლებულია გორაკი, რომელზედაც არსებობს ნანგრევები. ეს არის ნაშთი მაგარკედლებიანი ტ ი რ ი ნ თ ი ს ა. ჰომეროსის დროს ამ ქალაქისაგან აღარაფერი იყო დარჩენილი გარდა იმ კედლებისა,

რომლებიც, გადმოცემით, ლიკიიდან მოსული ციკლოპების მიერ იყო აგებული ისეთი დიდი ქვებისაგან, რომ მათგან ყველაზე უფრო მცირეს ორი ჯორი ვერ დასძრავდა (Paus. III, 25. 8: Strabo VIII, 6). პავსანიასის სიტყვით ტირინთის კედლები არა ნაკლები გაკვირვების ღირსია, ვიდრე ეგვიპტის პირამიდები.

მთელ გორაკს, ქვედა სიმაგრის ჩათვლით, შემოვლებული ჰქონდა უზარმაზარი კედელი, რომლის კაზემატები მიკენური ხუროთმოძღვრების ერთი თვალსაჩინო ქმნილებათაგანია. ტირინთის სასახლე კრეტას შენობათაგან სრულიად განსხვავებული ტიპს წარმოადგენდა. სასახლის დიდ გახსნილ ეზოს სამხრეთით საზღვრავდა ორი მაგარი ჰიშკარი. პატარა ჰიშკრის საშუალებით შეიძლებოდა შესვლა სწორკუთხოვან ეზოში, რომელიც გარშემორტყმული ყოფილა სვეტებიანი გალერეით; მის შუა ადგილას მდგარა ძველს ჰერკეიოსის (სახლის კერის დამცველის) სამსხვერპლო; ამ ეზოდან შედიოდენ შეხობის მთავარ ნაწილში—მეგარონში, სადაც იმყოფებოდა კერა და სამეფო ტახტი. კრეტის სასახლესთან განსხვავებით, ეს ცენტრალური სადგომი ბატონობდა მთელ შენობაზე და მის გარშემო გავლებულ კედელთან ორგანიულ კავშირში ჰქმნიდა მთლიან საერთო შთაბეჭდილებას. მაგრამ აქაც, როგორც მიკენში, ზოგიერთი რამ კრეტული ნიმუშის მიხედვით იყო შესრულებული, მაგ., ხის სვეტები, ალაბასტრის ფრიზები ნახევარ-როზეტებით და სხვ. მეგარონის გარშემო, როგორც კრეტაში, უგეგმოდ მოთავსებული იყო მრავალრიცხოვანი ოთახები და ტალანები, რომელთა შორის ყურადღებას იპყრობს ვანის ოთახი. არა ნაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ აქვე დიდი მზრუნველობით არის მოწყობილი წყალსადენი და კანალიზაცია სასახლის მთავარი ნაწილის მარჯვნით იმყოფებოდა მეორე, ალბათ, ქალების ნახევარი, რომელსაც პირდაპირი და დამოუკიდებელი კავშირი არ უნდა ჰქონოდა დიდ დარბაზთან და მისგან მთელი რიგი კარებითა და გასავლით იყო განცალკევებული. ამ ნახევარში უფრო მოშორებით იყო საწოლი ოთახი, სალარო, და ზარდაფხანი. ტირინთის კედლის მხატვრობა განასახიერებს უმეტესად ქალების პროცესიათ და ნადირობათ. შესრულების მხრივ ეს მხატვრობა გვიჩვენებს ძლიერ ზურგშებრუნებას ძველი ფორმებისადმი. ტირინთის ქვედა სიმაგრე, ალბათ, თავშესაფარი იყო ადამიანებისა და ცხოველებისათვის ომიანობის დროს; მის ქვემოთ არსებობდა გაშლილი ადგილი, რომლისაკენაც დასავლეთის მხრით მიემართებოდა მაგარი ზღუდით გამაგრებული ვიწრო კიბეებიანი გზა.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ტირინთსა და მიკენს შორის სულ 15 კილომეტრის მანძილი არსებობდა ამან გამოიწვია ის მოსაზრება, თითქოს ერთი მთლიანი სამეფო დროთა ვითარებაში ორ დამოუკიდებელ სამთავროდ დანაწილდა. მაგრამ, როგორც დავინახავთ, ეს ასე არ უნდა იყოს. ასეთი გამოყოფა სანაპიროებისა შიდა-მხარისაგან გეოგრაფიულადაც და ისტორიულადაც შეუძლებელი რამ არის; თვით მიკენი გარეშე ზღვასთან კავშირისა წარმოუდგენელია. ამის დამამტკიცებელია გზების დიდი ბადე, რომელიც მიკენის სიმაგრის ლომის ჰიშკრიდან იწყებოდა. მთების ფერდობებზე შენახულია ამ გზების მრავალი ნაშთი: ყველა ეს გზა „ციკლოპური“ სტილით არის აგებული. ამასთან ყველა ნაკადზე და წყლის გასასვლელზე აგრეთვე ციკლოპური სტილით იყო გადებული ხიდები. ეს გზები მოჩარჯვებული უნდა ყოფილიყო, ალბათ, მჩატე

ორბორბლიანი საომარი ეტლებისათვის, რომელთაც ადვილად შეეძლოთ მთელ მხარეში მოძრაობა და საჭიროებისამებრ ყველგან გამოჩენა. სამი ამ გზებისაგან მიემართებოდა ჩრდილოეთით და აღმოსაელეთით ისთმამდე, მეოთხე პროსიმნასკენ. გზების ასეთი მოვლილობა იმას უნდა გვიმტკიცებდეს. რომ ამ დროს მიკენი გაბატონებულ მდგომარეობას განიცდიდა და რომ მისი სახელმწიფო მეტად ძლიერი იყო. ეს ფაქტი უარყოფს აგრეთვე იმ ფრიად გავრცელებულ მოსაზრებას, თითქოს, მიკენის ეპოქაშიაც ბერძნების პოლიტიკური მდგომარეობა ისევე პრიმიტიული და დაქუცმაცებული იყო, როგორც ჰომეროსის საბერძნეთში. საბუთი არა გვაქვს ტირინთი დამოუკიდებელ სამეფოდ წარმოვიდგინოთ; პირიქით საფიქრებელია, რომ იგი მეორე სამეფო ქალაქი იყო, რომელიც საზღვაო ვაჭრობის ინტერესების მიხედვით, რაც შეიძლება, ზღვასთან ახლოს იყო დაარსებული (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, გვ, 244—246). არგოლიდას სხვა ადგილები, სადაც კი აღმოჩნდა ნაშთები მიკენის დროისა, როგორც, მაგ, პროსიმნა, მიდეია, ნავპლია და სხვ., იყო, ალბათ, აზნაურთა გვარების სამკვიდრებელი ადგილები, მაგრამ ეს უკანასკნელნი არა დამოუკიდებელი დინასტები, არამედ მიკენის მეფის მოლაშქრეები უნდა ყოფილიყვენ. ამას გვიმტკიცებს საფლავების შესწავლა. ამ მხარეში ყველგან აღმოჩენილ იქნა საფლავები კლდეში მიკენური ნივთებით, და მხოლოდ სამი გუმბათოვანი: ერთი პროსიმნასთან, მეორე მიდეიასთან და მესამე ტირინთან. მათთან შედარებით კი სულ სხვაა მიკენის ახალი გუმბათოვანი საფლავები. მაშინ, როდესაც მეფეები მიკენში ძვირფას საფლავებს იშენებდენ, სხვა ადგილებში მსგავსი რისამე აგებას მხოლოდ შემთხვევით უფრო შეძლებული და გავლენიანი მაგნატები თუ ახერხებდენ.

გუმბათოვანი საფლავების შემოღების ხანა არის მიკენის კულტურის სრული აყვავების დრო. წარჩინებული მაგნატები თვის საგვარეულო საფლავებს აწყობდენ კლდის ფოსოებში. აქ სწორკუთხოვანად აგებულ ოთახში შეეყაენართ განსაკუთრებულ შესავალს, რომელსაც, როდესაც საფლავი უკვე საჭირო აღარ იყო, მიწით ავსებდენ და ქვის ლოდით ხურავდენ მეფის საფლავებისათვის კი კლდეში ჯერ დიდ ხელოვნურ გამოქვაბულს ამზადებდენ, შემდეგ კი მაგარ მრგვალ შენობას, რომელსაც ჰქმნიდენ ქვის კონცენტრული წრის საშუალებით თანდათან დავიწროვებული დიამეტრისაგან ისე, რომ ეს შენობა თავში სკის მსგავსად თაღით მთავრდებოდა, რომლის დახურვაც ერთი ქვით შეიძლებოდა. შემდეგ მას მიწას აყრიდენ; მისი შესავალი წარმოადგენდა კლდეში გამოკრილ გასასვლელს (დრომოსი). ამ საფლავების აგებულობის ტექნიკა და მხატვრობა დიდად გაუმჯობესებულია მაღაროვან სამარხებთან შედარებით, განსაკუთრებით ძვირფასია ეგრეთწოდებული ატრეოსის საუნჯე. გუმბათოვანი ნაშენობის კედლები შემკულია ბრინჯაოს როზეტებით; გვამებისათვის მიშენებულია მრავალკუთხიანი კამერა და ამგვარად მთავარი შენობა მიცვალებულთა ღვთისმსახურებისათვის განკუთვნილად მოჩანს; შესავლის კარები დეკორაციითაა შემკული. ეს საფლავი და ლომების ჭიშკარი ერთ დროს და ერთისა და იმავე მბრძანებლის მიერ უნდა იყოს აგებული. უფრო ახალი დროის უნდა იყოს ლომების ჭიშკრის მახლობლად აღმოჩენილი სამარხი, რომელსაც დღეს „კლიტემნესტრას საფლავს“ უწოდებენ.

ამ დიდი გუმბათოვანი საფლავების ამგებელ მეფეებს დაახ. 15 საუკუნის დასასრულიდან 13 საუკუნის მეორე ნახევრამდე უნდა ემეფნათ. ეს ძეგლები საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც აქ მიცვალებულთა კულტს ჰქონია. როგორც ეგვიპტეში, ისე მიკენში მბრძანებელ-





სურათი № 16 და 17 — ატრეოსის საუნჯე.

თა და მაგნატების შეძლების უდიდესი ნაწილი იმას ხმარდებოდა, რომ შეექმნათ მიცვალებულთათვის განსვენების მყუდრო ადგილები. რ.თა მიცვალებულთა სამყაროში მათ ორა დაკლებოდათ რა, თან ატანდენ ყველაზე უფრო ძვირფას საგნებს და ამას გარდა მათ საფლავებზე ჰკლავდენ მათ მსახურთ, როგორც მამაკაცთ, ისე დედაკაცთ და აგრეთვე რაშებს. როგორც ჩანს, იმ დროის ბერძნებს სწამდათ, რომ მიცვალებულთა სულს სჭირდება სისხლი, რათა ცოცხლად შეინარჩუნოს მოჩვენების მსგავსი არსებობა. საფლავებში მრავლად აღმოჩენილი უფრო ახალი სახის ჭურჭლეულობის ნატეხები გვიჩვენებს, რომ განსაზღვრულ დროს მიცვალებულთა ნათესავები იკრიბებოდენ მათ საფლავებზე და ასრულებდენ მათ მოსახსენებელ ღვთისმსახურებათ.

დასასრულ უნდა შევჩერდეთ ა რ გ ო ს ი ს ს ა მ ე ფ ო ს' დახასიათებაზე. უნდა ვიფიქროთ, რომ არგოლიდაში ერთი მთლიანი სამეფო არსებობდა, რომლის მბრძანებლები საბერძნეთის ზოგიერთ სხვა ნაწილზედაც ბატონობდენ. არგოსის მთლიანი სამეფოს არსებობას ამტკიცებს ამ მხარის მთლიანობა სარწმუნოებაში. მას ჰყავდა მხოლოდ ერთი მფარველი ღვთაება და ერთი სარწმუ-

ნოებრივი ცენტრი. სახელდობრ ამ მხარის დიდი ღმერთქალის ჰერას (Ἥρα Ἀργεία) საკურთხეველი, რომელიც პროსიმნასთან მთის ძირში მიკენიდან ტირინთისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა.

მიკენის მეფეები უაღრესად მდიდარი და ძლიერი უნდა ყოფილიყვენ და თავის სრულ მორჩილებასა და ნახევრად – ყმურ მდგომარეობაში უნდა ჰყოლოდათ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი: ასეთი უზარმაზარი შენობების აგება ისე, როგორც პირამიდებისა ეგვიპტეში, არსებითად მხოლოდ ისეთ მბრძანებელთ შეეძლოთ, რომელთა სრულ განკარგულებაში იქნებოდა ქვეშევრდომთა მთელი სამუშაო ძალა. მეფის გვერდით ეხედავთ შეძლებულ და ძლიერ მაგნატებს, რომლებიც უმთავრესად მეფის მოლაშქრეებს წარმოადგენდენ.

რომ მიკენის სამეფო ნამდვილად სცილდებოდა არგოსის საზღვრებს, ამ ფაქტის ერთგვარ გამოძახილს ვამჩნევთ სხვადასხვა ძველ თქმულებაში. ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ეპოსი ტროიას ომის შესახებ. მართალია მასში არსებითად მხოლოდ წვრილ დამოუკიდებელ სამეფოებს ეხედავთ, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის ძველი და სარწმუნო ტრადიცია, რომელსაც იგი უნდა ემყარებოდეს, შემდეგში დაჩრდილულ იქნა უფრო ახალი ფენებით. მასში მიკენის მეფე აგამემნონი უძლიერეს მეფედ არის დასურათებული, რომელსაც დანარჩენი მეფეები თვის წინამძღოლად და ზემდგომად აღიარებენ. ამასთან აგამემნონის გვარი დაკავშირებულია პელოპსთან, რომლის სახელს ატარებს თვით ის ნახევარკუნძული — „პელოპსის კუნძული", სადაც არგოსი მდებარეობდა. შეიძლება აქედან აიხსნება ის ფაქტი, რომ, თითქოს, მისგან წარმოშობილ გვარს გაბატონებული მდგომარეობა ჰქონდა მინიჭებული. საერთოდ ტროიას ომის ეპოსში ჩვენ შეგვიძლია გარკვეულად გავარჩიოთ ისტორიული სინამდვილის მარცვალი. ჩვენ უკვე ვიცით, რომ მიკენის მეოთხე მაღაროვანი საფლავის ერთი ვერცხლის ვაზა გვისახიერებს „მიკენელების" თავდასხმას მცირე აზიაზე. მართალია აქედან ძნელია იმ დასკვნის გამოტანა, თითქოს, ეს სურათი ტროიას ომს განასახიერებს, მაგრამ მეორის მხრით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ტროიაში ადგილობრივ კერამიკასთან ერთად აღმოჩენილ იქნა მიკენური ჭურჭლეულობის მრავალი ნატეხი. ამის მიხედვით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ XIV-XIII საუკუნეებში მიკენსა და ტროიას შორის არსებობდა გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობა. მიკენის საქონლის სწორი ექსპორტი გასაგებად ხდის იმ მოსაზრებას, რომ აქ სავაჭრო ინტერესები აგრეთვე პოლიტიკისათვისაც სახელმძღვანელო მნიშვნელობას აღწევდა. ვინაიდგან გაფართოებისა და ნადაელის მოპოვების მისწრაფებამ სწორედ ტროიაზე გალაშქრება გამოიწვია, ამავე მისწრაფებიდან უნდა გამომდინარეობდეს ის, რომ „მიკენელები" ცდილობდენ შავი ზღვისაკენ მიმავალ დიდ საზღვაო გზებზე ბატონობა ხელში ჰქონოდათ. ყოველ შემთხვევაში ქალაქი ტროია თქმულებასთან შეთანხმებით, დანგრეულ და გადამწვარ იქნა და ამის შემდეგ დიდხანს წარმოადგენდა ნანგრევების ადგილს (ე დ. მ ა ი ერ ი, ibid. 300).

თქმულება ჰერაკლეს შესახებ გადმოგვცემს, რომ რეზინდენცია ევრითეოსისა, რომელსაც ძევესმა აღუთქვა გარშემომდებარე მხარეთა მოსახლეობაზე ბატონობა და რომლის სამსახურში იმყოფებოდა თვით ჰერაკლე, მიკენში არსებობდა: აქ მოაქვს ჰერაკლეს მისთვის თვისი ნადაელი.

მესამე დიდი თქმულება არგოსის თებას წინააღმდეგ ძლევამოსილი ბრძოლის შესახებ, ვილკენის აზრით (Gr. Gesch. გვ. 33) ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აქაელთა სამეფო შუა-საბერძნეთზედაც ერცელდებოდა. ეს ბერძნული ეპოსი გვიამბობს არგოსის მეფის მეთაურობით თებაზე გალაშქრებას და, როგორც ჩანს, განსაკუთრებით ჰეზიოდეს მიხედვით, ეს ამბავი ტროიას წინააღმდეგ ბრძოლის თანაბარი წარმოშობისა უნდა იყოს. ამ თქმულების დახასიათება თავის ადგილას გვექნება, აქ კი აღვნიშნავთ, რომ სიკიონის მეფის ადრასტის სალაშქრო გალაშქრება თებას წინააღმდეგ, მაშასადამე, ცდა თვისი საბრძანებელის შუა-საბერძნეთშიც გავრცელებისა, სავსებით გასაგებია იმ პირობებში, რომელსაც იმ დროს მიკენი განიცდიდა. მართალია, გადმოცემის მიხედვით თავდასხმა, თითქოს, უკუგდებულ იქნა და თვით მეთაურები დაეცენ ბრძოლის ველზე თებას ჭიშკართან, მაგრამ საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ არგოსის სამეფოს გავლენა ერთგვარად მაინც იყო გავრცელებული შუა-საბერძნეთშიც. რა თქმა უნდა, ასეთი მოსაზრება ჯერ კიდევ საჭიროებს უფრო მეტ დასაბუთებას, ხოლო იგი სიმართლესთან დაახლოებულად მაინც უნდა ჩაითვალოს.

2. პელოპონესის სხვა კუთხეები. შუა-საბერძნეთი — ბეოტია; ორქომენი. ევბეა. ატიკა. ეგეოსის კუნძულები. ჩრდილოეთ-საბერძნეთი.

მიკენური კულტურის ნაშთებს ვხვდებით არა მარტო არგოლიდაში, არამედ სხვა მხარეებშიც, და ეს ფაქტი ცხადად გვარწმუნებს, რომ საბერძნეთის მიდამოებში ეს კულტურა ფართოდ გავრცელებული ყოფილა.

ევროტასის ველზე ვაფიოს მახლობლად მდებარე გორაკზე აღმოჩენილ იქნა გუმბათოვანი საფლავი, რომელშიაც იპოვეს ახალ-კრეტული ხელოვნების ორი ძვირფასი ნაწარმოები — ოქროს თასები მშვენიერი რელიეფებით; ერთზე



სურათი № 18 და 19—ვაფიოს ოქროს თასები

გადმოცემულია ხარების დაჭერა, მეორეზე კი — საბალახოზე გამოშვებული საქონელი. ამ ადგილის მახლობლად მდებარეობდა ძველი ამიკლო, რომელიც ოდესღაც ლაკონიელი აქაელების მთავართა სატახტო ქალაქი უნდა ყოფილიყო. იგი ცნობილია აგრეთვე აპოლონ ამიკლოელის კულტით, რომლის გავრცელების კვალს ვამჩნევთ კიპრში და კრეტაშიც. ამ კულტის ჩანასახს წარმოადგენს „მშვენიერი ყმაწვილის“ იაკინთეს სამგლოვიარო დღესასწაული Uaxivllia. ეს დღესასწაული ძველი წინა—ბერძნული მოსახლეობის მიერ უნდა იყოს შექმნილი, და სპეციალისტების აზრით თვით სახელწოდება მისი მცირეაზიული წარმოშობისაა. ამიკლოს ტაძრის მიკენის დროის ფენები და მათში აღმოჩენილი საგნები გვიჩვენებს, რომ სამსხვერპლო სისხლი აქაც მიწაზე იღვრებოდა.

პელოპონესის დასავლეთ ნაპირზე ერთი პატარა სიმაგრის ქვეშ მდებარეობდა კაკოვატოსი, რომელიც ჰომეროსის პილოსი, ნელევსისა და ნესტორის ქალაქი უნდა იყოს. აქ აღმოჩნდა სამი გუმბათოვანი საფლავი, რომელშიაც მრავლად იპოვეს ძვირფასი კერამიკა, ამფორები, ქარვა და ცალკეული სამკაულები.

გადავიდეთ პელოპონესიდან შუა-საბერძნეთში. აქ ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ბეოტია, რომლის განთქმულ მთას ჰელიკონს—მუზების ადგილსამყოფს—დიდი მნიშნელობა მიენიჭა მთელ საბერძნეთში. საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიკენის ეპოქაში იგი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და მხოლოდ შემდეგში გააერთიანეს ბეოტიელებმა. მის სამხრეთ ნაწილში ძველად იმყოფებოდა კადმელთა სამეფო მთავარი ქალაქით — თებათი. მისი სიმაგრე, რომელსაც ჩვეულებრივ კადმეას უწოდებდენ, ყველა სხვა მიკენური ციხისაგან განსხვავდებოდა იმით, რომ შვიდი პიშკარი ჰქონდა. დღეს იგი წარმოადგენს სასახლის ნანგრევებს ფრესკების ნაშთით, რომელიც სტილის მხრით მიკენისა და ტირინთის კედლის მხატვრობას მოგვაგონებს, და საფიქრებელია, რომ იგი 14 საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს შესრულებული.

ბეოტიის ჩრდილოეთი ნაწილი წარმოადგენდა ნაყოფიერ ველს, რომელზედაც მიმდინარეობდა კეფისი თვისი მრავალრიცხოვანი შენაკადებით. აღმოსავლეთის მხრივ ამ მდინარეს ზღვისკენ გზას უღობავდა მთა, მაგრამ მიწის ქვეშ გაკვანილი მრავალი ხერელი (კატაბოთრები) უქმნიდა მას ხელოვნურ გასავალს. ქრ. წ. მეორე ათასეული წლების დასასრულს კატაბოთრები ამოვსებულა და ეს ოდესღაც კულტურული ქვეყანა კოპაიდის ტბად გადაქცეულა, რომელიც მხოლოდ 1892 წელს ამოაშვრეს. დღეს აქ გვხვდება ციკლოპური ქვებისაგან გაკეთებული თავისებური ყორეები, რომლებითაც წყალს აგუბებდენ და შემდეგ კი ყანების მოსარწყავად ანაწილებდენ; ბოლოს წყალი კატაბოთრებისაკენ მიემართებოდა და მათი საშუალებით ზღვას უერთდებოდა. აღმოსავლეთით დაბალ კლდოვან პლატოზე მდებარეობდა ტირინთის მსგავსი, ხოლო უფრო ერცელი სიმაგრე, რომელსაც გარს ერტყა უზარმაზარი ციკლოპური კედელი. მის მარცხენა მხარესთან არსებობდა სასახლის საძირკველი, ხოლო კუნძულის შუაში დიდი ეზო, რომელიც მეომრების შესაკრები პუნქტი უნდა ყოფილიყო. სხვა შენობათა ნანგრევები არ აღმოჩენილა, ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ქალაქი-ციხე, რომელიც შეიძლება ჰომეროსის არნეს შეესაბამება, ადრე იქნა მცხოვრებლების

მიერ მიტოვებული და შემდეგშიც აღარ გაუახლებიათ. მისი კავშირი ზღვასთან უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო მთის მწვერვალებზე აგებული სიმაგრეებით.

ბეოტიის ველის დასავლეთ ნაპირთან მდებარეობდა ქალ. ორქომენი. ეს ადგილი უწინარეს ყოვლისა შესანიშნავია იმით, რომ აქ გვხვდება უძველესი მოსახლეობის ფენები, რომლებსაც მესამე ათასეული წლების ნეოლითურ ეპოქაში გადავყავართ; ეს არის წინა — ბერძნული მოსახლეობის ბრგვალი და ოვალური ქოხები და შემოსეული ბერძნების მიერ მათზე დაშენებული სწორკუთხოვანი სახლები თვისი დამახასიათებელი ნაშთებით. აქვეა აღმართული მიკენური ქალაქის შენობები სასახლის ფრესკების მცირე ნაშთით. თვისი სტილით ორქომენის ეს კედლის მხატვრობა ტირინთის ახალი სასახლის ფრესკებს შეესაბამება. (ორქომენის შესახებ უფრო დაწვ. Bulle, Orchomenos 1907).

ორქომენში აღმოაჩინეს აგრეთვე დიდი გუმბათოვანი საფლავი, რომელიც თავისი ნაგებობის სახითა და სიდიდით ატრეოსის საუნჯის თანასწორი წარმოშობისაა, მაგრამ აღემატება მას თვისი სამარხი კამერის საუცხოო ქანდაკებით შემკული ჭერით, რომლის ორნამენტიკას წარამოდგენს სპირალური ლენტები ყვავილებით და ჩარჩოები როზეტებისაგან. (ე. დ. მაჯერი, II 1, გვ. 260. ფიმენის დას. წიგ.გვ. 70, 71, 72 და სხვ.) დღეს ეს საფლავი „მინიასის საუნჯის“ სახელწოდებით არის ცნობილი.

ორქომენის სამეფო დიდხანს ყოფილა განთქმული თავისი ძლიერებით. გადმოცემის მიხედვით, ორქომენის მეფემ ერგინოსმა დაამარცხა თებელები და თვის მოხარკეებად გაიხადა. ეს გადმოცემა სარწმუნო ტრადიციას უნდა ემყარებოდეს. ნართალია, იგი გვიამბობს იმასაც, რომ შემდეგში ჰერაკლემ დაამარცხა ერგინოსი და ორქომენი თებელებს დაუმორჩილა, მაგრამ ე. დ. მაჯერის სამართლიანი თქმით, „ეს არის რეფლექსი თებას სუპრემატიის დაწესებისა ამასობაში აგრეთვე ბეოტიურად გამხდარ ორქომენზე.“ ჩვენ სრული საბუთი გვაქვს ასე ვიფიქროთ, რადგან მაგ., თუკიდიდეც აღნიშნავს (IV 76), რომ „წინათ ორქომენს „მინიურ ორქომენს“ უწოდებდენ, ახლა კი ბეოტიურსო“ (Ὀρχομενὸν τὸν Μινύειον πρότερον καλούμενον, νῦν δὲ Βοιώτιον,). რას უნდა გამოეწვია ამ ერთ დროს ძლიერი ქალაქის დაქვეითება? ალბათ იმას, რომ დროთა მსვლელობაში კატაბოთრები უყურადღებობის გამო ამოივსო და მის ადგილას წარმოიშვა დიდი ტბა, რომელმაც შეუძლებელი გახადა სახნავ-სათესი ადგილების დამუშავება.

როგორც დავინახეთ, ამ ქალაქს ძველად „მინიურ ორქომენს“ (Ὀρχομενὸς Μινύειος) უწოდებდენ. ამ სახელწოდებაში დაცულია ადგილობრივი უძველესი მცხოვრებლების სახელი — მინიელები. ჰომეროსის შემდეგ ეს სახელი არგონავტებზე გადაიტანეს, რომლებიც თესალიის ნავთსადგურ იოლკოდან გაემართენ თვის შორეულ მოგზაურობაში, როგორც ამას თესალიური და ბეოტიური თქმულებები გადმოგვცემს. ამას გარდა ყველგან, სადაც გვარებსა და ტომებს თვისი თავი არგონავტების ჩამომავლობად მიაჩნდათ, მათ მინიელებად აღნიშნავდენ. ამის მეოხებით ის აზრი წარმოიშვა, რომ მინიელები ოდესღაც საბერძნეთის სამყაროში ერცლად განსახლებული ხალხი ყოფილა, რომელიც, თუმცა სხვა სახელწოდების ქვეშ, მაგრამ ისტორიულ ხანაშიც შენარჩუნებული მოჩანს. ამასთან ერთად, თესალია და ბეოტია თავდაპირველად დიალექტურად ორ

მთლიან მხარეს წარმოადგენდა. აქედან შემდეგში კოლონისტები ლესბოსსა და მის პირდაპირ მდებარე სანაპიროებზე გადასულან და თან წაულიათ თვისი ძველი კულტი და თქმულებები, რომელთაც ახალ ადგილებში შემდეგი განვითარება განუცდიათ. ხალხთა დიდი ჯგუფი, რომელიც აქ შეცნობისათვის ხელმისაწვდომი გახდა, უნდა შეეკერთოთ ეოლელების სახელწოდების ქვეშ, რომლითაც ეს კოლონისტები თავის თავს აღნიშნავდენ. ეს მთლიანობა სრული სიცხადით გვეელინება სოციალურ დარგშიც. ამას ედ. მაჯერი ფრიად საყურადღებო მოსაზრებით ასაბუთებს: თუ ყველა სხვა ბერძენი ტომი მამისაგან შვილის უფლებრივ დამოკიდებულებას, რომელზედაც დამყარებული იყო თემის წევრობა, მამის სახელის გენეტივში მიმატებით აღნიშნავდა, თესალიურსა, ბეოტიურსა და ლესბურში იგი ყოველთვის მამის სახელის პოსესივ ადიექტივის ფორმით გამოიხატებოდა. საბერძნეთში რომ ეოლელების სახელწოდება ფართოდ იყო გავრცელებული, ამის კვალს ვამჩნევთ იმაშიც, რომ ეტოლიის ნაპირებთან მდებარე მხარეები კალიდონი და პლევრონი, რომლებიც თქმულებებში დიდ როლს თამაშობდენ და აგრეთვე თებას წინაღმდეგ ომთანაც იყნენ დაკავშირებული, მეხუთე საუკუნეშიც ეოლის სახელს ატარებდენ. შემდეგში ეოლის ეპონიმი თესალიაშიც იქნა გადატანილი, სადაც მიკენის კულტურამ აგრეთვე დაგვიტოვა თვისი კვალი (ედ. მაჯერი, II 1, გვ. 261-264). ბეოტიის მეზობლად მდებარე კუნძულ ევბეაშიც აღმოჩენილ იქნა მიკენური კულტურის ნაშთები (იხ. Fimmen, o. c. გვ. 6); მაგ. ქ. ქალკისთან იპოვეს რამდენიმე გუმბათოვანი და კამერიანი სამარხი მიკენური ჭურჭლებით. თვით კუნძულის გეოგრაფიული მდებარეობა და ზოგიერთი სხვა ფაქტი სარწმუნოდ ხდის იმ მოსაზრებას, რომ მას ძველადვე ჰქონდა სავაჭრო ურთიერთობა მახლობელ მხარეებთან. ევბეას მოსახლეობას ჰომეროსი აბანტების სახელწოდებით იხსენიებს. ედ. მაჯერის გამოკვლევით ოროპში V ს-ში და შესაძლებელია ამაზე ადრეც იმავე დიალექტზე ლაპარაკობდენ, როგორზედაც მის პირდაპირ მდებარე ერეტრიაში, და აქ დამკვიდრებული ტომი-გრეელები, რომელთა სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი ქ. ტანაგრას სახელწოდება, ბერძენთა კოლონიზაციის დროს მჭიდრო კავშირში მოჩანან ქალკისთან და მონაწილეობას იღებენ კამპანიაში კუმის დაარსებაში. გრეელების სახელწოდებიდან უნდა შეექნათ რომაელებს ბერძნების საერთო სახელი Graici[1].

აბანტების გარდა ძველ მწერლებს სხვა ტომებიცა ჰყავთ დასახელებული, მაგრამ მათზე აღარ შევჩერდებით [2]. საერთოდ აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ჯგუფი არა განსხვავებულ ხალხებად უნდა მივიჩნიოთ, არამედ ცალკეულ პატარა ტომებად.

ჩვენი მიზნისათვის შუა-საბერძნეთში გარდა ბეოტისა, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს ატიკას, სადაც მიკენური გუმბათოვანი სამარხები აღმოაჩინეს ელევსისთან, აქარნესთან (მენიდისთან), თორიკოსთან და სხვ.

---

[1]) გრეელების შესახებ იხ. Wilamowitz, Hermes XXI.

[2]) მათ შესახებ იხ. Fimmen, Besiedlung Boeotiens bis in Frühgriech. Zeit (Neue Jahrb. 29, 1912).

თვით ათენის აკროპოლში, სახელდობრ იმ ადგილას, სადაც შემდეგში ბერძნებმა აღმართეს თვისი განთქმული პართენონი, მეორე ათასეულ წლებში იდგა „მიკენური“ სამეფო სასახლე (Πελλαργικὸν ἀνακάπυλον). გადმოცემა უფლებს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ატიკის ზოგიერთი ნაწილი უძველეს დროს დამოუკიდებელ არსებობას ატარებდა, მათ შორის - ელევსისი, მარათონის ტეტრაპოლისი და სხვ. მაგრამ საბერძნეთის სხვა მხარეებისაგან განსხვავებით ატიკის ამ დამოუკიდებელი ნაწილების მოსახლეობა საკუთარი სახელწოდებით თითქმის არ არის ცნობილი; პირიქით მთელი ატიკის მოსახლეობა ყველა დროში იწოდებოდა მთავარი ქალაქის მიხედვით –ათენელებად (Ἀθηναῖοι). ტრადიცია შესაძლებელად ხდის დავუშვათ, რომ უკვე მიკენის ეპოქაში ათენის[1] სიმაგრის ამშენებელი მთავრები იწყებენ ატიკის გაერთიანებასა და საფუძველს უყრიან მთლიანი სახელმწიფოს დაარსებას. ასეთი შორეული წარსულიდან უნდა მომდინარეობდეს ატიკის მთლიანობა, რომელიც შემდეგში არასოდეს არ დარღვეულა.

არსებობს კრეტა-მიკენის კულტურის კვალი დელფოშიც. ეგებ, უსაფუძველოდ არ იყოს დაკავშირებული ლეგენდებში კრეტა და დელფოს აპოლონი.

რაც შეხება ეგეოსის ზღვის კუნძულებს, აქ ძველი კრეტული კულტურის ადგილი შემდეგში მიკენის კულტურას დაუკავებია. თვით ბერძნების ნაწილობრივი განსახლება ამ კუნძულებზე ამ ხანებში უნდა დაწყებულიყო. ციკლადებზე გვხვდება მიკენური ჭურჭლების ნატეხები იმავე სტილისა, როგორისაც არგოლიდაში. ნაკოსში იპოვეს გუმბათოვანი საფლავი, რომელიც მიკენის მსგავს სამარხებს მოგვაგონებს. მელოსში ფილაკოპის მეორე ახალკრეტული ქალაქი ცეცხლის მიერ ყოფილა განადგურებული და მასზე მესამე აუშენებიათ, რომელშიაც დაცული აღმოჩნდა დიდი სახლი შუაში კერით და მიკენური კედლის მხატვრობის ნაშთებით. თერაში ამოთხარეს მიკენური მოსახლეობის შენობები. კუნძულ როდოსის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარე ქ. იალისი შეიცავს დიდ მიკენურ ნეკროპოლისს, და სხვ.

ნათქვამიდან ცხადია, თუ რა ფართოდ ყოფილა გავრცელებული მიკენელების გავლენა და მოსახლეობა სამხრეთ და შუა-საბერძნეთში და ეგეოსის კუნძულებზე.

რაც შეხება ჩრდილოეთ საბერძნეთს, აქ თესალიაში, მართალია, აღმოჩენილ იქნა მიკენის კულტურის ნაშთები, მაგ., ვოლოში-გუმბათოვანი სამარხი, მაგრამ უფრო საყურადღებოა მიკენური ფენის ქვეშ არსებული კვალი გაცილებით უფრო ძველი ნეოლითური კულტურისა, რომელიც აქ დიდი ხნის განმავლობაში უნდა არსებულიყო და რომლის დასაწყისი მკვლევარის ცუნდას (Tsountas) მოსაზრებით ქრ. წ. 3000 წლებს უნდა მივაკუთნოთ. ზოგიერთი მკვლევარის, მაგ. Wace'ს, Thompson'ისა და Dussaud'ის აზრით, პრეისტორიულ ხანაში თესალიაში გავრცელებული იყო სხვა წარმოშობის კულტურა, ვიდრე ის, რომელიც კრეტადან გამომდინარეობდა; თესალია საბერძნეთში წარმომადგენელი იყო იმ

---

[1]) საბერძნეთში გარდა ატიკის მთავარი ქალაქის ათენისა ცნობილია კიდევ ორი ქალაქი ამ სახელწოდებით: 1) Ἀθῆναι Λιάβας ევებას ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაპირთან, და 2) ბეოტიაში კოპაიდის ტბის მიერ უკვე ძველადვე დაფარული ქალაქი.

მიმდინარეობისა, რომელიც ჩრდილოეთიდან, შუა-ევროპიდან მოდიოდა; აქ ორივე მიმდინარეობა ერთიმეორეს ხვდებოდა და ამიტომაც თესალია იყო თავისებური ბარიერი ეგეოსის სამყაროსა და ბალკანეთის ხალხებს შორის. მიკენის გავლენა აქ გეიან გაერცელდა და არც ღრმად დაუტოვებია თავისი კვალი (იხ. В. П. Бузескул. Открытия XIX и начала XX века... II, გვ. 169). საერთოდ თუ ახლო წარსულში თითქმის ყველა ისტორიკოსის მ[illegible]ერ გაჩიარებული იყო თქმა: „Ex Oriente lux“ და გარკვეულად ითვლებოდა, რომ ბერძნულმა კულტურამ თვისი განაყოფიერება შპოლოდ აღმოსავლეთიდან მიიღო, დღეს უკვე ამ მხრით სრულებით საწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამს ზოგიერთი ისტორიკოსი. ასე. მაგ., პრეისტორიული ხანის ცნობილი მკვლევარი კარლო შუხჰარდტი სამი წლის წინათ გამოცემულ შრომაში სწერს: „არა აღმოსავლეთიდან, როგორც შეუძლია ბევრს ჯერ კიდევ ირწმუნოს, არამედ დასავლეთიდან, საფრანგეთისა და ესპანიის პალეოლითის კულტურიდან იღებდა ხმელთაშუა ზღვა თვის მთავარ აღმძვრელ ძალას“-ო (Karl Schuchhardt, Alt-Europa, München 1926, გვ. 146, იხ. აგრეთვე გვ. 225).

დღეს ამ საკითხის გარშემო ორი განსხვავებული პანაკია წარმოშობილი. მაგრამ აქ ადგილი არ არის შევჩერდეთ იმ მოსაზრებებზე, რომელთაც თითოეული მათგანი თვისი დებულებების დასამტკიცებლად გეიდგენს. როგორც არ უნდა გადაწყდეს საბოლოოდ ეს ფრიად საყურადღებო საკითხი, ყოველ შემთხვევაში ცხადია, რომ თესალიის [1] ნეოლითურ კულტურას ერთგვარი შეხვედრის წერტილები აქვს ტროიას და საერთოდ ეგეოსის კულტურასთან. ამას გარდა თვით თესალიაშიც ხომ გარკვეულად ჩანს მიკენის კულტურის ნაშთები, რომელთა ქვემოთ იქნა აღმოჩენილი ნეოლითური კულტურის ძეგლები.

4. ვაჭრობა მიკენის პერიოდში. სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა. უძველესი თქმულებები. სარწმუნოება.

მიკენის პერიოდში ბერძნებს განვითარებული და შორს გავრცელებული საგაჭრო ურთიერთობა ჰქონდათ დაწესებული, რასაც არქეოლოგიური აღმოჩენები ამტკიცებს. დავიწყოთ ხმელეთზე ვაჭრობის მიმოხილვიდან. ერთი აუცილებელი პირობა მისი წესიერი განვითარებისათვის არის გზები. როგორც ვიცით, მიკენში სამი გზა მიემართებოდა ჩრდილოეთით კორინთოსაკენ, ხოლო ერთი დიდი გზა სამხრეთისაკენ. ეს გზები კარგად იყო მოწყობილი და თავისებურად გამაგრებულიც

როგორც დღეს, ისე იმ დროის საბერძნეთშიც ტვირთი უმეტეს ნაწილად საქონლის საშუალებით გადაჰქონდათ. ამის კარგი მაგალითია ფესტში აღმოჩენილი ერთი ცხენის ტერაკოტა, რომელიც ზურგით მიკენური სტილით შემკულ ორ დიდ ჭურს მიეზიდება. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ასეთი მიზნისთვის გამოყენებული ჰყავდათ ვირები, ცხენი კი კრეტა-მიკენის კულტუ-

[1]) სხვათა შორის, სახელწოდებას-„თესალია“ კ ა რ ს ტ ი (Urgeschichte, გვ. 4) უკავშირებს ქართულ სიტყვებს „თესლსა“ და „ნათესავს“ და ფიქრობს, რომ „Thessali“-ში დაცულია ძველი იბერო-ქართული აპელატივი პრერასისა (Ur-Rasse), ნაციისა, ტოპისა“.

რის მხარეებში მხოლოდ XVI ს-დან ხდება ცნობილი. მიკენური ეპოქის რელიეფების, ფრესკების, ეაზების, გემების, ბეჭდებისა და მოდელების ყველაზე უფრო გავრცელებული დასურათებანი თვალწინ გვიყენებს მსუბუქ ეტლებში შებმულ ცხენებს. ამ პატარა მსუბუქი ეტლებით, რომელშიაც მოთავსება შეეძლო ორს თუ სამ პირს, მოსახერხებელი იყო მხოლოდ ომში, ნადირობაზე და დღესასწაულებზე გამგზავრება; ტრანსპორტისათვის კი ისინი გამოსადეგი არ იყო. მხოლოდ მიკენის კულტურის მხარეებიდან ემიგრაციის დროს გვხვდება დატვირთული ურმები. როდესაც ფილისტიმელები პალესტინისაკენ მიემართებოდენ, ხმელეთით მიმავალ მათ ნაწილს თან მიჰქონდა თვისი ქონება და მიჰყავდა ცოლშვილი და მოხუცებულები დიდ ურმებში, რომელთაც ოთხი ხარი მიეზიდებოდა. რაკი თითოეული დიდი ტრანსპორტი ხმელეთით დიდ სიძნელეს წარმოადგენდა და ამავე დროს კი საბერძნეთის გეოგრაფიული პირობები, მისი მრავალი ყურე და კუნძული, უფრო ხელსაყრელი იყო მეზღვაურობისათვის, ამიტომ ამ უკანასკნელს იმთავითვე განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული. ზღვით გადატანა საქონლისა გაცილებით უფრო დიდ როლს თამაშობდა, ვიდრე ტრანსპორტი ხმელეთით. ამის დამამტკიცებელ საბუთებს ვხედავთ მიკენის ძეგლებზე. გემი, რომელსაც ჩვენ გემებისა, ბეჭდებისა და ეაზების სურათებში ვეცნობით, უმეტეს ნაწილად ერთანძიანია, თუმცა ზოგჯერ ვხედებით ორ და სამანძიანსაც. საეროდ მიკენური გემის გამოსახვა დიდათ განსხვავდება ფინიკიელების სავაჭრო გემებისაგან, რომელთა სურათებს ვამჩნევთ ეგვიპტის XVIII დინასტის საფლავზე თებას ნეკროპოლისში. ოციოდე წლის წინათ ამ საფლავიდან გადმოღებული სურათები გვიჩვენებს მაღალ ბორტიან გემს, რომელსაც სახურავის გარშემო მოაჯირი აქვს შემოღებული, ხოლო ანძთან დამაგრებული ორი დიდი ხის სვეტი, რომელთა შორის მოთავსებულია მთელი გემთსართავი (ტაკელაჟი) და იალქნები

მიკენური გემი კი, ფილისტიმელების ხომალდების ჩათვლით, პირიქით დაბალი აგებულობისაა და საერთოდ დამოუკიდებელ სახეს ააშკარავებს. ეს ფაქტი სხვათა შორის იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ ვაჭრობა ამ დროს არ იყო დაკავშირებული ფინიკიელებთან, როგორც წინათ ფიქრობდენ. რაც შეეხება ვაჭრობის საგნებს, საფიქრებელია, რომ ვაჭრობაში თვალსაჩინო როლს თამაშობდა მიწის პროდუქტები, უფრო ზეთი და ღვინო, განსაკუთრებით მთიან მხარეებთან. ღვინის გადაზიდვის გათვალისწინების მხრით საყურადღებოა სპარტას მახლობლად მენელაიონის გორაკზე გადამწვარი ქალაქის ნანგრევთა შორის აღმოჩენილი ჭურები, რომლებიც თავდახურული და ნიშანდასმული უნდა ყოფილიყო. ჭურის ჩასასხმელ ყელზე სდებდენ მრგვალ სარქველს (ბადიშს), ზევიდან აფარებდენ ვაზის ფოთლებსა და შემდეგ რბილ თიხას; თიხის ეს სახურავი დამაგრებული იყო გადაჯვარადინებული წყვილი თოკით; მასზე ხშირად აღბეჭდავდენ ხოლმე სადაურობისა და კუთვნილების შარკას. მაშასადამე, ამ ბეჭდის შეუშლელად ჭურების გახსნა არ შეიძლებოდა.. ასეთი თიხის ნატეხები შტემპელითა და დანაბეჭდით, ვაზის ფოთლები და თოკები, რომლებიც ცეცხლში გამომწვარა, ნაწილობრივ არის დაცული (ფიმენი, Kultur, 118). ვაჭრობისათვის ფრიად ძვირფას საგანს წარმოადგენდა მშვენიერად დასურათებული საუცხოო

ჭურჭელი. საფიქრებელია, რომ ეგვიპტეში აღმოჩენილი ვაზები და კიპრის მრავალრიცხოვანი ჭურჭელი სცენებით გასასყიდად განკუთვნილ ფორმასა და დეკორაციას განასახიერებდა. საზოგადოდ სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ მიკენის ვაზებით ვაჭრობა დიდ სიერცეზე იყო გავრცელებული.

ნეოლითური და ადრე-ბრინჯაოს დროის მოსახლეობის ვაჭრობის უძველეს საგანს ობსიდიანი წარმოადგენდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ობსიდიანით მდიდარი იყო მელოსი, რომელიც მას სხვადასხვა მხარეს აწოდებდა. ობსიდიანის მრავალი დანა და ისრის წვერი იქნა ნახული მიკენურ საფლავებსა და საცხოვრებელ ადგილებში.

მიკენის კულტურის მიდამოებში აღმოჩენილი ქარვა, როგორც ეს ანალიზმა დაამტკიცა, მოტანილია აღმოსავლეთ ზღვის ნაპირებიდან, რადგან ბალტიის ქარვა ცხადად გახსხვავდება რუმინული და სიცილიური ქარვისაგან (ფიმენი, ibid. 120). ქარვის სამკაულები, განსაკუთრებით მარგალიტები, მრავლად იპოვეს მიკენის მაღაროვან სამარხებში და პილოს-კაკოვატოსის გუმბათიანან საფლავებში. შესაძლებელია, ეს შედეგი იყოს არა პირდაპირი სავაჭრო ურთიერთობისა, არამედ რომელიმე შუამავალი ხალხის მიერ იყოს იგი შემოტანილი ამ მხარეში. სპილოს ძვალი ნედლი მასალის სახით შემოქონდათ აფრიკიდან და აქ დიდი ხელოვნებით ჰქმნიდენ მისგან სხვადასხვა ძვირფას სამკაულსა და ნივთს; რაც შეეხება სპილენძსა და ოქროს, ისინი, ალბათ, კიპრიდან და ეგვიპტიდან უნდა შემოეტანათ.

ვაჭრობის განვითარების შედეგი იყო, სხვათა შორის, ის, რომ ხმარებაში შემოვიდა გაცვლა-გამოცვლის განსაზღვრული საშუალება, რომელიც ფულს შეესაბამებოდა. სხვადასხვა ფორმის მიკენური „ფული“ აგრეთვე აღმოჩენილ იქნა რამოდენიმე ადგილას. მაგრამ ამ მხრით ერთგვარი სიფრთხილეა საჭირო, რომ სულ სხვა დანიშნულების საგანს შეცთომით სწორეთ ეს თვისება არ მივაწეროთ. ყველაზე უფრო ცნობილი საშუალება გაცვლა-გამოცვლისა იყო ოქროსა და სპილენძის ყურსები; ოქროს პატარა ყურსები ცნობილია მიკენიდან და ენკომიდან; მათი შესატყვისი გამოსახვანი გვხვდება დამწერლობის ფიქალებზე; სპილენძის ყურსებს აქვსთ ცხოველის ტყავის ფორმა, რაც იმ საგულისხმიერო ფაქტზე უნდა მიგვითითებდეს, რომ თავდაპირველად აქაც ნივთების ღირებულება საქონლის მიხედვით განისაზღვრებოდა; მათ არავითარი ნათესაობა არ ემჩნევათ ორპირიან ცულთან; ცული მუდამ გამობერილია, ყურსის ნაპირები კი მოხრილი. მიკენის აკროპოლში ნახულ იქმნა მრავალი ცალი ასეთი ყურსებისა და 17 პატარა ყურსის ფრაგმენტები ზღვის ძირში ევბეას კიმესთან, სადაც, როგორც ჩანს, მიკენურ ეპოქაში ამ ყურსებით დატვირთული ხომალდი უნდა დაღუპულიყო. სპილენძის ყურსები ღია ფორმებში იყო ჩამოსხმული, და ზოგჯერ რბილ ჩამონასხამზე გამოყვანილია მარკა; ხშირად კი უკვე გამაგრებულ სპილენძზე გარკვეული ნიშნებია ამოკრილი. ამ მხრით ყურადღებას ღირსია ის გარემოება, რომ ასეთივე ნიშნები გხვდება კიპრისა, მიკენისა და სარდინიის ყურსებზე; ამით ირკვევა მათი წარმოშობის ადგილი—სახელდობრ, კრეტა, სადაც დამწერლობის ეს ნიშნები ჩვეულებრივი იყო. მაგრამ, რომ სისწორით გამორკვეულ იქნეს ამ

განმსაზღვრელი ყურსების მნიშვნელობა და ტრიალი, ამისთვის საჭიროა ჯერ კიდევ დაკვირვება და საკითხის უფრო ღრმა გამოკვლევა.

არა ნაკლებ ძნელია გარკვევა წონის მიკენური სისტემისა, რომლისაგანაც დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მიკენის თავისებური ფულის სისტემა. ამ მხრით უდიდესი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ მიკენის ერთ-ერთ მაღაროვან სამარხში აღმოჩენილ იქნა ოქრის სასწორი. ხოლო გარკვევით აღნიშვნა, თუ როგორი იყო წონის სისტემა მიკენის მხარეებში, ამჟამად შეუძლებელია. მომავალი მუშაობა მიკენის ძეგლებზე, ალბათ, მეტ ნათელს მოფენს ამ საკითხსაც.

ყოველ შემთხვევაში ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ მიკენის პერიოდში ვაჭრობას უმნიშვნელო როლი არ ჰქონდა მიკუთვნილი, პირიქით — იგი თვალსაჩინოდ განვითარებული და გავრცელებული მოჩანს და საკუთარი „ფულისა“ და წონის სისტემებიც კი ყოფილა იმ დროს შემოღებული.

ამ პერიოდის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ჩვენ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება[1]. ამიტომ ამ საკითხის გათვალისწინება შეიძლება მხოლოდ ზოგადად და ისიც დაახლოებით, უმთავრესად არგოსის სამეფოზე დამყარებით. როგორც იყო აღნიშნული, გადმოსახლებულ ბერძნებს პირველ ხანებში შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც, რასაკვირველია, ადვილად არ დათმობდა თვის მიწა-წყალს; ამას გარდა მიწა-წყლის დაკარგვა მისთვის თავისუფლების დაკარგვასაც ნიშნავდა. ეს პროცესი იქით დამთავრდა, რომ ბერძნებმა საესებით დაიმორჩილეს ძველი მოსახლეობა, რომელიც ამ ბრძოლის პერიოდში თვალსაჩინოდ უნდა შემცირებულიყო, და იგი ყმურ მდგომარეობაში ჩააყენეს. შემდეგ ბერძენ ტომებს ურთიერთშორის ჰქონდათ შეხლა-შემოხლა და ბრძოლა საცხოვრებელი ადგილებისათვის. ამ პროცესში უნდა ამაღლებულიყო გვარის მეთაურთა ეკონომიური და პოლიტიკური ძნიშვნელობა და მის გვერდით წარმოშობილიყო თავისებური სამხედრო აზნაურობა, მოლაშქრე არისტოკრატია. მაგნატების სასახლეებსა და ძვირფას საფლავებს ხშირად ვხვდებით საბერძნეთის ხეელეთზე. მეფეების საცხოვრებელი ადგილები მუდამ განსაკუთრებული სიმაგრით იყო გარშემორტყმული, ხოლო მათ ძირში ჩვეულებრივ ბინადრობდა ქვეშევრდომი მოსახლეობა, რომელსაც, ალბათ, დაკისრებული ჰქონდა, გარდა მიწის დამუშავებისა, მრავალი სხვა სახის ბეგარაც. თვისი ბატონობის უზრუნველსაყოფად მეფეები მთის მწვერვალებზე აგებდენ ციხე-კოშკებს, რომ ერთის მხრით სრულ მორჩილებაში ყოლოდათ ადგილობრივი მოსახლეობა და

---

[1]) ამას წინათ მ. ელევარმა ფრანც ტრიტშმა (Franz Tritsch, Stadtbildungen des Altertums und die griechische Polis. Klio, XXII, 1928, 1/2, S.1-83) სახელმწიფოს ფორმის დახასიათებაში გადანწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა ქალაქის ტიპს. მისი აზრით, ყოველი გარკვეული ტიპის სახელმწიფოს შეიძლება შეესაბამებოდეს მხოლოდ განსაზღვრული სახის ქალაქი და პირიქით — თითოეული გარკვეული ტიპის ქალაქი მოასწავებს განსაზღვრული სახელმწიფოს არსებობას. ამასთან ერთად იგი აწესებს საფუძვლიან განსხვავებას აღმოსავლურ და კრეტურ-მიკენურ ქალაქებს შორის; ამ უკანასკნელთაგან უნდა განვითარებულიყო ბერძნული პოლისი; აგრეთვე მათი გეგმა, თითქოს, უფლებას გვაძლევს ვიგულისხმოთ მათში თავისუფალ მოქალაქეთა მოსახლეობა. ჩემი აზრით ტრიტშის მოსაზრებანი საკამათოა და მათი მთლიანად გაზიარება ადვილი არ არის. მისი შრომის ღირსებას კი უმთავრესად ის წარმოადგენს, რომ მასში თავმოყრილია მდიდარი ახალი მასალა და გადმოცემულია საყურადღებო დაკვირვებები.

მეორის მხრით გზები, რომლებიც მხარის შუაგულისაკენ მიემართებოდა, დაცული ყოფილიყო ყოველგვარი მოულოდნელი თავდასხმისაგან. დიდი ყურადღებით ეპყრობოდენ აგრეთვე იმ გზებს, რომლებიც ზღვისაკენ მიდიოდა, რადგან მხოლოდ მათი საშუალებით შეიძლებოდა მახლობლად მდებარე კუნძულებთან და მხარეებთან სათანადო ურთიერთობის დამყარება და აგრეთვე მეკობრეობისა და სავაჭრო დამოკიდებულების მოწესრიგება. უზარმაზარი სამეფო სასახლეები და საფლავები თვისი მხატვრობით და მდიდარი მორთულობით გვარწმუნებს, რომ მათი აგება შეეძლოო მხოლოდ ისეთ ძლიერ მბრძანებელთ, რომელთა განკარგულებაში უნდა ყოფილიყო მთელი დაბალი ხალხის სამუშაო ძალა.

როგორც ვთქვით, მეფეებს გარს ერტყა მოლაშქრე არისტოკრატია, რომელიც ცდილობდა ყოველი ნადავლიდან უდიდესი ნაწილი მიეთვისებია და დაბალ ხალხზე თვისი ბატონობაც გაემტკიცებია. ომიანობისა, მეკობრეობისა და ვაჭრობის მეოხებით ბერძენთა შორის მრავლად გაჩდენ მ ო ნ ე ბ ი, რომელთაც აკისრებდენ, როგორც საოჯახო მეურნეობაში, ისე დიდი შენობების აგებაზე უმძიმეს სამუშაოთ. ამასთან მონებს მსხვერპლად სწირავდენ მიცვალებულ მეფეებისა და მაგნატების საფლავებზე და მათი სისხლიო რწყავდენ მათ ძვლებს.

ამ დროს ბერძენ ტომებს ძლიერ ყვარებიათ მეკობრეობა, მაგრამ ვაჭრობისათვისაც მალე მოუკიდებიათ ხელი და, როგორც აღენიშნეთ, თვისი ნაწარმოებები ფართოდ გაუვრცელებიათ სხვადასხვა მხარეებში. მიკენური იმპორტის საგნები გვხვდება არა მარტო ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, არამედ სიცილიასა და სარდიანიაში და ზედა ნილოსის მახლობლად მდებარე ქ. ანიბეშიც (Fimmen, 107, 108, 113), და იბერულ ალგარვესშიც კი აღმოაჩინეს მიკენური ოქროს ტალენტები (Wilke, Südwesteuropäische Megalithkultur, 161). ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად სისტემატიური ხასიათი ჰქონდა ამ ვაჭრობას, მაგრამ იმის თქმა კი შეიძლება, რომ ამ დარგში მიკენელები ფინიკიელებთან ერთად კრეტელების ღირსეული მოადგილეები იყვნენ. ბნელით მოცულია აგრეთვე ისიც, თუ ვინ აწარმოებდა ამ ვაჭრობას, იგივე მოლაშქრე არისტოკრატია, თუ წარმოიშვა ვაჭართა განსაკუთრებული წრე. ყველა ასეთი საკითხი ჯერ კიდევ დიდ დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს.

თუ რამდენად ძლიერი იყო აქაელთა სამეფო პელოპონესში, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მათ შესძლეს კრეტას დაპყრობა, მასზე გაბატონება და პამფილიასა და კიპრშიაც კი მოახერხეს დამკვიდრება და აქიავას ძლიერი სამეფოს დაარსება. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოღაზკოის ტექსტების ჯეროვანი ამოკითხვა ერთგვარ ნათელს მაინც მოფენს ბერძნების ამ პერიოდის სხვადასხვა მხარეს.

ბერძნებს საერთოდ კიპრის გამოკლებით, არ უცდიათ გადმოეღოთ თვის ენაში კრეტული შრიფტი. მართალია, საბერძნეთში გვხვდება რამდენიმე ვაზა კრეტული წარწერებით, მაგრამ ისინი ან კრეტადან შემოტანილი, ან ადგილობრივ კრეტელი ხელოსნების მიერ უნდა იყოს გაკეთებული.[1] ყოველ შემთხვევაში მეორე ათასეულ წლებში ბერძნებმა წერა არ იცოდენ.

---

[1]) საბერძნეთში აღმოჩენილი უძველესი დამწერლობის შესახებ იხ. სხვათა შორის J o h a n n e s S u n d w a l l, Zur vorgriechischen Festlandsschrift, Klio. XXII (1928) 3. S. 228-231.

პლუტარქი გვიამბობს (De Genio Socratis VII), რომ ბეოტიაში არსებობდა ძველი სამარხი, რომელიც ჰერაკლეს დედას, ალკმენას საფლავად ითვლებოდა. VI ს-ში იგი გახსნა სპარტის მეფემ აგესილაოსმა, რომ ლაკედომონში გადაეტანა ჰერაკლიდების დინასტიის წინაპრის ნაშთი, მაგრამ გვამი იქ აღარ ამოჩენილა; უნახავთ მხოლოდ სპილენძის პატარა სამაჯური, თიხის ორი ჭურჭელი და სპილენძის პატარა დაფა, რომელიც დაფარული ყოფილა უძველესი საოცარი დამწერლობით, რომელიც თურმე გარეგნულად ეგვიპტურს წააგავდა. აგესილაოს მისი პირი გადაუგზავნია ფარაონისათვის, რომ მას იგი ქურუმებისთვის ეჩვენებინა; ქურუმ ხონუფისს იგი მეფე პროტეოსის დროისთვის ე. ი. ტროიას ომის ეპოქისათვის მიუკუთვნებია. ცხადია, ამ მოთხრობიდან შეუძლებელია იმის დადასტურება, რომ ამ დროს ბერძნებმა წერა იცოდენ. ამავე დროს ბერძენ ტომებს არ შეეძლოთ ყურადღება არ მიექციათ ახალ სამშობლოში თვისი თავგადასავალისათვის: მათ აინტერესებდა ცალკეული ტომების გამარჯვება და დამარცხება, ბედი, თუ უბედურობა, და ამ ნიადაგზე ჭქმნიდენ ლეგენდებსა და საგებს, რომელთა პოეტური გადამუშავების შემდეგ თანდათან შეიქმნა გმირული სიმღერა, რომელიც თავის მხრით საგმირო ეპოსის ჩანასახად უნდა ჩაითვალოს. ჰომეროსის პოემების ანალიზმა ცხადყო, რომ ჰომეროსის ეპოსს წინ უსწრებდა პატარა სიმღერები, ხოლო მათი შინაარსი კი გვარწმუნებს, რომ ეს სიმღერები იმ დროს იყო გავრცელებული, როდესაც მიკენის კულტურა აყვავების პერიოდში იმყოფებოდა (ვილკენი, 34-35). ამ სიმღერამ დასაწყისი და განვითარება თესალიაში მიიღო, შემდეგ იგი გადადიოდა ერთი თაობიდან მეორემდე და ბერძნული კულტურის უმთავრეს დარგად გადაიქცა. ჰომეროსის პოემების წყალობით ვგებულობთ, რომ ჰომეროსამდე არსებობდა მთელი რიგი პოეტურად გადამუშავებული თქმულებებისა; ისინი დანაწილებული იყვნენ ადგილებისა და ტომების მიხედვით, რომლებსაც თავისი ისტორია ჭქონდათ და თავისი გმირებიც ჭყავდათ. ამ უკანასკნელთა საგმირო საქმეებზე მოგვითხრობდენ საგები თესალიისა, თებესა, არგოსისა, ეტოლიისა, კრეტასა და სხვა თქმულებებად დაყოფილნი (გრ. წერეთელი, ბერ. ლიტ. 21).

ბერძნების საგმირო თქმულებათა მასალას თებას გარშემო ბრძოლისა და ტროიას წინააღმდეგ ომის საგები წარმოადგენდა. როგორც იყო ნათქვამი, ერთი ბერძნული საგა მოგვითხრობს არგოსის მეფის წინამძღოლობით თებაზე გალაშქრების ამბავს, რასაც ჩვენ უკვე შევეხეთ თავის ადგილას. ედ. მაჯერის აზრით (გვ. 256-257), თებას ამ საგას, რომლის შორეული შინაარსის საფუძვლად ერთგვარი ისტორიული სინამდვილე უნდა ყოფილიყო, დროთა ვითარებაში შეუერთეს უწინარეს ყოვლისა თქმულება ედიპზე, ხოლო შემდეგში მასვე დაუკავშირეს ამფიარაოსი; ეს იყო ოროპის ღმერთი, რომელიც, თითქოს, მიწის ქვეშ გამოქვაბულში ცხოვრობდა: თებასთან ბრძოლაში ძევსმა ელვით დედა-მიწა გააპო და იგი ცოცხლივ ჩაისროლა ქვესკნელში. იონიის ეპიურ პოემებში საგამ განიცადა შემდეგი გადასხვაფერება და ახალი სახეებით შევსება, მაგრამ მას საფუძვლად ედვა მაინც ნამდვილი ბეოტიური კულტი და მითები. ამგვარად, თავდაპირველად ერთიმეორისაგან დამოუკიდებელი მოთხრობები, რომელთაც ცალკეული კულტების წარმოშობა და განსაკუთრებული სახე უნდა განე-

მარტათ, შემდეგში თებას წინააღმდეგ ომის ტრადიციას დაუკავშირეს. ეს ტრადიცია წარმომდგარი იყო ორი ძმის შორის ხელისუფლებისათვის ბრძოლის გარშემო შექმნილი უთანხმოებით, რომელიც იწვევს მათ მიერ თვისი მოკავშირეების მოგროვებას და ორ ბრძოლაში ორივე მხრით ძმების მოკვლას. ეს არის ფართოდ გადამუშავებული მოტივი სახალხო მოთხრობებისა, რომლებშიაც ამაოდ მოვძებნით რაიმე მითურ ელემენტს. ამას შემდეგ მოჰყვა ის, რომ ისინი ედიპის სისხლისშემრეები ქორწინებისაგან წარმოშობილ შვილებად წარმოიდგინეს. მაგრამ, მიუხედავად ყოველივე ამისა, ამ საგაში ისტორიული მარცვალი მაინც ნათლად გვევლინება: არგოსის მეფის გალაშქრება თებაზე და მაშასადამე, ცდა თვისი ხელისუფლების შუა-საბერძნეთზედაც გავრცელებისა სრულებით გასაგები და შესაძლებელია.

მეორის მხრით თქმულებას ტროიას ომზე უწინარეს ყოველისა ჩაურთეს მითები ჰელენესა და აქილევსისა. ამ თქმულებაში არის მოთხრობა იმის შესახებ, რომ დიდი ღმერთქალი ჰელენა, რომლის კულტი არსებობდა სპარტას მახლობლად თერაპნეში, გაიტაცა ერთმა ყაჩაღმა და შემდეგ იგი გაათავისუფლა და უკან დააბრუნა ორმა ძმამ. ეს საგა გადმოცემულია ორ პარალელურ მოთხრობაში. პირველად ყაჩაღად გვევლინება-თეზეოსი, მხსნელებად — ძმები ტინდარიდები (დიოსკურები), რომლებიც სპარტაში მთავარ ღმერთებად ითვლებოდენ. მეორე მოთხრობაში გამტაცებელია ალექსანდრე, მხსნელები კი-ძმები აგამემნონი და მენელაოსი; ორივე ამათ სპარტაში უძველესი დროიდან თაყვანს სცემდენ, როგორც ღმერთებს. ჰელენას მეუღლეს მენელაოსს, რომელიც შემდეგში გმირი გახდა, ძევსისაგან ჰელენასთან ერთად მიენიჭა, თითქოს, უკვდავება და ელიზიონში იქნა გადაყვანილი.

ამ ლაკონიურ საგას დაუკავშირეს მოთხრობა მიკენის მეფის ტროიას წინააღმდეგ გალაშქრების შესახებ; ჰელენას იტაცებს ტროიელი პარისი, იგივე ალექსანდრე, ხოლო მის გასათავისუფლებლად ილაშქრებს მისი მაზლი აგამემნონი.

ამავე თქმულებაში ვამჩნევთ მეორე მითს ახალგაზდა გმირის აქილევსის შესახებ. ეს საგა თესალიიდან არის წარმომდგარი და ეოლელების მიერ დაკავშირებულია ტროიას თქმულებასთან, როდესაც მათ წრეში საგმირო სიმღერამ სრულ განვითარებას მიაღწია. შემდეგში მათ აქილევსს მიაწერეს ყველა ის მხარე, სადაც ისინი განსახლებულ იყვნენ, თუ ცდილობდენ დამკვიდრებას. ამ საგის ასეთმა გაფართოვებამ გამოიწვია ის, რომ ავლისის ნავთსადგური, რომელსაც ეოლელები თვისი კოლონიზაციის გამოსავალ პუნქტად სთვლიდენ, სრული შეუსაბამობით გახდა აგამემნონის ფლოტის შესაკრებ ადგილად. თუ გვერდს ავუხვევთ ყველა ამ მითურ ელემენტს, ტროიას შესახებ თქმულებაში დაგვრჩება, როგორც ერთგვარი ისტორიული მარცვალი, მიკენის ძლიერი მეფის საომარი გალაშქრება ჰელესპონტის მახლობლად სკამანდრის ველზე მდებარე ქალაქის წინაღმდეგ. ეს ქალაქი, როგორც ამას გვიჩვენებს თქმულებასთან სრული შეთანხმებით მისი ნანგრევები, განადგურებული და გადამწვარი დარჩენილა ამ თავდასხმის შემდეგ (ე დ. მ ა ი ე რ ი, 288-290). ამგვარად, რომელიმე ისტორიული შემთხვევა ბერძენი ტომების ზეპირ-თქმულებებში თანდათან იჩრდილება სხვა-

დასხვა გვარი მითისა და საერთოდ სარწმუნოებრივი ელემენტის ჩართვით და კარგავს თვის პირვანდელ სახეს.

როგორი იყო ამ პერიოდში ბერძნების **სარწმუნოება** და რა დასკვნების გამოტანა შეგვიძლია მისი განხილვიდან? ბერძენთა ამ დროის სარწმუნოების შესახებ მსჯელობა ადვილი არ არის, რადგან საბერძნეთში აღმოჩენილი ამ დარგის ძეგლები წარმოადგენს უმეტეს ნაწილად კრეტას იმპორტს, თუ კრეტას ნაწარმოებთა მიბაძვას. მაშასადამე, ეს ძეგლები უფრო კრეტულ სარწმუნოებას გვისახიერებს, ვიდრე საბერძნეთისას. ცხადად ჩანს ამ მხრით აგრეთვე მცირე აზიის გავლენაც. აქედან უნდა წარმომდგარიყო ბერძნული ღმერთებისა და მითოლოგიის აპრელებული სხვადასხვაობა. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ საბერძნეთში მრავლად იქნა აღმოჩენილი მისი პირვანდელი მოსახლეობის კულტის ადგილები, რომელთა ფორმები გადმოსახლებისას გადმოიღეს და განავითარეს ბერძნებმა. ამ ფაქტთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული საბერძნეთში ფართოდ გავრცელებული თაყვანისცემა ცხოველებისა, რომელიც, რამდენადაც ამის შესახებ მსჯელობა შეგვიძლია, უცხო იყო, როგორც ინდოევროპული, ისე კრეტული სარწმუნოებისათვის. ამას გარდა ახალ ქვეყანაში მოსვლის შემდეგ ბერძნებს ახალ გეოგრაფიულ პირობებთან დაკავშირებით უნდა შეეცვალათ თვისი ღმერთების ძველი ფორმები. ასე ძევსი და დედამიწის ღმერთქალი, რომლებიც ინდოგერმანულ დროს ეკუთვნიან, შემდეგში იცვლიან თავის სახეს. თუმცა ძევსი რჩება ზეცის ღმერთად, „ღმერთებისა და ადამიანების მამად“, რომელსაც თითოეული გვარი თაყვანსა სცემს, როგორც წინაპარს (πατρῷος), და მხოლოდ ბონელთა წრეში დაიკავა მისი ადგილი აპოლონმა, მაგრამ კულტში იგი ყველგან ითვლება ადგილობრივ ღვთაებად, რომელიც მთების ყველა მწვერვალზე ზის ტახტზე და უბსკრულებშიც აქვს თვისი ადგილი. ამიტომ მსხვერპლის შეწირვის დროს მას მოუწოდებდენ არა როგორც უნივერსალურ ღვთაებას, არამედ როგორც ცალკეულ თემებთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ ღმერთს.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ მიკენშიც იქნა აღმოჩენილი კულტის ცეკვის ძეგლები. მიკენის ერთ ოქროს ბეჭედზე აღნიშნულია მოკირწყლული ზედაპირი', რომელიც „საღვთო უბნის“ ეზოს უნდა წარმოადგენდეს, მარჯვნით მოჩანს დაბალი გალავანი, რომლის იქითაც თავი ამოუყვია ხეს; მარცხნით დგას მაგიდის მსგავსი სამსხვერპლო, რომლის ფეხებს შუა ჩამოკიდებულია ძეწკვები. წრის შუაგულში ცოცხალ პოზაში დგას ქალი, რომელსაც წინგადაუდგამს ნაბიჯი, მხრები აუწევია და ხელები ქვემოთ დაუშვია; იგი ძლიერ მოძრაობაშია: თმები ყოველი მხრით გაშლია, ერთი ნაწნავი ზურგზე ჩამოკიდებია, ორიც მხრებზე. მის წინ ეხედავთ მამაკაცს, აგრეთვე ძლიერი მოძრაობის პოზაში, შესაძლებელია იგი ბუქნით გარს ეკვლის ქალს. მოცეკვავეთაგან მარცხნით სამსხვერპლოზე გადახრილა ქალი, რომლის ზემოთ მოჩანს ხის ტოტი და ორი ტალღისებური ხაზი. ეს ქალიც, ალბათ, დიდხანს ცეკვავდა, მოიქანცა და ღვთა-

---

Богаевский, Новое минойское кольцо... (Зап. классич. отд. русс. арх. общ. 1913, VII, зз. 72-73)

ების ეპიფანიის გამო აღფრთოვანებით დახრილა საკურთხეველისაკენ. მართალია, ზოგს ამ სურათის შინარსი სხვაგვარად ესმის, მაგ., ლ ა გ რ ა ნ ე ი ფიქრობს, რომ იგი გადმოგვცემს სამგლოვიარო მოძრაობის სცენას, რომელიც სიცოცხლის ხის ამოთხრასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ იგი მაინც იმ ცეკვის მსგავსად უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც უკვე გავეცანით კრეტაში. აქ აღსანიშნავია ერთი განსხვავება: კრეტაში ამ ცეკვას ასრულებენ მარტო ქალები, აქ კი მათ წრეში მამაკაცსაც ეხედავთ მაგრამ ეს გარემოება ვერ გააბათილებს იმ მოსაზრებას, რომ შესაძლებელია ასეთი ძეგლები კრეტადან იქნა გადმოტანილი მიკენში. როგორც ჩანს, დიდი გულმოდგინეობით ასრულებდენ ბერძნები ამ დროს მიცვალებულთა კულტს. უკვე გავეცანით მიკენის მდიდარ თაღოვანსა და გუმბათოვან საფლავებს, რომლებიც დაფარული ყოფილა მრავალი ძვირფასი ნივთით და შესაწირავით. ცხადია, ამ საფლავებზე სწარმოებდა მსხვერპლის შეწირვა და მონების სისხლით მიცვალებულთა განსასვენებელი ადგილების მორწყვა.

სურ. № 20—მიკენის ოქროს ბეჭედი კულტის სცენით.

ფრიად საინტერესოა ის ოქროს ნიღაბები, რომლებიც მიკენის სამარხებში იქნა მოპოვებული და აგრეთვე ის გარემოება, რომ მიკენის ზოგიერთ მაღაროვან სამარხში აღმოჩენილი გვამები ხელოვნური დაბალზამირების ნიშნებს ააშკარავებს. თვით სიტყვა ταφιεύειν (დასაფლავება) თავდაპირველად დაბალზამირებას ნიშნავდა (ე ი ლ კ ე ნ ი, Gr. Gesch. გვ. 35). ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ, როგორც ეგვიპტეში, ისე საბერძნეთში უძველეს პერიოდში გავრცელებული ყოფილა მიცვალებულთა გვამების ხელოვნური დაცვის ჩვეულება.

თ ა ვ ი III

მიკენის პერიოდის დასასრული.

1. აქიავას სამეფო მცირე აზიაში და ბერძნები. „ლუკის ხალხები". ლიკიელთა გადასახლება და მათი ვინაობა.

ბოღაზკოის ახლადაღმოჩენილი ლურსმული ტექსტები ერთგვარ საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ კრეტას დაპყრობის შემდეგ აქაელების ნაწილი ზღვით გადავიდა მცირე აზიაში და აქ აქიავას სახელწოდებით ძლიერი სახელმწიფო დააარსა. ეს მხარე ხეთურ ტექსტებში მოხსენებულია ჯერ კიდევ მურსილ II დროს (ქრ. წ. დაახ. 1345—1320) და, როგორც ჩანს, მასთან მურსილს ხშირი ურთიერთობა ჰქონია. ამ მხარის შესახებ არსებული ცნობები იმაზე უნდა მიგვითითებდეს, რომ იგი ლუგასა და მილავანდას მეზობლად, ზღვასთან მდებარეობდა: მურსილისაგან ზღვისაკენ, ალბათ, კიპრში გამოქცეული არწავას მეფის შვილი აქედან აქიავას მეფესთან მიდის (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, II 1, გვ, 546). ცნობილი მკვლევარი ფ ო რ ე რ ი (Forrer) აქიავას ადგილმდებარეობას პამფილიაში აწესებს, რაც საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს. აქიავას სამეფო არ ყოფილა ვასალური სამთავრო, არამედ ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო. ამას ადასტურებს, სხვათაშორის, ხეთელების მეფის დუდხალია IV (1260—1230) მიერ ამორიტების მეფესთან დადებული ერთი ხელშეკრულება, რომელშიაც ნათქვამია: „ხოლო ჩემი თანასწორი მეფეები—მეფე მისრისა (ეგვიპტე), მეფე კარდუნიაშისა (ბაბილონი), მეფე ასირიისა და მეფე აქიავას მხარისა..." თუ კი აქიავას მეფე თავისი ძლიერებითა და საერთაშორისო მნიშვნელობით გეერდში უდგა ხეთელებისა, ეგვიპტისა და ბაბილონის მეფეებს, ცხადია, იგი წვრილი და უმნიშვნელო დინასტი არ ყოფილა. ფორერი Achchijava-სა და აქაიას შორის სრულ იგივეობას აწესებს[1]. და, მიუხედავად იმისა, რომ ასეთმა მოსაზრებამ წინააღმდეგობა და სკეპტიციზმი გამოიწვია, იგი სავსებით გაიზიარეს ისეთმა დიდმა მეცნიერებმა, როგორიც არიან ედ. მაჯერი, ვილკენი და სხვ. ვ ი ლ კ ე ნ ი განსაკუთრებით იმ მომენტს უსვამს ხაზს, რომ ამ ფაქტის მეოხებით ნათელი ეფინება საბერძნეთის შორეული წარსულის დღემდე ბნელით მოცულ ისტორიას. როგორც ვთქვით, პამფილიის დასახლება აქაელების მიერ ჯერ კიდევ მიკენის პერიოდში უნდა მომხდარიყო. ვ ი ლ კ ე ნ ი ამ მხრივ განსაზღვრულ ხანასაც კი ასახელებს: მისი აზრით პელოპონესელი აქაელების მიერ კრეტას

[1]) იხ. მისი Vorhomerische Griechen in den Keilschrifttexten von Boghazköi (Mitteil. d. Deutsch. Orient-Gesellschaft. März, 1924, Nr. 63).

დაპყრობის შემდეგ მათი ჯგუფები ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადავიდენ მცირე აზიის სამხრეთ სანაპიროში და დაბინავდენ პამფილიაში. მცირერიცხოვან წარწერებში დაცული ბერძნული დიალექტი, რომელზედაც ლაპარაკობდენ პამფილიის ქალაქების მცხოვრებნი, სპეციალისტების დასკვნით, თვის ლექსიურ შემადგენლობასა და ბგერების ფორმებში ემსგავსება არკადულსა და კიპრულს, მაგრამ შეიცავს ცხად აქაიურ ელემენტებს; ვამჩნევთ მასში აგრეთვე ცალკეულ „დორიულ" ფორმებს. ამიტომ საფიქრებელია, რომ პამფილიაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე ბერძენი ტომის ურთიერთშორის შერევას; თვით სიტყვა πάμφυλος ყველა ტომისაგან შემდგარს, შერეულსა, ნიშნავს. ფ ო რ ე რ ი უფრო შორს მიდის და ხეთურ ტექსტებში მოხსენებულ ტავაგალავას (Tavagalavas) ეტეოკლეს (Etevokleves) უთანაბრებს და მას ეოლელად თვლის. ამ მხრით ვ ი ლ კ ე ნ ი სამართლიანად იკავებს თავს და გარკვეულად აღნიშნავს: „ხოლო ამ ლურსმული ტექსტების ცნობები ჯერ კიდევ იმდენად არა სარწმუნო და საკამათო არის, რომ ყველაზე უმჯობესი ის იქნება, თუ ჯერჯერობით ამ დროში აქაელების ასეთი დიდი სამეფოს არსებობის ფაქტით დავკმაყოფილდებით"-ო (გვ. 37). ე დ. მ ა ჯ ე რ ს პირიქით სრულიად მისაღებად მიაჩნია ასეთი გაიგივება, მაგრამ, არ ეთანხმება ფორერს იმაში, თითქოს ტავაგალავა ორქომენის უძველესი მეფე და ქარიტების კულტის დამაარსებელი ეტეოკლე (Eteokles) თუ ეტეოკლი (Eteoklos) იყო; არ იზიარებს იგი აგრეთვე მის იმ აზრსაც, რომ Attarassijas-ში „ატრიდების" აგამემნონისა და მენელაოსის მამის ატრეოსის სახელის პირვანდელი ფორმა უნდა დავინახოთ. ამგვარად, ბოღაზკოის ტექსტები დღემდე არ არის სათანადოდ გარკვეული და ამიტომ ფორერის ჰიპოთეზურ მოსაზრებათ ვერ გავიზიარებთ, მაგრამ ფაქტი ბერძნების მიერ ძლიერი სახელმწიფოს დაარსებისა პამფილიაში, როგორც დავინახეთ, სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს. ამ ფაქტის ცნობას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდის გაშუქებისათვის. იმედი უნდა გვქონდეს, რომ ბოღაზკოის ტექსტების შესწავლა უფრო მეტ ნათელს მოფენს ამ საკითხს და, შესაძლებელია, აქაიავას სამეფო უფრო მეტი გარკვეულობით წარმოგვიდგეს თვალწინ.

პამფილიიდან ბერძნების ნაწილი კიპრში გადასულა და დაუკავებია მისი ჩრდილოეთი სანაპირო. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ძველად კიპრს „აქაელთა კუნძულს" უწოდებდენ. ამ კუნძულზე უკვე 1400 წლებიდან (ქრ. წ.) თანდათან ვრცელდება მისი ნეკროპოლისების მაღაროვან საფლავებსა და სამარხ კამერებში ეგვიპტურისა და ადგილობრივი ნაწარმოებების გვერდით მიკენური ნივთები. მოკლე დროის შემდეგ ისინი აქ იმდენად გავრცელებული მოჩანს, რომ, წინაალმდეგ ფ ი მ ე ნ ი ს აზრისა, სარწმუნოდ ხდის ფაქტს კუნძულის ზოგიერთ ადგილში ბერძნების დამკვიდრებისას. ბერძნებს თან უნდა მიჰყოლოდენ სხვა ეგრეთწოდებული „ზღვის ხალხები". ამაზე უნდა მიგვითითებდეს ტელ-ამარნას, ერთი ფირფიტა, რომელიც წარმოადგენს ალაშიის (კიპრის) მეფის ჩივილს ეგვიპტის ფარაონის წინაშე, რომ მის მხარეს ყოველწლიურად აეიწროებენ „ლ უ კ ი-ს ხალხები". ე დ. მ ა ჯ ე რ ი ს სამართლიანი განმარტებით „ლუკის ხალხებში" ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ არა მარტო ლიკიელები, არამედ საერთოდ ზღვის ხალხები და მათ შორის აქაელებიც. მიკენური ტრადიცია დიდხანს

ახდენდა გავლენას კიპრის კულტურაზე, რომელიც ძველი დროიდანვე განიცდიდა აგრეთვე ბაბილონისა და ეგვიპტის კულტურული ელემენტების შეთვისებას.

ბერძნების შეჭრამ კიპრში ბოლო მოუღო ალაშიის სამეფოს, რომელიც ეგვიპტის XVIII დინასტიის დროს, მთელ კუნძულზე ვრცელდებოდა. ადგილობრივმა მოსახლეობამ, როგორც ამას წარწერები გვიჩვენებს, შეინარჩუნა თავისი ენა ამათუსში მეოთხე საუკუნემდე, ფინიკიელები კი, რომელთაც კუნძულზე დაარსეს ქ. კიტიონი თუ ქარტხადაშტი, ბერძნების შემდეგ უნდა გადმოსულიყვნენ. კრეტადან იქნა გადმოტანილი კიპრზე დამწერლობა, რომელიც შემდეგში აქ წმინდა მარცელოვან შრიფტად გარდაიქმნა; ეს დამწერლობა მოიმარჯვეს ამათუსის ადგილობრივი ენისათვის, და იგი კიპრელმა ბერძნებმაც შეითვისეს.

როდესაც პელოპონესელმა აქაელებმა კრეტა დაიპყრეს და აქ თავისი ბატონობა დაამყარეს, ზოგიერთი ტომი იძულებული გახდა მიეტოვებია თავისი ძველი საცხოვრებელი ადგილები და სხვა მხარეში გადასახლებულიყო. ამ მხრით უწინარეს ყოვლისა ლ ი კ ი ე ლ ე ბ ი უნდა დავასახელოთ. ვინ იყვნენ ლიკიელები? ხეთელების მეფის ლაშქრის შემადგენლობაში ეგვიპტის ფარაონს რამზეს II (1298-1232) მოხსენებული ჰყავს, სხვათაშორის, ლუკა ანუ ლუკი, ხოლო ერთ ხეთურ ხელშეკრულებაში ეს ხალხი ლუგას სახელითაც არის ცნობილი. ამას გარდა უნდა ვიგულისხმოთ, რომ ლიკაონია და ლიკაონიელები ლუკასაგან ნაწარმოები სახელებია. საერთოდ სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს ის მოსაზრება, რომ ლუკა ბერძნების ლიკიელებია. მაგრამ ერთგვარ შეფერხებას ბადებს ის გარემოება, რომ ხალხი, რომელსაც ბერძნები ლიკიელებად იხსენიებენ, თვითონ თავის თავს, როგორც წარწერებიდან ჩანს, ტ რ ა მ ი ლ ე ბ ს უწოდებს, ხოლო ჰეროდოტე ტ ე რ მ ი ლ ე ბ ს (I 173; VII 92). ერთი სარწმუნო გადმოცემის მიხედვით ეს ხალხი კრეტადან გადავიდა მილიასის (იგივე მილავანდას) ნაპირებზე; მილიასში კი ამ დროს ს ო ლ ი მ ე ბ ი ბინადრობდენ. რომ ეს ცნობა სიმართლეს შეიცავს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი განსახლება ვრცელდებოდა მხოლოდ ტელმესის ნაპირიდან ხელიდონის კუნძულსა და აგრეთვე ქსანთოსის ველამდე, შიდა მილიასის მაღალი მთებით შემორტყმული დიდი ველი კი მართლაც სოლიმებს ეკავათ. ამ ორ ხალხს შორის ხანგრძლივი და ცხარე ბრძოლის გამოძახილს წარმოადგენს ილიადაში ბელეროფონტის ეპიზოდი. ტრამილები ზღვით უნდა გადმოსულიყვნენ ამ მხარეში მას შემდეგ, რაც კრეტას მთავარი ნაწილი ბერძნებმა დაიპყრეს და პარალელურად მიმდინარეობდა, ალბათ, ბერძნების დამკვიდრებაც როდოსზე. მაგრამ რა კავშირი არსებობს ლიკიელებსა და ტრამილებს შორის? შესაძლებელია, სახელწოდება—ლიკიელები ამ მხარისა და ხალხის უძველესი სახელი იყო და შემდეგში იგი კრეტადან გადმოსახლებულ ტრამილემზედ ც გადაიტანეს, და მათვე შეითვისეს ადგილობრივი უძველესი მოსახლეობის ენა, რომელიც სპეციალისტების აზრით მცირეაზიულ ელემენტებსა და ხასიათს ააშკარავებს. მაგრამ სიმართლესთან უფრო ახლოს ის აზრი უნდა იყოს, რომ ტრამილები ლიკიელების მხოლოდ ერთერთი ტომი იყო. (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, II 1, გვ. 546). ამაზე მოგვითხრობს, სხვათაშორის, ტროიას თქმულებაში მათი კავშირი ტროიელებსა და დარდანელებთან. ცხადია, ტრამილებისა და ლიკიელების

ურთიერთობის შესახებ საკითხი გადაწყვეტილად მაინც ვერ ჩაითვლება და იძულებული ვართ, ნათქვამით დავკმაყოფილდეთ. დღეს მეცნიერება ლიკიელებს ეგრთწოდებულ მცირეაზიელთა მოდგმას მიაკუთვნებს.

2. „ზღვის ხალხთა“ გადასახლებანი. მათი ეთნოგრაფიული ვინაობის საკითხი.

ყველაზე უფრო დიდ მღელვარებას განიცდიდა ხმელთაშუა ზღვის მიდამოები XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან. ამ ფაქტმა და მასთან დაკავშირებულმა მოვლენებმა არსებითად შესცვალა ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების ისტორიული პროცესი. ცნობებს „ზღვის ხალხთა“ მოძრაობის შესახებ გვაწვდის ეგვიპტური წყაროები.

ფარაონ მერნეპტახის დროს ეგვიპტის საზღვრებს შეესია „ზღვის მხარეთა“ ხალხების თუ „ყველა მხრიდან მოსული ჩრდილოეთის ხალხთა“ კოალიცია ლიბიურ ტომებთან შეკავშირებით. ეგვიპტეს ამ დროს კიდევ შესწევდა იმდენი ძალღონე, რომ თავიდან აეშორებია ეს საშინელი განსაცდელი. თავდამსხმელ „ზღვის ხალთა“ შორის მოხსენებული არიან: აქაივაშა, ტურშა, ლუკა, შერდანა, შაკალშა (შაკარუშა).

„ზღვის ხალხთა“ თავდასხმა ეგვიპტეზე განმეორდა ფარაონ რამზეს III (1200-1168) დროს. ამ ამბის შესახებ ფარაონი შემდეგს გვიამბობს ცნობილი ჰარისის პაპირუსში[1]: თავისი კუნძულებიდან დაიძრა ყველა ხალხი, და ვერც ერთმა მხარემ ვერ შესძლო მათი გამკლავება. მათ დაარბიეს ხეთელების ქვეყანა, ქედი, კარხემიში, არვადი, ალაშია; ისინი დაბანაკდენ ამურუს ქვეყანაში, გაცარცვეს მთელი მხარე და ამოხოცეს მისი მოსახლეობა; მოემართებოდენ ისინი წინ ცეცხლის ალით, ეგვიპტის წინააღმდეგ. მათი ძლიერების საფუძველს შეადგენდენ: პურსტა და ჯაკარი, შაკალშა, დანაუნა და უაშეში. ეს ხალხები შეკავშირებული იყვნენ, რომ თვისი ხელი ეგვიპტეზედაც გაევრცელებიათ; გული მათი მტკიცე იყო და გეგმებით სავსეო. როგორც რამზეს III ცნობიდან ჩანს, გარდა ხმელეთისა ეს ტომები ზღვიდანაც აწარმოებდენ შეტევას. „ჩრდილოეთის ხალხები“, გვიამბობს რამზეს III, პურსტა და ჯაკარი საერთო მღელვარებამ მოიცვა. მათი ერთი ნაწილი-მეომრები (tuhir) ხმელეთით მოიწევდა წინ, მეორე კი-დიდი ზღვით. ისინი, ვინც ხმელეთით მიდიოდენ, ამოხოცილ იქმნენ, ხოლო ვინც ნილოსის შესართავთან შემოიკრენ, ჩიტებივით გაებენ მახეშიო (ე დ. მ ა ჲ ე რ ი, II 1, გვ. 586-587). ეს ცნობები და აგრეთვე მედინეტ-ხაბუს ტაძარში დაცული რამზეს III რელიეფები გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ხალხთა ნამდვილ გადასახლებასთან, რომლის მიზანი ახალი საცხოვრებელი ადგილების მოპოვება უნდა ყოფილიყო. შემონახული ცნობებისა და სურათების მიხედვით მოდიოდენ არა მარტო მამაკაცი-მეომრები, რაც შეიძლება სამხედრო გალაშქრებად წარმოგვედგინა, არამედ მათ თან მოსდევდენ ოჯახები თავიანთი სარჩო-საბადებლით. მართალია, ეგვიპტე ეხლაც გადაურჩა ამ წამლეკავ ტალღას და შემოსეული საშიშარი მტერი ზღვაზედაც და ხმელეთზედაც სასტიკად დაა-

[1]) ი ხ. ჩ ე მ ი ძველი აღმოსავლეთი I, გვ. 17, 80.

მარცხა, მაგრამ ეს ფაქტი მისი ძლიერების დასუსტების მხრით მაინც საბედისწერო აღმოჩნდა. სხვათაშორის, „ზღვის ხალხთა“ მოძრაობასთან უნდა იყოს დაკავშირებული ხეთელების ძლიერი სახელმწიფოს დაცემაც (იხ. ჩ ე მ ი, ძველი აღმოსავლეთი I გვ. 162). საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ „ზღვის ხალხთა“ ეთნოგრაფიული ვინაობის საკითხის გამორკვევაზე.

მერნეპტახისა და რამზეს III ცნობები რომ ერთმანეთს შევადაროთ, დავინახავთ, რომ ზღვის ხალხებად მოხსენებული არიან: აქაიავაშა, ტურშა, ლუკა, შერდანა, შაკალშა (შაკარუშა), პურსტა და ჯაკარი, დანაუნა და უაშეში. დღეს მეცნიერებაში ეჭვს აღარ იწვევს ის მოსაზრება, რომ ყველა ამ ტომის სამშობლო ეგეოსის ზღვის მიდამოებში უნდა ვეძიოთ. ლუკას ჩვენ უკვე გაეცანით (იხ. ზემოთ, გვ. 77-78). ტურშა იგივე ტვირსენელები, ან ეტრუსკები უნდა იყვნენ, რის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა საშუალება გამოგვეთქვა ჩვენი აზრი (წერილში — „ეტრუსკების საკითხისათვის“). შაკალშაში ცდილობენ სიკელების სახელწოდება გამოიცნონ, ხოლო შერდანა სარდინიელებს დაუკავშირონ, მაგრამ სრულებით დამარწმუნებელი საბუთები ასეთი დასკვნისათვის ჯერჯერობით მაინც არ მოგვეპოვება. ამ მხრით ხშირად მიუთიებენ იმ ფაქტს, რომ სიცილიასა, ქვედა-იტალიასა და სარდინიაში აღმოჩნდა ზოგიერთი საგანი კრეტა-მიკენის კულტურისა. ამ საკითხების შესახებ საყურადღებო განმარტებას იძლევა ტრაღიკულად დაღუპული მკვლევარი ფ ი მ ე ნ ი; სიცილიაში ნაწარმოები აღმოჩენების მოკლე მიმოხილვისა და დახასიათების შემდეგ, იგი სვამს ასეთ კითხვას: სიცილიაში მიკენური საგნების აღმოჩენა ემყარება კოლონიზაციაზე, თუ საკაპრო ურთიერთობაზე? კოლონიზაციაზე მიუთითებენ უმთავრესად თქმულებათა, კულტისა და საკუთარი სახელების გარკვევის ნიადაგზე. მაგრამ ფიმენის სამართლიანი თქმით, ვერც ტრადიციას მინოსის სიცილიაში გარდაცვალებაზე და ვერც თქმულებას ერიქსის აფროდიტეს კრეტული წარმოშობის შესახებ ვერ ძალუძს დაამტკიცოს ეს მოსაზრება, რომელსაც არ მოეპოვება საკმარისი დამადასტურებელი საბუთები არქეოლოგიურ აღმოჩენებში. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა ფ ი მ ე ნ ი გარკვეულად აღნიშნავს, რომ სიცილიის საფლავების აგებულება არ გამომდინარეობს კრეტა-მიკენის კულტურის გავლენისაგან, და ამ აზრს სათანადო საბუთებითაც ამტკიცებს (იხ. მ ი ს ი Die kret. myk. Kultur, გვ. 112-113).

ამას გარდა ყველაზე უფრო მდიდარი აღმოჩენების ადგილზე თაპსოსში ნაპოვნი მიკენური ვაზების რიცხვი სიკულების კერამიკასთან შედარებით იმდენად მცირეა, რომ იძულებული ვართ ისინი ვაპრობით შემოტანის შედეგად ჩავთვალოთ.

მიკენური მოსახლეობის კვალი, როგორც ამას ვამჩნევთ აღმოსავლეთით როდოსსა და მილეტში, სიცილიაში აღმოჩენილ არ იქნა. ესევე უნდა ითქვას ქვედა-იტალიასა და სარდინიაზე. ხოლო საკითხი იმის შესახებ, არსებობდა თუ არა მიკენურ სამყაროსა და სიცილია-იტალიას შორის პოლიტიკური და ეთნოგრაფიული ურთიერთობა, რომლის გამოწვევა შეეძლო ხალხთა დიდ მოძრობას, დამოკიდებულია იმისაგან, თუ რამდენად სწორია გაიგივეობა შერდანასი სარდინიელებთან და შაკალშასი სიკულებთან. ამ უკანასკნელის საბოლოო გამორკვევა კი ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით ძნელია. გარკვეეთ მხოლოდ იმის

თქმა შეიძლება, რომ ეს ხალხები ეგეოსის სამყაროს ეკუთვნოდენ. მერნეპტახის ცნობებიდან ჩანს, რომ შაკარუშა, ტურშა, შარდანა დი აქაიავაშა წინადაცვეთილი ყოფილან. ეგვიპტელებს ძველი დროიდანვე ჰქონიათ ჩვეულება, ბრძოლის ველზე დახოცილებისთვის ხელები მოეკრათ, რომ ამით მათი რიცხვი გამოერკვიათ და საჩუქარი გაეინაწილებიათ. მერნეპტახის დროს კი მათ ლიბიელებისათვის ფალები მოუკრიათ, რადგან ისინი წინადაცვეთილნი არ ყოფილან. ეს ჩვეულება გვხვდება ისრაელების ისტორიაშიც ფილისტიმელების წინააღმდეგ დავითის ბრძოლის შესახებ. ეგვიპტეში წინადაუცვეთელობა სირცხვილად ითვლებოდა და წინადაუცვეთელი გვამებისადმი სრულ უპატივცემლობას იჩენდენ. ისტორიკოსი ჰეროდოტე გვიამბობს (II, 104): ყველა ხალხთა შორის მხოლოდ კოლხიელები, ეგვიპტელები და ეთიოპელები დასაბამიდან ასრულებენ წინადაცვეთას. რაც შეეხება ფინიკიელებსა და პალესტინის სირიელებს[1] (Φοίνικες καὶ Σύριοι οἱ ἐν τῇ Παλαιστίνῃ), ისინი თვითონ ამბობენ, რომ ეს ჩვეულება ეგვიპტელებისაგან გადმოიღეს. ერთი სიტყვით, ჰეროდოტესათვის უდაოა ის, რომ წინადაცვეთა სხვა ხალხებმა ეგვიპტესთან ურთიერთობის შედეგად შეითვისეს. ამას გარდა, თუ ეგვიპტელები ბრძოლის ველზე დახოცილთა რაოდენობის გამოსარკვევად მათ ხელებს სჭრიდენ, ხშირი უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, შემთხვევა, როდესაც მოკრილი ხელების რიცხვი სჭარბობდა დახოცილთა რაოდენობას, ასე მაგ. მერნეპტახის სიაში აღნიშნულია: შაკარუშას 222 მოკლული მეომარი-250 ხელი, ტურშას 746 მეომარი-790 ხელი და სხვ.

ეგვიპტური ცნობების მიხედვით, ბრძოლის ველზე დაღუპული „ზღვის ხალხების" უმრავლესობისათვის ფალები კი არ მოუკრიათ ეგვიპტელებს, არამედ ხელები, რადგან მათ არ აღმოჩენიათ ხორცი წინადაცვეთილობისა (ჩუჩა-Vorhaut).

ეგვიპტელებისაგან წინადაცვეთის ჩვეულება გადმოუღიათ შარდანასა და მასთან ურთიერთობაში მყოფ ტომებს. შემდეგში კი მას აღარ ვხვდებით ამ მხარეებში და არც ეტრუსკების ცხოვრებაში.

ეგვიპტის წყაროებში მოხსენებული აქაიავაშა, როგორც სამართლიანად ფიქრობენ, აქაელები უნდა იყვნენ, რომლებიც ძველადვე გავრცელდენ ხმელთაშუა ზღვის მიდამოებში და სრულებით ადვილად საფიქრებელია, რომ მათაც მონაწილეობა მიიღეს ხალხთა ამ დიდ მოძრაობაში. ძნელია უაშაშას ვინაობის გამორკვევა, რადგან მის შესახებ რაიმე სხვა ცნობა არ მოგვეპოვება. დანაუნას შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. გვ. 48), და მიუხედავად ბ ე ლ ო ხ ი ს მტკიცებისა, თითქოს ბერძნული ეპოსის, დანაელები მითურ ხალხად უნდა ჩაითვალოს (Griech. Geschichte [2] I 2, გვ. 63-64.), დანაუნა მაინც აბ უკანასკნელთ უნდა დავუკავშიროთ, თუმცა ასეთი გაიგივეობისათვის მაინც და მაინც სავსებით დამარწმუნებელი საბუთი არ მოგვეპოვება. როგორც დავინახეთ, რამზეს III დროს ეგვიპტეზე შესეულ ზღვის ხალხების მთავარ ნაწილს პურსტა (პულასატი) და ჯაკარი წარმოადგენდენ. პურსტასა (პულასატისა) და ფილისტიმელებს შორის უკანასკნელ დროს მეცნიერები სრულ იგივეობას აწესებენ (იხ., მაგ.,

---

[1]) იუდეველები იგულისხმებიან.

W. M. Müller, Asien und Europa, 387 შმდ.). ამ მხრით, უწინარეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ფესტის დისკოზე[1] გამოსახული ადამიანის თავი ფრთებიანი ჩაჩქანით სრულებით შეესაბამება პულასატის განსახიერებას (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, Der Diskus von Phästos und die Philister). ხოლო ეინაითგან გამორკვეული არ არის თვით ამ დისკოს სადაურობის საკითხი, ეს ფაქტი ფილისტიმელების წარმოშობის პრობლემას ვერ გაგვირკვევს. მაგრამ არსებობს სხვაგვარი საბუთებიც. დაბადება ფილისტიმელების სამშობლოდ ღავთორიმს ასახელებს. წინასწარმეტყველი იერემია ამბობს: „უფ:ლი გაანადგურებს ფილისტიმელებს, კუნძულ ღავთორიმის ნაშთს“-ო, და სხვ. ღავთორიმი კუნძულ კრეტად უნდა ჩავთვალოთ და ვიგულისხმოთ, რომ ფილისტიმელები, როგორც ამას ისრაელების ტრადიციაც ადასტურებს, კუნძულ ღავთორიმიდან, ე. ი. კრეტადან გადასახლდენ მათი სახელით წოდებულ პალესტინაში და რამზეს III მიერ დამარცხების შემდეგ დამკვიდრდენ ძველ ქალაქებში - გაძასა და ასკალონში და თვალსაჩინოდ გასემიტდენ. ჯაკარის კი, ერთი ეგვიპტური ცნობის თანახმად[2], დაუკავებიათ უფრო ჩრდილოეთით მდებარე დორი. ხოლო რაკი ფილისტიმელებს კრეტას ეუკავშირებთ, ცხადია უნდა მოვიგონოთ კაფტიც, რომლის შესახებ უკვე გვქონდა ლაპარაკი (გვ. 36—41) და რომელიც აგრეთვე კრეტადან წარმომდგარად მივიჩნიეთ. ჩვენ მოგვეპოვება გარკვეული საბუთი ფილისტიმელებისა და კაფტის მახლობელი კავშირის შესახებ: ლონდონის მუზეუმში დაცულია ერთი ხის ვიცარი ეგვიპტური წარწერით, რომელიც უცნობი მოწაფის სავარჯიშო დაფა უნდა ყოფილიყო. ამ წარწერაში კაფტის სახელთან ერთად გეხვდება სიტყვა-„აკაშან“ („ეკაშ“), რომელიც მიულერის აზრით ყველა ფილისტიმური სახელწოდებისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს (Fimmen, Kultur, გვ. 195). უფრო გარკვევით ამ სახელს უკავშირებენ დავითის დროის გატის ფილისტიმელების მეფეს აკიშს და ასარხადონისა და ასურბანიპალის (VII ს.) დროის აქარონის მეფეს იკაუსუს (ე დ. მ ა ჯ ე რ ი, II 1, გვ. 560).

ნათქვამის მიხედვით ვერ გავიზიარებთ იმ მოსაზრებათ, რომლებიც ა რ ტ უ რ ე ვ ა ნ ს მ ა გამოთქვა თავის ახალ შრომაში (The Palace of Minos). ევანსი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ფილისტიმელებს საერთო არა აქვთ რა კრეტას მოსახლეობასთან, რომ პულასატი და ჯაკარი არ არიან ეგეოსელები. ფესტის დისკოს ფრთებიანი ჩაჩქანი შეესაბამება მიკენურ ჩაჩქანებს, და ფილისტიმელები პალესტინაში დაბინავდენ არა „ზღვის ხალხთა“ მოძრაობის დროს, არამედ უფრო გვიან[3].

---

[1]) იხ. ზემოთ. გვ. 41—43

[2]) „ვენამონის მოგზაურობა“. იხ. B r e a s t e d, Ancient Records of Egypt, IV 565.

[3]) წინათ ე ვ ა ნ ს ი პირიქით იმ აზრს იცავდა, რომ ფილისტიმელები კრეტადან გამოვიდენ და სხვათა შორის ფიქრობდა, რომ კულტი ჯერისა პალესტინაში გაავრცელეს კრეტადან გადასახლებულმა ფილისტიმელებმაო. აქ ლაპარაკია კრეტაში აღმოჩენილ ძველეს ქვის სწორმბარიან ჯვარზე, რომელიც თვისი ფორმით გეაგონებს „ბერძნულ ჯვარს“ და რომელიც, ზოგიერთი არქეოლოგის განმარტებით, ბუნების მარადიულ ცხოვრებას, მის მუდმივ აღორძინებას აღნიშნავს.

ეერ გაეიზიარებთ ამ მოსაზრებას მით უფრო, რომ სახელწოდება კრეტელები ფილისტიმელებს მუდამ ცოცხლად ჰქონდათ შემონახული და ისინი ხშირად იხსენიებოდენ, როგორც „ზღვის ნაპირების მცხოვრებლები, კრეტელების ხალხი". ებრაელების მეფის დავითისა და მისი მოადგილეების დაქირავებული ლაშქრის შემადგენლობის სახელწოდებაში ერთი მეორის გვერდით მოხსენებულია ორივე სახელი—კრეტელები და პლეტელები, ე. ი. ფილისტიმელები. ჩვენ მოგვეპოვება აგრეთვე გარკვეული საბუთი, რომ ფილისტიმელებს უახლოესი კავშირი ჰქონდათ კრეტა-მიკენის კულტურასთან. ეს საბუთი არქეოლოგიურ აღმოჩენებზეა დამყარებული და ცხადად გვიჩვენებს, რომ ფილისტიმელებმა ახალ სამშობლოში თან წაიღეს მიკენური სტილის ჭურჭლეულობა, რომელმაც აქ შემდეგი განვითარება და ერთგვარი ცვლილება განიცადა. რომ ფილისტიმელების კერამიკასა და ზოგიერთ სხვა ძეგლს სრული ნათესაობა ემჩნევა მიკენურთან, ეს გარკვეულად დაამტკიცა ფიმენმა ჩვენ მიერ არა ერთხელ დასახელებულ შრომაში (გვ. 195—197). გადაეიდეთ სხვა ფაქტებზე. ჯაკარის წარმოშობის შესახებ ჩვენ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება; მკელევარი Petrie ცდილობს მათი სამშობლო კრეტას აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე ზაკროს დაუკავშიროს, მაგრამ ასეთი მოსაზრება არ არის დამყარებული რაიმე სარწმუნო საბუთზე, და მის გაზიარება არ შეგვიძლია. ამიტომ იძულებული ვართ, მხოლოდ ის აღვნიშნოთ, რომ ჯაკარი, როგორც ფილისტიმელები, ზღვის ხალხი იყვნენ. ეგვიპტის ძეგლებზე ორივე ეს ხალხი და აგრეთვე მათთან ერთად გამოსახული დანაუნა ერთი და იმავე სახითა და ტანსაცმელში არიან გადმოცემული. მათ გარეგნობაში უწინარეს ყოვლისა ჩვენ ყურადღებას იპყრობს ის ფრთებიანი ჩაჩქანი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სრულებით წააგავს ფესტ-ს დისკოზე მრავალრიცხოვანი სიტყვების დასაწყისში დამწერლობის ნიშნის სახით მოთავსებულ ფრთებიან ჩაჩქანს.

აქედან ჩვენ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ფილისტიმელები და ჯაკარი იმ ხალხებს ეკუთვნოდენ, რომელთაც გამოიგონეს ეს შტემპელოვანი დამწერლობა და რომელთა ადგილებიდან უნდა იყოს წარმომდგარი ფესტის დისკო. ეგვიპტის ძეგლებზე მათ თმა ან მოკლედ აქვსთ შეკრეჭილი ან მოპარსული. ასეთსავე მოვლენას ვხედავთ დისკოს ფიგურებზე. ფილისტიმელების მეომრები უწვერონი არიან, როგორც შერდანა, და მხოლოდ მოხუც წინამძღოლებს აქვსთ უმეტეს ნაწილად წვერები. მათი სახის ნაკვთები სრულებით განსხვავდება სემიტური და ხეთური ტიპისაგან. თავისებურია აგრეთვე მათი იარაღი: გრძელი შუბი და მოკლე ხიშტი, მოკლე მახვილი ხმალი და მრგვალი ფარი; ზოგიერთ შემთხვევაში ტანზე მათ აცვიათ აბჯარი, რომელიც ბეჭებსაც ფარავს, ყელი და ხელები კი შიშვლად აქვსთ დატოვებული. მის ქვეშ მუხლებამდე დაშვებულია წინსაფარი, ფეხები კი აგრეთვე შიშველია.

მიკენის ერთ-ერთ ციკლოპურ სახლში აღმოაჩინეს ვაზა (Furtwängler u. Lüschke, Myk. Vasen ,Taf. 42. 43; ედ. მაიერი, II 1, 563), რომელზედაც გამოსახულია მეომართა გამგზავრება ბრძოლის ველზე; მათ უკან მოჩანს მწუხარებით მოცული ქალი, რომელიც ნაღვლიანი თვალებით აცილებს მათ; მეორე მხარეზე ვხედავთ მამაკაცთ, რომლებიც ბრძოლისაკენ მიიწევენ. საბრძოლველად

მიმავალ მეომართ უკავიათ გრძელი შუბები, რომლებზედაც ჩამოკიდებულია პურის ტომრები; მეორე ჯგუფს კი მაღლა აუწევია ხიშტები ბრძოლის დასაწყებად; ორსავე ჯგუფს უპირავს მრგვალი ფარები, მეომრებს ტანზე აცვიათ ორნამენტიანი ქურთუკი, რომელიც ბეჭებსაც სწვდება, მაგრამ ყელი კი შიშველი აქვსთ; სასირცხვილო ადგილები თავისებური ქვედატანით არის დაფარული. ზოგადად ეს ტანსაცმელი კარგად შეესაბამება იმას, რაც ჩვენ ზემოთ უკვე აღვწერეთ. არის მცირეოდენი განსხვავება იმაში, რომ უკანასკნელ შემთხვევაში მეომრებს სახელოები აქვსთ და ამას გარდა გამაშებსა და ფეხსაცმელებს ატარებენ, მაშასადამე მათი ფეხები და ხელები დაფარულია; მათ აგრეთვე წვერი აქვსთ დატოვებული ლოყასა და ნიკაპზე, ხოლო ულვაშები მოპარსული. სამაგიეროდ უფრო ეთანხმება მეორე ჯგუფის თავმორთულობა ფილისტიმელებისა, ჯაკარისა და დანაუნას ფრთებიან ჩაჩქანს. აქედან ცათ შორის სრული მსგავსების დამყარება მაინც ძნელია; ერთი რამ კი ცხადი უნდა იყოს, სახელდობრ ის, რომ ყველა ეს მეომარი ერთსა და იმავე კულტურულ წრეს ეკუთვნოდა, რომელშიაც ურთიერთზე გავლენა მრავალმხრივი იყო. მედინეტ-ხაბუს ტაძარში დაცულია ფრიად დაზიანებული სურათი ტურშას ერთი წინამძღოლისა; შუბლზე მას განიერი ლენტით აქვს შეკრული თმა, რომელიც კულულების მსგავსად არის მოკლედ დაშეებული და ბეჭებამდე ვერ აღწევს. ასეთსავე სახეებს ვხედავთ რამზეს III გვარდიის შემადგენლობაში ეგვიპტელებისა, შარდანასა, ფილისტიმელებისა და ნეგრების გვერდით; მათში ტურშას წარმომადგენლები უნდა შეეცნოთ. იმავე რამზეს III მედინეტ-ხაბუს სასახლეში გამოსახულ ეგვიპტის მტერთა შორის, გარდა ლიკიელებისა, სირიელებისა, ხეთელებისა და ნეგრებისა, ვამჩნევთ აგრეთვე ისეთ სახეებს, რომლებიც ხსენებულ ფიგურებს მოგვაგონებს. ყველა ეს ფიგურა ატარებს არა სამხედრო აბჯარს, არამედ ნაქარგით შემკულ ძვირფას ტანსაცმელს. ერთ მათგანს აცვია ჭრელი ტანსაცმელი და გრძელი ქვედატანი, ლოყასა და ნიკაპზე დატოვებული აქვს წვერი, თმა კი თანასწორად შეკრილი და ნაწნავებად შეკრული. იგი ტურშას გამოსახვა უნდა იყოს. კიპრში ენკომის (სალამისის) საფლავში აღმოაჩინეს სპილოს ძვლის ყუთი, რომლის მიკენური სტილის ჩუქურთმას მცირე აზიის გაელენა ემჩნევა; მასზე დასურათებულია ნადირობა; ორ მონადირეს ისეთივე ფრთებიანი სამკაული აქვს თავზე, როგორსაც ფილისტიმელების წრეში ვხვდებით. ეს საფლავი დახ. 1200 წლებს უნდა ეკუთვნოდეს. ეს ფაქტი იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ამ დროს უკვე დაწყებულა კიპრში სხვადასხვა ხალხის ურთიერთშორის შერევა. კიპრის სხვა საფლავებში აღმოჩენილი სპილოს ძვლის ყუთების სურათები კი პირიქით მიკენური ჩაჩქანით შემკულ თმამოპარსულ თავებს გვისახავს (ე დ. მ ა ჲ ე რ ი, II 1, გვ. 563—566).

ზემონათქვამის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ეგრეთწოდებული ზღვის ხალხები ეგეოსის კულტურული წრიდან გამოსული ტომებია, რომელთაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უხდებოდათ ერთი მეორის მახლობლად ცხოვრება და ურთი ერთის კულტურული გავლენის განცდა, რაც ნათლად ემჩნევა როგორც მათ ჰურჰლეულობასა და საოჯახო ნივთებს, ისე ტანსაცმელსა და იარაღს; პურსტა, თუ პულესატი გარკვეულად ფილისტიმელებად უნდა ჩავთვა-

ლოთ; ისინი ხალხთა დიდი მოძრაობის ტალღებმა მათი სახელით ცნობილ პალესტინაში მიიყვანა; ჯაკარი ფილისტიმელებთან მჭიდრო კავშირში უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ მათ შესახებ, გარდა იმისა, რომ ისინი ზღვის ხალხებს ეკუთვნოდენ, სხვა არა ვიცით რა. დანარჩენ ზღვის ხალხთა გაიგივეობა ამათუიმ ტომთან ცოტად თუ ბევრად გასაზიარებელია, თუმცა ამ მხრით ჯერ კიდევ ბევრი რამ საკამათო და გამოსარკვევია; სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავიათ უაშაშას, რომელთა დაკავშირება რომელიმე ცნობილ ტომთან დღემდე ვერ მოხერხდა.

3. ხალხთა დიდი მოძრაობა. ილირიელები და ფრიგიელები; მისიელები; იტალიის ტომები. დორიელთა გადასახლება. ბერძნების მიერ მცირე აზიის სანაპიროების კოლონიზაცია. მიკენის კულტურის დასასრული.

ჩვენ მიერ განხილულ „ზღვის ხალხთა“ მოძრაობას თან-მოჰყვა სხვადასხვა ხალხთა გადასახლება, რომელმაც საფუძვლიანად შეარყია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნები და არსებითად შესცვალა მათი ეთნოგრაფიული სახე.

ამ პროცესის მიმდინარეობა დაწერილებით არ არის ჩვენთვის ცნობილი, მაგრამ მისი მთავარი მომენტების გათვალისწინება კი შესაძლებელია. ამ მოვლენის უშუალო მიზეზად უნდა ჩავთვალოთ ინდოევროპული ხალხის-ილირიელების შემოსევა ბალკანეთის ნახევარკუნძულის ჩრდილოეთ-დასავლეთ ნაწილში, თრაკიაში. ზოგიერთი მეცნიერი, მაგ. ვილკენი ფიქრობს, რომ ილირიელები უნგრეთის ველებიდან დაიძრენ. ამ ფაქტმა ერთბაშად აამოძრავა თრაკიის ტომები და უწინარეს ყოვლისა დიდი ხალხი-ფრიგიელები, რომელსაც წინად უნდა კავებოდა მთელი მხარე სტრიმონიდან და მაკედონიიდან ადრიატიკის ზღვამდე. მათი ნაშთები აქ მრავალ ადგილს იყო დაცული ბრიგების (Βρίγες) სახელწოდებით. ჰეროდოტეს ბრიგები მოხსენებული ჰყავს მაკედონიაში სპარსელების შემოსევის დროს (VI 45) და თვით ქსერქსის ჯარების შემადგენლობაშიაც (VII 185). იგივე გარკვევით აღნიშნავს, რომ „მაკედონელების სიტყვით, ფრიგიელები ევროპაში მაკედონელების მეზობლად ცხოვრების დროს თავს ბრიგებს უწოდებდენ, ხოლო აზიაში გადასახლების შემდეგ თვისი სახელი ფრიგიელებად შესცვალეს (VII 73).

მთავარი ნაწილი ფრიგიელებისა ილირიელების შემოსევის შემდეგ გადავიდა მცირე აზიაში და აქ დაიკავა ჰელესპონტისა და პროპონტის სანაპირო მხარეები და შეითვისა ადგილობრივი ძველი კულტი.

ცნობა, რომ ფრიგიელები ევროპიდან გადავიდენ მცირე აზიაში, დიდხანს იყო შენახული და, როგორც დავინახეთ, ჰეროდოტესათვისაც იგი უცხო არ ყოფილა. ხოლო ჰეროდოტე მას უმატებს, რომ არმენიები (Ἀρμένιοι) ფრიგიელების შთამომავალნი იყვნენო (VII 73).

ლიდიელების ისტორიკოსი ქსანთოსი გვიამბობს, რომ ფრიგიელები ევროპიდან დაიძრენ სკამანდრიოსის წინამძღოლობით ἐκ Βερεκύντων καὶ Ἀσκανίας ტროიას ომის დროს, და ამავე მოვლენას უკავშირებს იგი მისიელების შეჭრას კაიკოსის სათავის მხარეში (Strabo XII 8, 3; XIV 5, 29). ამ გადმოცემაში დაცულია ისტორიული ცნობა. მართლაც საფიქრებელია, რომ მისიელები

შიდა თრაკიიდან გადმოვიდენ მცირე აზიაში; ილიადაც იცნობს მათ, ხოლო რომაულ პერიოდში მათი სახელი კელავ გვეელინება მოესიას სახით დუნაის მხარეში (ე დ. მ ა ე ე რ ი II 1, 568). აზიაში გადასელის შემდეგ მისიელები პირველად არგანთონიოსის მთებიან მხარეში ნიკომედიისა და კიოსის ზღვის უბეთა შორის და აგრეთვე მისიის ოლიმპთან დასახლდენ და მათ გარშემო მდებარე ადგილების სოფლის მცხოვრებნი გაცარცვეს და უფრო ღრმად შეიჭრენ მხარის შუაგულში.

როგორც აღვნიშნეთ, ცალკეული მხარეები ამ დიდი მოძრაობისა არ არის ჩვენთვის გარკვეული, მაგრამ ჩვენთვის ზოგადად მაინც მისაწვდომია ის ფაქტი, რომ მეორე ათასეული წლების დასასრულს მცირე აზიამ დიდი გადატრიალება განიცადა ახალი ტომების ფრიგიელებისა, მისიელებისა და ტევკრების შემოსევათა მეოხებით. ამ მოვლენის დათარიღება დაახლოებით მაინც შეგვიძლია, რადგან ხეთა გვაქვს რამზეს III ცნობა ხალხთა დიდი გადასახლების შესახებ, რომელმაც მის მეფობაში გაანადგურა ხეთელების ძლიერი სამეფო და სირიაც წალეკა. ხეთელების სამეფოს დაცემასთან უნდა იყოს დაკავშირებული ის ფაქტიც, რომ მუშკაიამ ე. ი. მუსკებმა ანუ მესხებმა, რომლებიც წინათ პონტის მთებში იყვნენ დამკვიდრებული, ამის შემდეგ აღმოსავლეთ მცირე აზიაში იწყეს ფართო განსახლება; ამ მხრით ფრიად საყურადღებოა ის ცნობა, რომლის მიხედვითაც მათ დაახ. 1170 წელს ასირიელებს ალძი და პურუკუცი (ევფრატის აღმოსავლეთით) წაართვეს.

თვისი გაელენა ხალხთა გადასახლებამ უფრო შორეულ ქვეყნებზედაც იქონია. უკანასკნელ დრომდე ფიქრობდენ, რომ იტალიის ინდოევროპული ტომები ჩრდილოეთიდან გადავიდენ პოს მხარეში, მაგრამ დღეს გარკვეულად აღნიშნავენ, რომ კელტების შემოსევამდე მეოთხე საუკუნის დასაწყისში აქ არასოდეს არ ყოფილა განსახლებული ინდოევროპელები. ამიტომ ამ საკითხის შესახებ უფრო ის აზრი მტკიცდება, რომ ინდოევროპული ტომები იტალიაში აღმოსავლეთიდან ადრიატიკის ზღვით მოვიდენ ორ მთავარ ჯგუფად (ე დ. მ ა ე ე რ ი II 1, 573). ლათინები და მათი მონათესავენი, ავსონები (აურუნკები) და ოპიკები კამპანიაში დასახლდენ, ხოლო ოენოტრიულმა ტომებმა და სიკელებმა აავსეს ქვედა-იტალიაში ნახევარკუნძულის დასავლეთი და სამხრეთი ნაწილები. მათ უკან მოჰყვენ ჩრდილოეთში უმბრები, შუა-იტალიაში საბელური ტომები, რომლებიც შემდეგ V ს-ში უფრო სამხრეთით გაერცელდენ და ოპიკები და ოენოტრები გააძევეს თუ შეიერთეს. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ საბელები ილირიიდან იქნენ გამოძევებული და ზღვით შეიჭრენ იტალიაში; მათ თან მოყვენ ილირიული ტომები, იაპიგები და მათი მონათესავენი — აპულიაში და უფრო სამხრეთით ტარენტის ზღვის უბესთან — ხონები.

ბერძნული თქმულების მიხედვით სიკელები თავდაპირველად ქვედა-იტალიაში დასახლდენ, მაგრამ შემდეგში ისინი აქედან გააძევეს მეზობლებმა და გადავიდენ კუნძულზე, რომელსაც ამ დრომდე სიკანია ეწოდებოდა და ახლა კი სიკელია დაარქვეს. მართალია, ოდისეაში ამ კუნძულს Σικανίη ეწოდება, მაგრამ ეს უნდა იყოს განზრახ აღნიშნული არქაიზმი, რადგან ამ დროს ივი ფართოდ იყო ცნობილი Σικελίη-ს სახელით. ა ნ ტ ი ო ხ ს ი რ ა კ უ ზ ე ლ ი სიკე-

ლებს სამართლიანად თელის ოენოტრიულ ტომად (Dion. Hal. I 22), ვინაიდგან სიკელების ის მრავალრიცხოვანი სიტყვები, რომლებიც კუნძულზე ბერძნებმა შეითვისეს, გვიჩვენებს, რომ მათი ენა ახლოს იდგა ლათინურთან. ანტიოხის სიტყვით, ისინი ოენოტრებმა და ოპიკებმა გამოაძევეს. თუკიდიდე ასახელებს მხოლოდ უკანასკნელთ (VI 2), ხოლო ჰელანიკე მათ მაგიერ იაპიგებს იხსენიებს (ედ. მაგერი, II 1, 574), სიმართლე უნდა ითქვას, რომ დრო სიკელების კუნძულზე გადასახლებისა არ არის გაპორკვეული; თუკიდიდეს სიტყვით, იგი ბერძენთა კოლონიზაციის დაწყებამდე სამასი წლის წინად უნდა მომხდარიყო, მაშასადამე, დაახ. XI ს-ში. რომ სარწმუნო საბუთი გვქონდეს იგი ხალხთა აღნიშნულ მოძრაობას დავუკავშიროთ, მაშინ მეტი უფლება გვექნებოდა შაკალშასა და სიკელებს შორის იგივეობის ნიშანი დაგვეწესებია. მაგრამ, რადგან ასეთი რამ არ მოგვეპოვება, უმჯობესია ასეთი მოსაზრება მხოლოდ ჰიპოთეზად ჩაეთვალოთ.

ხალხთა ასეთმა მოძრაობამ დიდი ზეგავლენა იქონია ბერძნებზე და მათ ქვეყანაზედაც. ილირიელების შემოსევამ აამოძრავა ჩრდილოეთში ბერძენი ტომები. პირველად ამოძრაედენ ეპიროტები, რომლებიც ინდოევროპულ შტოს ეკუთვნოდენ, მაგრამ ბერძნული ტომი კი არ იყვნენ. ეპიროტები სამხრეთით იქნენ გაძევებული და შეიკრენ შემდეგში მათი სახელით ცნობილ ეპირში. მათ თავისი მხრით გააძევეს ეპირიდან ბერძნული ტომები. ბერძენი ტომები რომ პირველად მართლაც ესახლენ ეპირში, ამას ერთგვარად მაინც ადასტურებს ტრადიცია დოდონასა და ძევესის უძველეს კულტზე. ეპირიდან ლტოლვილი ბერძენი ტომი თესალიელებისა გადავიდა აღმოსავლეთით პენეიოსის ველზე, რომელიც მაშინ აქაელებს ეკავათ, დაიპყრო ეს უკანასკნელნი და პენესტებად (ყმებად) გაიხადა, თუმცა დაპყრობილ მოსახლეობას თვისი ენა იძულებით თავს ვერ მოახვია და პირიქით მათი ენა შეითვისა. მეორის მხრით ეგეოსის ზღვისკენ იქნენ ნაწილობრივ განდევნილნი ლოკრები. ამას გარდა ბეოტიელების დიალექტი ისეთ თვისებებს ააშკარავებს, რომლებიც გვიჩვენებს, რომ აქ ძველ აქაელებს დასავლეთ-ბერძნული ტომი შერევია (ვ ი ლ კ ე ნ ი, Gr. Gesch., გვ. 40—41).

მაგრამ უფრო დიდი შედეგი ჰქონდა დ ო რ ი ე ლ თ ა გ ა დ ა ს ა ხ ლ ე ბ ა ს. როგორ მიმდინარეობდა დორიელთა გადასახლება, დაწვრილებით ჩვენ არ ვიცით; მის შესახებ მოგვეპოვება, მართალია, თქმულება, მაგრამ იგი მრავალ მითურ ელემენტს შეიცავს და რაიმე გარკვეული სურათის შექმნას შეუძლებლად ხდის. თქმულება „ჰერაკლიდების უკან დაბრუნების“ შესახებ გვიამბობს, თუ როგორ მოიყარეს თავი დორიდაში ოეტასთან ჰერაკლეს შვილმა ჰილოსმა და ჩრდილოეთ-დასავლეთ თესალიაში დორიელთა მეფის ეგიმიოსის ვაჟებმა პამფილოსმა და დიმასმა და როგორ უშედეგოდ სცადეს მათ არა ერთხელ პელოპონესის დაპყრობა; მხოლოდ ჰილოსის შვილიშვილებმა შესძლეს აქედან ნაპაქტით პელოპონესში გადასვლა, არგოსისა და სპარტის მეფის ტისამენის ოკვლა და მისი აქაელების ჩრდილოეთ ნაპირისაკენ (აქაიაში) განდევნა; მთელი ნახევარკუნძული, არკადიისა და ელიდას გამოკლებით, რომელიც ეტოლიელს ოქსილოსს მიეცა, როგორც გასამრჯელო ხელმძღვანელობისათვის, მათ დაიკავეს თვისი დორიელებით; შემდეგ წილისყრით გადაწყვეტა: არგოსი ტემენოს გადასცემოდა, მესენია — კრესფონტს, ლაკონია —

არისტოდემის ტყუპ-შვილებს — ევრისთენესა და პროკლეს. ამ თქულებაში, სამწუხაროდ, არ მოიპოვება არავითარი ცოცხალი ისტორიული მოგონება გარდა იმ მთავარი მოსაზრებისა, რომ დორიელებმა პელოპონესი ერთ დროს აქაელებს ჩამოართვეს. მთელი დეტალი ამ თქმულებისა არის გენეალოგიურ მოსაზრებებზე დაფუძნებული მძიმე კონსტრუქცია, რომლის მთავარი მიზანია პელოპონესის სხვადასხვა სამეფო გვარეულობის წარმოშობის განმარტება. ასევე მოკლებულია მნიშვნელობას ცდა ისეთი ძნელი პრობლემების გაშუქებისა, როგორიც სპარტის სამი ფილეს ჰილეებისა, პამფილებისა და დიმანების სახელებისა და ორმეფიანობის წარმოშობაა. ისტორიისათვის უდავოა მხოლოდ ის, რომ დორიელები, როგორც ამას ჩრდილოეთ-დასავლეთის ბერძნული ჯგუფების დიალექტები გვიჩვენებს, ერთ დროს ჩრდილოეთით ყოფილან დამკვიდრებული და სიმართლესთან ახლოს უნდა იყოს, რომ პატარა ზხარე დორიდა მათი სამხრეთით მსვლელობის დროს მხოლოდ ერთი ეტაპი იყო, სადაც გადასახლებულთა ნაწილი შეიძლება დარჩენილიყო. რომელი გზით მოვიდენ დორიელები პელოპონესში, ეს ჩვენ არ ვიცით, და ამიტომაა, რომ ამ საკითხის გარშემო მრავალი ჰიპოთეზი წარმოიშვა. ცნობილია, რომ ბელოხი უარყოფს საერთოდ დორიელთა გადასახლებას (Die dorische Wanderung, Rhein. Mus. 45 (1890) S. 555 f. f. აგრეთვე — Griechische Geschichte[2] I 2, S. 76 f. f.). ამ მხრით მას ზოგიერთი მიმდევარიც გაუჩნდა, მაგ., Kahrstedt'ი (Neue Jahrb. XXII, 1919, S. 71 f. f.). ბელოხის აზრით თქმულება ამ გადასახლებაზე უფრო გვიანი დროის ნაწარმოებია და არავითარი კავშირი მასთან არ აქვს; ეპოსმა არ იცის თესალიელები თესალიაში და დორიელები პელოპონესში, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ბერძნებმა ჰომეროსის შემდეგ მომხდარი ტომთა გადასახლების შესახებ შეთხზეს ეტიოლოგიური მითი. მაგრამ ბელოხის მოსაზრება არ არის საფუძვლიანი და არც იქნა იგი საერთოდ მეცნიერების მიერ გაზიარებული. დღეს მეცნიერებას მოეპოვება ძვირფასი ენობრივი მასალა, რომელიც საფუძვლიანად ეწინააღმდეგება ბელოხის ჰიპერკრიტიკულ მოსაზრებათ და ამტკიცებს ამ გადასახლების სინამდვილეს [1].

დორიელების დამკვიდრება პელოპონესში ერთბაშად არ მომხდარა; უნდა ვიფიქროთ, რომ მათი ჯგუფები თანდათან ერთიმეორის მომდევნოდ გადმოდიოდენ და ესახლებოდენ აქ. დორიელები კულტურის დაბალ საფეხურზე მდგომი მეომრები იყვნენ და მათ შემოსევას აქაელთა ქვეყანაში ამ უკანაკნელთა ცივილიზაციისათვის საბედისწერო მნიშვნელობა ჰქონდა. მხოლოდ პელოპონესის გულში არკადიის მაღალ მხარეში დარჩა ძველი მოსახლეობა, რომელიც შეინარჩუნა თავისი ძველი ენა. პელოპონესში დორიელები რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ: ერთმა ნაწილმა დაიპყრო არგოლიდა იონელებით დასახლებულ კინურიასთან ერთად. მეორე ნაწილი კი შეიჭრა ტაიგეტსა და პარნონს შორის ევროტასის ჭალაში. რომ ეს ნაწილი ჩრდილოეთიდან იყო მოსული, ამის სასარგებლოდ ლაპარაკობს სპარტის მდებარეობა აქაელთა გარეთუბნის ამიკლოს

[1]) იხ. Solmsen, Thessaliotis und Pelasgiotis (Rhein. Mus. 58) იგივე, Eigennamen als Zeugen der Sprachmischung in Boeotien (იქვე, 59, 1904) და Vordorisches in Lakonien (იქვე, 62, 1905), და სხვ.

ჩრდილოეთით: სიმართლეს უნდა შეესაბამებოდეს, რომ დორიელები თვისი წინსვლის დროს იძულებული გახდენ აქ შეჩერებულიყვნენ, და სპარტაც სწორედ ასეთი სამხედრო სადგურ-ბანაკისაგან უნდა წარმომდგარიყო ამიკლოს წინააღმდეგ. ელიდა დორიელებს არ დაუპყრიათ, არამედ ეტოლიიდან გამოსული მონათესავე ტომების მიერ იქნა იგი დაკავებული, როგორც ამაზედ თქმულებაც სამართლიანად მიგვითითებს. რაც შეეხება მესენიას, იგიც არ ყოფილა ერთბაშად დაპყრობილი დორიელების მიერ, როგორც თქმულება აღნიშნავს, არამედ სპარტელებმა თანდათანობით შეადგეს თვისი უღელი ძველ წინა-დორიულ მოსახლეობას. უფრო ფართო ხასიათის დაპყრობითი პოლიტიკა სპარტელებისა დაკავშირებულია მესენიის პირველ ომთან (ვ ი ლ კ ე ნ ი, Gr. Gesch., გვ. 41—42). მიუხედავად იმისა, რომ დორიელები კულტურის დაბალ სტადიაში იმყოფებოდენ, როგორც დამპყრობელები ისინი იმდენად ძლიერი აღმოჩნდენ, რომ დაპყრობილ მოსახლეობას ყველგან დორიული ენა მოახვიეს თავს. მხოლოდ აქა-იქ-ღა თუ არსებობდა აქაელთა დიალექტის კვალი. მოპყრობა დამორჩილებულ მოსახლეობისადმი მათ სხვადასხვაგვარი ჰქონდათ; სპარტის სახელმწიფოში ძველი გლეხკაცობა მათ ყმებად-ჰილოტებად გახადეს, ხოლო ქალაქის ძველ მცხოვრებთ პერიეკებს პირადი თავისუფლება დაუტოვეს, მაგრამ სამხედრო ბეგარა დაადვეს და პოლიტიკური უფლებები წაართვეს. ზოგიერთ ქალაქში, როგორც არგოსში და სიკიონში, სამ დორიულ ფილეს გვერდით უფრო გვიან დროში გვხვდება მეოთხე ფილეც ადგილობრივი ძველი მოსახლეობისათვის, რომელსაც ამგვარად დროთა მსვლელობაში იარაღით ხელში მოუპოვებია დორიულ სახელმწიფო კავშირში მონაწილეობის უფლება.

პელოპონესში განსახლებასთან ერთად დორიელების ნაწილები გავრცელდენ ეგეოსის ზღვის კუნძულებზედაც: კითერაში და კრეტაში, თერაში და მელოსში და სხვ. განსაკუთრებით საყურადღებოა დორიელების დამკვიდრება კრეტაში, რომელიც მათ ისე გაადორიელეს, რომ აქ დავიწყებულ იქნა აქაელთა ეპოქა; თვით დორიელებმა გადმოიღეს მინოსის თქმულების სახე და მასვე დაუკავშირეს თავიანთი სოციალურ-პოლიტიკური წყობილება. კრეტას სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია ახლოს ენათესაეებოდა სპარტულ წყობილებას, ხოლო სპარტელებს თვისი სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია მინოსიდან, ლიკურგოსის შუამავლობით, წარმომდგარად მიაჩნდათ.

ბერძენი ტომების, განსაკუთრებით დორიელების, ამოძრავებამ დიდი ცვლილება გამოიწვია საბერძნეთში; მან საფუძვლიანად შეარყია ძველი ურთიერთობანი და სახელმწიფოებრივ-კულტურული ცხოვრება ბერძნებისა და განადგურებით დაემუქრა ძველ კულტურულ მონაპოვართ. ამ საერთო მღელვარებისა და ამოძრავების დროს შედარებით მშვიდობიან მდგომარეობაში დარჩა ატიკა. ათენელებს უფლება ჰქონდათ ეთქვათ, რომ, ირკადიელების გამოკლებით, მხოლოდ ისინი შეადგენდენ მკვიდრ მოსახლეობას თავის მიწა წყალზე; რომ მხოლოდ მათ შეინარჩუნეს მიკენის ეპოქაში შექმნილი მთლიანობა ათენის ციხე-ქალაქის ბატონობის ხანაშიც, მაშინ როდესაც საბერძნეთის სხვა ნაწილებში ადგილი ჰქონდა პატარ-პატარა ოლქებად დაქუცმაცებას. ალბათ, ამავე ნიადაგს

ემყარებოდა ის მოვლენა, რომ მთელი ატიკისა და მისი მცხოვრებლების სახელწოდება—ათენელები—მთავარი ქალაქის ათენისაგან არის წარმომდგარი.

აღწერილ ფაქტებთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ბერძნების მიერ მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროს კოლონიზაცია. როგორც თავის ადგილას იყო ნათქვამი, ზოგიერთი მოსაზრება უფლებას გვაძლევს ვიგულისხმოთ, რომ ხეთელების მეფეების ბატონობა ეგეოსის ზღვამდე ერცელდებოდა. სანამ ხეთელების ძლიერი სახელმწიფო არსებობდა, ცხადია, ბერძნებისათვის ძნელი იქნებოდა მცირე აზიის სანაპიროებში ფართოდ განსახლება, თუმცა მათ ქვეყანაში შექმნილი პირობები, ალბათ, მათ ასეთი ნაბიჯის გადადგმას უკარნახებდა. თვისი სურვილისა და ერთგვარად აუცილებელი მოთხოვნილების განხორციელება ბერძნებმა მას შემდეგ შესძლეს, როდესაც ხალხთა დიდმა მოძრაობამ ბოლო მოუღო ხეთელთა ოდესღაც ძლიერსა და სახელოვან სახელმწიფოს. მათ მიერ მცირე აზიის ნაპირების დაკავება დაახ. 1190 წლებში უნდა დაწყებულიყო. კარგად შეესაბამება ამ თარიღს მილეტში აღმოჩენილი ძველი მიკენური ძეგლები, რომლებიც XII საუკუნის გვიან-მიკენურ ხელოვნებას უნდა ეკუთვნოდეს (Wilcken, Gr. Gesch. გვ. 39); აგრეთვე მილეტის ტიპიური მიკენური სამარხები ცხადჰყოფს, რომ აქ არსებობდა მიკენური მოსახლეობა. ასეთივე მოსახლეობის კვალი აღმოჩნდა კუნძულ როდოსში (Fimmen, Kultur, გვ. 16: 96). მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ მიკენის პერიოდში ბერძნების განსახლება ეგეოსის ზღვის მიდამოებში უმნიშვნელოდ შეეხო საკუთრივ საბერძნეთს. ხოლო XII საუკუნის ხალხთა დიდი მოძრაობის შემდეგ საკუთრივ საბერძნეთიდანაც უფრო ვრცლად იწყეს ბერძნებმა მცირე აზიის დასავლეთ სანაპიროში გადასელა. ამგვარად ძველი საკამათო საკითხი, დორიელთა გადასახლების წინ, თუ მას შემდეგ მოხდა ბერძნების დამკვიდრება მცირე აზიაში, გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს იმ მიმართულებით, რომ ორივე მოსაზრება სიმართლეს შეიცავს. დორიელთა გადასახლებამდე ბერძენ ტომთა ნაწილები, უმეტესად კუნძულებიდან, ახერხებდენ ეგეოსის ზღვის კუნძულებსა და დასავლეთ მცირე აზიაში დასახლებას, მაგრამ დორიელთა გადასახლების შემდეგ ეს მოვლენა განსაკუთრებით საკუთრივ საბერძნეთის ხმელეთს შეეხო. მცირე აზიისაკენ მიმავალ ბერძნებს ჯერ ეგეოსის დიდი კუნძულები უნდა დაეკავებიათ. როგორც ჩანს, ჩრდილოეთ — აქაელები, განსაკუთრებით თესალიიდან პირველად ლესბოსს დაეპატრონენ, შემდეგ კი პატარა ტენედოსს და მხოლოდ უფრო გვიან შეიჭრენ მცირე აზიის სანაპიროებში. ეს კოლონისტები, რომლებსაც შეუერთდენ მათი დაცალკევებული ნაწილები საბერძნეთის სხვადასხვა მხარიდან, ჰქმნიან ადგილობრივ მოსახლეობასთან ხანგრძლივ ურთიერთობაში მთლიან ტომს, რომელსაც ეოლელების (Αἰολεῖς) სახელწოდებით ვიცნობთ. ამ სახელწოდების წარმოშობა ნათელი არ არის. ევილკენის სიტყვით, თუ იგი წინათ იყო წარმომდგარი, როგორც კერძო სახელწოდება, მხოლოდ ახალშენებში მიიღო მან საერთო მნიშვნელობა. ეოლელების ახალშენები უმეტეს ნაწილად ლოფლის მეურნეობის კოლონიებს წარმოადგენდენ.

მეორე ტალღა კოლონისტებისა უმთავრესად იონურ დიალექტზე მოლაპარაკე ჯგუფს ეკუთვნოდა, რომლებიც უმეტესად ატიკიდან, ევბეადან და აგრეთვე საბერძნეთის სხვა ნაწილებიდანაც იყვნენ გამოსული. ის ძველი ტრადიცია,

თითქოს იონური კოლონიზაცია სპეციალურად ატიკიდან გამომდინარეობდა, წარმოიშვა V ს-ში ატიკის ძლიერი სახელმწიფოს არსებობის ფაქტის ზეგავლენით. ეს კოლონისტები პირველად დაემკვიდრენ ეგეოსის ზღვის კუნძულებზე, შემდეგ — ქიოსში, რომელიც ეოლელებს ჩამოართვეს, სამოსში, აქედან მიაღწიეს მცირე აზიის სანაპიროებს და დაიკავეს მათი სამხრეთი ნაწილი მილეტამდე. ხოლო ჩრდილოეთით მათ უფრო გვიან ეოლელებს ჩამოაცალეს მიმასის ნახევარკუნძული და სმირნა, აგრეთვე კიდევ უფრო ჩრდილოეთით მდებარე ფოკეა. კოლონისტების ამ ჯგუფებმაც მცირეაზიულ უძველეს მოსახლეობასთან განსასხვავებლად შეჰქმნეს გარკვეული ტიპის მთლიანი ტომი, რომელიც ი ო ნ ე ლ ე ბ ი ს სახელწოდებით შეიქნა ცნობილი ("Ἰωνες, სემიტების — იავან). არც ამ სახელწოდების წარმოშობა არის ნათელი. წინააღმდეგ ეოლელების ახალშენებისა, იონელთა კოლონიები უმეტესად ვაჭრობას მისდევდენ. ძველი სავაჭრო გზები რომლებიც შიდა აზიისაკენ მიემართებოდა, იონელებს საშუალებას აძლევდა მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა დაემყარებიათ მცირე აზიის მხარეებთან და მისი ასპარეზი და მოკულობა თანდათან გაეფართოვებიათ. ამასთან ერთად იონელთა ახალშენები დიდ ხანს იყვნენ ბერძნული კულტურის ღირსეული წინამძღოლნი.

დორიელთა გადასახლებამ და მასთან დაკავშირებულმა ბერძენ ტომთა მოძრაობამ გაანადგურა მიკენის ბრწყინვალე კულტურა და ბოლო მოუღო მიკენის ეპოქას. ამის შემდეგ მის შორეულ გამოძახილს ჰომეროსის ეპოსში-ღა ვხვდებით. ამით დასრულდა საბერძნეთის ისტორიის უძველესი პერიოდი და დასაბამი მიეცა ახალ ხანას ახალი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობით. დამყარდა თავისებური „ბერძნული საშუალო საუკუნეები" („das griechische Mittelalter") ახალი სახელმწიფოებით, საკუთარი რაინდობითა და გმირული სიმღერებით. მაგრამ ეგეოსის კულტურის ტრადიციები საესებით არ დაღუპულა და მას კაცობრიობის ისტორიისათვის უკვალოდ არ ჩაუვლია; ეს ტრადიციები გადავიდა ბერძნულ კულტურაში, ხოლო ამ უკანასკნელის წყალობით ჩვენი კულტურის საგანძურშიც. მართალია, ეგეოსის საუკუნეთა განმავლობაში მიწაწყაერილ კულტურულ სამყაროს დიდხანს „ეძინა ღრმა ძილით" და დიდხანს იყო უცნობი კაცობრიობისათვის, მაგრამ დღეს იგი უკვე საერთოდ ხელშესახები გახდა.

თ ა ვ ი IV

ბერძნული საშუალო საუკუნეები

1. ჰომეროსის საკითხი და მისი პოემების ისტორიული მნიშვნელობა.

მიკენის ეპოქის შემდეგ საბერძნეთში დამყარებული „საშუალო საუკუნეების“ (XII—IX ს. ს.) მთავარი წყარო არის ჰომეროსის პოემები—ილიადა და ოდისეა. დღეს, ალბათ, იშვიათად მოიპოვება ისეთი წერაკითხვის მცოდნე ადამიანი, რომელსაც ჰომეროსის სახელი არ გაეგონოს, მაგრამ ის კი შესაძლებელია ყველამ არ იცოდეს, რომ ამ სახელთან დაკავშირებულია მწერლობის ისტორიაში უძნელესი და ურთულესი პრობლემა. ძველად გარდა ილიადასა და ოდისეასი ჰომეროსს მიაწერდენ მთელ რიგს პოემებისას და პატარა ლექსებისას. მართალია, მას შემდეგ რაც ძველმა ბერძნებმა მოხერხებულად მოიმარჯვეს მეცნიერული კრიტიკა, ჰომეროსის სახელს ჩამოაშორეს მრავალი ნაწარმოები და იმაშიც კი შეიტანეს ეჭვი, ეკუთვნოდა თუ არა მის შემოქმედებას ოდისეა, მაგრამ ის კი ღრმად სწამდა ყველა ბერძენს, რომ მოხუცი შგოსანი ისტორიული პიროვნება იყო და შვიდი ქალაქი ერთი მეორეს ეცილებოდა იმაში, თუ რომელს ხვდებოდა წილად დიდი პოეტის სამშობლოდ აღიარების პატივი[1].

ჰომეროსის საკითხი დღესაც უდიდესი აქტუალური პრობლემაა ისტორიასა და ფილოლოგიაში. ჩვენ დაწვრილებით ვერ შევჩერდებით ამ საკითხის განხილვაზე და შეეხებით მხოლოდ მისი განვითარების მთავარ მომენტებს ახალ საუკუნეებში[2]. 1795 წელს გამოიცა ფრიდრიპ ავგუსტ ვოლფის (F. A. Wolf) სახელგანთქმული ნაშრომი - Prolegomena ad Homerum“, რომელშიაც იგი მიუთითებს იმაზე, რომ პოემებში მრავალი შინაგანი წინააღმდეგობაა, რომ ჰომეროსის დროს ბერძნებს დამწერლობა არ ჰქონიათ, და დაასკვნის: ძველი სიმღერები ტროიას ომის შესახებ ერთი თაობიდან მეორე თაობას სიტყვიერად გადაეცემოდა, ინახებოდა, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, მომღერლების მეხსიერებაში და პირველად ჩაწერილ, შეკრებილ და წესრიგში მოყვანილ იქნა პიზისტრატეს დროის რედაქტორების მიერ. როგორც ვოლფის თეორიის შინაარსიდან ჩანს, მის მთავარ საფუძველს წარმოადგენს ის მოსაზრება, რომ ბერძნებს დამწერლობა ჰომეროსზე გაცილებით უფრო გვიან გაუჩნდა; მაგრამ, როგორც

---

[1]) იხ. ალ. წერეთელი, ჰომეროსის საზოგადოება, I (ამონაბეჭდი „ჩვენი მეცნიერება“-დან).

[2]) მსურველთ მივუთითებთ დამ. პროფ. გრ. წერეთლის ნაშრომზე - ბერძნული ლიტერატურის ისტორია I, გვ. 49—73, სადაც ოგი იპოვის ძვირფას დახასიათებას ამ საკითხისას.

ქვემოთ დავინახავთ, ბერძნებმა ანბანი შემოიღეს ქრ. წ. IX საუკუნეში და დღეს ჩვენ ხელთ არის უკვე რამდენიმე წარწერა VIII საუკუნის დასაწყისისა. არც ის შვეფერება სინამდვილეს, თითქოს, ამ პოემების შეკრება და ჩაწერა პიზისტრატეს დროს მოხდა, რადგან ამის დამადასტურებელ ცნობას ძველი მწერლები არ იძლევიან, თუ ბხედველობაში არ მივიღებთ იოსებ ფლაბიუსს (ქრ. შ. I საუკუნე). უფრო სერიოზული იყო ვოლფის მტკიცება, რომ არც „ილიადა" და არც „ოდისეა" ერთი პოეტის ნაწარმოებს არ წარმოადგენს და რომ მათ შედგენაში მონაწილეობას იღებდა მრავალი მგოსანი და ცალკეული სიმღერები მთლიან ერთეულად შეაკავშირეს მხოლოდ მრავალი საუკუნის შემდეგ. ვოლფის ხსენებულმა ნაშრომმა უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა არა მარტო სპეციალისტების ვიწრო წრეზე, არამედ იმ დროის მთელ განათლებულ საზოგადოებაზეც. დაიწყო ცხარე ლიტერატურული კამათი, რომელშიაც უახლოესი მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა შილერმა და გოეთემ, რომლებიც ვოლფის საწინააღმდეგოდ იცავდენ ჰომეროსის პიროვნებასა და ავტორობას.

ვოლფის მიმდევართა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ცნობილ გოტფრიდ ჰერმანს (Hermann), რომელიც ჰომეროსის საკითხში ეგრეთწოდებული კრისტალიზაციის თეორიის ავტორია. მისი შეხედულებით, პირველმა დიდმა პოეტმა ისარგებლა უკვე არსებული სიმღერებით და საფუძველი ჩაუყარა ილიადას და ოდისეას; შემდეგ კი მათ სხვა პოეტების მიერ თანდათანობით სრული გადაკეთება განიცადეს და ამ ნიადაგზე მთავარი ნასკვის გარშემო წარმოიშვა ბთელი რიგი ახალი ფენებისა. ამ მოვლენით უნდა აიხსნებოდეს ის წინააღმდეგობანი, რომელნიც პოემებში გვხვდება. ამ გვარად ჰერმანის თეორია მაინც აღიარებს მთავარი პოეტის არსებობას, რომელიც მთელი ეპოსის შემოქმედია და დიდ გავლენას ახდენს თავის მიმდევრებზე. ხოლო ცალკეული სიმღერების თეორიის (Liederthcorie) უკიდურესი წარმომადგენელი იყო კარლ ლახმანი (K. Lachmann). იგი განსაკუთრებული სიცხადით ააშკარავებდა წინააღმდეგობათ და კავშირის სისუსტეს ილიადაში და ამიტომ ფიქრობდა, რომ ილიადა არის კონგლომერატი თავდაპირველად სრულებით დამოუკიდებელი სიმღერებისა.

ლახმანის თეორიამ ბუნებრივად გამოიწვია რეაქცია და წარმოიშვა ახალი თეორია „უნიტარებისა", რომლის თანახმად ჰომეროსი არის არა პირვანდელი პოეტი, არამედ დიდი ხელოვანი, რომელმაც ისარგებლა არსებული სიმღერებით და შექმნა მათზე დამყარებით დიდი მხატვრული ეპოსი. ამ თეორიის მთავარი წარმომადგენელია ვილჰელმ ნიტცში (Nitzsch). მისი აზრით, ჰომეროსამდე არსებობდა ბხოლოდ ცალკეული სიმღერები, რომელთაგანაც ჰომეროსმა შექმნა თავისი შესანიშნავი ნაწარმოები.

ერთგვარად საშუალო ადგილი დაიკავა „უნიტარებსა" და „ვოლფიანელებს" შორის ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა გროტმა (Grote). იგი ოდისეაში სრულ ბთლიანობას აწესებს, ხოლო ილიადაში ხედავს ორ მთავარ ნაწილს — თავდაპირველ პოემა „აქილეიდა"-ს, რომელიც მოგვითხრობს აქილევსის რისხვას და ამ რისხვის შედეგებს, და შემდეგში ჩამატებულს საკუთრივ „ილიადას". პოემა შექმნილი იყო ერთი პოეტის მიერ, მაგრამ შემდეგ სხვა პოეტებმა იგი

გააფართოვეს და აქილეესის რისხვის პოემა გადაიქცა საზოგადოდ ტროიას ომის პოემად, ე. ი. ილიადად.

ლახმანის თეორიის გადამუშავებას წარმოადგენს ეგრეთწოდებული „კომპილაციის“ თეორია იმ სახით, რომ ჰომეროსის პოემები დანაწევრებულია არა პატარა ცალკეულ სიმღერებად, არამედ დიდ ეპიკურ კომპლექსებად.

შედარებით უფრო დამაკმაყოფილებელია კ რ ი ს ტ ი ს თეორია, რომელსაც დ ა მ. პ რ ო ფ. გ რ. წ ე რ ე თ ე ლ ი ეკლექტიკურს უწოდებს. მისი სიტყვით, ილიადა და ოდისეა ემყარება ხალხურ საგებს, რომლებიც დაკავშირებულია ეოლელი და აქაელი კოლონისტების მცირე აზიის სანაპიროების მცხოვრებთა წინააღმდეგ ბრძოლასთან. დიდმა პოეტმა ჰომეროსმა აიღო და გადაამუშავა ეს სიმღერები. მაგრამ ვინაითგან ეს სიმღერები ცალკეულ რეციტაციებისთვის იყო დანიშნული, ამიტომ მათ შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა, თუმცა ამავე დროს შეერთებული იყვნენ მთლიანი გეგმით, რომელიც პოეტს კარგად ჰქონდა გათვალისწინებული. ჰომეროსმა სხვა პოეტებს უანდერძა მისი პოემების დაცვა, რეციტაცია და გავრცელება. ამ პოეტებს კრისტი „ჰომერიდებს“ უწოდებს. ოდისეა, კრისტის აზრით, სულ სხვა ავტორის ნაწარმოებია.

საერთოდ უკანასკნელ წლებში სჭარბობს მთლიანობის თეორია, ილიადა ჰომეროსის ნაწარმოებად მიაჩნიათ და მას თვლიან არა ფიქციად, არამედ რეალურ პიროვნებად. ხოლო ოდისეასთვის ნაგულისხმევია სხვა დროში და სხვა პირობებში მცხოვრები და ჰომეროსზე არანაკლებ ნიჭიერი სხვა პოეტი:

რომ ერთგვარი დაჯავშნა მოვახდინოთ ჰომეროსის საკითხში დღემდე ნაწარმოები მუშაობისა, მივიღებთ ერთგვარად განსაზღვრულ სურათს:

ჰომეროსის ეპოსი საუკუნეთა განმავლობაში დაცული იყო მხოლოდ ზეპირთქმულებაში და პირველად დაახლოვებით 700 წელს უნდა ყოფილიყო ჩაწერილი. მაშინ, როდესაც მიკენის პერიოდში პატარა საგმირო სიმღერებს საკუფრივ საბერძნეთში მღეროდენ, ჰომეროსის ეპოსი, რომელიც მათთან იყო დაკავშირებული, მეორე მხარეზე—ახალშენებში იქნა შედგენილი. ეპოსის დიალექტი უმეტეს ნაწილად იონურია, მაგრამ გვხვდება აქა-იქ ეოლიზმებიც. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი იქ წარმოიშვა, სადაც ორივე ეს დიალექტი ერთი მეორეს ექსოვებოდა, სახელდობრ სმირნას მახლობლად ეოლურ-იონურ კიდეზე, საიდანაც იონელებმა ეოლელები გამოდეკნეს. მართალია, არსებობს ისეთი შეხედულებაც, თითქოს ეპოსი პირველად ეოლურ დიალექტზე იყო შედგენილი და მხოლოდ შემდეგში გადაამუშავეს იგი თვის დიალექტზე იონელებმა, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ ლაპარაკობს ბერძნული მწერლობის ის წესი, რომლის მიხედვითაც დიალექტი, რომელზედაც გამოდიოდა ახალი ლიტერატურული ნაწარმოები, ხანგრძლივად რჩებოდა ამ ნაწარმოების კუთვნილებად (ე ი ლ კ ე ნ ი, Griech. Gesch., გვ. 48).

ეპოსი იმ სახით, რომლითაც მან ჩვენ დრომდე მოაღწია, არის შედეგი საუკუნეთა განმავლობაში გარვითარებისა. ჰომეროსის პოემების გავრცელების შესახებ შეგვიძლია ასეთი სურათი წარმოვიდგინოთ: მათ შექმნამდე, ცალკეული სიმღერების ხანაში, მოგზაური მგოსნები — ა ე დ ე ბ ი (ἀοιδοί) თხზავდენ და მღეროდენ ქნარის (Phorminx, φόρμιγξ) აკომპანიმენტით იმ დროის დიდე-

ბულთა კარზე საგმირო სიმღერებს. შემდეგში, როდესაც სიმღერების ადგილი პოემებმა დაიკავა, სიმღერების შესრულების ასეთი წესიც დაირღვა: სიმღერა რეციტაციამ შეს კვალა, ხოლო ამგვარ პირობებში ქნარი და სიმღერა უკვე შეუფერებელი გახდა; ამიტომაც მომღერლების ადგილას ახლა უკვე მთხრობლებს რაფსოდებს (ῥαψῳδοί) ეხედავთ. რაფსოდები გვირგვინით თავზე და კვერთხით (ῥάβδος) ხელში, პოლიტიკურ ცვლილებათა გამო, გამოდიოდენ და ამბობდენ ჰომეროსისა და სხვა ეპიკოსების ლექსებს უკვე არა დიდებულთა წინაშე, არამედ სახალხო დღესასწაულებზე. დროთა განმავლობაში მათთვის უკვე საჭირო აღარ იყო პირადი შემოქმედების ნიჭი, რადგან შეეძლოთ გადმოეცათ ზეპირად დასწავლილი სხვისი ლექსები. რაფსოდები, რომლებიც უმეტეს ნაწილად ჰომეროსის პოემების რეციტაციას მისდევდენ, ჰომერიდების სახელწოდებით არიან ცნობილი.

ამ ჰომერიდებმა გააცნეს სწორედ მთელ ელადას VII—VI ს-ში ჰომეროსის პოემები. განსაკუთრებით საყურადღებო იყო ჰომეროსის რეციტაციები ათენში, სადაც მათ დიდ პანათენეთა დღესასწაულზე ასრულებდენ. ჰომეროსის ორი პოემიდან ოდისეა 100 წლით უფრო გვიან უნდა იყოს შედგენილი, ვიდრე ილიადა. ორსავე პოემაში საკმაოდ დაცულია ზოგიერთი უკვალოდ დაკარგული პოეტური თქმულების კვალი. როგორც ვიცით, ილიადაში თქმულება თესალიის გმირის აქილევსის შესახებ, რომელიც ეოლელმა კოლონისტებმა სამშობლოდან თან წამოიღეს და ახალშენებში შემდეგი განვითარება მიანიჭეს, შეერთებულია ტროიას ომის გადმოცემასთან და ჰელენას მითთან. ამას გარდა მას ჩამატებული აქვს იონური საგები და დაახ. VII საუკუნეში, როდესაც ეპიკური ხელოვნება საკუთრივ საბერძნეთშიც გადავიდა, მას ჩაურთეს აქაც რამოდენიმე სხვა თქმულება. ასეთი რთული წარმოშობისაა ილიადა, რომელიც მოგვითხრობს ტროიას სიმაგრესთან ომის არა მთელ ათწლოვან ისტორიას, არამედ ბრძოლის მეათე წელს მომხდარ ზოგიერთ ამბავს, რომლებიც აქაელთა წინამძღოლს აგამემნონსა და უდიდეს გმირს აქილევსს შორის ჩამოვარდნილ უთანხმოებასთან არის დაკავშირებული. მიუხედავად იმისა, რომ ილიადა თვისი შინაარსით მეტად რთულ რასმე წარმოადგენს, რომ მასში მრავლად მოიპოვება წინააღმდეგობანი და ხარვეზები, იგი მაინც უეჭველად სტოვებს მხატვრული მთლიანობის შთაბეჭდილებას.

ყოველივე ეს იმ დიდი პოეტის დამსახურებაა, რომელმაც სიმღერა აქილევსის რისხვის შესახებ პოემის ცენტრში მოათავსა, სხვა ყოველივე კი მის გარშემო დააჯგუფა და ამგვარად შეჰქმნა გეგმაშეწონილი კომპოზიცია. საბუთი გვაქვს ვილაპარაკოთ პოეტის გარკვეულ პიროვნებაზე, რადგან ასეთი აზრი შეიძლებოდა მხოლოდ ერთხელ და ერთ თავში წარმოშობილიყო, და იგი ილიადას გენიალურ შემოქმედად უნდა ჩავთვალოთ (ვილკენი, 49). ილიადას დღევანდელი სახე გვიჩვენებს, რომ პოეტმა იგი შექმნა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. მართალია, მასალა რომლითაც ის სარგებლობდა, უკვე მზად იყო და მხოლოდ დამუშავებას საჭიროებდა, მაგრამ პოეტის ხელში მზა საფუძველმა ძლიერი სახეცვლილება განიცადა. მოხდა მეტიც: ილიადაში მოიპოვება მთელი რიგი ისეთი ადგილებისა, რომლებიც ჰომეროსის სრულ საკუთრებას, არაფრისაგან შექმნილს, წარმოადგენს.

უფრო დასრულებულ შთაბეჭდილებას სტოვებს ოდისეა, რომელშიაც პოეტს შეუერთებია ორი ძოტივი — მოტივი ტელემახეს მოგზაურობისა და მოტივი საქმროებზე ოდისეს შურისძიების შესახებ, ხოლო თავისი პოემის მოქმედების ადგილად კი მისთვის კარგად ნაცნობი კუნძული ითაკა აურჩეია (პროფ. გ რ. წ ე რ ე თ ე ლ ი, 66, 69).

ჰომეროსის პოემების შესწავლის მთავარი ამოცანა ამჟამად იმაში მდგომარეობს, რომ შესაძლებელი სისრულით იქნას მოძიებული პოემების შემადგენელი ნაწილების სახეები და განსაკუთრებით კი უძველესი და უახლოესი ფენები მათში შეძლებისდაგვარად იქნას გამოყოფილი. ეს უკანასკნელი მით უფრო საჭიროა, რომ გარდა მიკენის პერიოდის შორეული ასახვისა, ილიადასა და ოდისეაში დაცულია ძვირფასი მასალა ბერძნული საშუალო საუკუნეების სამეურნეო, სოციალური და პოლიტიკური ცხოვრების გათვალისწინებისათვის. ამ მიზნისათვის კი ისევე აუცილებელია ჰომეროსის პოემების ფენების დანაწილება და გარკვევა, როგორც ძველი აღთქმის გამოყენება აღმოსავლეთის ისტორიისათვის. ჰომეროსის პოემებს უდიდესი მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა ბერძნების კულტურულ ცხოვრებაზე, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც V საუკუნეში ისინი სასწავლო წიგნებად შემოიღეს. როგორც რომაელების აღზრდაში მთავარი ადგილი 12 დაფის კანონებს ეჭირა, ისე ბერძნებისათვის ამ ხრით პირველხარისხოვანი ჰომეროსის პოემები იყო. საერთოდ ჰომეროსი ბერძნებისათვის ისეთი პოეტი იყო, რომლის არცოდნა დიდ სირცხვილად ითვლებოდა. ჰომეროსის პოემები ბერძნების ცხოვრებაში ისეთი ღირსშესანიშნავი წიგნები გახდა, რომლებშიაც პასუხს ეძებდენ ყოველგვარ კითხვაზე. გრაგნილებს ჰომეროსის პოემებით საფლავებშიაც კი ატანდენ მიცვალებულთ

ამას გარდა, ვინაითგან ამ პოემებში შეერთებულია თქმულებები სხვადასხვა ბერძენი ტომების შესახებ, მათ დიდი მნიშვნელობა მიეცათ ბერძნების ეროვნული თვითშემეცნების განვითარებაში: ილიადასა და ოდისეას გმირებში პოულობდენ ბერძნები თვისი ხალხის საუკეთესო თვისებათა გამოხატულებას.

როგორც ვთქვით, ჰომეროსის პოემები მთავარ წყაროდ ითვლება ბერძნული საშუალო საუკუნეების ისტორიისათვის. მაგრამ ერთი რამ გარკვეულად უნდა გვახსოვდეს, სახელდობრ ის, რომ ჰომეროსის ეპოსში დასურათებულია არა ერთი რომელიმე ეპოქა, არამედ მასში მოცემულია შორეული წარსულის უეჭველი გამოძახილიც, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული. პოემების უფრო გულდასმით შესწავლა ცხადად დაგვარწმუნებს იმაში, რომ ეპოსში ნათლად ჩანს ცხოვრების ფორმათა და კულტურის ევოლუცია, ზნე-ჩვეულებათა და ყოფა-ცხოვრების სხვაობა, ერთი სიტყვით უფრო ძველი ხანის დამახასიათებელი ხაზები და პოეტის შედარებით თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშნები. ამიტომ, ვიდრე ამ პოემებით ვისარგებლებდეთ ბერძნული საშუალო საუკუნეების დასახასიათებლად, საჭიროა სწორედ იმ საკითხში გარკვევა, თუ მათი რომელი ნაწილი გამოგვადგება ამ მიზნისათვის. ამ მხრით საქმე ისე ცუდად არ არის, როგორც ეს ზოგიერთს გონია, რომ ამ პოემებით სარგებლობა არ შეიძლებოდეს. პირიქით დღეს უკვე მოგვეპოვება იმის საშუალება, რომ ჰომეროსის პოემებზე დამყარებით ზოგადად მაინც გაეითვალისწინოთ ბერძნული საშუალო საუკუნეები.

2. სამეურნეო და სოციალური მდგომარეობა ბერძენი ტომებისა ამ პერიოდში.

დორიელთა გადასახლებასთან დაკავშირებულმა დიდმა მოძრაობამ და მიკენის კულტურის განადგურებამ ღრმა გაელენა მოახდინა ბერძენი ტომების სამეურნეო და კულტურულ განვითარებაზე. მიკენის პერიოდში თვალსაჩინოდ განვითარებული საზღვაო ვაჭრობა თითქმის სრულ დაცემას განიცდის და მხოლოდ მცირე აზიის ახალშენები თუ-ღა განაგრძობენ სავაჭრო ურთიერთობას აღმოსავლეთის მხარეებთან. აგრეთვე მხოლოდ 9/8 საუკუნეებში იწყებენ ფინიკიელები საბერძნეთში აღმოსავლური საქონლის შემოტანასა და გაცვლა-გამოცვლას. როგორც ტელ-ელ-ამარნას საბუთებიდან ვიცით, 14 საუკუნეში ფინიკიის მთავრები ეგვიპტის ფარაონების ვასალები იყვნენ და მათი ქალაქები მაშინ სრულებით უმნიშვნელო როლს თამაშობდა. ზოგჯერ ფინიკიელები ჰომეროსს სიდონელების სახელით ჰყავს აღნიშნული, რაც შეიძლება იმით აიხსნება, რომ სიდონის ასტარტას კულტი ფინიკიელებისათვის საერთო მნიშვნელობისა იყო და ამიტომაც თვით სიდონი, ალბათ, სარწმუნოებრივ ცენტრად ითვლებოდა. ფინიკიის პოლიტიკურ ისტორიაში გაცილებით მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ტვიროსს, რომელიც ზოგჯერ თვით სიდონზედაც კი ბატონობდა. ერთი მთლიანი სამეფო ფინიკიელებს არასოდეს არ შეუქმნიათ და მაშინ, როდესაც ტვიროსისა და სიდონის ისტორია შედარებით მჭიდროდ არის დაკავშირებული ერთიმეორესთან, ჩრდილოეთ ქალაქებს—ბერუტს, ბიბლოსსა და არვადს ამ მხრით, თითქმის, არა აერთებდა რა. ფინიკიის ქალაქების კეთილდღეობა დამყარებული იყო უმთავრესად საზღვაო ვაჭრობაზე, რომელიც თვის უდიდეს განვითარებას მეორე ათასეული წლების დასასრულიდან განიცდის. ამგვარად, თუ წინათ მიკენელები, ე. ი. ბერძნები დიდი მეზღვაურები იყვნენ, ამ პერიოდში (დაახ. 1100-700 წლებში) სმელთა-შუა ზღვის ვაჭრობაში პირველ ადგილს ფინიკიელები იკავებენ. „მთელი წელი დარჩენ ჩვენ კუნძულზე, ვაჭრობდენ თვისი საქონლით და სამაგიეროდ თვის გემებს ბეჯითად ავსებდენ"-ო, ნათქვამია მათ შესახებ ოდისეაში (XV, 414—416; და სხვ.). საზოგადოდ საქონლით დატვირთული ფინიკიელების გემები ადგებოდა საბერძნეთის ნაპირებს და რჩებოდა ამა თუ იმ ადგილას ხანგრძლივად, სანამ ფინიკიელები ადგილობრივ პროდუქტებზე სცვლიდენ თავიანთ საქონელს. მოეზიდებოდენ ფინიკიელები უმთავრესად ფუფუნების საგნებს, ხოლო მოსახლეობის ჩვეულებრივი მოთხოვნილებები კი უნდა დაეკმაყოფილებია იმ ნატურალურ, ან კარჩაკეტილ, ოიკოსურ მეურნეობას, რომელიც ამ დროს საერთოდ გაბატონებული იყო საბერძნეთში. „ამ ეპოქაში, რომლის ნამდვილი განსახიერება დაცულია ჰომეროსის პოემებში, ამბობს ე. დ. მ ა ჯ ე რ ი[1], ცალკე სახლის ავტონომიური მეურნეობა მართლაც არის ძირითადი ეკონომიური ფორმა". ამ საზოგადოებაში, სწერს პროფ. პ ე ტ რ უ შ ე ვ ს კ ი, ერთად-ერთ ღირებულებას წარმოადგენს პროდუქტები უშუალო მოხმარებისათვის და შრომა უშუალო

[1]) Экономическое развитие древнего мира, გვ. 23.

გამოყენებისათვის. ჰომეროსის საზოგადოების მეურნეობა წმინდა ნატურალური მეურნეობაა [1]. მსხვილი ნატურალური მეურნეობის მშვენიერ სურათს იძლევა ალკინოოსის სახლი, რომელშიაც ყველა საჭირო საგანი საკუთარი ძალებით მზადდება: სასახლის უკან მდებარეობდა ხეხილით სავსე დიდი ბაღი, მას თან მოსდევდა ვენახები, დასასრულ ბოსტნები, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში იძლეოდა „გემრიელ მწვანილს". სახლში მუშაობდა 50 მონა ქალი, რომლებიც ქერს ფქვავდენ და ართავდენ და ქსოვდენ (Od. VII, 103 შმდ.). ამგვარად, სახლისათვის ყოველივე აუცილებელი: პური, მწვანილი, ზეთი, ღვინო, ხილი, ტანსაცმელი და თითქმის ნოხებიც კი საკუთარ მეურნეობაში მზადდება თვით სახლის პატრონების უახლოესი მონაწილეობით.

ამ ხანის მეურნეობა დამყარებულია მიწის დამუშავებაზე. თუმცა მესაქონლეობასაც თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ჰომეროსის პოემებში ჩვენ ძლიერ ხშირად ვხედებით სხვადასხვა საქონლის ჯოგებს, რომლებიც იმ დროში დიდ სიმდიდრეს შეადგენდენ. ტროიას ომის ერთი ცნობილი გმირი დიომიდე ამბობს: „მამა-ჩემს, რომელიც არგოსში დაემკვიდრა, ჰქონდა დიდი ნაკერი პოხიერი მიწისა და მრავალი საქონელი-". გადაცმულ ოდისეს მისი ღორების მწყემსი, ერთგული მოხუცი ევმესი უამბობს: ჩემს ბატონს დარჩა მრუდე რქიანი ხარების 12 ჯოგი, ამდენივე ცხვრებისა და ღორების, არა ნაკლები—თხებისა, აგრეთვე სხვადასხვა საძოვარზე დადის თხების თორმეტი ფარაო (Od. XIV 100-105). რომ ამ დროის საბერძნეთში საქონელს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ საგნების შეფასება მისი მიხედვით სწარმოებდა. თუ მიკენის პერიოდში ბერძნებმა უკვე კეთილშობილი ლითონები მოიმარჯვეს ამ მიზნისათვის, ახლა უკვე დამკვიდრებულ ნატურალურ მეურნეობასთან შეფარდებით ფასეულობის გამოსარკვევად კვლავ საქონელს, თუ საქონლის ტყავს მიმართავენ. როდესაც დიომიდე გლავკოსს უცვლის თვის საჭურველს, პოეტი ამბობს: გლავკოსის საჭურველი ოქროსი იყო და ას ხბოდ ფასობდა, დიომიდესი კი-სპილენძისა და ცხრა ხბო ღირდაო (Il. VI, 235-236). ოდისეს ოჯახის ერთგული მხევალი ევრიკლე, პოეტის სიტყვით, ლაერტს ოც ხარად უყიდია (Od. I, 426-427). ზოგიერთ შემთხვევაში შეფასებისა თუ გაცვლის საშუალებად ისევ ლითონი გვევლინება: აქაელები ლხინის დროს ღვინოს ჰყიდულობენ და აძლევენ მასში, ვინ რკინას, ვინ ბრწყინვალე სპილენძს, ვინ ხარის ტყავს, ვინ თვით ხარებსა და ვინ მონებს (Il. VII, 470-475). მენტესის სახით მოვლინებული ათინა ტელემაკს ეუბნება: ტემესში მინდა სპილენძი შევიძინო მასზე რკინის გაცვლითო (Od. I, 180-184). საბერძნეთის ზოგიერთ ნაწილში საქონელს ფულის შემოღების შემდეგაც კი დარჩა აღნიშნული ხასიათი, რაც დრაკონის კანონმდებლობაშიც კი მოჩანს.

[1]) Общество и государство у Гомера², გვ. 31—32. ძველი საბერძნეთის მეურნეობის შესახებ გარდა ბელოხის, ედ. მაიერისა და პოელმანის ზოგადი კურსებისა იხ. Макс Вебер, Аграрная история древнего мира, Москва, 1925; Neurath, Antike Wirtschaftsgeschichte², Leipzig, 1918; Francotte, L'industrie dans la Grèce ancienne, Bruxelles, 1900; იგივე, Jndustrie und Handel bei d. Griechen (Pauly—Wissowa, Real Encyclop. B. IX) და სხვ.

თუ ილიადაში მიწის მეურნეობის გვერდით მესაქონლეობას დიდი ადგილი უჭირავს და პოეტი სიამოვნებით სარგებლობს მწყემსებისა და მონადირეების ცხოვრების სცენებით, ოდისეა უკვე იმაზე მიგვითითებს, რომ მიწის მეურნეობის კულტურამ თვალსაჩინო წარმატებას მიაღწია და მთავარ დარგად გადაიქცა. ფართო განვითარებას განიცდის აგრეთვე მებაღეობა. მეფე ალკინოოსისა და ოდისეს მამის ლაერტის ბაღებში იზრდება ყვავის ვაშლი, მსხალი, ბროწეული, ლეღვი, ზეთისხილი და სხვ. ამ დროს ადგილი აქვს უკვე მიწის ხელოვნურ განაყოფიერებასაც. როგორც ვიცით, იმ საკითხის გარშემო, არსებობდა თუ არა ამ დროის საბერძნეთში თემური მიწათმფლობელობა, მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა, მაგრამ ჰომეროსის პოემების გულდასმით შესწავლა უდავოდ გვარწმუნებს იმაში, რომ ამ ხანის საბერძნეთმა სათემო მიწათმფლობელობა არ იცის და რომ მასში საკმაოდ განვითარებულია კერძო საკუთრება და კერძო ოჯახის მეურნეობა[1].

ამ მხრით განსაკუთრებით საყურადღებოა ის, რომ ორსავე პოემაში მიწის განსაზღვრული ნაკერი, რომელსაც საშუალო ქონების თითოეული ოჯახი ფლობდა, კლეროსად (κλῆρος) არის წოდებული. ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ვინაიდან ეს სიტყვა „წილის ყრას" ნიშნავს, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ჰომეროსის დროს სათემო მიწათმფლობელობა არსებობდა და სახნავი მიწების დანაწილება თემის წევრთა შორის წილის ყრით ხდებოდა. მაგრამ ამ გარემოების ახსნა ადვილად შეიძლება, თუ იმ აზრს გავიზიარებთ, რომ პირველად ეს ტერმინი მართლაც წილის ყრისაგან წარმოსდგა და რომ შემდეგში მასთან დაკავშირებული პროცესი მოისპო, ხოლო სახელწოდება კი ძველი დარჩა. მიწის საკუთრების განვითარების ნიადაგზე ამ დროს უკვე წარმოშობილია თვალსაჩინო ქონებრივი უთანასწორობა: მრავალკლეროსიანების (πολύκληροι) გვერდით გვხვდება უკვე უმიწაწყლო ხალხი (ἄκληροι), რომელიც იძულებულია სხვაგან ეძებოს სამუშაო თავისი ოჯახის გამოსაკვებად.

როგორც ჩანს, მიწის მეურნეობის განვითარებამ თანდათან ისეთ წარმატებას მიაღწია, რომ შესაძლებელი გახდა, თითქმის, მსხვილი მეურნეობის წარმოშობაც. ასეთი მეურნეობის ბაგალ თია აქილევსის ფარზე გადმოცემული მამული და აგრეთვე ოდისეს მამის ლაერტის მეურნეობა. მაგრამ, რასაკვირველია, ასეთი მეურნეობა შორს არის ისეთი ხასიათისა და თვისებებისაგან, რომელთაც პოელმანი მიაწერს მას[2]. ჰომეროსის საზოგადოების მეურნეობას წარმოების ხასიათი არ აქვს, იგი არ არის ისეთი სახის მოქმედება, რომელიც მიზნად მოგების მოპოვებას ისახავს. მას ასულდგმულებს ერთი მთავარი მიზან-დანიშნულება, სახელდობრ, ოჯახის მოთხოვნილებათა უშუალოდ დაკმაყოფილება; ყოველი მიწის მუშა შრომობს იმისათვის, რომ თვისი შრომის ნაწარმოებით გამოიკვებოს თავი და თვისი ოჯახი. ასეთივე სახისაა დიდი მამულების მეურნეობაც:

---

[1]) იხ. ალ. წერეთელი, ჰომეროსის საზოგადოება II (ამონაბეჭდი ტფილ. უნივერ. მოამბიდან, № IV).

[2]) იხ. მისი Aus Alterthum und Gegenwart, გვ. 180.

„მაგნ.ტების“ ყანებიდან მოწეული ჭირნახული ხმარდება მათი ოჯახისა და დიდ-ძალი მოსამსახურეების დაპურებასა და მტერ-მოყვარის გამასპინძლებას. მართალია, სრული კარჩაკეტილობა არც ამ საზოგადოებას ახასიათებს და ერთგვარ გაცვლა გამოცვლას მაინც აქვს ადგილი, მაგრამ იგი ფრიად უმნიშვნელოა.

მიკენის პერიოდში საბერძნეთს მრავლად ჰყავდა ხელოსნები, რომლებიც სხვადასხვა სპეციალურ სამუშაოს ასრულებდენ. კარჩაკეტილი მეურნეობის დამყარებას კი თან მოჰყვა ხელოსნობის დაცემაც. ამ დროს ‹ხოლოდ შემდეგი ხელოსნები-ღა ‹არსებობდენ: ლ ი თ ო ნ ებ ზ ე მ ო მ უ შ ა ვ ე, რომელსაც მიკენის დროიდან სპილენძსა თუ ბრინჯაოზე მომუშავეს (χαλκεύς) უწოდებდენ, თუმცა დორიელთა გადასახლების შემდეგ საბერძნეთში უკვე რკინის ეპოქა იყო დამყარებული; დურგალი (τέκτων), რომელიც ადამიანთათვის და ღმერთებისათვის სახლებს აშენებდა და აგრეთვე გუთნებსა და გემებს აკეთებდა; მ ე თ ი ხ ე (κεραμεύς), რომელიც ჭურჭლებს ამზადებდა. ხელოსნებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე მოცეკვავე და მომღერალი, რომლებიც აუცილებელ მოთხოვნილებას წარმოადგენდენ დღესასწაულების დროს, მისნები (μάντεις) და სხვ. მოთხოვნილებისამებრ იწვევდა ამ დროის ბერძენი ხელოსანს, აძლევდა მას საჭირო მასალას, აკმევდა და ასმევდა და სამუშაოს დამთავრების შემდეგ ნატურით უსწორდებოდა. ევმესი პენელოპას ერთ-ერთ საქმროს, ანტინოოსს, ეუბნება: ვინ მოიწვევს უცხო კაცს თავის სახლში, თუ ამას საჭიროება არ მოითხოვს? მხოლოდ იმათ იწვევენ, ვინც საქმისათვის არის საჭირო: მისნებს, ექიმებს, გამოცდილ დურგლებსა და მომღერალთ, რომელნიც სულს ანუგეშებენ ღვთაებრივი სიტყვით; ამათ იწვევს სიამოვნებით ყველა მიწიერი ადამიანი, ხოლო მათხოვარს, ყველასათვის მოსაწყენს, ვინ მიიპატიჟებს თვისი ნებითო? (Od. XVI, 380—387). ამგვარად ამ ეპოქაშიც ხელოსნებს მაინც გარკვეული ადგილი უჭირავთ და ერთგვარი პატივისცემითაც არიან აღჭურვილი.

განხილულ მეურნეობასთან დაკავშირებით უნდა წარმოვიდგინოთ ბერძნების სოციალური დანაწილება ამ პერიოდში. ხელოსნები, მცირე მიწის მესაკუთრე გლეხები და უმამულო მიწის მუშები (θῆτες) უ ბ რ ა ლ ო თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ა დ ა მ ი ა ნ თ ა წ რ ეს ეკუთვნოდენ

თუ დემიურგი (ხელოსანი) პროფესიული შრომის წარმომადგენელია და ამით მისი მდგომარეობაც გარკვეული ხდება, თეტი უბრალო შავი მუშაა, რომელმაც ჩვეულებრივ მიწის მუშაობაზე მეტი არა იცის რა და ამიტომაც უჭირს თვისი ძალღონის გაქირავება. თეტების წრე შესაძლებელია იმ მესაკუთრე გლეხებისაგან წარმოდგა, რომელთაც რაიმე მიზეზის გამო დაჰკარგეს თვისი მამული; მათ წარმოშობას ხელს უწყობდა, ალბათ, ის მოვლენაც, რომ მცხოვრებთა გამრავლების გამო მიწა ყველას უკვე აღარ ყოფნიდა. სამუშაოზე მისვლის დროს თეტი თვის დამქირავებელთან სდებდა სიტყვიერ პირობას, რომელშიაც განსაზღვრული უნდა ყოფილიყო მისი გასამრჯელო ნატურით. ეს უკანასკნელი გამოიხატებოდა მის რჩენაში და სხვადასხვა საგანში, რომელთაც თეტი სამუშაოს დამთავრების შემდეგ ღებულობდა, მაგ. ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და სხვ. პენელოპას ერთ-ერთი საქმრო, ეურიმაქი მათხოვრის სახით მოსულ ოდისეს ეუბნება: შენ უეჭველად თანახმა იქნები ჩემთან დღიურ მუშად დადგე, რომ კარგ ფასად

იმუშაო ყანაში, მოგლიჯო ღობისათვის ძველნარი და დარგო ახალი ხეები; მთელი წლის განმავლობაში მიიღებ ჩემგან საჭმელს, საპირო ტანისამოსსა და ფეხსაცმელსო (Od. XVIII, 357--361).

უბრალო თავისუფალ ადამიანთა წრეს უფლება აქვს ატაროს იარაღი, დაიფაროს მტრისაგან სამშობლო, მონაწილეობა მიიღოს ომებში, დაიცვას სასამართლოს წინაშე თვისი საქმეები და დაესწროს სახალხო კრებას. ერთი სიტყვით, მართალია, ეს წრე ეკონომიურად დაქვეითებული მოჩანს, მაგრამ ფორმალურად იგი საზოგადოების სრულუფლებიან წევრს წარმოადგენს.

საზოგადოების ეკონომიურად და პოლიტიკურად პრივილეგიურ ნაწილს ეგრეთწოდებული წარჩინებულები ან კეთილშობილები (ἄριστοι, ἐσθλοί) შეადგენდენ, რომელთა ხელში შედარებით დიდი მამულები იყო თავმოყრილი (κλῆροι). პოეტის სიტყვით, წარჩინებულნი საუკეთესო ადამიანები არიან არა მარტო თვისი მდგომარეობით, არამედ ნიჭითა და ჩამომავლობითაც, ამიტომ მათ მეტი პატივისცემა და ღირსება შეშვენისთ, ვიდრე უბრალო ადამიანებს. პენელოპა უცნობლად მოსულ ოდისეს შესახებ ევრიმაქს ეუბნება: ეს ყარიბი სიმაღლითაც დიდია და კუნთებითაც ძლიერი; ჩამომავლობითაც არ არის დაბალი, თვითონ ამბობს, ცნობილი მამისაგან ვარ დაბადებულიო (Od. XXI, 334--335). ამგვარად, მარტო სიმდიდრე არა ჰქმნის კეთილშობილთ, მაგრამ შეიძლება კი გახდეს მომავალში საფუძველი ასეთი ღირსებისათვის. წარჩინებულები, თითქოს, ბუნებით არიან მოწოდებული, რომ შეადგინონ მეფის საბჭო და ილაპარაკონ სახალხო კრებაზე, რადგან იმ დროს გაერცელებული იყო შეხედულება, რომ სამოქალაქო და სამხედრო ღირსება მემკვიდრეობით გადადის და წარჩინებულთა კუთვნილებას შეადგენსო.

ბრძოლის ველზე „კეთილშობილები“ სხვებში იმით ირჩეოდენ, რომ იბრძოდენ არა ქვეითად, როგორც უბრალოები, არამედ, როგორც მხედრები (ἱππῆες) და მძიმედ შეიარაღებულები, ეტლებში.

„კეთილშობილთა“ წრის შესახებ ის უნდა ითქვას, რომ იგი საკუთრივ საბერძნეთში ახლად წარმოიშვა იმ ქარტეხილის შემდეგ, რომელიც ამ უკანასკნელმა დორიელთა გადასახლების დროს განიცადა. ამავე დროს კი ეს წრე ახალშენებში თავიდანვე არსებობდა, რადგან „კეთილშობილები“ ხშირად მეთაურობდენ კოლონისტების გადასახლებას და სამხედრო წინამძღოლების როლშიც გამოდიოდენ ახალი ქვეყნების დაპყრობისას.

იცის ამ დროის ბერძნულმა საზოგადოებამ მონებიც, თუმცა, რასაკვირველია, ამ დროის მიმართ მონობაზე, როგორც სისტემაზე, ლაპარაკი არ შეიძლება. თეტის ნივთიერი მდგომარეობა არსებითად არ განსხვავდება მონის მდგომარეობისაგან. ზოგიერთ შემთხვევაში მონის მდგომარეობა უკეთესიც კი იყო. მეურნეობაში მონის შრომას ისეთივე როლი ჰქონდა დაკისრებული, როგორიც თეტისას, მაგრამ მონის ნივთიერი პირობები უფრო კარგი იყო, ვიდრე თავისუფალი ბოგანოსი. მართალია, მონის პიროვნება ყოველგვარ თავისუფლებას იყო მოკლებული, მაგრამ ამ დროს დიდი განსხვავება და უფსკრული არ არსებობდა ბატონისა და მონის გონებრივსა და ზნეობრივ განვითარებას შორის. ბატონი სიკვდილამდე ინახავდა თვის მონას, ან თუ გაჰყიდდა მას, ახალი ბატონიც ასევე

მოექცეოდა. ბატონსაც და მონასაც ერთგვარი ცოდნა ჰქონდათ, ერთგვარი ინტერესები, მათ თავისუფლად შეეძლოთ გაეზიარებიათ ერთიმეორისათვის თვისი გულისნადები და ხშირად მტკიცე მეგობრული გრძნობით შეკავშირებულიყვნენ. ჯერ კიდევ არ იყო გათხრილი მათ შორის ის დიდი უფსკრული, შემდეგში რომ საბოლოოდ დააშორა მონას ბატონი, რომელმაც ახალი სამეურნეო ურთიერთობის ნიადაგზე ახალი მსოფლმხედველობა და ახალი კულტურა შეიძინა. თუ აქამდე მონა ხშირად თვისი ბატონის მწუხარებისა და ბრიალულების მონაწილე იყო, ამიერიდგან იგი მისთვის უბრალო ინსტრუმენტი შეიქნა. „ღვთაებრივი" ღორების მწყემსი ევმესი სიტყვითა და საქმით უდიდეს და უახლოეს მონაწილეობას იღებდა თვისი ბატონის ოდისეს ოჯახის საქმეებში. თვით ოდისე მას განსაკუთრებული პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობოდა. ხშირად ერთგული სამსახურისათვის მონებს ბატონები აძლევდენ შიწას, რომ მასზე ეცხოვრათ ოჯახობით და ეწარმოებიათ საკუთარი მეურნეობა, რასაკვირველია, განსაზღვრულ პირობებში. ჰომეროსის პოემების გულდასმით განხილვა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ის, თუ როგორ თანდათან იცვლებოდა ძველი „პატრიარქალური" ურთიერთობა მონებსა და ბატონებს შორის და მათზე შეხედულებაც საწინააღმდეგო ხასიათს ღებულობდა. ოდისეაში, რომელიც, როგორც ვიცით, ილიადაზე ასი წლით „ახალგაზრდაა", ეკითხულობთ: მონა ზარმაცია, თუ ბატონმა იგი სასტიკი ბრძანებით არ აიძულა იმუშაოს, თვისი ნებით ხელს არ მოჰკიდებს სამუშაოს: ძვესმა რომ ადამიანს მონობის საბწუხარო მძიმე ხვედრი მიანიჭა, ამით მასში საუკეთესო ნახევარი სიკეთისა ჩაახშო (Od. XVIII, 315—320) ამგვარად, უკვე გარკვეული შეხედულებაა წარმოდგენილი მონასა და მის შრომაზე.

ბერძენთა შორის იყვნენ ამ დროს აგრეთვე უცხოეთიდან გადმოსახლებული პირები (μετοικέτες), რომელთაც ამა თუ იმ მიზეზის გამო გაწყვეტილი ჰქონდათ კავშირი თავიანთ ტომებთან და სხვა მხარეში ეძებ ენ თავშესაფარს. ამგვარად მეტანასტები საზოგადოების განსაკუთრებულ ფენს კი არ წარმოადგენდენ, არამედ შეეხიზნულ უცხო ელემენტს. რასაკვირველია, ასეთ ხალხს ბერძნების საზოგადოებრივ ორგანიზაციაში არავითარი უფლება არ ჰქონდა. მათ დამცველად კი, თითქოს, სარწმუნოება გამოდიოდა, რომელიც ავალებდა სრულუფლებიან მოქალაქეთ თვისი მფარველობის ქვეშ მიეღოთ უსახლკარო ყარიბები.

დასასრულ, უნდა შევეკერდეთ იმ საკითხზე, არსებობდა თუ არა ამ დროს ბერძენთა საზოგადოებაში ვაჭართა წრე. როგორც უკვე იყო აღნიშნული, ჰომეროსის ეპოქაში ვაჭრობა ძლიერ დაცემას განიცდიდა, მეტად მკრთალი იყო და შემთხვევით ხასიათს ატარებდა. მისი საგანი იყო უწინარეს ყოვლისა სამხედრო ნადავლი. ამ დროს პირატობა იმდენად გავრცელებული იყო, რომ თითოეულ გემში, რომელიც ზღვიდან ადგებოდა ნაპირს, ხვდავდენ პირატების შემოსევას. მეუღეები და მათი შვილები სრულებით არ ერიდებოდენ ასეთ ხელობას და აწყობდენ შორეულ მგზავრობას ზღვით „ნადავლის მოსაპოვებლად". თვით ოდისე გვიამბობს, თუ როგორ დაეცა ქალაქ ისმარს და როგორ გაცარცვა მისი მცხოვრებლები (Od. IX, 39—41). ხოლო ამასთან ერთად უეკველად არსებობდა მეტად მცირერიცხოვანი ხალხი, რომელიც საგარეო ვაჭრობას მისდევდა: ზო-

ჰქონდათ უკხო ქვეყნებიდან ისეთი ნივთები, რომლებსაც ადგილობრივ არ ამზადებდენ, განსაკუთრებით ფუფუნების საგნები, და მოჰყავდათ მონები, რომელთაც სცელიდენ ბერძნების ნაწარმოებებზე. ევრიალი ალკინოოსთან მყოფ ოდისეს დაცინვით ეუბნება: „ყარიბო, ვხედავ შენ არ ჰგავხარ თამაშობაში გამოცდილ ხალხს, რაც მხოლოდ ძლიერ ატლეტებს შეფერის; ცხადია შენ ვაჭრების წრიდან ხარ, რომლებიც დასცურავენ ზღვაზე თვისი მრავალნიჩბიანი გემებით ვაჭრობისათვის და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ გაასაღონ თვისი საქონელი, კვლავ დატვირთონ თვისი გემები და, რაც შეიძლება, მეტი მოგება შეიძინონ; მაგრამ ატლეტს შენ სრულებით არ ჰგავხარო (Od. VIII, 159 — 165). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი პირი ზღვით მიეზიდებოდა სხვადასხვა ქვეყნებში ფუფუნების საგნებს და მიზნად ისახავდა დიდი მოგების შეძენას; ჩანს ისიც, რომ ასეთ ხალხს „კეთილშობილთა“ წრე ზიზღით უცქეროდა და მისი ხელობა თვისი წოდებისათვის შეუფერებლად და სამარცხვინოდაც კი მიაჩნდა. საერთოდ სრული კარჩაკეტილობა არც ამ დროის საბერძნეთმა იცოდა.

3. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია

ბერძენი ტომების ამ პერიოდის სახელმწიფოებრივი წყობილების განხილვის დროს უპირველესად ყოველისა ის უნდა აღინიშნოს, რომ დორიელთა გადასახლებით გამოწვეულმა პირობებმა ბოლო მოუღეს მიკენის დროის ძლიერ მბრძანებელთა თვითმპყრობელობით ხელისუფლებას. ამ მბრძანებლების ადგილს კვლავ ტომების უბრალო სახალხო მეფეები იკავებენ, რომლებიც ძველებურად primus inter pares იყვნენ.[1] ასეთი მეფის უფლება ცხადად შეზღუდულია უხუცესთა საბჭოს მიერ, რომლის წევრები მოხსენებული არიან, როგორც γέροντες, βουλευτοὶ γερόντες καὶ μέδοντες; შემდეგში კი მეფესთან ერთად ზოგიერთი მათგანი ბასილევსის სახელწოდებასაც კი ატარებდა. ჰერუსიის ან უხუცესთა საბჭოს სხდომები ჩვეულებრივად მეფის სასახლეში კი არ წარმოებდა, არამედ გარეთ, მოედანზე (λαός ან ἀγορά). ზღუდავდა მეფის უფლებას აგრეთვე სახალხო კრება ტომის იმ წევრებისაგან, რომლებსაც შეეძლოთ უკვე იარაღის ტარება. სახალხო კრებაზე, რომელსაც მეფის ბრძანებით გზირები იწვევდენ, ხელმძღვანელი როლი მეფესა და უხუცესთა საბჭოს ეკუთვნოდა.

სამაგიეროდ ამ პერიოდის ყველაზე უფრო საყურადღებო ახალი პოლიტიკური მოვლენა იყო პოლისი (πόλις)[2], ქალაქი-სახელმწიფო, რომელსაც ბერძნების მთელი შემდეგი პოლიტიკური ისტორიისათვის ძირითადი მნიშვნელობა ჰქონდა. ერთგვარ მკრთალ ნიშნებს ქალაქური ცხოვრებისას ვამჩნევთ, თითქოს, ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში, მაგრამ ნამდვილი ქალაქები, ამ სიტყვის უფრო შემდეგი დროის მნიშვნელობით, წარმოიშვა მცირე აზიის ახალშენებში. ამ მოვლენის განვითარებაზე ორ ძირითად მომენტს უნდა ჰქონოდა თვისი გავლენა: ჯერ ერთი იმას, რომ მცირე აზიაში ახალშენების სახით გადადიოდენ არა მთლიანი ტომები, არამედ სხვადასხვა ტომის ცალკეული გვარები, თუ ნაწილები, და

[1]) მ. თი და ბერძენთა გვაროვნული წყობილების შესახებ იხ ზემოთ, გვ. 19.

[2]) იხ. Wilcken, o. c. გვ. 45—47.

ამგვარად აქ უკვე ადგილი აღარ რჩებოდა ძველი ტომური წყობილებისათვის; აგრეთვე იმასაც, რომ აქ მათ დაიპყრეს მჭიდროდ დასახლებული ქალაქები, რომლებშიც დაბინაედენ, როგორც ბატონები. ამ ქალაქებმა უმეტეს ნაწილად შეინარჩუნეს თვისი მცირეაზიული სახელწოდებები. ამ ქალაქებიდან ბერძენთა ახალშენებმა ბატონობა მოიპოვეს აგრეთვე მათ სანახებზედაც, რაც პოლისის ცნებისათვის დამახასიათებელი შეიქნა. შემდეგში იონურმა ქალაქებმა დაარსეს 12 ქალაქის კავშირი, რომლის სარწმუნოებრივ ცენტრს წარმოადგენდა მიკალეს პანიონიონი ჰელიკონის პოსეიდონის კულტით[1]. დორიელთა ექვსმა ქალაქმაც შეჰქმნა თვისი კავშირი აპოლონის კულტით ტრიოპიონის კონცხთან.

სულ სხვაგვარია საკუთრივ საბერძნეთის ქალაქების გენეზისი. აქ ქალაქები უფრო გვიან წარმოიშვა და სხვა პირობების გაელენა განიცადა. ამ მხრით ერთგვარი გაელენა უნდა მოეხდინა უკვე განელილ მიკენის ეპოქას, მაგრამ ტომთა გადასახლების დროს განადგურებულ იქნა არა მარტო ციხე-ქალაქები, არამედ ზოგიერთი სხვა ადგილებიც. ამიტომ უფრო სარწმუნოა ის, რომ ამ დროს თავი იჩინა საბერძნეთის ცალკეული ნაწილების, რომელთა მნიშვნელობა ძველი მეხეილი ტომური გაერთიანებებთან განსხვავებით თანდათან იჩრდებოდა, მიწერაფებამ დამოუკიდებელი არსებობისადმი, ხოლო ამასთან ერთად ძლიერი სახელმწიფოებრივი ხელისუფლების შექმნის მოთხოვნილებამ გაიოფეა ის, რომ თითოეული მხარის შუაგულში წარმოიშვა ისეთი ცენტრალური ადგილი, საიდანაც განაგებდენ მთელ მხარეს. თუ ასეთ ცენტრალურ ადგილს ძველებურად ამკობდა ციხე, მის ძირში, მისი მფარველობის ქვეშ, მდებარეობდა საქალაქო ცენტრი, რომელიც ალბათ ხშირად ციხის სახელწოდებას ითვისებდა. ხშირი იყო აგრეთვე ისეთი მოვლენაც, როდესაც მეზობლად მდებარე კედლით შემოვლებული სოფლები ერთიანდებოდენ და ჰქმნიდენ მთლიან ორგანიზაციას, ან პირიქით სხვადასხვა სოფლის მცხოვრებნი ამა თუ იმ მიზეზისა და მოსაზრების მიხედვით ირჩევდენ ერთ ადგილს და მასზე ესახლებოდენ. ორსავე შემთხვევაში, თუმცა მათ შორის არსებითი განსხვავებაა, საქმე გვაქვს ეგრეთწოდებულ სინოიკიზმთან (συνοικισμός). ასეთ ადგილებს ც პოლისი ეწოდებოდა.

საფიქრებელია, რომ ბერძნების ახალი ქალაქები უმეტეს ნაწილად იმ ადგილებში შენდებოდა, სადაც ძველად მიკენური ციხე-ქალაქები მდებარეობდა. ამ მოელენაში გასაკვირველი არა უნდა იყოს რა, რადგან სრულებით ბუნებრივად ეს ძველი ნანგრევები თვისი ხელსაყრელი ადგილმდებარეობით კვლავ იზიდავდა თავისკენ ახალ მცხოვრებლებს; ზოგიერთ შემთხვევაში მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ ესა თუ ის ძველი ადგილი რომელსაც ცნობილ კულტთან იყო დაკავშირებული.

ღრმა და არსებითი განსხვავებაა ძველ-აღმოსავლური და ბერძნული ქალაქების სტრუქტურასა და გარეგნობაში[2]. ძველი აღმოსავლეთის ქალაქში მისი საღვთო პერიფერიებით, ცენტროფუგალური სტრუქტურით, ბრძანებელთა უზარმა-

[1]) იონელთა 12 ქალაქის კავშირის ისტორიის შესახებ იხ. Wilamowitz, Panionion (Sitzungsber. d. Preuss. Akad. d. Wissen. 1906, III).

[2]) Franz Tritsch, Die Stadtbildungen des Altertums und die griechische Polis, Klio, 1928 B. XXII, H. 1/2

ზარი სასახლეებით, „კეთილშობილთა“ შენობებით და მონათა სადგომებით, სრულებით არ არსებობდა უბრალო თავისუფალი მოქალაქეთა სახლები. საერთოდ ამ ქალაქებს, თითქმის, არ მოეპოვება ისეთი პუნქტი, რომელშიაც შეიძლებოდეს მათი შედარება ბერძნულ პოლისთან.

მეორის მხრით ჩვენ ვიცით, რომ ძველი კრეტას ქალაქები გაუმაგრებელი და გარეგან კედელს მოკლებული იყო და უმეტეს ნაწილად მდებარეობდა ან ზღვის ნაპირად ან ველზე. ბერძნული ქალაქი პირიქით უკვე უფრო ადრინდელ ხანაში ან გარკვეულ სიმაგრესთან იყო დაკავშირებული და ან მაღალ პლატოზე მდებარეობდა; ხოლო უფრო გვიან დროში, მცირე გამონაკლისის გარდა, ბერძნულ ქალაქებს შემოვლებული ჰქონდათ ზღუდეები. მაგრამ მათ შორის უფრო ღრმა განსხვავებას ვამჩნევთ. მინოსურ კრეტას ქალაქის ცენტრში იმყოფებოდა: სასახლე, დიდი საჯარო მოედანი, „თეატრონი“ და კულტის შენობები. ბერძნულ პოლისში კი ჩვეულებრივ ცენტრალური ადგილი ეკავა აგორას ბულევტერიონით და პრიტანეიონით, თეატრისა და ტაძრის უზარმაზარ შენობათ. ამ შემთხვევაში მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ სასახლე ტაძრის მიერ არის გამოდევნილი. საფიქრებელია რომ მიკენურ საბერძნეთში და აგრეთვე მინოსურ კრეტაში მბრძანებლები უმაღლესი ქურუმებიც იყვნენ; ხოლო ბერძნული ჰიერონის — ტაძრის იდეა მისი ქურუმებით ღრმად განსხვავდება მთავრების მიკენური სასახლეებისაგან. „მინოსურ და მიკენურ ქალაქებისაგან წარმომდგარ ბერძნულ პოლისს სტრუქტურა და მთელი მისი შინაარსის შემადგენელი ელემენტები ორივე ამ წყაროსაგან ჰქონდა მიღებული. კულტს, ხელოვნებას, ყოფა-ცხოვრებას, სახლებისა და ქალაქების აგების ფორმებს თვისი დასაწყისი მიკენურ საბერძნეთში და მინოსურ კრეტაში ჰქონდა. მაგრამ აქედან განვითარდა ახალი რამ, ბერძნული სულისა და მისი ცხოვრების ფორმის სავსებით შესატყვისი კლასიკური ბერძნული ქალაქი, პოლისი“ (Tritsch. o. c. გვ. 82).

ზღუდეშემოვლებული პოლისი ბატონობდა მთელ მხარეზე და იყო მისი სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების ერთადერთი ცენტრი. მის მცხოვრებთ πολῖται თუ ἄστοι ეწოდებოდა. ქალაქ-სახელმწიფოს მართველობაში მონაწილეობის მიღება ფაქტიურად შეეძლოთ მხოლოდ ქალაქის მცხოვრებთ, თუმცა მამული შეიძლება მათ ქალაქ გარეთაც ჰქონოდათ. პოლისის მთავარი დამახასიათებელი თვისება მდგომარეობდა, როგორც ეს უფრო გვიან უკვე განვითარებული სახით გვეჩვენება, თავისთავადობასა თუ სუვერენიტეტში; პირველი სახიერდებოდა გარეგან თავისუფლებაში (ἐλευθερία), მეორე კი ავტონომიაში (αὐτονομία), ე. ი. საკუთარი კანონების მიხედვით ცხოვრების უფლებაში. ეს არის პოლისის, ასე ვთქვათ, პოლიტიკური საფუძველი. მისი სამეურნეო ცხოვრების იდეალს კი ავტარკია (αὐτάρκεια) წარმოადგენდა, ე. ი. მისწრაფება ისეთი ნიეთიერი მდგომარეობის შექმნისათვის, რომელშიაც პოლისს ექსპორტის გარეშე შეუძლია თავის გამოკვება. ამგვარად ბერძნული პოლისის დამახასიათებელია ავტარკია, ელევთერია და ავტონომია. როგორც ვთქვით, ქალაქი თანდათან აერცელებდა თვის ბატონობას მის გარშემო მდებარე მხარეზე და ჰქმნიდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს, რომელსაც დღეს ქალაქ-სახელმწიფოს ვუწოდებთ. თუ ძველად მსხვილ ტომურ სახელმწიფოში სახალხო

კრებას ძლიერ იშვიათად და ისიც დიდი გაჭირვებით იწვევდენ, ქალაქ-სახელმწიფოში პირიქით ადვილი საქმე იყო მოქალაქეების საერთო კრებაზე საჭიროებისამებრ გამოძახება, (ἐκκλεῖν აქედან წარმოდგა სიტყვა ეკლესია — ἐκκλησία).

ასე თანდათანობით ძველი ტომის შეიარაღებული წევრების საერთო კრების ადგილს იპერს ქალაქის მცხოვრებთა კრება, რომლის დაფუძნებაც სავალდებულოა ქალაქ-სახელმწიფოს მთელი მოსახლეობისათვის. ასეთი ფორმა სახელმწიფოებრივი განვითარებისა ახასიათებს საბერძნეთის აღმოსავლეთ ნაწილს, მაშინ როდესაც დასავლეთ ნაწილში, მაგ., აკარნანელებსა და ეტოლიელებს შენარჩუნებული ჰქონდათ ძველი ტომური წყობილება და ცხოვრობდენ ცალკეებში და სოფლად. უმეტეს შემთხვევაში ძველი ტომური გაერთიანებანი ნაწილდებოდენ მრავალ პატარა დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებად. სრულებით გარკვეულ გამონაკლისს ამ მხრით წარმოადგენს ლაკონია და ატიკა, რომლებიც მთლიანად გაერთიანებულ იყვნენ მათი მთავარი ქალაქების — სპარტისა და ათენის გარშემო.

ქალაქი-სახელმწიფოს განვითარება განსაკუთრებით საესარგებლო აღმოჩნდა „კეთილშობილთა“ წრისათვის. რა კი ქალაქში იქნა დაფუძნებული სახელმწიფოს გამგებლობის აპარატი, აქეთ გამოეშურენ „კეთილშობილთა“ წრეებიც. ამავე დროს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოთხოვნილება თანდათან იზრდებოდა და რთულდებოდა, და სხვათა შორის საჭირო გახდა მეფეებისათვის მახლობელი თანამშრომლებისა და მოხელეების შტატის შექმნა. თავისთავად ცხადია, რომ ამ ადგილზე იწვევდენ კეთილშობილებს, რომლებიც ამიერიდან უფრო ინტენსიურად მონაწილეობენ მეფეებთან ერთად სახელმწიფოს გამგებლობაში.

ასეთი მოვლენის შედეგი ის იყო, რომ კეთილშობილთა პოლიტიკური ხვედრითი წონა უდიდესად გაიზარდა, ხოლო მეფეების მნიშვნელობა კი თვალსაჩინოდ დაეცა და ბევრგან მალე მათ ხელისუფლებასაც მოეღო ბოლო. ჰომეროსის პოემები საყურადღებო მასალას იძლევა იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ თანდათან ჰკარგავდენ მეფეები თვის ავტორიტეტსა და „ღვთაებრივობის“ ნიღაბს. ილიადაში პოეტი ალაპარაკებს უბრალო ხალხის წარმომადგენელს თერსიტეს, რომელიც ყოველთვის ცდილობს შეუფერებელი სიტყვებით მოიხსენიოს მეფეები და მეტი ჩრდილი მიაყენოს მათ სახელს მართალია, პოეტის აღწერით, თერსიტე გარეგნობით მეტად მახინჯი იყო; მართალია, ისიც, თითქოს, ხალხი მას თანაგრძნობით არ უსმენდა და ოდისევსაც გვარიანათ სცემა, მაგრამ რომ თერსიტეს გამოსვლები ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული ყოფილიყო, ცხადია, პოეტი მათ აღნიშვნის ღირსად არ მიიჩნევდა. მეფეებმა დროთა ვითარებაში დაჰკარგეს თვისი გავლენა ხალხის ზოგიერთ წრეებში მაინც და ხშირად ხდებოდენ მწარე დაცინვისა და გაკიცვის ობიექტად. თერსიტე ამ შემთხვევაში ერთი იმათგანია, ვინც მეფეებს უკვე ჩამოგლეჯა ღვთაებრივობის საბურავი და ასამართლებდა მათ, როგორც ჩვეულებრივ მოკვდავთ. თუ რამდენად

დაეცა მეფეების ავტორიტეტი, ჩანს, თუგინდ, იმ უდიდესი თავხედობისა და წრესგადასული მოქცეევისაგან, რომელსაც პენელოპას საქმროები იჩენდენ ოდისეს სახლში და იმ სახალხო კრებაზე, რომელიც ტელემაკმა მოიწვია. თვის კუნძულზე დაბრუნებულ გადაცმულ ოდისეს თვით უხდება ამ მხრით დარწმუნდეს, თუ როგორი ღრმა ცვლილება მოხდა მეფის მიმართ დამოკიდებულებასა და მისი ხელისუფლების შესახებ შეხედულებაში.

აგრეთვე იმის კარგ სურათს, თუ როგორ განმტკიცდა კეთილშობილთა წრის ბატონობა, იძლევა ოდისეა ფეაკელების სახელმწიფოს დახასიათებაში: აქ მეფე ალკინოოსის გვერდით ვხედავთ კიდევ სხვა მრავალ βασιλεῖς, რომლებიც, თითქოს, ბასილევსების კოლეგიას ჰქმნიან სახელმწიფოს გამგებლობის საქმეში.

ყოველ შემთხვევაში მეფის ხელისუფლების ეკონომიური ძლიერების საბოლოო დაცემა ნათლად მოჩანს იმ ფაქტიდან, რომ მათ კარზე თვალსაჩინოდ ჰქრება აღმოსავლური ფუფუნება და ისპობა უდიდესი მშენებლობა. ამით ბოლო ეღება აგრეთვე სამეფო კლიენტელის განვითარებასა და დიდი სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობას. მეორის მხრით უნდა წარმოშობილიყო ისეთი სოციალური წრე, რომელიც თვისი ეკონომიური მდგომარეობით მეფეებს დიდ კონკურენციას უქმნიდა. ამ წრის შემადგენელი წევრები პირველ რიგში უნდა ყოფილიყვნენ მეფის თანამებრძოლი ამხანაგები, რომელთაც მით უფრო მალე უნდა შეექმნათ მიწისმფლობელი, თვის ხარჯზე შეიარაღებული და მეფისაგან ემანსიპაციაქმნილი სამხედრო ფენი, რაც მეტად ჰკარგავდა თვის მნიშვნელობასა და მიმზიდველობას მეფის უკვე ძირგამოთხრილი „საგანძური". ლაშქრობაში გამგზავრებულ მეფე სარდალს (Heerkönig) უკვე დამოუკიდებლად აღარ უპყრია არც ჯარების სარდლობა და არც მათი ეკონომიური საფუძველი, ე. ი. მოლაშქრეთა შეიარაღება და სურსათით უზრუნველყოფა.

ამ მხრით მეფის გვერდით მაღლდებიან სხვა წარჩინებული „გვარები", რომელთაც, როგორც მეფეს, აქვსთ თვისი საკუთარი ციხე-კოშკები და რომლებიც იმავე „ქალაქში" ცხოვრობენ, სადაც მეფე. ისინი აღიარებენ მეფის, როგორც თანასწორთა შორის პირველის, ხელისუფლებას, ხოლო ყოველივე დანარჩენში თანასწორობის საფუძველზე აწესრიგებენ სახელმწიფო საქმეებს. ისინი მხოლოდ სამეურნეო მიზნით მიემგზავრებიან სოფელში, რომ ინახულონ თვისი მწყემსები, რომელთაც მონებისა და კლიენტების ლენური მფლობელობის საფუძველზე ჰქონდათ მიცემული მიწები. ყველა ეს წარჩინებული „გვარები" (Geschlechter) ახერხებენ სამხედრო ნადავლიდან თვისი ხვედრი ნაწილის მოპოვებით და საზღვაო ვაჭრობაში მონაწილეობით შედარებით დიდი მამულებისა და ქონების შექმნას და საკუთარ ხარჯზე აიარაღებენ თვის კლიენტებს. სამეფო ხელისუფლება განსაკუთრებით ეცემა ზღვის ნაპირად მდებარე მხარეებში, სადაც შედარებით უფრო ძლიერი იყო საზღვაო ვაჭრობა, მაგრამ ასეთი მოვლენა ვითარდებოდა აგრეთვე კონტინენტზედაც. ასეთი გზით წარმოშობილი „ბერძნული საშუალო საუკუნეების სახელმწიფო", როგორც მას ედ. მაიერი უწოდებს, სოციალური ურთიერთობის მხრით დიდ სხვადასხვაობას წარმოადგენს.

მთელ საბერძნეთში ჩნდება ის რაინდული საზოგადოება, რომელიც აწყობს სამხედრო სპორტს და ეროვნულ ტურნირებს, რომელიც ამზადებს ნიადაგს გმი-

რული და შემდეგში ს სიყვარულო (Minnesang) სიმღერებისათვის და საშუალო საუკუნეების ყაიდაზე იწყებს რაინდთა უთანხმოებების „Gommcin"-ის მოწესრიგებას და ბრძოლაში მიმართავს კურტუაზიის ფორმებს. თითოეული სახელმწიფოს შიგნით ეს საზოგადოება დანაწილებულია ერთიმეორესთან მუდმივად მოქიშპე გვარებად, სანამ აქაც, როგორც საშუალო საუკუნეებში, ცალკეულ გვარებს არ დაებადა აზრი - „ადსემნეტებისა" თუ „ტირანების" სახით „ხალხთან" დაკავშირების გზით სინიორიამდე ამაღლებისა[1].

როგორც უკვე იყო ნათქვამი, მეფის ხელისუფლების დაცემას ხელი შეუწყო პოლისის გავლენამ კეთილშობილთა წრის მნიშვნელობის აწაღლებაზე და იმ პრაქტიკულ მოთხოვნილებათა წარმოშობამ, რომ მეფეებისათვის ამოერჩიათ სათანადო თანაშემწეები და მოხელეები იმავე კეთილშობილთა წრიდან. ალბათ, ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მეფობა შენარჩუნებულ იქნა მხოლოდ იქ, სადაც პოლისი არ არსებობდა, მაგ., სპარტაში, მაკედონიაში, ეპირში. ბატონობის გადასვლა კეთილშობილთა ხელში, უეჭველია, აქა-იქ რევოლუციონური გზით მოხდებოდა, მაგრამ უმეტეს ნაწილად იგი შედეგი იყო უფრო ევოლუციონური განვითარებისა, რომელშიაც მეფე თანდათან წლიურ მოხელედ იქცა და განსაზღვრული ადგილი დაიკავა სხვა მოხელეთა შორის. ასე მოხდა, მაგ. ათენში, სადაც ბასილევსი არქონტების კოლეგიის მეორე წევრი შეიქნა, ან კორინთოში, სადაც 747 წლიდან ბაკხიადების სამეფო გვარეულობის წევრები სახელმწიფოს სათავეში დგებიან, როგორც წლიურად არჩეული „პრიტანები". მაგრამ საერთოდ უნდა ითქვას, რომ მონარქიიდან არისტოკრატიულ წყობილებაზე გადასვლა სხვადასხვა ადგილას სხვადასხვაგვარი იყო.

მონარქიული წყობილება პირველად ბერძენთა მცირე აზიის ახალშენებში დაეცა და ეს გასაგებიცაა, რადგან აქ უფრო ადრე უნდა განვითარებულიყო ის პირობები, რომლებიც ამ პროცესს ხელს შეუწყობდა, თუმცა აქაც ძველი სამეფო გვარეულობის წევრებს დიდხანს ეპირათ განსაკუთრებული ადგილი, როგორც მაგ., ბასილიდებს ეფესში და ერითრეში.

კეთილშობილთა ბატონობის დამყარებამ ხალხის ქვედა ნაწილებისათვის მეტად მძიმე მდგომარეობა შეჰქმნა. თუ წინათ მეფე გარეგნულად მაინც თავის თავს წარჩინებულთა და უბრალო ხალხს შორის შუამავლობას აკისრებდა და, თითქოს, ცდილობდა კიდეც ზოგიერთ შემთხვევაში დემოსისათვის მფარველობის აღმოჩენას, რადგან მხოლოდ ამ გზით შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია მოქიშპე არისტოკრატიისათვის, ახლა კეთილშობილთა ბატონობა ხალხისათვის მეტად მძიმე უღლად გადაიქცა, რომელიც ეკონომიურ ცხოვრებაში მომხდარი გადატრიალებით უფრო რთული და აუტანელი შეიქნა. ამ დროის სოფლის ცხოვრებლების ბედშავი მდგომარეობა ძვირფასად დაგვიხასიათა პოეტმა ჰეზიოდემ თავის პოემაში — „სამუშაონი და დღეები". მაგრამ აქ მასზე უკვე აღარ შევჩერდებით, რადგან ამ ეპოქის განხილვა ამ ნაშრომის მეორე ნაწილში გვექნება.

---

[1]) იხ. Проф. Макс Вебер, Аграрная История древнего мира. Москва, 1923, стр. 149-153.

4 ანბანის შემოღება. კულტურა და სარწმუნოება.

ამ პერიოდში ბერძნების კულტურული მდგომარეობის გათვალისწინების დროს პირველ რიგში უნდა დავასახელოთ ის უდიდესი მიღწევა, რომელიც ბერძნების მიერ IX საუკუნეში საკუთარი ანბანის შემოღებაში გამოიხატება. დღეს ჩვენ უკვე მოგვეპოვება ბერძნული დამწერლობის ნიმუშები ქრ. წ. VIII საუკუნის დასაწყისიდან. თვისი ანბანი ბერძნებმა ფინიკიელებისაგან გადმოიღეს. ფინიკური დამწერლობა, რომელიც დღეს ბიბლოსის ერთი წარწერის მისედვით [1] უკვე ქრ. წ. XIII საუკუნისთვის არის დამოწმებული, დამწერლობის ყველა ძველ სისტემას აღემატება იმით, რომ იგი არის წმინდა ანბანური ბგერითი შრიფტი. უკანასკნელი დროის აღმოჩენამ სინაის ნახევარკუნძულზე საეჭვოდ გახადა ფინიკიელების პიონერობა ანბანური დამწერლობის გამოგონების დარგში; საქმე იმაშია, რომ ხსენებულ ნახევარკუნძულზე იპოვნეს ეგვიპტური ჰიეროგლიფებისაგან წარმომდგარი ანბანური შრიფტი, რომელიც ფინიკურის წინასაფეხურად მოჩანს[2].

რომ ბერძნებმა თვისი ანბანი ფინიკიელებისაგან გადმოიღეს, ამას სრული უეჭველობით ამტკიცებს: 1) ჰეროდოტეს ცნობა (V, 58), რომ იონელებმა ანბანი ფინიკიელებისაგან შეისწავლეს, და რომ ბერძნულ ასოებს φοινικήια γράμματα (ფინიკიური ასოები) ეწოდებოდა; ამასვე ადასტურებს ტეოსის ერთი წარწერა (სადაც ნახსენებია γράμματα φοινικά); 2) ბერძნული დამწერლობის უძველეს ძეგლებში ბერძნული ასოები თვის ფორმით დიდად წააგავს ფინიკურ ანბანს, ზოგიერთ შემთხვევაში კი მათ შორის სრული მსგავსებაა; 3) ბერძნული ასოების სახელები არა ბერძნულია, არამედ ოდნავ გადასხვაფერებული ფინიკურ — სემიტური, მაგ.-ა — ალეფ, ბერძნულად - ალფა, ბ — ბეტ, ბერძნ. — ბეტა, დ — დალეტ, ბერძნ. — დელტა და სხვა. მაგრამ გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნებმა ფინიკიელებისაგან შეითვისეს უმთავრესად წერის ტექნიკა, რომელიც გენიალურად შეუფერდეს თვის მოთხოვნილებათ. ფინიკური ანბანის ბერძნულისათვის მომარჯვებისა და შევსების პროცესი სწარმოებდა თანდათანობით, საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში. არა სხვისი საუნჯის უბრალო გადმომღებლად გვეელინებიან ამ შემთხვევაშიც ბერძნები, არამედ ამ ახალ მონაპოვარში უეჭველად შეაქვსთ თვისი საკუთარი შემოქმედებისა და დაკვირვების თვალსაჩინო ელემენტი. ამგვარად, უკვე IX საუკუნეში (ქრ. წ.) ბერძნები აღიჭურვენ იმ დიდი იარაღით, რომელმაც ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მათ კულტურულ განვითარებას[3].

---

[1]) ბიბლოსის წარწერის შესახებ იხ. Gressmann, Zeitschrift f. d. Alttest. Wissenschaft. 1924.

[2]) სინაის შრიფტის შესახებ — K. Sethe, Nachr. Gött. Ges. 1917.

[3]) თვის დროზე ბერძნული ანბანის ისტორიისათვის ძირითად სახელმძღვანელოს წარმოადგენდა - Adolf Kirchhoff-ის „Studien zur Geschichte des griechischen Alphabets". ახალ გაშოკვლევათ კი ახალ აღმოჩენებზე დამყარებით ახალი პრობლემები აქვს წარმოდგენილი. იხ. ავრ. Fr. Praetorius, Zur Geschichte des griechischen Alphabets (Zeit d Deut.

როგორც აღნიშნეთ, ანბანის შემოღება ბერძნების მიერ IX საუკუნეში უნდა მომხდარიყო, ხოლო ეს ფაქტი, რასაკვირველია, ვერ დაფარავს იმ დიდ კულტურულ დაქვეითებას, რომელსაც საბერძნეთი მასზე წინ და ნაწილობრივ მის შემდეგაც მოკლე დროში მაინც განიცდიდა. არსად ეს დაცემა ისე ნათლად არ გვეცხადება, როგორც სასვითი ხელოვნების დარგში. მიკენის ეპოქასთან შედარებით აქ გვევლინება შემოქმედების სრული სიღატაკე და უბადრუკობა. როდესაც აუცილებელი გახდა ქალაქებისათვის კედლების შემოვლება, აგებდენ უკვე არა „ციკლოპურ“ კედლებს, არამედ უბრალო მიწის თხრილებს. მართალია, ამ პერიოდის დასასრულში სარწმუნოებრივმა განვითარებამ ბერძნულ ხუროთმოძღვრებასა და ქანდაკებას ახალი ამოცანა დაუსახა, სახელდობრ, ღმერთების სახლების აგება და მათი გამოხატულებების შემზადება, მაგრამ ყოველივე ამას ისეთი არაგამძლე მასალისაგან აკეთებდენ, რომ მათგან თითქმის არა შენახულა რა. მიკენის დროის ოსტატი აკებდა ციხეებს, სასახლეებს, ცოცხალთა და მიცვალებულთა დიდ სადგომებს; ახლა კი პირველად წარმოიშვა მოთხოვნილება ღმერთებისთვის ღირსეული სადგომების აშენებისა და ტაძრების აგებას მიაპყრეს თვისი მთავარი ყურადღება იმ დროის ხელოსნებმა და მხატვრებმა. საკმაო საბუთები მოგვეპოვება ვიფიქროთ, რომ ტაძრებს ძველი ნამდვილი ბერძნული მეგარონის სტილის მიხედვით უბრალო საშუალებით აგებდენ თავდაპირველად ხისა და აგურებისაგან და მხოლოდ VII საუკუნეში გადავიდენ ქვახეხეზე იყო ამოჭრილი აგრეთვე ამ დროის კულტის სხვადასხვა გამოხატულება (ξόανα). ამ ხანის ბერძნული მხატვრობის დამახასიათებელია სამეურნეო ჩამორჩენილობის შესატყვისი და წარსულთან შედარებით უბადრუკი პროტოგეომეტრიული ვაზები (დახ. X საუკუნიდან), რომლებსაც, თითქოს, ბადმოლებული აქვს მიკენური ტექნიკის ზოგიერთი ელემენტი, მაგრამ თვისი ტლანქად შესრულებული გარეგნობით უფრო პრიმიტიული დროის გეომეტრიულ ორნამენტიკას მოგვაგონებს. სხვა სურათს ეხედავთ საბერძნეთის იმ მხარეებში, რომელთაც დორიელთა გადასახლებასთან დაკავშირებული ტომების მოძრაობა და დაპყრობა ნაკლებად ან საერთოდ არ შეხებია, ქერძოდ ატიკაში, სადაც გეომეტრიულმა სტილმა ეგრეთწოდებულ დიპილონის სტილში მაღალ განვითარებას მიაღწია. განსაკუთრებით საუკეთესო ნიმუშები გეომეტრიულად შემკული ვაზებისა აღმოჩნდა ათენის სასაფლაოზე, ეგრეთწოდებული დიპილონის (ორმაგი ჭიშკრის) წინ, ამიტომ ყველა ასეთ ვაზას დიპილონის ვაზები ეწოდა. ამ ვაზებზე გვხვდება ხაზოვანი სურათები წერტილებისა, წრეებისა და ჯვრების კომბინაციათაგან. ტექნიკის განვითარებასთან ერთად, თავდაპირველი ხაზოვანი ორნამენტების გვერდით ჩნდება თანდათანობით სურათები ორგანიულ სამყაროდანაც; ხელშესახებია აგრეთვე მცდელობა ადამიანთა ცხოვრების სცენების გადმოცემისა; ვხედავთ, მაგ.: დღეობებს, მეომართა პროცესიებს, ბრძოლას ხმელეთსა და ზღვაზე, მიცვალებულთა დამარხვის პროცესიებს და სხვ. ასეთი ვაზების უშნო

Morgenländ. Ges B. 52, 1902), W. Larfeld, Griechische Epigraphik, და სხვ. ძველი ტექსტებს სურათებს გვაძლევს H. Roehl-ის Imagines inscriptionum graecarum antiquissimarum in usum scholarum³, 1907, და სხვ.

სტილიზირებული ფიგურები მიკენის ვაზების მხატვრობის უკანასკნელი განშტოების სურათებს გვაგონებს. უფრო გვიან მხატვრობაში კვლავ იჭრება მოტივები მცენარეთა წრიდან და სპირალები.

ვ ი ლ კ ე ნ ი ს მოსწრებული თქმით (გვ. 53), საზოგადოდ ძნელია იმაზე უფრო მეტი კონტრასტის წარმოდგენა, ვიდრე „საშუალო საუკუნეების“ ეს მკლე პროზაული გეომეტრიული სტილია და მიკენის ბრწყინვალე ეპოქის ფანტაზიით სავსე ნატურალისტური მხატვრობა.

ეს გეომეტრიული სტილი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ვითარდებოდა, ბოლოს გაძევებულ იქნა აღმოსავლური ხელოვნების ზეგავლენით. ეს ფაქტი ფინიკიელების შუამავლობით უნდა მომხდარიყო IX საუკუნეში. თანამედროვე მკვლევართა დაკვირვებით, ცალკეული აღმოსავლური მოტივები მოჩანს ჯერ კიდევ წმინდა გეომეტრიულ ნაწარმოებებში. შუა ადგილი უჭირავს იმ გამოსახულებათა, რომლებიც კვლავ შერეული არიან გეომეტრიული ხელოვნების ელემენტებთან. ბოლოს კი სრულებით ვითარდება და მტკიცდება ორიენტალიზირებული სტილი, რომლისათვისაც განსაკუთრებით დამახასიათებელი ის არის, რომ ადგილობრივი შინაური და სანადირო ცხოველების ადგილს იჭერენ გარეული ცხოველები (მაგ. ლომები) და ავრეთვე აღმოსავლური ფანტაზიის შერეული სახისა და ზღაპრული ცხოველები (მაგ. სფინქსები, გრიფები). არა მარტო იონიაში, სადაც ურთიერთობა აღმოსავლეთთან არ შეწყვეტილა, არამედ საკუთრივ საბერძნეთშიც ამ დროს აღმოსავლეთის გავლენა ხელოვნებაზე დიდი იყო. მაგრამ აქ ერთხელ კიდევ ვამჩნევთ ძველი ბერძნების იმ გასაოცარ ნიჭს, რომლის წყალობითაც მათ შეეძლოთ უცხო ქვეყნებიდან გადმოღებული და შეთვისებული მოტივები საკუთარი საშუალებით და საკუთარი მხატვრული ხერხითა და სამკაულებით შეეფარდებიათ თვისი კულტურული მოთხოვნილებათათვის. ამიტომ სამართლიანად უთქვამს პსევდოპლატონის ეპინომისის ავტორს, რომ ბერძნები აკეთილშობილებდენ ყოველივეს, რაც კი მათ ბარბაროსებისაგან ჰქონდათ გადმოღებული (ვ ი ლ კ ე ნ ი, იხ. გვ. 54).

ამ დროის კულტურული მდგომარეობის გათვალისწინების საქმეში დიდ დახმარებას გაგვიწევს ს ა რ წ მ უ ნ ო ე ბ ი ს გაცნობა. ამ მხრით ფრიად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული ისტორიკოს ჰ ე რ ო დ ო ტ ე ს. იგი სწერს: საიდან გაჩნდენ ღმერთები, მუდამ არსებობდენ თუ არა, როგორია მათი ხატება, ამის შესახებ ბერძნებმა უკანასკნელ დრომდე არაფერი არ იცოდენ. მე ვფიქრობ, რომ ჰეზიოდე და ჰომეროსი ჩემზე ადრე ცხოვრობდენ არა უმეტეს 400 წლისა; მათ შეჰქმნეს ბერძნებისათვის ღმერთების გენეალოგია, მიანიჭეს ღმერთების სახელებს ეპითეტები, დაანაწილეს მათ შორის ღირსება და ხელობა და აღბეჭდეს მათი ხატებანი (II, 53). ამგვარად, ჰომეროსის პოემებს, როგორც ჰეროდოტეს სიტყვებიდან ჩანს, ედიდესი გავლენა მოუხდენია ბერძნულ სარწმუნოებაზე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჰეროდოტეს სიტყვები უეჭველად შეიცავს სინამდვილეს იმ მხრით, რომ ოლიმპის ღმერთები, როგორც მათ პოეტები გვისურათებენ, არიან არა წინანდელი დროის ღვთაებათა წარმოდგენის ორგანიული განვითარება, არამედ უმეტეს ნაწილად უფრო პოეტური ფანტაზიის შემოქმედება. ამასთან, ვინაიდგან პოეტები თვის სიმღერებში ეხებოდენ შორეულ

გმირულ ეპოქას, რომელშიც ღმერთები ჯერ კიდევ გმირებთან ერთად არსებობდენ, საჭირო შეიქნა ისეთი განკაცებული ღმერთების სამყაროს შექმნა, რომელიც შეეძლოთ მათ ადამიანთა ქვეყნისადმი დაეპირდაპირებინათ. მართალია, ღმერთებზე ანთროპომორფული თვისებების გავრცელება ჯერ კიდევ მიკენის ეპოქაში იწყება, მაგრამ პოეტების საქმეა ის, რომ ახლა ღმერთები ნამდვილ ადამიანებად იქცენ და ამ უკანასკნელთაგან განსხვავდებიან მხოლოდ უკვდავებითა და ამბროზიით და ნექტარით დატკბობით. მათივე საქმეა ისიც, რომ ხალხური რწმენის მრავალი ღმერთი გენეალოგიურად ღვთაებათა ერთ პატარა წრეში შეაერთეს და ეს უკანასკნელი იმ დროის წარჩინებულთა საზოგადოების მიბაძვით ერთი მეფის – ძევსის გარშემო დააჯგუფეს. მათივე მიუჩინეს ოლიმპის თითოეულ ღმერთს გარკვეულად შემოფარგლული ასპარეზი მოქმედებისა. ასეთი გზით წარმოდგა ოლიმპის ღმერთების სამყარო, რომლის მეთაურია „ღმერთებისა და ადამიანების მამა“, „ძევსი მამა, იდაზე გამეფებული, უმაღლესი, უდიდებულესი“. მას გარს ახვევია ღმერთების მთელი გუნდი, თითოეული მათგანი ძევსს ემორჩილება და მის ბრძანებას ასრულებს, თუმცა ზოგჯერ არ ერიდებიან პირში მწარე სიტყვაც უთხრან. ძევსს, რომელსაც თავის ერთი გაქნევი ი შეუძლია ძირიან-ფესვიანად შეანძრიოს ოლიმპი და მასთან მთელი ქვეყანა, უპირს განმარტება მისცეს თვის იპვიან მეუღლეს—ჰერას ამათუიმ საკითხის შესახებ. საერთოდ, ამ ღმერთებს ახასიათებს ყოველგვარი ადამიანური თვისება, როგორც კეთილი, ისე ბოროტი.

ეპოსის წყალობით ოლიმპის ღმერთები პირველად მთავრების კარზე და იმ დროის „რაინდთა წრეში ჰპოულობენ ცნობას და თანდათანობით იხვეჭენ ოფიციალურ აღიარებას. მათ ჰყოფდა მთელი უფსკრული ღმერთებისა, რომლებიც ხალხური რწმენის ცოცხალ კულტში სარგებლობდენ თაყვანისცემით. ესენი იყვნენ კუთხური ღვთაებები, რომლებსაც სხვადასხვა ადგილას სხვადასხვა სახით, უფრო ხშირად კი ძველი ფეტიშების ფორმით, სცემდენ თაყვანს, „მაშინ როდესაც აქა იქ ფეტიშები უკვე სიმბოლოებად თუ სათანადო ადგილობრივი ღვთაების საღვთო ცხოველებად გადააქციეს, როგორც, მაგ., ძროხა არკოსის ჰერას კულტში ან ბუ – ათინას კულტში, რაზედაც გაკვრით მიგვითითებს პოეტური ეპითეტები — βοῶπις[1] და γλαυκῶπις[2]. ოლიმპის ღმერთებისაგან განსხვავებით, რომლებიც საერთო – ბერძნული ღვთაებები გახდენ, ეს ღმერთები წმინდა კუთხურ ღვთაებად დარჩენ და, როგორც ასეთებს, მიკუთვნილი ჰქონდათ მოქმედების არა განსაზღვრული სარბიელი, არამედ მრავალმხრივი მნიშვნელობა და ცხოვრების ყოველ გასაჭირში თუ მწუხარებაში თითოეულ მათგანს მისი კუთხის მცხოვრებლები მიმართავდენ სრული დახმარების რწმენით, როგორც ღმერთს (ἀλεξίκακος). ამ კუთხური ღმერთების შესახებ ჩვენ ძლიერ მცირე ცნობები მოგვეპოვება, რადგან ისინი ლიტერატურაში არ შეჭრილან, მხოლოდ ზოგიერთ წარწერაში თუ აღმოჩნდება ხოლმე ბედნიერი შემთხვევით მათი სახელები (ვილკენი, 50 — 51). დაახლოებით VIII საუკუნეში ანთროპომორფიზმმა გზა გაიკელია

---

[1]) βοῶς=ძროხა, ხარი, და ὤψ=სახე, გამოხედვა.

[2]) γλαυκός=ბუ. ან γλαυκός=ბრწყინვალე, ნათელი და ὤψ=გამოხედვა, სხვ.

აგრეთვე ლოკალურ კულტებშიც. რაკი წარმოიშვა ადამიანის სახის კულტის გამოხატულებანი, დაიბადა ამასთან ერთად მოთხოვნილება განკაცებული ღმერთებისათვის საცხოვრებელი ადგილების აშენებისა საკურთხევლების გვერდით და ამ ნიადაგზე წარმოდგა ბერძნული ტაძრები. ამ უკანასკნელთა მცველად კი გვეელინება მსახურთა განსაკუთრებული ჯგუფი — ქურუმები (ἱερεῖς). აქვე გარკვევით უნდა აღინიშნოს, რომ ძველი აღმოსავლეთის ქურუმებსა და ბერძნების ქურუმთა შორის დიდი და ღრმა განსხვავებაა: ბერძენი ქურუმი, წინააღმდეგ აღმოსავლეთის ქურუმისა, იყო არა ჩვეულებრივ მოკვდავთა მაღლა მდგომი და ღვთაებასთან დაახლოებული ან ნაკურთხი პიროვნება, არამედ აღმასრულებელი საზოგადოებრივი ღვთისმსახურებისა, რომელიც თითოეულ მოქალაქეს, რომელსაც ამის საშუალება ჰქონდა, შეეძლო შეესრულებია (Isocrates ad. Nicocl. 6. ვილკენი, 51) საზოგადოდ საბერძნეთსარ შეუქმნია ქურუმთა განსაკუთრებული ძლიერი წოდება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ძველ აღმოსავლეთში, რაც ხშირად ჰქმნიდა აქ სახელმწიფოს სახელმწიფოში, როგორც, მაგ., ეგვიპტეში, სადაც ქურუმთა ძლიერმა წოდებამ XI საუკუნეში ხრიხორის სახით შეჰქმნა წმინდა თეოკრატიული სახელმწიფო[1]. ამას გარდა ბერძნულ სარწმუნოებრივ აზროვნებას საერთოდ არ წარმოუშვია თეოლოგიური დოგმები, პირიქით ყველას თავისუფლება ჰქონდა სარწმუნოებრივი ტრადიცია თვისი მსოფლმხედველობის მიხედვით წარმოედგინა. ამიტომაც სარწმუნოებრივ იდეათა გავრცობასა და განვითარებას აწარმოებდენ არა ქურუმები, არამედ პოეტები და ფილოსოფოსები. აქედან გამომდინარეობდა სრული პატივისცემა სხვაგვარად მოაზროვნე ადამიანის რწმენისადმი, რაც თვის საერთო გამოხატულებას პოულობდა „ძველ თქმაში“: დეე, შენ ეს ასე გეჩვენებოდეს, მე კი ასე [მეჩვენება] (Ἐμοὶ μὲν ταῦτα δοκοῦντ' ἔστω, ἐμοὶ δὲ ταῦτα, Athenaeus IX, 367). საზოგადოდ ის ძვირფასი ტოლერანტობა, რომელსაც ძველი ბერძნები იჩენდენ სხვა ხალხთა სარწმუნოებების მიმართ, მათი ცხოვრების ფრიად დამახასიათებელი მხარე იყო ყოველ დროში და თვის საფუძველში იგი არსებითად სხვა არა არის რა, თუ არა „შეგნება, რომ სახელები და ფორმები თაყვანისცემისა უბრალო რამ არის, ხოლო ღვთაება კი, რომელიც ამ სახით თუ იმ სახით იქნება მოწოდებული, მორწმუნეთა გულში ერთი და იგივეა“ (ვილამოვიცი, Hellenistische Dichtung I, 1924, S 69; იხ. ვილკენი, გვ. 52).

„უკვდავი ღმერთების“ გულის მოგება, ამ პერიოდის რწმენის მიხედვით, შეიძლება საჩუქრების მირთმევით, მსხვერპლის შეწირვით და განსაკუთრებით მდიდარი ჰეკატომბების (დიდი სახალხო მსხვერპლშეწირვის) მოწყობით. მსხვერპლის შეწირვა შეეძლოთ არა მარტო ქურუმებს, არამედ თვისი თემის სახე-

[1]) იხ. ალ. წერეთელი, ძვ. აღმ. I, გვ. 82; აგრეთვე ედ. მაიერის ძვირფასი ახალი გამოკვლევა — Gottesstaat, Militärherrschaft und Ständewesen in Ägypten (Sitzungsber. Preuss. Akad. XXVIII. 1928, S. 495 შმდ.).

ლით მსხვერპლის შეწირვის უფლება ჰქონდათ აგრეთვე მეფეებსა და მაღალი თანამდებობის პირთ, ისე როგორც მამასახლისებს თვისი და თავისი გვარის სახელით.

როგორც ჰომეროსის ეპოსიდან ნათლად ჩანს, ამ დროის ბერძენს გარკვეით სწამს, რომ მისი ღმერთების მაღლა დგას ბ ე დ ი ს წ ე რ ა (Μοῖρα, Αἶσα). რას წარმოადგენს მოირა? ადამიანის მოქმედება უბრალო რგოლია შემთხვევათა იმ ჯაჭვზე, რომელიც მხოლოდ მოირას ნებისყოფით იშლება და იკეცება. ადამიანის სულის ყოველგვარი იმანენტური ხასიათის გადაწყვეტილებაც კი ბედისწერას უნდა ემორჩილებოდეს და მის განგებას ეთანხმებოდეს. შეუძლებელია შესრულდეს ის, რაც ამ წესს ეწინააღმდეგება. მოირა ღმერთებზედაც კი გაბატონებულია; მისი სურვილი და ბრძანება მათთვისაც სავალდებულოა. ამ წესს საესებით ემორჩილება თვით ღმერთების მამამთავარი ძევსი. დროთა ვითარებაში ამ მხრით მყარდება ერთგვარი კომპრომისი: ღმერთები ხდებიან მოირას განაჩენის ერთგული დამცველი და აღმასრულებელი. ძევსი თვით იცავს მოირას კანონს, მსოფლიო წესრიგს; იგი მისი უმაღლესი მიმდევარია; იგი არავის მისცემს ნებას ბედისწერის განაჩენის დარღვევისას. მაგრამ მოირას ნებისყოფის შესრულებაში ღმერთები საესებით ხელ'ძეკრული არ არიან, მათ ძალუძთ დააჩქარონ თუ შეასუსტონ მოქმედების ტემპი, მაგრამ ბედისწერის განაჩენის საბოლოოდ შეჩერება კი არ შეუძლიათ. ტროიას ომის პროცესში არის ერთი მომენტი, როდესაც შესაძლებლად მოჩანს მისი შერიგებით დამთავრება: მენელაოსისა და პარისის პაექრობა. თუ იგი ბუნებრივად დამთავრდა, მოკვდება რომელიმე გმირი, ომი შეწყდება დატროიაც უვნებელი გადარჩება. მაგრამ მისი დაღუპვა ბედისწერის მიერ უკვე გადაწყვეტილია, ამიტომ ძევსი ბრძოლის ველზე გზავნის ათინას, რათა მან ტროიელები შეაცდინოს, ფიცი დაარღვევინოს და ამით ომის გაგრძელება გამოიწვიოს. საერთოდ ღმერთები თავისუფლად კითხულობენ ყოველივეს ბედისწერის წიგნში და მისი განგების თანახმად მიმართავენ მოვლენებისა და მოქმედების გეზსა და ტემპს, რომ ამით სრული წესრიგი დაიცვან ადამიანთა შორის და ბუნებაში. ასეთი იყო ბერძნული საშუალო საუკუნეების შეხედულება მოირაზე, რომელიც თანდათან განიცდიდა შერბილებას და ევოლუციას. ამასთან დაკავშირებით ძველ ბერძნებს სწამდათ ისეთი ადამიანების არსებობა, რომელთაც ღმერთებისაგან ჰქონდათ მინიჭებული ნიჭი მომავლის შეცნობისა. ესენი იყვნენ მ ი ს ნ ე ბ ი (μάντεις). უკვე ჰომეროსის ეპოქაში იყო ცნობილი რამოდენიმე მეთოდი სხვადასხვა ნიშნის, განსაკუთრებით ფრინველთა გაფრენის, მიხედვით ღმერთების ნება-სურვილის გამოცნობისა. რაც შეეხება შიგნეულობის მიხედვით „წინასწარმეტყველებას", რომლის სამშობლოდ ძველი ბაბილონი უნდა ჩაითვალოს და რომელიც საბერძნეთში მცირე აზიიდან უნდა გავრცელებულიყო, ჰომეროსის დროისთვის ჯერ კიდევ უცნობი იყო. ხოლო რწმენა განსაზღვრული ღმერთებისა და ადგილების განსაკუთრებული მნიშვნელობისა მისნობის თვალსაზრისით ჰომეროსის ეპოქაშიც თვალსაჩინოა, ასე, მაგ., ამ დროს სახელგანთქმული იყო დოდონას მისანი, სადაც ძევსი თვის ნებისყოფას მუხის ფოთლების შრიალში ააშკარავებდა; აპოლონის მისანი დელფოში კი მხოლოდ VII საუკუნეში აღწევს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და სარწმუნოებრივ პატივისცემას.

თუ მიკენის ეპოქაში მიცვალებულთა კულტს ფრიად დიდი როლი ჰქონდა მიკუთვნილი, ახლა იგი უფრო ნაკლებ ყურადღებას იპყრობს. ამ ხანაში განსაკუთრებით მტკიცდება ის მოსაზრება, რომ სიცოცხლეს და ამქვეყნიურ არსებობას აქვს მრავალი სიტკბოება და ბედნიერების წუთი, რომლითაც ყველა ადამიანმა სავსებით უნდა ისარგებლოს, რაც უფრო ძველ იონელთა ცხოვრებას ახასიათებს. შეიძლება ამასთან დაკავშირებით მოხდა ერთის მხრით გარკვეული ცვლილება იმქვეყნიურ არსებობაზე შეხედულებაში, მეორის მხრით კი ის, რომ იონიაში ძველი დროიდან შეთვისებული დამარხვის წესის მაგიერ შემოღებულ იქნა გვამების დაწვის ჩვეულება. დამარხვის წესი შენარჩუნებულ იქნა საკუთრივ საბერძნეთში და აქ ადგილიც ჰქონდა მიცვალებულთა საფლავზე მსხვერპლის შეწირვას.

თავისებური რაინდობის აყვავების ხანაში, რომელსაც ბერძნული საშუალო საუკუნეები წარმოადგენდა, დიდი როლი ჰქონდა მიკუთვნილი ტანთვარჯიშულ შეჯიბრებებსა და სხვადასხვა სახის ბრძოლას. სხეულის გაწრთვნა და თავისუფალ მამაკაცთა შეჯიბრება არის ისეთი კულტურული ელემენტი, რომელიც ბერძნებს აგრეთვე განასხვავებს ძველაღმოსავლური ხალხებისაგან (ვილკენი, 52-53). მართალია, სხეულის ვარჯიშობათა სურათები გვხვდება კრეტას მეორე ათასეული წლების ძეგლებზე; აგრეთვე ეგვიპტეშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო ახალგაზრდობის ტანთვარჯიშობა; მაგრამ აღმოსავლეთისათვის სრულიად უცნობი იყო ის მიზანი და ამოცანა, რომელსაც ბერძნები სხეულის ვარჯიშობას აკისრებდენ და აგრეთვე ის განსაკუთრებული პატივისცემა, რომლითაც შეჯიბრებებში გამარჯვებულები სარგებლობდენ. ილიადაში შეჯიბრებები გვხვდება მხოლოდ მიცვალებულთა დამარხვის დროს. ამ ნიადაგზე შემდეგში ვითარდება განთქმული აგონისტიკა, რომელიც ღმერთების პატივისცემასთან იყო დაკავშირებული და მალე მიაღწია ბრწყინვალე განვითარებას. იგი უეჭველად განსაკუთრებულ ელფერს ანიჭებდა ბერძნების საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებას.

აგონისტიკამ თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს მაშინ მიაღწია, როდესაც ოთხი აგონისტური დღესასწაული საერთო-ბერძნულ დღეობებად გახდა, სახელდობრ: დღესასწაულები ძევსის საპატივცემოდ ოლიმპიაში და ნემეაში (არგოლიდაში), შემდეგ პითიელი აპოლონის საპატივცემოდ დელფოში და ისთმის დღეობები (კორინთოს ყელზე) პოსიდონის სახელზე. ოლიმპიისა და პითიის დღესასწაულები იყო „პენტეტერიული“ ე. ი. სრულდებოდა ყოველი ოთხი წლის შემდეგ, ხოლო ნემეას და ისთმის დღესასწაულები კი „ტრიეტერიული“, ე. ი. მეორდებოდა მესამე წელს. ამ დღესასწაულების საერთო დღეობებად გადაქცევა არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით და სხვადასხვა დროს მოხდა. ამ დღეობებს უეჭველად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბერძენი ტომების ეროვნული შემეცნების განვითარების საქმეში.

ასეთი იყო საერთო ხაზებში ეგრეთწოდებული ბერძნული საშუალო საუკუნეების სოციალურ-კულტურული ვითარება. მათ ცვლის თავისებური გარდამავალი ხანა, რომელიც ახალ სამეურნეო პირობებში ახალ სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთობას აწესებს, მაგრამ მასზე ლაპარაკი ამ წიგნის მეორე ნაწილში გვექნება.

მემჩნეული კორექტურული შეცდომების გასწორება

გვ. და სტრ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს
1, 4 ქვ.	მსგზავსი	მსგავსი
2, 17 ქვ.	შეძლოთ	შეეძლოთ
3, 3	სახელითვ იცნობთ	სახელით ვიცნობთ
11, შენ. 2	Geschiche	Geschichte
12, 9	მცირეაზის	მცირე აზიის
33, 16	საბოლოდ	საბოლოოდ
34, 5 ქვ.	საუწშუნოებრიეი	სარწმუნოებრიეი
43, 1 ქვ.	თამმაი	თამამი
44, 18 ქვ.	თავდამსხელთა	თავდამსხმელთა
48, 16	შემქნილი	შექმნილი
61, 17	მნიშნელობა	მნიშვნელობა
62, 15	წარამოადგენს	წარმოადგენს
63, 15	იყნენ	იყვნენ
64, შენ.	ევებეას	ევბეას
69, 21	სარდიანიაში	სარდინიაში
70, 17	ჩაითვილოს	ჩაითვალოს
76, 20 ქვ.	დაარსებეისა	დაარსებისა
78, 3	ეგრთწოდებული	ეგრეთწოდებული
79, 7 ქვ.	აღმოეჩნილ	აღმოჩენილ